ლევან გოთუა

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება

თბილისი, 2012 წელი

წიგნი ეძღვნება საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტიტუტებს: უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებას. სხვა სამეცნიერო მეთოდების პარალელურად, ნაშრომში აქტიურად გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც გაანალიზებულია ნაშრომის თემასთან დაკავშირებული საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა, სამეცნიერო დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა. წიგნში დეტალურად არის მიმოხილული შესაბამისი ქართული სასამართლო პრაქტიკაც.

წიგნი განკუთვნილია როგორც იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისა და მეცნიერ-პედაგოგებისთვის, ისე პრაქტიკოსი იურისტებისთვის და საერთაშორისო კერძო სამართლისა და მისი პროცესის შესწავლით დაინტერესებულ პირთა ფართო სპექტრისთვის.

რედაქტორი: პროფესორი ლადო ჭანტურია

ავტორისგან

მსურს დიდი მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანისა და ორგანიზაციის მიმართ, ვინც ქმედითი დახმარება აღმომიჩინა ამ ნაშრომზე მუშაობისას. განსაკუთრებით მინდა ხაზი გაეუსვა პროფესორების **ლადო ჭანტურიასა** და **მაყვალა კახაძის** განსაკუთრებულ ღვაწლს. ამ წიგნის შექმნისას დიდი პროფესიული თანადგომა მივიღე გერმანელი კოლეგებისგანაც – დიდი მადლობა პროფესორებს **როლფ კნიპერს, ჰანს-იოახიმ შრამს,** დოქტორებს **ბერნდ იაკობისა** და **ევგენია კურცინსკი-ზინგერს.**

ნაშრომის თემატიკის სრულფასოვანი დამუშავება შეუძლებელი იქნებოდა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის **(DAAD),** ბრემენის უნივერსიტეტისა და ჰამბურგის მაქს პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის მატერიალური და ტექნიკური დახმარების გარეშე.

და ბოლოს, შეუძლებელია არ გამოეყო ჩემი მშობლების განსაკუთრებული დამსახურება, რომელთა მხრიდან უდიდესი მხარდაჭერა ჩემი სამეცნიერო საქმიანობისთვის მუდმივი სტიმული იყო.

ლევან გოთუა

თბილისი, 2012 წლის ნოემბერი

ავტორის შესახებ:

ლევან გოთუა

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, გერმანული სამართლისა (LL.M) და ევროპული და საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (LL.M. Europae).

დაიბადა 1980 წელს ქ. თბილისში. 1997 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის მე-6 საშუალო საავტორო სკოლა. 2002 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2003 წლიდან იყო ამავე უნივერსიტეტის ასპირანტი, შემდეგ დოქტორანტი. 2000-2001 წლებში სწავლობდა ბრემენის უნივერსიტეტის (გერმანია) იურიდიული ფაკულტეტზე. 2003-2005 წლებში წარჩინებით დაამთავრა ბრემენის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამები გერმანულ სამართალსა (2004 წ.) და ევროპულ და საერთაშორისო სამართალში (2005 წ.). მიღებული აქვს არაერთი სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდია და გრანტი. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ბეჭდვით და ელექტრონულ სამეცნიერო წყაროებში.

2010 წელს თსუ-ში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება". სწორედ ეს ნაშრომი საფუძვლად დაედო წინმდებარე წიგნს, რომელიც ავტორმა დაასრულა 2012 წელს ჰამბურგის (გერმანია) მაქს პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევის შედეგად.

სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ლევან გოთუა აქტიურად მოღვაწეობს როგორც პრაქტიკოსი იურისტი. ამჟამად იგი არის იურიდიული კომპანია „ბეგიაშვილი და კომპანიის" უფროსი იურისტი.

სარჩევი

გამოყენებულ შემოკლებათა ნუსხა. 6

1. შესავალი. 8
ა. კვლევის მიზნები. 8
ბ. კვლევის საგანი და სისტემა. 15

2. საერთაშორისო აღსრულების საფუძვლები. ... 18
ა. ცნებათა მიმოხილვა. 18
აა) აღსრულება თუ აღსრულებადად გამოცხადება. 18
ბბ) ცნობა. 21

ბ. ინტერესთა კონფლიქტი უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებისას. 31

გ. ისტორიული ექსკურსი. 34
აა) უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები. 34
ბბ) საარბიტრაჟო სასამართლოები. 41
I საერთაშორისო არბიტრაჟის მოკლე ისტორია. . 41
II საერთაშორისო საარბიტრაჟო აღსრულების მოკლე ისტორია. 44

დ. სამართლის წყაროები. 47
აა) უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები. 47
ბბ) უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებები. 61

3. უცხოური სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულების საგანი. 69

ა. აღსრულებას დაქვემდებარებული უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნება. 69

ბ. უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებები. 80
აა) შიდა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები. 80
ბბ) საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები. 86

4. ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებას. 92

ა. უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები. ... 92
ბ. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები. 97
აა) 2010 წლამდე მოქმედი კანონმდებლობა. 97
ბბ) ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ. 100

5. აღსრულებადად გამოცხადების წინაპირობები. 104
ა. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები. 104
აა) საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. 104
I აღსრულებადად გამოცხადების არსი. 104
II გამომრიცხავი გარემოებები. 106
III დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ. 119

ბბ) როგორ რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებებში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობაზე უარის თქმის საკითხი. 139
I მინსკის კონვენცია. 139
II ორმხრივი ხელშეკრულებები. 148
III ევროპული სამართალი. 157
გგ) შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების კონკურენციის საკითხი. 158

ბ. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები. 168
აა) ზოგადი მიმოხილვა. 168
ბბ) უარის თქმა მხარის შუამდგომლობით. 170
გგ) უარი, როგორც სასამართლოს ვალდებულება. 176

გ. არის თუ არა უცხოური გადაწყვეტილებების ცნობის წინაპირობები მათი აღსრულებადად გამოცხადების წინაპირობების იდენტური? .. 188

6. აღსრულებადად გამოცხადების პროცედურა. 191

ა. უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები. 191
აა) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. 191
ბბ) აღსრულებადად გამოცხადების სხვადასხვა ასპექტები. 196
გგ) სასამართლო პრაქტიკა. 203
I დსთ-ს სივრცეში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები. 203

II ევროპის ქვეყნებში გამოტანილი
სასამართლო გადაწყვეტილებე. 215
III დასკვნა. 231

*ბ. ინგლისურ-ამერიკული სამართლის
დოქტრინა.* 233
*გ. საერთაშორისო ხელშეკრულებები
აღსრულებადად გამოცხადების პროცედურის
შესახებ* 244

*დ. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების
აღსრულებადად გამოცხადების პროცედურა* 252
აა) ქართული კანონმდებლობის მიხედვით. 252
ბბ) ქართული სასამართლო პრაქტიკის
მიხედვით. 264
გგ) სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება. .. 276

*ე. გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის
დებულებები.* 282

*7. აღსრულებადად გამოცხადების ცალკეული
ასპექტები.* 285

*ა. შესაგებელი უცხოური გადაწყვეტილების
მატერიალურ- სამართლებრივი მოთხოვნის
მიმართ.* 285

*ბ. უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების
განსაზღვრულობის პრინციპი და მისი
კონკრეტიზების პრობლემატიკა.* 290

*გ. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების
ორმაგად აღსრულებადადგამოცხადება.* 294

დ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამომტან სახელმწიფოში მისი ძალადაკარგულად გამოცხადება 303

ე. სხვა საკითხები. 305

8. დასკვნა. 306

9. გამოყენებულიილიტერატურა. 313
ა. ნორმატიული მასალა. 313
ბ. სამეცნიერო ლიტერატურა 317
გ. სასამართლო პრაქტიკა 321
დ. ელექტრონული წყაროები. 324

გამოყენებულ შემოკლებათა ნუსხა:

1. გვ. – გვერდი;
2. შდრ. – შედარებისთვის;
3. BGH – Bundesgerichtshof – (გერმ.) გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო;
4. BGHZ – (გერმ.) Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen – ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე;
5. FamRZ – Zeitschrift für das gesamte Familienrecht – (გერმ.) ჟურნალი საოჯახო სამართლის შესახებ;
6. ff. – folgende Seiten – (გერმ.) (შემდეგ გვერდებზე);
7. IPRax – Praxis des Internationalen Privat- und Verfahrensrechts – (გერმ.) საერთაშორისო კერძო სამართლისა და საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის ჟურნალი;
8. IPRspr. – Die deutsche Rechtsprechung auf dem Gebiete des Internationalen Privatrechts – (გერმ.) საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში არსებული სასამართლო პრაქტიკის კრებული;
9. Kap. – (გერმ.) Kapitel (თავი);
10. NJW – (გერმ.) ჟურნალი ახალი იურიდული ყოველკვირეული;
11. OLG – Oberlandesgericht – (გერმ.) მიწის უმაღლესი სასამართლო;
12. OLGZ – Entscheidungen der Oberlandesgerichte in Zivilsachen – (გერმ.) ფედერალური მიწების უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე;
13. p. – (ინგ.) page (გვერდი);

14. RGZ – Entscheidungssammlung des Reichsgerichts in Zivilsachen – (გერმ.) გერმანიის საიმპერიო სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე;
15. RIW – Recht der Internationalen Wirtschaft – (გერმ.) ჟურნალი საერთაშორისო ეკონომიკის შესახებ;
16. Rz. – (გერმ.) Randziffer (ნომერი გვერდის კიდეზე);
17. S. – (გერმ.) Seite (გვერდი);
18. VersR – Zeitschrift für Versicherungsrecht, Haftungs- und Schadensrecht – (გერმ.) ჟურნალი სადაზღვევო, პასუხისმგებლობისა და ზიანის სამართლის შესახებ;
19. WM – Wohnungswirtschaft und Mietrecht – (გერმ.) ჟურნალი საბინაო მეურნეობისა და ქირავნობის სამართლის შესახებ;
20. ст. – (რუს.) страница (გვერდი).

1. შესავალი

ა. *კვლევის მიზნები*

უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულება თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და ამავდროულად უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულების საკითხთა ერთად განხილვას პრაქტიკული საფუძველი აქვს – აღსრულების ამ ორივე ფორმაში დომინირებს უცხოური ელემენტი.

კვლევა, უპირველესად, მიზნად ისახავს ამ თემების გაშუქებას საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის პერსპექტივიდან და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მართლმსაჯულებასა და არბიტრაჟს შორის არსებული განსხვავებები ჩვენს შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ერთი ნაშრომის ფარგლებში ორი საკითხის – უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულების განხილვამ შესაბამისი გავლენა იქონია წინამდებარე მონოგრაფიის სტრუქტურაზეც – ყოველ კონკრეტულ საკითხს განვიხილავთ ჯერ სახელმწიფო სასამართლოების მიერ გამოცემულ აქტებთან, შემდეგ კი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.

ნაშრომის თემა, როგორც წესი, უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და უცხოური საარბიტრაჟო

სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობასთან მჭიდრო შინაარსობრივ კავშირში მოიაზრება,[1] რასაც, ბუნებრივია, ვერც ამ წიგნში ავუვლიდით გვერდს. მიუხედავად ამისა, აღსრულების საკითხები თამამად შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო კერძო სამართლის ცალკე ინსტიტუტად, რასაც, პრაქტიკულად, მრავალი უცხოელი ავტორიც ადასტურებს.[2] ამ ფაქტს ასევე ცხადყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულების თემაზე არსებული არა ერთი მონოგრაფია, სტატია და სხვა სახის ნაშრომი. აქ ლაპარაკია სამეცნიერო ლიტერატურაზე, რომელიც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებას აშუქებს გერმანული, ფრანგული, ინგლისური, ამერიკული ან რუსული სამართლის პერსპექტივიდან. სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის კუთხით ხსენებულ საკითხთა მეცნიერულ დამუშავებაზე, რომელიც არსებითად მწირი და ხშირად ნაკლებად ინფორმატიულია. ის ფაქტი, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულება საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის ცალკე ინსტიტუტებს წარმოადგენენ,

---

[1] შდრ.: ლილუაშვილი, დისერტაცია თემაზე: „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება საქართველოში", თბილისი 2009 (დაცულია 2010 წ.).

[2] შდრ: Kegel/Schurig, Internationales Privatrecht, 9. Auflage, Koeln, 2004, S.1061; ან Siehr, das Internationale Privatrecht der Schweiz, Zuerich, 2002, S. 672 და სხვ.

თვალშისაცემია უფრო ფართო შინაარსის სამეცნიერო ნაშრომების (მაგალითად, სახელმძღვანელოები მიძღვნილი ზოგადად საერთაშორისო კერძო სამართლისადმი ან საერ- თაშორისო კერძო სამართლის პროცესისადმი) გაცნობისთანავე. ამგვარ სამეცნიერო ლიტერა- ტურაში ჩვენი თემატიკა მუდამ ცალკე თავად არის გამოყოფილი.[3]

უცხო ქვეყნის სასამართლებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულებამ განსაკუთრებით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძინა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. ეს გამოწვეულია მთელი რიგი გლობალური პროცესებით, რომელთა შორისაც არის: სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალური ბაზრების ინტეგრაცია, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა ინტენსივობის პერმანენტული ზრდა და ა.შ., ანუ, მოკლედ რომ შევაჯამოთ, ის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მოელენა, რომელიც ყოველი ჩვენგანისთვის გლობალიზაციის პროცესის სახელით არის ცნობილი. ზემოხსენებულმა პროცესებმა გამოიწვია სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი მიმოქცევის, და, ჩვენს შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებათა მიმოქცევის საერთაშორისო დონეზე რეგლამენტირებისა და ჰარმონიზების საჭიროება.

უცხო ქვეყნის სასამართლებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების საერთაშორისო დონეზე მოწესრიგების

---

[3] შდრ.: გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი 2011, გვ. 461.

პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით განვითარდა ევროპული თანამეგობრობის, შემდგომში კი ევროკავშირის სივრცეში. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ამ გაერთიანების წევრ-სახელმწიფოთა მიერ საერთო ბაზრის შექმნამ და, შესაბამისად, საბაჟო საზღვრების გაუქმებამ განსაკუთრებით აქტუალური გახადა ერთიანი ევროპული სამართლებრივი სივრცის ჩამოყალიბების იდეა. ამ ევროპული სამართლებრივი ჰარმონიზაციის ფარგლებში სასამართლო გადაწყვეტილებათა სახელმწიფოთაშორისი მიმოქცევის პრობლემატიკა სიღრმისეულად დამუშავდა.

უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების ცნობასთან, აღსრულებადად გამოცხადებასა და იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებით დაიდო ბევრი ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, ევროკავშირის ორგანოებმა გამოსცეს არაერთი ნორმატიული აქტი, გამოქვეყნდა მრავალი ლიტერატურული წყარო და ჩამოყალიბდა მდიდარი სასამართლო პრაქტიკა.

მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, სადაც სახელმწიფო საკუთრება დომინირებდა და, აქედან გამომდინარე, კერძო სამართლებრივ საკითხებსა და, განსაკუთრებით, საერთაშორისო კერძო სამართალს მეტად მოკრძალებული როლი ჰქონდა მიკუთვნებული, თითქმის ყოველი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ცდილობს გაითავისოს საბაზრო ეკონომიკის პირობები და, შესაბამისად, შეუსაბამოს თავისი კერძო სამართალი მსოფლიო ვაჭრობის მოთხოვნილებებს.

საქართველო ამ ტენდენციის ტიპური მაგალითია. ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოს კერძო სამართალი კონტინენტურ-ევროპული, პირველ რიგში კი გერმანული სამართლის ძლიერი ზეგავლენით არის შექმნილი. უკანასკნელ წლებში იკვეთება ასევე ანგლო - ამერიკული სამართლებრივი ოჯახის სივრცისთვის დამახასიათებელი ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტების რეცეფცია. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ მთელი რიგი სამართლებრივი მატერიები, მათ შორის საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესი, ჯერაც სათანადოდ არ არის დამუშავებული და იურიდიულ ლიტერატურაში ოდენ მცირერიცხოვანი დეფინიციების სახით არის ფორმულირებული.

ბუნებრივია, ეს ეხება უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულებასაც. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად მჭიდრო შინაარსობრივი კავშირისა, უცხო სახელმწიფოების სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი რეგულირება, როგორც წესი, სხვა ნორმატიული აქტების მეშვეობით ხორციელდება, ვიდრე უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებებისა. ეს ბუნებრივიც არის, ვინაიდან ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სხვა ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან, ხოლო მეორე შემთხვევაში – კერძო ხასიათის სასამართლოების აქტებთან. უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასთან დაკავშირებით წინგადადგმულ ნაბიჯად

უნდა მივიჩნიოთ ჩვენი სახელმწიფოს მონაწილეობა ამ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებაში – გაეროს ნიუ-იორკის 1958 წ. კონვენციაში „უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“. უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან მიმართებაში კი, სამწუხაროდ, საქართველო არც ერთ მნიშვნელოვან მრავალმხრივ ხელშეკრულებაში არ მონაწილეობს. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში დადებულ მინსკის კონვენციას, მიუხედავად საქართველოს დსთ-იდან გამოსვლისა, ჯერაც არ დაუკარგავს აქტუალობა – იგი მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებაა წარმოადგენს და, რასაკვირველია, მისი ზოგიერთი დებულების მიმოხილვა ამ ნაშრომში ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ დიდი ალბათობით, მინსკის კონვენციის მრავალი ნორმა საფუძვლად დაედება საქართველოსა და დსთ-ში ამჟამად შემავალ სახელმწიფოებს შორის დადებულ შესაბამის ორმხრივ ხელშეკრულებებს.

ჩვენს თემასთან დაკავშირებული ქართული სასამართლო პრაქტიკის საკმაო სიმწირემ – ეკონომიკურად განვითარებული სამყაროს სახელმწიფოებთან შედარებით – მკითხველი შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს, რადგან იმ ქვეყნისთვის, რომელმაც თავის მიზნად დაისახა დასავლეთის სახელმწიფოებთან ეკონომიკური და სამართლებრივი ინტეგრაცია და, როგორც შედეგი, ევროპის კავშირში გაწევრიანება, საერთაშორისო სამართლებრივი მიმოქცევის საკითხები ახლო მომავალში უთუოდ დიდ მნიშვნელობას შეიძენს. მეტიც, უახლესი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს ამ

სფეროში სასამართლო პრაქტიკის გამდიდრებასა და სრულყოფას.

საკუთარი პროფესიული გამოცდილებიდან დავამატებდი, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხი, პრაქტიკულად ყოველთვის ერთ-ერთი პრიორიტეტულია უცხოელი ინვესტორებისთვის და მის დეტალებში გარკვევა ხშირად იქცევა რეალური ინვესტიციის განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობად. იმ ვითარებაში, როდესაც ინვესტორები ცდილობენ შესაბამის ხელშეკრულებებში თავისთვის ხელსაყრელი გამოსაყენებელი მატერიალური სამართლისა და განსჯადობის (ანუ იურისდიქციისა და შესაბამისი საპროცესო სამართლის) გათვალისწინებას, საზღვარგარეთ გამოტანილი სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოში აღსრულების პრაქტიკა მათთვის არსებით მნიშვნელობას იძენს. თითოეულ უცხოელ ინვესტორს სჭირდება იმის გარანტია, რომ სადავო საქმის მოგების შემთხვევაში იგი საქართველოში არსებული მოვალის ქონების მეშვეობით შეძლებს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოში უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულების სფეროში კვლევის ჩატარება, ხსენებული საკითხების შედარებითი სამართლის კუთხით ანალიზი, რამაც მომავალში ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ პრობლემატიკის სიღრმისეულ დამუშავებას უნდა შეუწყოს ხელი.

ბ. კვლევის საგანი და სისტემა

მას შემდეგ, რაც გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა იმ მიზეზებსა და მიზნებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო ჩვენს კვლევას, უპრიანი იქნებოდა მოკლედ მიმოგვეხილა წინამდებარე ნაშრომში წინა პლანზე წამოწეული იურიდიული საკითხები და მათი კვლევის სისტემა.

1. „უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულება" – არის თუ არა ის სწორი ტერმინი სასამართლოს მოქმედების დასახასიათებლად? რა კავშირშია ჩვენს თემასთან უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა?

2. რას წარმოადგენს საკუთრივ უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულება და შინაარსობრივად მასთან უშუალოდ დაკავშირებული უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა ზოგად სამართლებრივ ჭრილში – სახელმწიფოს ეროვნული სუვერენიტეტის შელახვას თუ ქმედებას, რომელიც საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დაცვასა და განხორციელებას ემსახურება?

3. ჩვენი თემის საკითხების ირგვლივ სრული და კომპლექსური წარმოდგენის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა დროსა და სივრცეში მათი განვითარების გაცნობიერების გარეშე, ამიტომ ამ ნაშრომში გარკვეული ადგილი ისტორიულ ექსკურსსაც დაეთმობა.

4. როგორც ამ ნაშრომის სრულად გაცნობის შემდეგ დავრწმუნდებით, თვით სასამართლო პრაქტიკაც კი ზოგჯერ სამართალშეფარდებისას

არსებით შეცდომებს უშვებს. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია ამომწურავი ინფორმაცია მოგვეპოვებოდეს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებულ სამართლის წყაროებზე.

5. ამ წიგნში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საგანს. ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ თუ რა სახის გადაწყვეტილებები ექვემდებარება აღსრულებას.

6. ბუნებრივია, დეტალურად აღვწერთ თუ რომელი ორგანოები ახორციელებენ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებას.

7. არსებითი მნიშვნელობა აქვს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების წინაპირობებს. ამ საკითხს უშუალოდ უკავშირდება პრობლემატიკა, რომელიც დაკავშირებული უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებადად მიქცევის წინაპირობებსა და მისი ცნობის წინაპირობებს შორის გამიჯვნას გულისხმობს – სრულად ემთხვევა თუ არა ეს ცნებები ერთმანეთს?

8. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების პროცედურა წინამდებარე ნაშრომში, სხვა მრავალი საკითხის

მსგავსად, განხილულია შედარებითი სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით. იურიდიული ლიტერატურის გარდა, ვეცადეთ მაქსიმალაურად გაგვეშუქებინა ქართული და უცხოური სასამართლო პრაქტიკაც, განსაკუთრებით ისეთ პრობლემატურ საკითხებთან მიმართებაში, როგორებიც არის საჯარო წესრიგის დათქმა და მისი ინტერპრეტაციის სირთულეები და ***revision au fond***-ის აკრძალვის სახელით ცნობილი პრინციპის მოქმედება, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოსა და უცხოური არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას.

9. ჩვენი ნაშრომის შემადგენელი ნაწილებია მთელ რიგ პროცესუალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემატიკა, როგორიც გახლავთ: უცხო ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოშობილი შესაგებლები; შესაგებლები, წარმოშობილი პირველადი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნიდან (მაგალითად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამომტან სახელმწიფოში მისი ძალადაკარგულად გამოცხადება); სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი და უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების კონკრეტიზების ფარგლების დადგენა; უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ორმაგად აღსრულებადად გამოცხადება და სხვ.

ჩვენი თემის ამ ცალკეული ასპექტების კვლევის გარდა ეს წიგნი მიზნად ისახავს საერთაშორისო მასშტაბით უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების აღსრულების საფუძვლების აღწერას და ამ საკითხებთან

შინაარსობრივად დაკავშირებული სამართლებრივი ინსტიტუტებისა და ცნებების დადგენას.

2. საერთაშორისო აღსრულების საფუძვლები

ა. *ცნებათა მიმოხილვა*

აა) აღსრულება თუ აღსრულებადად გამოცხადება?

უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულება შეგვიძლია „საერთაშორისო აღსრულების" შემადგენელ ნაწილებად მივიჩნიოთ. აღსრულება, როგორც სამართლებრივი პროცესი, შეიძლება პირობითად დავყოთ რამდენიმე საფეხურად. პირველი და ჩვენთვის უნიშვნელოვანესი არის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა, ანუ იგივე აღსრულებადად გამოცხადება (ინგლ. – declaration enforceable, გერმ. – Vollstreckbarerklaerung). ეს ტერმინები თითქმის არ გამოიყენება ამ თემაზე არსებულ მწირ ქართულ წყაროებში, არადა ისინი, ჩემი აზრით, სასამართლოს მიერ განხორციელებული ქმედების უფრო ზუსტ განსაზღვრებას იძლევიან, რომელიც უშვებს უცხოური გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის გავრცელებას საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამ ორივე სინონიმური კატეგორიის ხმარებამ მკითხველი რომ არ დააბნიოს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ამ ნაშრომში უფრო ხშირად „აღსრულებადად გამოცხადებაზე" შევჩერდეთ.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი „აღსრულება“ უმართებულოდ გამოიყენება სწორედ სასამართლოს მოქმედებასთან დაკავშირებითაც, არადა, „საერთაშორისო აღსრულება“ სამართლებრივი თვალსაზრისით ბევრად უფრო ფართო შინაარსს მოიცავს. მასში იგულისხმება ასევე საერთაშორისო იძულებითი სააღსრულებო წარმოებაც. აღსრულებადად გამოცხადება, თავის მხრივ, წარმოადგენს საერთაშორისო იძულებითი სააღსრულებო წარმოების წინაპირობას, ეს უკანასკნელი კი თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის ცალკე ელემენტად მოიაზრება.[4] ამგვარად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადება და საერთაშორისო იძულებითი წარმოება თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებულ, მაგრამ მაინც თვითმყოფად სამართლებრივ ინსტიტუტებს წარმოადგენენ.

ვგონებ, წინამდებარე ნაშრომში სწორედ უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულებადად გამოცხადებაზე ყურადღების გამახვილება, სავსებით მიზანშეწონილია ქართული სამართლებრივი რეალიებიდან გამომდინარე. ეს მოსაზრება შეგვიძლია პირველ რიგში იმ არგუმენტით დავასაბუთოთ, რომ დღეს მოქმედი კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1998 წლის 29 აპრილს, შინაარსობრივად ცალსახად ცნობს უცხო

[4] შდრ.: Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 5. Auflage, Muenchen, 2010, S. 355.

ქვეყნის გადაწყვეტილების „აღსრულებადად გამოცხადებას", თუმცა იყენებს ტერმინს „აღსრულება". რაც შეეხება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას, ეს კატეგორია ნახსენებია არა ამ ნორმატიულ აქტში, არამედ 1999 წლის 16 აპრილს მიღებულ კანონში „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ", ისევე, როგორც აღსრულებას დაქვემდებარებული სხვა სახის გადაწყვეტილებები. შესაბამისად, განსხვავებულია იძულებით აღსრულების განმახორციელებლი სუბიექტი – ეს არის არა სასამართლო, არამედ სათანადოდ უფლებამოსილი სააღსრულებო ორგანო. ვინაიდან კანონში „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" შინაარსობრივად ლაპარაკია სწორედ რომ აღსრულებადად გამოცხადებაზე, ურიგო არ იქნებოდა, თვით ამ ნორმატიულ აქტში შესულიყო შესაბამისი ტერმინოლოგიური ცვლილება. თუმცა, აღნიშნული ნორმატიული აქტი სხვა ხარვეზებსაც შეიცავს, რის გამოც უკვე დიდი ხანია დღის წესრიგში დგას საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ სრულიად ახალი კანონის მიღების ან მოქმედში ცვლილება-დამატებათა მნიშვნელოვანი პაკეტის შეტანის საკითხი.

ამრიგად, ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ უპირველესად აღსრულებადად გამოცხადებას, როგორც სასამართლოს საქმიანობის ფორმას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია. ამ ორივე სახის გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადება დროის მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში მათი ცნობის გარეშე მოიაზრებოდა.[5] დაგროვილი პრაქტიკის ანალიზის შედეგად ევროპელი სამართალმცოდნეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების მარტოოდენ აღსრულებადად გამოცხადება საკმარისი არ იყო ქვეყნის შიგნით მათი იურიდიული ძალის განსაზღვრისათვის. ამის მიზეზად პირველ რიგში ის სახელდება, რომ არ არის მიზანშეწონილი უცხოური სასამართლო აქტის მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედების დაშვება მისი საფუძვლიანი გადამოწმების გარეშე.[6] ხსენებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად აღმოცენდა აღიარების, ანუ ცნობის ინსტიტუტი.[7] დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ცნობის კონცეფციაც: იგი, როგორც წესი, ხორციელდება ავტომატურად, ანუ საკუთრივ

---

[5] შდრ.: Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002 II, 1.

[6] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002 II, 1.

[7] შდრ.: Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002 II, 1.

ცნობის პროცედურის გარეშე,[8] იმ მოსამართლის მიერ, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს დავის საგანი. ეს ნიშნავს, რომ, უცხოური სასამართლო აქტიდან გამომდინარე, ის საპროცესო შედეგები, რომლებსაც ითვალისწინებს აღსრულებადად გამოცხადების განმახორციელებელი სახელმწიფოს სამართალი, და რომლებიც, შესაბამისად, ცნობას ექვემდებარება, *ipso iure*, პრაქტიკულად ავტომატურად ვრცელდება ამ ე.წ. „მეორად ქვეყანაზე"[9] (საერთაშორისო ტერმინოლოგიაზე დაყრდნობით, სახელმწიფოს, სადაც ცნობა და აღსრულება ხორციელდება „მეორადი სახელმწიფო", ხოლო პირველადი გადაწყვეტილების გამომტანს, „პირველადი სახელწიფო" ეწოდება). უცხო ქვეყანაში სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადობის ფაქტი, ყველა სამართლის მიხედვით, წარმოადგენს სწორედ ისეთ საპროცესო შედეგს, რომელიც მეორად სახელმწიფოში ცნობას არ ექვემდებარება.[10]

როგორც წესი, ცნობა ხდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებასთან ერთად. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ერთი მხრივ, რომ მეტად მჭიდროა ცნობისა და აღსრულების ინსტიტუტების შინაარსობრივი ურთიერთკავშირი, მეორე მხრივ კი, შეუძლებელია აღსრულების დეტალურად შესწავლა ცნობის გვერდის ავლით.

---

[8] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 975.

[9] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 129.

[10] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 129.

საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის ეს ორი ინსტიტუტი, ცნობა და აღსრულება, მრავალი ქვეყნის ნორმატიულ აქტში ხშირად ერთმანეთის გვერდით გვხვდება ისევე, როგორც კანონების კომენტარებსა და სხვა სახის იურიდიულ ლიტერატურაში. მაგალითად, ასეა ეს ამ სფეროში არსებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებაში, გაეროს ნიუ-იორკის კონვენციაში „საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ". შესაბამისად, მრავალი საკითხი, რომელიც ეხება ცნობას, იმავდროულად აქტუალურია აღსრულებისთვის, რაშიც შემდგომშიც არაერთხელ დავრწმუნდებით.

სამართლის თეორიის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ერთი რომელიმე სახელმწიფოს კანონების მოქმედების არეალი შეზღუდულია ამ ქვეყნის გეოგრაფიული საზღვრებით.

უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს მიერ საჯარო ხელისუფლების განხორციელებას გამორიცხავს სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპი.[11] ამგვარად საქმე გვაქვს ე.წ. „ტერიტორიულობის პრინციპთან", რომლის შედეგიც არის სახელმწიფოს იძულებითი ძალაუფლების განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ მისი გეოგრაფიული საზღვრების ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბი-

[11] შდრ.: Becker, Grundrechtsschutz bei der Anerkennung und Vollstreckbarerklaerung im europaeischen Zivilverfahrensrecht, Frankfurt am Main, 2004, S. 53.

ტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ქვეყნის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, „რომელთან მიმართებაშიც ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს".[12] საერთაშორისო სამართალში ზოგადად არ არსებობს შესაბამისი დებულებები, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას ავალდებულებს.[13] ამრიგად, თვით სახელმწიფოს ნება-სურვილზეა დამოკიდებული, იმოქმედებს თუ არა ზემოთ დასახელებული უცხოური აქტები მის ტერიტორიაზე. „ეს ასე რომ არ ყოფილიყო, ეჭვქვეშ დადგებოდა თვით სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საკითხი, რადგან უცხო არალეგიტიმური ბრძანებების იგნორირების უფლება წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სუვერენიტეტის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს".[14]

მაშ, რა გზით უნდა დადგეს საერთაშორისო მასშტაბის ქონებრივ დავაში კრედიტორის ან მოვალისთვის სამართლებრივი შედეგები? ეს შეიძლება მოხდეს არა მარტო სახელმწიფოს მიერ უცხოური გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების გზით, არამედ თვით ამ ქვეყანაში ახალი სარჩელის შეტანით და, შესაბამისად, შემდგომი სამართალწარმოების ჩატარებით. მაგრამ ეს ალტერნატივა

---

[12] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, Kap I.

[13] შდრ.: Geimer/Schuetze, Internationale Urteilsanerkennung, Muenchen, 1984, Band I, 2. Halbband, S. 1359.

[14] Falck, Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998, S. 40.

შექმნიდა მრავალ სირთულესა და პრობლემას, როგორებიც არის მაგალითად, ახალი საპროცესო ხარჯები, სარჩელზე უარის მიღების რისკი და ა.შ. გაორმაგებული სამართალწარმოების სახელით ცნობილი ეს მოვლენა, რომელიც ერთსა და იმავე დავის საგანზე სხვადასხვა სახელმწიფოში საქმის განხილვას გულისხმობს და, შესაბამისად, მოიაზრებს ერთსა და იმავე დავაზე სხვადასხვა გადაწყვეტილებების გამოტანასაც, თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი მიმოქცევის ფარგლებში მეტად არასასურველ მოვლენად აღიქმება.[15]

სწორედ ამის გამო, სახელმწიფოს ნებართვის საფუძველზე კონკრეტული ქვეყნის შიგნით ხორციელდება უცხო ქვეყნის სასამართლო ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების მოქმედების ლეგიტიმაცია, რითაც ხდება ტერიტორიულობის პრინციპის გარკვეული შეზღუდვა. ნახსნები პრინციპის სასურველ ჩარჩოებში მოქცევა კი, თავის მხრივ, ეფუძნება ორმხრივ ან მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას ან საკუთრივ ქვეყნის შიდა სამართლის ნორმებს.[16]

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ნებართვა შესაძლებლობას იძლევა მოხდეს სასამართლოს მიერ მიღებული სხვადასხვა სახის აქტების საერთაშორისო მიმოქცევა, უცხოური გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლების გაფართოება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ავტომატურად კი არ

---

[15] შდრ.: Falck, Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998, S. 41.

[16] შდრ.: Falck, Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998, S. 40.

ხორციელდება, არამედ საჭიროებს ცნობასა და აღსრულებადად გამოცხადებას.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობასა და აღსრულებადად გამოცხადებას შორის დიდი მსგავსების პოვნა შეიძლება, ისინი განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იძლევა. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები.[17] ცნობის ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები ჩამოთვლილია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლში. ნიშანდობლივია, რომ, სამწუხაროდ, უცხოურ არბიტრაჟთან დაკავშირებით საქართველოში 2010 წლამდე მოქმედ სამართალში ასეთ ჩამონათვალს ვერ ვხვდებოდით. პარლამენტის მიერ 2009 წლის 19 ივნისს მიღებული ახალი კანონი „არბიტრაჟის შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან, უცხოური (ისევე, როგორც ქართული) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის პირობებს ასახელებს 45-ე მუხლში.[18] ამგვარად, ცნობით

---

[17] შდრ.: Geimer/Schuetze, Internationale Urteilsanerkennung, Muenchen, 1984, Band I, 2. Halbband, S. 1386.

[18] არბიტრაჟის შესახებ კანონმდებლობაში არსებითი ცელილებების შეტანის აუცილებლობაზე კარგა ხნის განმავლობაში იყო მსჯელობა ქართულ იურისპრუდენციაში, თუმცა მხოლოდ 2009 წელს მოხერხდა შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღება.

ხდება უცხოური აქტის დაქვემდებარება, მისი შეყვანა მეორე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში.[19]

ამისდა საპირისპიროდ, შესაბამისი უცხოური აქტის აღსრულებადად გამოცხადება წარმოადგენს მისთვის მოქმედების უფლების მინიჭებას.[20] ეს იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ თავისთავად ცნობას მოვალისთვის ნაკლებად მოაქვს უშუალო სამართლებრივი შედეგები. ცნობა უფრო მეტად დეკლარატორული ხასიათისაა. პირიქით ხდება აღსრულებადად გამოცხადების შემთხვევაში, რომელსაც ესაჭიროება საკუთარი პროცესი – ე.წ. სააღსრულებო (ექსეკუტორული) პროცესი[21] – ფრანგული ტერმინი *exequatur* აღსრულებას ნიშნავს და იგი ხშირად გამოიყენება არაფრანგულენოვან იურიდიულ ლიტერატურაშიც. სწორედ აღსრულებადად გამოცხადების ამ პროცესს მოაქვს უშუალო სამართლებრივი შედეგები – კრედიტორის ინტერესების დასაკმაყოფილებლად შესაძლებელი ხდება მოვალის ქონებიდან იძულებითი აღსრულების განხორციელება.

როგორც წესი, მოვალეს გააჩნია ქონება ცნობისა და აღსრულების განმახორციელებელ სახელმწიფოში და იგი შეიძლება ამ მეორადი სახელმწიფოს მოქალაქეც იყოს. აქედან გამომ- დინარე, სწორედ უცხოური გადაწყვეტილებისთვის მოქმედების

---

[19] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 128.

[20] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1087.

[21] შდრ.: Bitter, Vollstreckbarerklaerung und Zwangsvollstreckung auslaendischer Titel in der Europaeischen Union, Tuebingen, 2009, S. 7.

უფლების მინიჭება და არა უბრალოდ მისი მოქმედების ფარგლების გაფართოება წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მისი უზენაესი ხელისუფლების განხორციელების უფრო მკვეთრ ფორმას, რაც, თავის მხრივ, საკუთარი მოქალაქეებისა და მესაკუთრეების ინტერესების დაცვას ემსახურება.[22]

მაშასადამე, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა ამ აქტების მოქმედების ფარგლების გაფართოების სახით არის ხსენებული გადაწყვეტილებებისთვის მოქმედების უფლების მინიჭების უშუალო წინაპირობა, რაც, თავის მხრივ, მათ აღსრულებადად გამოცხადებაში გამოიხატება.[23]

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ მოქმედებს თეორია, რომელიც ქართულად შეგვიძლია „გათანაბრების თეორიად" ვთარგმნოთ და რომლის მიხედვით, უცხოური აქტი აღქმული უნდა იქნას და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას. მაშასადამე, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს.[24] ეს კონცეფცია „ნოსტრიფიკაციის"

---

[22] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, 2002, Kap I.

[23] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 969.

[24] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 129.

სახელით არის ცნობილი.[25] იგი ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემების თანასწორუფლებიანობის პრინციპულ მოსაზრებას.[26]

უცხოური სასამართლო აქტის მოქმედების ტერიტორიის გაფართოება არ არის უსაზღვრო[27] – მეორად ქვეყანაში მხოლოდ ის უცხოური საპროცესო შედეგები უნდა ცნონ, რომლებსაც იცნობს ცნობის განმახორციელებელი სახელ წიფოს სამართალი.[28]

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულებადად გამოცხადება შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ქვეყნის საზღვრებს გარეთ მიღებული სასამართლო აქტის ნაციონალურ სამართალში გადმოტანის პროცესუალურ-სამართლებრივი ინსტიტუტი და, შესაბამისად, მხოლოდ ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადების შემდეგ მყარდება სამართლებრივი კავშირი ნაციონალურ სამართალსა და უცხოურ სასამართლო აქტს შორის.[29]

აღსანიშნავია, რომ აღსრულებადად გამოცხადება

---

[25] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 970.

[26] შდრ.: Martiny, Handbuch des Internationalen Zivilverfahrensrechts, Band III/1, Tuebingen, 1984, S. 170, Rz. 367.

[27] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 129.

[28] Martiny, Handbuch des Internationalen Zivilverfahrensrechts, Band III/1, Tuebingen, 1984, S. 171, Rz. 369.

[29] შდრ.: Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 130.

ყველა ქვეყანაში ერთნაირად არ ხდება. მთელ რიგ სახელმწიფოებში, მაგალითად, იტალიაში, სადაც 1995 წელს ეს პროცედურა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მეშვეობით დარეგულირდა (მანამდე საკითხი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით იყო მოწესრიგებული), უცხო ქვეყნის სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა აქვს და ხორციელდება დაუყოვნებლივ, მხოლოდ მისი ცნობისთვის დადგენილი წინაპირობების შემოწმების საფუძველზე.[30]

რიგ სხვა ქვეყნებში უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებების აღსასრულებლად საჭიროა მათი განსაკუთრებულ რეესტრში რეგისტრაცია, რომელიც, თავის მხრივ, მთელ რიგ მოთხოვნებს ითვალისწინებს. მაგალითად, ინგლისში ამგვარი რეგისტრაცია ხორციელდება „მაღალი სასამართლოს“ *(High Court)* სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში.[31]

---

[30] შდრ.: Cross Border Insolvency, Italy <http://www.insol.org/pdf/cross_pdfs/Italy.pdf> [06.09.2012].

[31] Богуславский, Международное частное право, Издание пятое, переработанное и дополненное, Москва, 2008, ст. 532.

ბ. ინტერესთა კონფლიქტი უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებისას

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებთან მიმართებაში იბადება შეკითხვა: ვისი ინტერესების დაცვაა წინა პლანზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას – სახელმწიფოსი თუ მოქალაქეებისა? ამ საკითხს, ჩემი აზრით, პრაგმატული კუთხით უნდა მივუდგეთ. თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში ხშირად მხოლოდ თეორიულად არსებული სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვას სულ უფრო ნაკლები როლი ენიჭება. ეს ტენდენცია აშკარაა და თვალშისაცემი მრავალი სახელმწიფოს მაგალითზე. ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეფექტური და შედეგიანი ვაჭრობის პრაქტიკული ინტერესი სუვერენიტეტის მეცნიერულ ცნებებთან შედარებით აშკარა უპირატესობით სარგებლობს.

სწორედ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების პრობლემატიკაც. წარსულის მთელი რიგი თეორეტიკოსი იურისტები ამ პროცესუალურ ქმედებებში სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელყოფის ნიშნებს ხედავდნენ. ეს მოსაზრება ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ საკუთარი ქვეყნის შიგნით უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ამოქმედება და მისთვის ისეთივე იურიდიული ძალის მინიჭება, როგორიც აქვს შიდასახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს, ეჭვქვეშ აყენებს სახელმწიფო დამოუკიდებლობასა და მის სუვერენიტეტს (აქ მეტწილად უცხოური სახელმწიფო სასამართლოების გადაწყვეტილებები იყო ნაგულისხმევი და

არა კერძო სამართალწარმოება ანუ არბიტრაჟი). მაშ, არსებობს კი უცხოური სასამართლო აქტების ცნობისა და აღსრულების საჭიროება?

თითქმის ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობა ამ შეკითხვაზე დადებით პასუხს იძლევა, ვინაიდან ამ საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესუალურ ინსტიტუტებს ხანგრძლივი ისტორია აქვთ, და, რაც მთავარია, კარგა ხანია დამტკიცდა ცნობისა და აღსრულების პრაქტიკული მიზანშეწონილობა. მაშასადამე, იურიდიულმა მეცნიერებამ ამ სამართლის ინსტიტუტების ეფექტურობას, ხატოვნად რომ ვთქვათ, „მსხვერპლად შეწირა" თეორიული სახელმწიფო ძალაუფლების ნაწილი. ამგვარად, წინა პლანზე წამოიწია პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო ფასეულმა მიზანმა, კერძოდ, საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დაცვამ და განხორციელებამ. იმ სიტუაციაში, როდესაც უცხოური აქტის საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედების დაუშვებლობა სრულიად არამიზანშეწონილ ქმედებად და საკითხისადმი არასწორ მიდგომად გვევლინება, საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზანი ამართლებს სხვა სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებების შიდასახელმწიფოებრივ კონტროლს, მათი ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადების ფორმით.

საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნის განსახორციელებლად, მხოლოდ პირველი შეხედვით ჩანს აუცილებელი ამ მოქალაქეების დაცვა მათ მიმართ საზღვარგარეთ წარმოშობილი

სამართლებრივი მოთხოვნებისგან.[32] ასეთი „დაცვა" სწორედ რომ უარყოფითად აისახება საკუთარ მოქალაქეებზე, ვინაიდან რთულდება საერთაშორისო ვაჭრობა, რაც ხელშეკრულების მხარეების ერთმანეთისადმი უნდობლობაში და მხოლოდ წინასწარი ანგარიშსწორებით საქმეთა წარმოების მოთხოვნაში შეიძლება გამოიხატოს.[33]

ამგვარად, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულებადად გამოცხადება ემსახურება იმ მიზანს, რომ ამ აქტებზე გარკვეული შიდასახელმწიფოებრივი კონტროლის განხორციელების გზით (თუმცა, როგორც შემდეგ დავრწმუნდებით, საკმაოდ მცირე მოცულობის კონტროლისა) საკუთარი მოქალაქეები დავიცვათ უცხო ძალისგან და პარალელურად ხელი შეეწყოს მათი ინტერესების განხორციელებას.[34] ამავდროულად, თავიდან ვირიდებთ სახელმწიფო სუვერენიტეტის შელახვასაც, რადგან აღსრულება მოვალის ქონებიდან ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

---

[32] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, Kap. II, 1.

[33] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, Kap. II, 1.

[34] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, Kap. II, 1.

აა) უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები

მიზანშეწონილად მიმაჩნია მოკლე ისტორიული ექსკურსის ჩატარება, რათა უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების განვითარების შესახებ მეტნაკლებად სრული წარმოდგენა ვიქონიოთ. ვინაიდან ეს ორი ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ ამავე დროს მაინც განსხვავებული თემაა, დავიწყოთ უცხოური სახელმწიფო სასამართლოების გადაწყვეტილებებით.

თუმცა საქართველოს დღევანდელ რეალიებში ეს ახალი სამართლებრივი ინსტიტუტია, მსოფლიო მასშტაბით მას საკმაოდ მდიდარი წარსული აქვს. ამიტომ ყურადღება გავამახვილოთ პირველ რიგში ამ პროცესუალურ-სამართლებრივი მატერიის ევროპულ წარსულზე.

ზოგადად, საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის ნორმების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სამართლებრივი სისტემის პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს უცხოელების მიერ მათი უფლებების განხორციელების მინიმუმს მაინც.[35] ეს მინიმუმი გულისხმობს უცხოელების სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლებას ან, ჩვენს შემთხვევაში, უკვე არსებული, ტიტულირებული მოთხოვნების, ანუ უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებისა

[35] Schuetze, Deutsches Internationales Zivilprozessrecht unter Einschluss des Europaeischen Zivilprozessrechts, 2. Auflage, Berlin, 2005, S. 24, Rz. 39.

და სხვა სახელმწიფოებრივი აქტების ქვეყნის შიგნით განხორციელების შესაძლებლობას.[36]

ძველი სამყაროს სამართლის ძეგლებში მოიპოვება არა ერთი ნორმა უცხოელთა სამართალწარმოებაში მონაწილეობის თაობაზე, განსაკუთრებით ძველ ეგვიპტურ, ბერძნულ, რომაულ და ებრაულ სამართალში. ძველ რომში პროცესები უცხოელთა მონაწილეობით ამოღებული იყო ზოგადი სამართალწარმოების სისტემიდან და ექვემდებარებოდა განსაკუთრებულ უცხოელთა საქმეების სასამართლოთა კომპეტენციას ან კიდევ უცხოელებს შეეძლოთ თავიანთ მოთხოვნებზე სასარჩელო წარმოების გახსნა მხოლოდ ე.წ. ადგილობრივი სამართალმეგობრის მეშვეობით.[37] ასეთ „უცხოელთა სასამართლოებს" ძველ რომში „*praetor peregrimus*"-ს უწოდებდნენ და იქ უცხოელთა მიმართ არა *jus civile*, არამედ *jus gentium*, ანუ ხალხთა, უცხოელთა სამართალი გამოიყენებოდა.[38] მიუხედავად ამისა, მონათმფლობელურ საზოგადოებაში არ მოიპოვებოდა საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის ყოვლისმომცველი კონცეფცია.[39]

---

[36] Schuetze, Deutsches Internationales Zivilprozessrecht unter Einschluss des Europaeischen Zivilprozessrechts, 2. Auflage, Berlin, 2005, S. 24, Rz. 39.

[37] Schuetze, Deutsches Internationales Zivilprozessrecht unter Einschluss des Europaeischen Zivilprozessrechts, 2. Auflage, Berlin, 2005, S. 24, Rz. 39.

[38] გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი 2011, გვ. 59.

[39] შდრ.: Riezler, Internationales Zivilprozessrecht und prozessuales Fremedenrecht , Tuebingen, 1949, S. 50.

ასევე არ არსებობდა სამართლის ეს დარგი შუა საუკუნეების ფეოდალური წყობილებისას, თუმცა უცხოური განაჩენების აღსრულებისა და, განსაკუთრებით, ცნობის საკითხები მაშინაც აქტუალური იყო. ნიშანდობლივია, რომ ადრე შუა საუკუნეების ეპოქაში თითოეული პირი ცხოვრობდა თავისი მოდგმის სამართლით და დავის შემთხვევაში, მხარეებსაც და მოსამართლეებსაც უნდა განეცხადებინათ, თუ რომელი სამართლით ცხოვრობდნენ და განისჯებოდნენ ისინი.[40] ამ დროისთვის არ არსებობდა მოსაზრებები, რომლებიც უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობას ეწინააღმდეგებოდა და, ამგვარად, ხდებოდა უცხოური აქტების მეტწილად უპირობო ცნობა.[41]

საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის და, შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების დღევანდელი სახით სამართლებრივ ინსტიტუტად ჩამოყალიბება და განვითარება იწყება მხოლოდ შუა საუკუნეების შემდეგ, ნაციონალური სახელმწიფოების აღმოცენებასთან ერთად. მე-17 საუკუნის შემდეგ საფრანგეთში უარი თქვეს უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობის აღიარებაზე – მათ არანაირი იურიდიული ძალა არ ჰქონდათ საფრანგეთის ტერიტორიაზე.[42] უცხოური ელემენტის

---

[40] შდრ.: Riezler, Internationales Zivilprozessrecht und prozessuales Fremedenrecht , Tuebingen, 1949, S. 62.

[41] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, Kap II, 1.

[42] შდრ.: Michaels, Recognition and Enforcement of Foreign Judgements,p.2<http://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2281&context=faculty_scholarship> [07.09.2012].

მონაწილეობით საქმის არსებობისას, მიუხედავად ანალოგიური დავის საგანზე უკვე გამოტანილი უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებისა, იხსნებოდა ახალი სამართალწარმოება და მიმდინარეობდა ხშირ შემთხვევაში უცხოური სამართლის (იმ სამართლისა, რომლის განსჯადიც იყო მოცემული დავა) გამოყენებით საქმის გარემოებების დეტალური განხილვა. ამისდა საპირისპიროდ, გერმანიაში სასამართლოებს არ ჰქონდათ იმის კომპეტენცია, რომ მთელი დავა ხელახლა გადაემოწმებინათ.[43]

საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესმა თანამედროვე სახე მიიღო მხოლოდ მე-18 საუკუნის შემდეგ. ამის მიზეზი იყო ევროპის ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება და, შესაბამისად, საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის მკვეთრი ზრდა. აქედან გამომდინარე, გაჩნდა იმის მოთხოვნილება, რომ შესაძლებელი გამხდარიყო საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების საფუძველზე წარმოშობილი დავების განხილვა ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესთა გათვალისწინებით. ეს პირველ რიგში გულისხმობდა სამართალწარმოებაში უცხოელთა შეუზღუდავ და დაუბრკოლებელ მონაწილეობას.[44] ამ მხრივ რევოლუციური ნაბიჯი იყო საფრანგეთში 1804 წლის სამოქალაქო კოდექსის მიღება, რომელიც აღიარებდა უცხოელთა აქტიურ და პასიურ პროცესუნარიანობას. თუმცა ეს აღიარება

---

[43] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, Kap II, 1.

[44] შდრ.: Schuetze, Deutsches Internationales Zivilprozessrecht unter Einschluss des Europaeischen Zivilprozessrechts, 2. Auflage, Berlin, 2005, S. 24, Rz. 40.

არ იყო უპირობო: ის ეფუძნებოდა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ორმხრივობას, იმავე ნაცვალგებას.[45] ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამის სახელმწიფოში სამართალწარმოებისას ფრანგ მოქალაქეებსაც იგივე პირობები უნდა ჰქონოდათ. კოდექსის მიღებამდე კი აღსრულების ოპონენტ მხარეს ენიჭებოდა უფლება უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების წინააღმდეგ წამოეყენებინა შესაგებლები. ამ შესაგებლების ჩამონათვალი შეზღუდული იყო და *numerus clausus*-ის პრინციპს ეფუძნებოდა. მათი სასამართლოში წამოყენების უფლება ემყარებოდა სახელმწიფოებრივ ნებას „ხელი შეეწყო საერთაშორისო ურთიერთობებისთვის".[46]

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე აშშ-ის სახით ჩამოყალიბებულმა პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1787 წელს თავის კონსტიტუციაშივე გაამყარა დებულება, რომელიც იქცა შტატებს შორის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საფუძვლად[47] (ე.წ. Full Faith and Credit Clause): „თითოეულმა შტატმა სხვა შტატის

---

[45] ნაცვალგების პრინციპი ზოგადად საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია (შდრ.: გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი 2011, გვ. 386) და იგი არა მხოლოდ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე ვრცელდება.

[46] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, Kap II, 1.

[47] შდრ.: Stunz, Vertrauen in fremde Gerichtsverfahren, Hamburg, 2008, S. 27.

აქტების, ჩანაწერების და სამართალწარმოების მიმართ სრული რწმენა და ნდობა უნდა გამოიჩინოს (აშშ-ის კონსტიტუციის მე-4 მუხლის პუნქტი 1)". როგორც შემდგომში დავრწმუნდებით, ასეთი მიდგომა ამერიკაში დღემდე არ ვრცელდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

ამგვარად, მე-19 საუკუნის დასაწყისამდე არა მარტო არ არსებობდა მკვეთრი განსხვავება უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებადად გამოცხადებას შორის, არამედ რეალურად საქმე ეხებოდა მხოლოდ აღსრულებადად გამოცხადებას. ამის ტიპური მაგალითია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი გამოცემა, სადაც ცნობა საერთოდ არ იყო ნახსენები. ამ კანონის 599-ე მუხლი ადგენდა, რომ იძულებითი აღსრულება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდებოდა, თუ მისი დასაშვებობა აღსრულების შესახებ განჩინებით იყო განმტკიცებული. ამ გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია ჰქონდა იმ სასამართლოს, რომელსაც უნდა განეხილა შესაბამისი დავის თავდაპირველი მოთხოვნა-საქმე გერმანიაში რომ ყოფილიყო განსჯადი და პროცესი გერმანიაში ჩატარებულიყო.[48]

მე-19 საუკუნეში უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საკითხები საფუძვლიანად დაამუშავეს და ცნებების სახით ჩამოაყალიბეს, მიუხედავად იმისა, რომ

[48] შდრ.: Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, Kap II, 1.

რიგ შემთხვევებში უცხოელის პროცესუალური მდგომარეობა მეტად არასახარბიელო რჩებოდა საკუთარი მოქალაქეების შოვინიზმამდე დასული დაცვის გამო.[49]

რაც შეეხება ზოგადად საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესს, იგი ჯერ არ ჩამო= ყალიბებულიყო ერთიანი სამართლებრივი დისციპლინის სახით და მისი ნორმები მიმოფანტული იყო სამოქალაქო კოდექსებში, პროცესუალურ-აღსრულებითი სახის დადგენილებებში, სასამართლოების შინაგანაწესებში და ა.შ.[50]

მე-20 საუკუნემ საერთაშორისო კერძო სამართლის ყოვლისმომცველი დახვეწა და ჩამოყალიბება მოიტანა. სამართლის ამ დარგის განვითარებაში უმთავრესი როლი შეასრულა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წიაღში უცხო ელემენტის მონაწილეობით დავების რეგულირების რევოლუციურმა ზრდამ, რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთგადაჯაჭვის, გლობალური ვაჭრობის პერმანენტული აღმავლობის, მასობრივი ტურიზმისა და მუშახელის მიგრაციის შედეგი იყო.[51]

---

[49] Schuetze, Deutsches Internationales Zivilprozessrecht unter Einschluss des Europaeischen Zivilprozessrechts, 2. Auflage, Berlin, 2005, S. 25, Rz. 41.

[50] შდრ.: Schuetze, Deutsches Internationales Zivilprozessrecht unter Einschluss des Europaeischen Zivilprozessrechts, 2. Auflage, Berlin, 2005, S. 25, Rz. 41.

[51] შდრ.: Schuetze, Deutsches Internationales Zivilprozessrecht unter Einschluss des Europaeischen Zivilprozessrechts, 2. Auflage, Berlin, 2005, S. 25, Rz. 41.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობამ და აღსრულებამ, როგორც სამართლებრივმა ინსტიტუტებმა, შეადგინა საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის არსებითი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქვეყნებში განხორციელდა საერთაშორისო კერძო სამართლისა და მისი პროცესის ნორმების ერთი სამართლებრივი აქტის ფარგლებში კოდიფიკაცია (მაგალითად, თურქეთის 1982 წ. კანონი საერთაშორისო კერძო სამართლისა და პროცესის შესახებ), ევროპისა და მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობაში არ ხდება ამ სამართლებრივი მატერიის ერთიანი საკანონმდებლო რეგულირება.

ევროკავშირის სამართლებრივი სივრცის წევრების მიერ ამგვარი შიდასახელმწიფოებრივი კოდიფიკაციის ჩატარებამ, ჩემი აზრით, გარკვეულწილად აზრიც დაკარგა, რადგან მრავალი საკითხი უკვე საერთო ევროპული კანონმდებლობის ფარგლებში წესრიგდება.

ბბ) საარბიტრაჟო სასამართლოები

I. საერთაშორისო არბიტრაჟის მოკლე ისტორია

არბიტრაჟს ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი დიდი ხანია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივი დავების გადაჭრაში, მათ შორის საერთაშორისო დონეზეც. სავარაუდოა, რომ მე-20 საუკუნემდე ბევრად ადრეც საქართველოში არსებობდა გარკვეული ორგანიზებული წარმონაქმნები, რომლებიც კერძო დავების განხილვით იყვნენ დასაქმებულნი. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ამ სამართლებრივ ინსტიტუტს

განვითარების საშუალება არ მიეცა. ამრიგად, უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულების წარსულის მოკლე მიმოხილვის დროსაც დასავლეთის ქვეყნებისა და რუსეთის ისტორიით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

კერძო სასამართლოები სავაჭრო საქმეებზე ჯერ კიდევ ძველ რომში არსებობდა. კომერციულმა სამართალწარმოებამ ორგანიზებული ფორმა ბევრად გვიან შეიძინა, როდესაც იტალიაში შეიქმნა სპეციალური საზღვაო სავაჭრო სასამართლოები.[52] ამის შემდეგ სავაჭრო სასამართლოები გაჩნდა საფრანგეთში, მოგვიანებით კი ავსტრიაში, ინგლისში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ესპანეთში, რუსეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვედეთში და ა.შ. აღსანიშნავია, რომ პირველი მუდმივმოქმედი კომერციული სასამართლო, რომელიც 1563 წელს პარიზში შეიქმნა, უკვე მეხუთე საუკუნეა არსებობს და დღესაც სოლიდური რეპუტაციით სარგებლობს.

შუა საუკუნეებში, მიუხედავად საერთაშორისო კერძო სამართლის არარსებობისა, ფართოდ იყო გავრცელებული საარბიტრაჟო სასამართლოების გამოყენება სხვადასხვა სახელმწიფოებრივი კუთვნილების მხარეების მიერ. მაგალითად, გერმანიაში ქალაქ-სახელმწიფოების კავშირის, ჰანზის ვაჭრები ხშირად დებდნენ საარბიტრაჟო

[52] под редакцией Яркова, Арбитражный процесс, 3-е Издание, Москва, 2008, ст. 823.

შეთანხმებებს,[53] თუმცაღა ნახსენებ ისტორიულ ეპოქაში არ არსებობდა არბიტრაჟისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ლეგალური დეფინიცია და, შესაბამისად, არც იმის კონცეფცია არსებობდა თუ როგორ უნდა მოპყრობოდა სახელმწიფო ამგვარი კერძო სასამართლოების განაჩენებს.

პირველი დოკუმენტური წყაროები, რომლებიც რუსეთში სავაჭრო წოდებისთვის განსაკუთრებული სასამართლოების არსებობას ადასტურებენ, თარიღდება 1135 წლით. როგორც სასამართლო სისტემა, კომერციული სასამართლოები რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან. პირველი კომერციული სასამართლო, რომელიც სავაჭრო დავებს წყვეტდა, დარსდა 1808 წელს ოდესაში იმ დროისთვის საფრანგეთში არსებული მსგავსი სასამართლო დაწესებულებების ანალოგიით.[54] ამის ინიციატივა გამოიჩინეს ადგილობრივმა ვაჭრებმა, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ საფრანგეთიდან ჩამოსახლებული პირები. 1832 წლიდან 1917 წლის ბოლშევიკურ რევოლუციამდე მოქმედებდა იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანება კომერციული სასამართლოების შექმნის შესახებ და სავაჭრო სამართალწარმოების დებულება. რასაკვირველია, ეს ნორმები ვრცელდებოდა მაშინდელ საქართველოზეც, როგორც რუსეთის უკიდეგანო იმპერიის შემადგენელ ნაწილზე. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის კომერციული სასამართლოები

---

[53] შდრ.: Daenell E., die Bluetezeit der deutschen Hanse, Berlin, 1905,S.218<http://www23.us.archive.org/stream/blutezeitdeutsc01daen#page/n3/mode/2up> [07.09.2012].

[54] под редакцией Яркова, Арбитражный процесс, 3-е Издание, Москва, 2008, ст. 5.

შერეული პრინციპით იყო შექმნილი და შედგებოდა არა მარტო ვაჭრებისგან, არამედ ხელისუფლების მიერ დანიშნული პირებისგანაც.[55] აღსანიშნავია, რომ ასეთი სასამართლოების განსჯადობა საკმაოდ შეზღუდული იყო სახელმწიფო სასამართლოების ფართო უფლებამოსილების გამო.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, წინა საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა ე.წ. ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც ფართოდ გამოიყენებოდა საარბიტრაჟო კომისიები, თუმცა ამ პრაქტიკამ დიდხანს არ იარსება და საარბიტრაჟო კომისიები, ისევე, როგორც საბაზრო ეკონომიკის მრავალი სტრუქტურა, გაუქმდა. რაც შეეხება საბჭოთა კავშირში საარბიტრაჟო სასამართლოს სახელით ცნობილ სასამართლო სისტემას, მას სულ სხვა შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა – ეს იყო სახელმწიფოებრივი არბიტრაჟი, რომელიც აწესრიგებდა დაწესებულებებს შორის დავებს.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ წლებში გახდა შესაძლებელი კომერციული არბიტრაჟის როლის გაძლიერება.

II. საერთაშორისო საარბიტრაჟო აღსრულების მოკლე ისტორია

ყველა უცხოური აქტისადმი ნაციონალური სახელმწიფოების უარყოფითმა მიდგომამ თავისი

[55] შდრ: под редакцией Яркова, Арбитражный процесс, 3-е Издание, Москва, 2008, ст. 6

ნეგატიური როლი ითამაშა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან მიმართებაში. მე-19 საუკუნიდან უარი ეთქვა ე.წ. „ნაციონალისტურ" კონცეფციას და საერთაშორისო არბიტრაჟმა კვლავ მნიშვნელოვან ადგილი დაიკავა ევროპაში ვაჭრობის სფეროში. კონტინენტის სახელმწიფოთა უმრავლესობა დიდი დაბრკოლებების გარეშე აღასრულებდა უცხოური არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს, თუმცა არ არსებობდა ამ საჭირბოროტო საკითხისადმი საერთო მიდგომა. გაუგებარი იყო თუ რამდენად შორს შეეძლოთ სასამართლოებს წასვლა ამ გადაწყვეტილებების შინაარსობრივი გადამოწმებისას.[56] პრობლემას წარმოდგენდა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული ის ფაქტი, რომ არ არსებობდა რეალური განსხვავება ცნობასა და აღსრულებადად გამოცხადებას შორის.

ძირეული რეფორმები ამ სფეროში ისევ და ისევ მე-20 საუკუნეს უკავშირდება. ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობმა მოვლენებმა, როგორებიც არის კაცობრიობის სწრაფი პროგრესი მეცნიერების თითქმის ყველა სფეროში და ამით გამოწვეული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთგაცვლისა და საქონლის მიმოქცევის მკვეთრი ზრდა, თავისი გავლენა იქონია საერთაშორისო არბიტრაჟზეც. საქმიანი ადამიანებისთვის, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებს წარმოადგენდნენ, არსებითი მნიშვნელობა შეიძინა იმან, რომ თავიდან აეცილებინათ მათ შორის გარიგებების დადებისას განსხვავებული

---

[56] შდრ: Schlosser, das Recht der internationalen privaten Schiedsgerichtsbarkeit, 2. Auflage, Tuebingen, 1989, S. 29.

სამართლებრივი რეგულირებით გამოწვეული სირთულეები. ამან გზა გაუხსნა საერთაშორისო არბიტრაჟის შემდგომ განვითარებას. საერთაშორისო ასპარეზზე ამ მიმართულებით გადადგმულ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯებად შეიძლება ჩაითვალოს ჟენევის 1924 წ. პროტოკოლი საარბიტრაჟო დათქმების შესახებ და ჟენევის 1927 წ. კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ – ეს საერთაშორისო ხელშეკრულებები ერთა ლიგის ინიციატივით იქნა მიღებული.[57]

რაც შეეხება საბჭოთა კავშირში ამ სამართლებრივი ინსტიტუტის განვითარებას, მისი ნორმატიული მოწესრიგება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე „მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს" კოლაფსამდე მხოლოდ სამი წლით ადრე მოხერხდა. 1988 წელს მოხდა ჩვენს თემასთან უშუალოდ დაკავშირებული ნორმატიული აქტის, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების მიღება, რომელიც აწესრიგებდა „სსრკ-ში უცხო ქვეყნის სასა- მართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართ-ლოების გადაწყვეტილებათა ცნობას და აღსრუ- ლებას". ეს დადგენილება აწესებდა ამ სახის აქტებისთვის იურიდიული ძალის მინიჭების სპეციალურ წესს; რუსეთის ფედერაციაში იგი დღესაც წარმოადგენს სამართლის წყაროს.[58] ამ ნორმატიული აქტის გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როცა დადგენილების

---

[57] Calavros, das UNCITRAL – Modellgesetz über die internationale Handelsschiedsgerichtsbarkeit, Bielefeld, 1988, S. 5.

[58] შდრ: под редакцией Яркова, Арбитражный процесс, 3-е Издание, Москва, 2008, ст. 534.

ნორმები არ ეწინააღმდეგება რუსეთში მოქმედ საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსს.

დ. სამართლის წყაროები

ჩვენს თემასთან დაკავშირებული სამართლის წყაროების მიმოხილვისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ სფეროში არსებობს როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმები, ისე ორ- და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები.

საქართველოში, როგორც უკვე ვახსენეთ, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულება განსხვავებული კანონების საფუძველზე ხდება. ამგვარად, როგორც ზოგადად მთელს ნაშრომში, აქაც საუბარს სახელმწიფო სასამართლოებთან დაკავშირებული საკითხებით დავიწყებთ.

<u>აა) უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები</u>

საქართველოში წინა საუკუნის 90-იან წლებში სამართლის სფეროში განხორციელებულმა ძირეულმა რეფორმებმა, რაც გამოწვეული იყო საბჭოთა სამართლის სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ კანონმდებლობაზე გადასვლის აუცილებლობით, დადებითი როლი ითამაშა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ ნორმების ინკორპორაციისა და კოდიფიკაციის კუთხით. საქმე ის არის, რომ კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობის სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაში, რომელიც ძირითადად მე-19 საუკუნის

ბოლოსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში იქმნებოდა, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ ნორმები სხვადასხვა სამართლებრივი მატერიების მომწესრიგებელ აქტებშია მიმოფანტული. მაგალითად, გერმანიაში, სადაც საერთოდ არ იცნობენ კანონს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ (იგულისხმება უშუალოდ კანონის სახელწოდება), შესაბამისი ნორმები მოიპოვება როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ისე კანონში „უცხო სახელმწიფოებთან მიმართებაში რჩენის მოთხოვნებთან დაკავშირებით", კანონში „ნებაყოფლობითი მართლმსაჯულების შესახებ",[59] კანონში „საოჯახო სამართალში ცვლილებების შესახებ" და ა.შ. ამრიგად, ნორმები ამ სფეროში არ არის კოდიფიცირებული და ცალკეული სამართლის დარგების რეგულირების ჭრილშია მოწესრიგებული.

---

[59] ნებაყოფლობითი მართლმსაჯულება გერმანული სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. შინაარსობრივად შესაძლებელია პარალელის გავლება გერმანულ ნებაყოფლობით მართლმსაჯულებასა და ქართულ საპროცესო სამართალში არსებულ უდავო წარმოებას შორის. გერმანიაში ნებაყოფლობით მართლმსაჯულებას ახორციელებენ როგორც სასამართლოები, ისე სხვა ორგანოებიც – მაგალითად, საპატენტო სამსახური, ნოტარიუსები და სხვ. ნებაყოფლობითი მართლმსაჯულების წარმოება სპეციალური კანონის მიერ დადგენილი პროცესუალური ნორმების მიხედვით ხორციელდება. ნებაყოფლობით მართლმსაჯულებას ექვემდებარება სამართლებრივი საკითხების ფართო სპექტრი, მათ შორის არის: საოჯახო, მემკვიდრეობის, სხვადასხვა რეესტრებში რეგისტრაციის, რჩენის, მეურვეობისა და მზრუნველობნის და სხვა საკითხები.

საქართველოში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე საუბარია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს 1998 წ. კანონის 70-ე და 71-ე მუხლებში. ნიშანდობლივია, რომ ამ საკითხთან შინაარსობრივად მჭიდროდ დაკავშირებული უცხო ქვეყნის სასამაროლო გადაწყვეტილებების ცნობაც კანონის იმავე ნაწილში, 68-ე მუხლშია განხილული.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები ნახსენებია ასევე საქართველოს 1999 წ. კანონში „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. ამ კანონის მე-2 მუხლის ჩამონათვალში დაასახელებულია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც აღსრულებას დაქვემდებარებული ერთ-ერთი აქტი, ხოლო 91-ე მუხლი უფრო დაწვრილებით აღწერს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე იძულებითი აღსრულების პროცედურას. ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს უკვე არა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებასთან, არამედ იძულებითი აღსრულების სტადიასთან.

ზემოთ დასახელებული ნორმები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ანალოგიური ქცევის წესები გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რადგან ამ უკანასკნელთ უპირატესობა ენიჭებათ საქართველოს კანონებთან მიმართებაში და, ამავდროულად, სპეციალურ ნორმებს წარმოადგენენ („ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს 2009 წ. კანონის მე-7 მუხლით დადგენილი იერარქიის მიხედვით).

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომ სამართლებრივი ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებები დადო რამდენიმე სახელმწიფოსთან, კერძოდ: სომხეთთან, აზერბაიჯანთან, უკრაინასთან, ბულგარეთთან, თურქმენეთსა და თურქეთთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელშეკრულებები არ ითვალისწინებენ რაიმე დიდად განსხვავებულ წარმოებას ამ ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებასთან მიმართებაში, მათი არსებობით უკვე თავისთავად დაცულია ამგვარი აქტების ცნობისა და აღსრულების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა – ნაცვალგება („საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი).

გარდა ამისა, საქართველო, დაახლოებით 15 წლის განმავლობაში იყო რა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფო, მონაწილეობდა 1993 წ. მინსკის კონვენციაში „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“. მინსკის კონვენცია თავის მე-3 ნაწილს უთმობს სასამართლოების გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საკითხს. ნიშანდობლივია, რომ ეს საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში სხვა წევრ სახელმწიფოთა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების გამარტივებულ პროცედურას, ამიტომ ის წლების განმავლობაში წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლის წყაროს ჩვენს თემასთან

დაკავშირებული პრობლემატიკისათვის. აღსანიშნავია, რომ, დსთ-ის სივრცისთვის ამ ნორმატიული აქტის უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, როგორც ქართულ ბიბლიოთეკებში, ისე ინტერნეტ სივრცეშიც არ მოიპოვება მინსკის კონვენციის სრული კომენტარი, თუმცა ამ საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულების კონკრეტული დეტალები გაშუქებულია რიგ რუსულენოვან სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში.[60]

თუ რა როლი ეკისრება ევროპის განვითარებულ ქვეყნებში საერთაშორისო ორ- და მრავალმხრივი ხელშეკრულებებს, ამაზე უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან მიმართებაში შეიძლება გერმანიის მაგალითით ვიმსჯელოთ: კონტინენტის ყველაზე ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების 95% ხორციელდება არა შიდასახელმწიფოებრივი კანონების საფუძველზე, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმების მიხედვით,[61] ე.ი., ფაქტობრივად, გამარტივებული წესით.[62]

---

[60] შდრ: Богуславский, Международное частное право, Издание пятое, переработанное и дополненное, Москва, 2008, ст. 543.

[61] აქ გერმანელი ავტორი, სავარაუდოდ, გულისხმობს გერმანიაში ევროკავშირის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასაც, რომელიც დღესდღეობით არა საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე (როგორც ეს 2001 წლამდე იყო), არამედ პირდაპირ ევროკავშირის სამართლის მიხედვით ხორციელდება. თუმცა, ბუნებრივია, რომ ევროკავშირის სამართლის არსებობისა და მოქმედების საფუძველიც საერთაშორისო ხელშეკრულებებია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ დადებული არც ერთი მნიშვნელოვანი ევროპული მრავალმხრივი ხელშეკრულების მონაწილე, ქვეყნის დასავლური ორიენტაცია, ევროპულ თანამეგობრობაში ინტეგრაციის სურვილი, აჩენს აუცილებლობას, მოკლედ შევეხოთ ამ სფეროში არსებულ ძირითად კონვენციებს.

1968 წელს ბრიუსელში დაიდო ევროპული კონვენცია „სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ". ეს ხელშეკრულება იქცა ნიმუშად აღსრულებასთან დაკავშირებული შემდგომი ევროპული კონვენციებისთვის. მისი შექმნა ევროპაში სამართლებრივ სისტემებს შორის საზღვრების გეგმაზომერი გახსნის შედეგი იყო, რამაც წინა საუკუნის 60-იანი წლებიდან სამოქალაქო საქართალი და მისი პროცესი ევროპული თანამეგობრობის შიგნით მიმდინარე საკოდიფიკაციო აქტივობის ცენტრში მოახვედრა.[63] ბრიუსელის კონვენცია მეტად ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებდა ხელშეკრულების სხვა წევრ სახელმწიფოთა სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულებისთვის. ეს კონვენცია არ მოიცავდა კერძო სამართლის ყველა სამართლებრივ მატერიას, მაგალითად, იგი არ აწესრიგებდა შრომისა და საოჯახო

---

[62] შდრ: Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 5. Auflage, Muenchen, 2010, S. 345.

[63] Knieper, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung von Urteilen nach EU Recht, Bremen, 2002, Kap. I, 2.

სამართლის საკითხებზე გამოტანილი უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას. ამავე დროს, კონვენცია ვრცელდებოდა მხოლოდ ევროპული თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოებზე და, შესაბამისად, დახურული იყო ამ კონტინენტის სხვა ქვეყნებისთვისაც კი.

საერთაშორისო მასშტაბით სასამართლო გადაწყვეტილებების მიმოქცევის სფეროში ბრიუსელის კონვენციის მიერ დამკვიდრებული ლიბერალური და მომგებიანი დებულებები გასცდა ევროპული თანამეგობრობის საზღვრებს და „სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ“ ლუგანოს 1988 წ. კონვენციის სახით იქნა მიღებული. დროთა ვითარებაში საჭირო გახდა ამ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, რის გამოც 2007 წელს ის გაუქმდა და დაუყოვნებლივ იქნა ხელმოწერილი მისი ახალი რედაქცია. ლუგანოს კონვენციის შინაარსი და აგებულება ძალიან წააგავს ბრიუსელის კონვენციის შინაარსს და აგებულებას.[64] განსხვავება პირველ რიგში ისაა, რომ ლუგანოს კონვენცია დაიდო EFTA-ს, ანუ ევროპული თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფარგლებში, და, შესაბამისად, ვრცელდება ევროპული თანამეგობრობის ფარგლებს გარეთ მყოფ სახელმწიფოებზეც, მაგალითად, შვეიცარიასა და ნორვეგიაზე. ევროპულმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ბრიუსელისა და ლუგანოს კონვენციის წევრები გახდნენ, შესაბამისი დებულებების დადგენით

[64] Europaeischer Anwaltsverein (Hrsg.), Leitfaden zum Europaeischen Gerichtsstands- und Vollstreckungsuebereinkommen, Baden-Baden, 1990, S. 95.

იზრუნეს ამ ორი კონვენციის ნორმების პარმონიზებაზე.[65] გარდა ამისა, ლუგანოს კონვენცია შეიცავს დათქმას, რომ მასში გაერთიანება შეუძლიათ მესამე სახელმწიფოებსაც, ანუ მათ, ვინც ევროკავშირისა და EFTA-ს წევრები არ არიან.[66] ეს ფაქტი მეტად ნიშანდობლივად მიმაჩნია საქართველოსთან მიმართებაში, მით უმეტეს, როცა უკვე არსებობს „მესამე" სახელმწიფოების კონვენციაში მონაწილეობის პრეცედენტი – პოლონეთი შეუერთდა ამ ხელშეკრულებას მანამ, ვიდრე EFTA-სა და ევროკავშირის წევრი გახდებოდა. რა თქმა უნდა, ევროკავშირის გაფართოებამ და მასში 27 წევრი სახელმწიფოს გაერთიანებამ საკმაოდ შეამცირა ლუგანოს კონვენციის პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ამ საერთაშორისო კონვენციის არაერთი წევრი ევროკავშირში შესვლით ავტომატურად მოექცა ევროკავშირის საბჭოს „სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ რეგლამენტ № 44/2001"-ის სამართლებრივ რეჟიმში[67] (უფრო ვრცლად ამ ნორმატიული აქტის შესახებ იხილეთ ქვემოთ). სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ლუგანოს კონვენციაში მონაწილეობა გულისხმობს სახელმწიფოს სამართლებრივი განვითარების მაღალ სტანდარტებს, რაც ჯერჯერობით გამორიცხავს

---

[65] შდრ.: Baeumer, die auslaendische Rechtshaengigkeit und ihre Auswirkungen auf das internationale Zivilverfahrensrecht, Koeln, 1999, S. 29.

[66] Lugano Uebereinkommen uber die gerichtliche Zustaendigkeit und die Vollstreckung gerichtlicher Entscheidungen in Zivil- und Handelssachen, 2007, Artikeln 70-72.

[67] შდრ.: Kropholler/von Hein, Europaeisches Zivilprozessrecht, 9. Auflage, Frankfurt am Main, 2011, S. 65, Rz. 83.

ჩვენი ქვეყნის მონაწილეობას ამ კონვენციაში. ცნობილია ევროკავშირის საბჭოს სურვილიც, მაქსიმალურად წაახალისონ მესამე ქვეყნები ლუგანოს კონვენციაში გასაწევრიანებლად, რასთან დაკავშირებითაც სპეციალისტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ევროკავშირის მნიშვნელოვანი არაევროპელი სავაჭრო პარტნიორებისთვის გაწევრიანების უფლების მინიჭება (მაგალითებად სახელდება იაპონია, კანადა და ავსტრალია).[68] დღესდღეისობით მეტად რთულია ამ საერთაშორისო ხელშეკრულებაში გაწევრიანების პროცედურაც – მოწვევა გაწევრიანებაზე ხდება მხოლოდ ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობით (კონვენციის 72-ე მუხლი). უკვე გაწევრიანების შემდეგ თითოეულ მონაწილე ქვეყანას შეუძლია უარი თქვას, რომ ხელშეკრულება მასა და ახალ წევრ-სახელმწიფოს შორის ურთიერთობებზე გავრცელდეს.[69] მაგრამ, ჩემი აზრით, საქართველომ, მიილტვის რა კონტინენტის განვითარებული ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობისკენ, მიზნად უნდა დაისახოს ლუგანოს კონვენციაში გაწევრიანება, რაც ევროპული ინტეგრაციის რთულ გზაზე სამართლებრივი დაახლოებისა და ჰარმონიზაციის მიზნით გადადგმული ერთ-ერთი პირველი აუცილებელი ნაბიჯია.

ევროპული მასშტაბის სამართლის წყაროებთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ უცხო სახელმწიფოების სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სფეროში უკანასკნელი სიახლეებიც.

---

[68] შდრ.: Kropholler/von Hein, Europaeisches Zivilprozessrecht, 9. Auflage, Frankfurt am Main, 2011, S. 65, Rz. 83.

[69] Jayme, ein internationales Zivilverfahrensrecht fuer Gesamteuropa, Heidelberg, 1992, S. 309.

ბრიუსელის 1968 წ. კონვენციაში შინაარსობრივი ცვლილებები შევიდა და იგი 2000 წელს მიიღეს უკვე როგორც ევროკავშირის საბჭოს „სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ რეგლამენტი № 44/2001“.[70] იგი დიდ

---

[70] არცთუ მარტივი საკითხია ქართულ ენაზე ევროკავშირის ნორმატიული აქტების სახელწოდებების შინაარსობრიულად ზუსტი შესატყვისი თარგმანის გამოყენება. აქ უპირველესად იგულისხმება ევროკავშირის სახელმწიფოებისთვის ისეთი პირდაპირი და უშუალო სამართლებრივი ძალით აღჭურვილი ნორმატიული აქტები, როგორებიც არის **Regulation** და **Resolution** (ინგლისურად). ზოგიერთ შემთხვევაში მათ ქართულად შესაბამისად „რეგლამენტებად“ და „რეგულაციებად“ თარგმნიან. ქართული სამართლისთვის ამ უცხო სფეროში ერთიანი ტერმინოლოგიის დამკვიდრების მიზნით ჩვენც ამ განსაზღვრებებს გამოვიყენებთ, თუმცა დავძენ, რომ ნახსენებ ტერმინებს არ შეიძლება ჰქონდეთ აბსოლუტური შინაარსობრივი სიზუსტის პრეტენზია, თუნდაც იმიტომ, რომ ევროკავშირში არ არსებობს რომელიმე ერთი ოფიციალური ენა და სხვადასხვა ენაზე აღნიშნული ნორმატიული აქტები სხვადასხვანაირად ჟღერს. მაგალითად **Regulation**, რომელსაც ჩვენ რეგლამენტად ვთარგმნით, გერმანულად არის **Verordnung**, რომელიც პირდაპირი თაგმნისას ტერმინ „დადგენილებას“ უფრო შეესატყვისება. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია ერთიან ტერმინოლოგიაზე შეჯერება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმავე ტერმინ „რეგლამენტის" ხმარება გაუთვითცნობიერებელი პირისთვის შეიძლება გაუგებრობის წყაროდაც კი იქცეს – ის ხომ „ნორმატიული აქტების” საქართველოს კანონის მიხედვით მხოლოდ პარლამენტის რეგლამენტთან დამოკიდებულებაში იხმარება, რაც არსებითად განსხვავებული სამართლებრივი ბუნების აქტია.

ხანს მოქმედებდა ევროკავშირის ყველა წევრ-სახელმწიფოს შორის, გარდა დანიისა, რომელთან მიმართებაშიც კვლავ ბრიუსელის კონვენცია გამოიყენებოდა, თუმცა ევროკავშირის ხსენებული რეგლამენტის მოქმედება 2005 წელს დანიამაც გაავრცელა თავის ტერიტორიაზე ევროკავშირთან სეციალური საერთაშორისო ხელშეკრულების დადების გზით.[71] მას შემდეგ კი, რაც მოხდა რეგლამენტ №. 44/2001-ის რეცეფცია ევროკავშირის ახალი წევრების ბულგარეთისა და რუმინეთის მიერ, ეს ნორმატიული აქტი მოქმედებს ევროკავშირის ყველა წევრ-სახელმწიფოში. მაშ, რატომ გახდა საჭირო ბრიუსელის კონვენციის ნაცვლად მსგავსი შინაარსის ახალი სამართლებრივი აქტის მიღება?

საქმე ის არის, რომ ბრიუსელის კონვენცია წარმოადგენს ჩვეულებრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელშიც ნებისმიერი ცვლილების შეტანა მოითხოვს მისი თითოეული მონაწილე ქვეყნის მიერ შესაბამის უზენაეს წარმომადგენლობით ორგანოში რატიფიცირების აუცილებელ პროცედურას. ამის საპირისპიროდ, რეგლამენტი № 44/2001 არ წარმოადგენს ტიპურ საერთაშორისო ხელშეკრულებას, ვინაიდან ის არის ევროკავშირის ორგანოს მიერ გამოცემული აქტი, რომელსაც მავალდებულებელი ძალა აქვს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის, მოქმედებს პირდაპირ, უშუალოდ და მასში შეტანილი ცვლილებები ძალაში შედის ერთდროულად მთელი ევროკავშირის

[71] Abkommen zwischen der Europaeischen Gemeinschaft und dem Koenigreich Daenemark ueber die gerichtliche Zustaendigkeit und die Anerkennung und Vollstreckung von Entscheidungen in Zivil- und Handelssachen, 2005.

ტერიტორიაზე. ამ აქტში სრულად იქნა გამოყენებული ევროპული სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი წყაროს, უპირატესობა.[72]

ჩვენს თემასთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონშემოქმედებითი საქმიანობა განსაკუთრებული ინტენსივობით ხორციელდებოდა უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში. ევროკავშირის პარლამენტმა და საბჭომ: 1. 2004 წელს მიიღეს რეგლამენტი № 805/2004 „ერთიანი ევროპული სააღსრულებო დოკუმენტის შემოღების შესახებ"; 2. 2006 წელს რეგლამენტი № 1896/2006 „დავალიანების გადახდევინების თაობაზე ერთიანი ევროპული წარმოების შემოღების შესახებ"; და 3. 2007 რეგლამენტი № 861/2007 „მცირე მოცულობის მოთხოვნებზე ერთიანი ევროპული წარმოების შემოღების შესახებ". ასეთი ვრცელი სამართლებრივი მატერიების უნიფიკაციის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ევროკავშირის სახელმწიფოში მიღებული ვალის გადახდევინებისა და მცირე მოცულობის მოთხოვნის შემცველი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების პროცედურის სრულად გაუქმება და სხვა სახის სასამართლო გადაწყვეტილებების წარმოების მნიშვნელოვნად გაიოლება. ამავდროულად, რეგლამენტ № 805/2004-მა მოახდინა შესაბამისი სამართალწარმოების ცენტრალიზება და დაამკვიდრა პრინციპი, რომ ევროკავშირის ქვეყნებში სასამართლო გადაწყვეტილებისთვის საჭიროა მხოლოდ ერთი აღსრულებადად გამოცხადების განჩინება, რომელიც ყველა წევრ სახელმწიფოზე ვრცელდება.[73]

---

[72] Knieper, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung von Urteilen nach EU Recht, Bremen, 2002, Kap. I, 2.

[73] Bach, Grenzueberschreitende Vollstreckung in Europa, Tuebingen, 2008, S. 256.

ამრიგად, ევროპის თანამეგობრობაში კანონშემოქმედებამ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ცალკეული ქვეყნების კომპეტენციიდან გადაინაცვლა სახელმწიფოთაშორისი ორგანოების უფლებამოსილების სფეროში. რეგლამენტი № 44/2001-ის უპირატესობას განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ იგი თავის დამატებით რეგლამენტებთან ერთად (მაგალითად, რეგლამენტი „საქორწინო და საოჯახო საქმეებზე უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ", რეგლამენტი „სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო უწყების ჩაბარების შესახებ" და ა.შ.) უფრო დიდ სამართლებივ მატერიას მოიცავს (მაგალითად, რეგლამენტ № 44/2001-ის მე-5 ნაწილი ესება შრომით-სამართლებრივ დავებს), ვიდრე ბრიუსელის კონვენცია.[74]

უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლის წყაროების თემის შესაჯამებლად უნდა დავძინოთ, რომ, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა არ არის არც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციის წევრი ამ დარგში, მან აუცილებლად მიზნად უნდა დაისახოს პარტნიორ სახელმწიფოებთან სამართლებრივი ურთიერთდახმარების ორმხრივი ხელშეკრულებების დადება. ევროპის ქვეყნებთან სამართლებრივი დახმარების შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებების დადება განსაკუთრებით

[74] Knieper, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung von Urteilen nach EU Recht, Bremen, 2002, Kap. I, 2.

მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ეს ისევ და ისევ დაგვეხმარება ლუგანოს კონვენციაში გაწევრიანებასა და ევროპასთან სამართლებრივი ინტეგრაციის საქმეში. რა თქმა უნდა, ევროპული სახელმწიფოების პარალელურად, სასურველია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს სავაჭრო პარტნიორები აზიის კონტინენტიდანაც (მაგალითად: ჩინეთი, იაპონია, ირანი, არაბული სამყაროს ქვეყნები და სხვ.).

გარდა ამისა, მიუხედავად პოლიტიკური ფაქტორებისა, ჩვენს სახელმწიფოს რუსეთთან ჯერაც საკმაოდ ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობები აქვს. ამიტომ სრულფასოვანი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შემთხვევაში წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით მიზანშეწონილი ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან სამართლებრივი დახმარების შესახებ ყოვლისმომცველი ხელშეკრულების დადება. რაც შეეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით არსებულ მინსკის კონვენციას, საქართველოს დსთ-იდან გამოსვლამდეც მის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები ხშირად მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა. შასამართლო პრაქტიკის განხილვისას ჩვენ დავრწმუნდებით, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ქართველი მოსამართ- ლეები ამ ნორმატიულ აქტს საკმაოდ ცუდად იცნობენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხებზე არსებობს რეგიონული ხელშეკრულებებიც, როგორიც არის მაგალითად, დანიას, ფინეთს, ისლანდიას, ნორვეგიასა და შვედეთს შორის 1928 წელს დადებული კონვენცია „უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ“, ან

ანალოგიური მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ფარგლებში (1952 წ.). ბუნებრივია, ეს შეთანხმებები უშუალოდ არ ეხება საქართველოს და ისინი არც გლობალური მასშტაბით თამაშობენ დიდ როლს, რის გამოც ამ ნაშრომის ფარგლებში მათი განხილვა უადგილო იქნებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში ამგვარი რეგიონული თანამშრომლობა ყურადსაღები მაგალითი უნდა იყოს კავკასიის რეგიონისთვისაც. პოლიტიკური ფაქტორების უგულებელყოფა და შესაბამისი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების დადება უდავოდ პოზიტიურ როლს ითამაშებს რეგიონში სამართლებრივი და სავაჭრო ბრუნვის გახვითარების საქმეში.

<u>ბბ) უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებები</u>

მე-20 საუკუნის დასაწყისში უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების შემუშავებასა და დადებას ერთა ლიგა მოთავეობდა. გაერომ, ჩაიბარა რა ესტაფეტა თავისი წინამორბედი საერთაშორისო ორგანიზაციისგან, აქტიურად შეუდგა საერთაშორისო არბიტრაჟისა და განსაკუთრებით უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების სფეროში სამართლებრივ საქმიანობას. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება, ამ კონკრეტული თემის სამართლის წყაროების მიმოხილვა საერთაშორისო მასშტაბის სამართლის წყაროებით დავიწყოთ.

1958 წელს გაეროს ეგიდით დაიდო ნიუ-იორკის კონვენცია „უცხოური საარბიტრაჟო სასამართლო-

ბის გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ". იგი გვევლინება ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებად, ვინაიდან უკვე 47 წელია მოქმედებს და აერთიანებს 140-ზე მეტ წევრ-სახელმწიფოს. გაეროს ეს კონვენცია გახდა საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის სფეროში ურთიერთობების მოწესრიგების „ცენტრალური სამართლებრივი ინსტრუმენტი".[75] იგი ერთგვარად მსოფლიო სამართალსაც კი წარმოადგენს, რადგან მის ნორმებს ითვალისწინებენ საარბიტრაჟო სასამართლოები ყველა კონტინენტზე.[76]

კონვენციის ერთ-ერთი უპირატესობა ისიც არის, რომ მისი დებულებებით არსებითად უფრო უზრუნველყოფილია საერთაშორისო დონეზე უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულება, ვიდრე სახელმწიფო სასამართლოებისა.[77] ამის გარდა, ნიუ-იორკის კონვენციით უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების ცნობა და აღსრულება შესაძლებელია ნაცვალგების პრინციპის დაცვის გარეშეც, ანუ უცხო ქვეყანაში ანალოგიური მოქმედების განხორციელებისგან დამოუკიდებლად. ასეთი ნორმა არ გვხვდება სახელმწიფოთა უმრავლესობის კანონებში უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ.

---

[75] Schlosser, das Recht der internationalen privaten Schiedsgerichtsbarkeit, 2. Auflage, Tuebingen, 1989, S. 44, Rz. 56.

[76] შდრ: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1269, Rz. 3702.

[77] Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 774.

საქართველო ნიუ-იორკის კონვენციას შეურთდა 1994 წლის 31 აგვისტოს.

ნიუ-იორკის კონვენციის დადების მიზნით გამართული კონსულტაციების პარალელურად გაეროს ეკონომიკურმა კომისიამ შექმნა ცალკე კონვენცია ევროპისთვის, კერძოდ, 1961 წ. ევროპის ჟენევის კონვენცია „საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ". ამ საერთაშორისო ხელშეკრულების მიზანი იყო, პირველ რიგში, აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ვაჭრობის განვითარება ცივი ომის პირობებში. თუმცა ეს აქტი ჩვენი თემისთვის იმდენად არსებითი არ არის, რამდენადაც ნიუ-იორკის კონვენცია, რადგან იგი უშუალოდ არ აწესრიგებს უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია, მაინც ვახსენოთ ერთი გარემოება – ჟენევის კონვენციის გამოყენების სფეროს განსაზღვრისთვის გადამწყვეტია არა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, არამედ საარბიტრაჟო შეთანხმება.[78] ეს შეთანხმება უნდა დაიდოს ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ, რომელთაც შეთანხმების დადების მომენტისთვის საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული მისამართი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი აქვთ სხვადასხვა სახელმწიფოში. შესაბამისად, ცნობისა და აღსრულების ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ ისეთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გამოტანილია ამ კონვენციის საფუძველზე შედგენილი საარბიტრაჟო შეთანხმების

[78] შდრ: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1269, Rz. 3703.

თანახმად[79] მიუხედავად მისი დასახელებისა, ეს კონვენცია არ შემოიფარგლება ევროპული ქვეყნებით და ღიაა ყველა დაინტერესებული სახელმწიფოსთვის.[80]

იმ ფაქტმა, რომ 1958 წლიდან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი რეგულირება მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობისთვის საერთაშორისო დონეზე ხდება, ვერ დაძლია ამ თემასთან დაკავშირებული ყველა სირთულე, რადგან მონაწილე ქვეყნების შიდა ნორმები ერთმანეთისგან კვლავ მეტად განხვავებული რჩებოდა.[81] ერთადერთ გამოსავლად ჩანდა საარბიტრაჟო სამართალწარმოების ნორმების გლობალური ჰარმონიზაცია.

1985 წელს გაერთიანებული ერების ასამბლეამ მიიღო დადგენილება, რომელიც ყველა წევრსახელმწიფოს მოუწოდებს, UNCITRAL-ის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია საერთაშორისო სავაჭრო სამართლის საკითხებზე) მიერ მიღებული სამოდელო კანონის მიხედვით შექმნან ანალოგიური შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები. მიუხედევად იმისა, რომ

---

[79] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1269, Rz. 3703.

[80] Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 826.

[81] შდრ.: Sanders, the making of the Convention,Enforcing, Arbitration Awards under the New York Convention, New York, 1999, p. 4 - <http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/NYCDay-e.pdf> [07.09.2012]

ამ აქტს მარტოოდენ ნიმუშის ფუნქცია გააჩნია და. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს სამართლის წყაროს ამ ცნების პირდაპირი მნიშვნელობით, UNCITRAL-ის სამოდელო კანონის ნორმებზე დაყრდნობით მრავალმა ქვეყანამ მიიღო კანონები არბიტრაჟის შესახებ. ამრიგად, ხსენებული დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გვევლინება საერთაშორისო არბიტრაჟის სფეროში. აქედან გამომდინარე, არსებითია მისი როლიც უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულებასთან მიმართებაშიც.

UNCITRAL-ის სამოდელო კანონის გამოცემისა და მრავალი ქვეყნის კანონმდებლობის მიერ მისი დებულებების შესისხლხორცების შემდეგ თვალშისაცემია საერთაშორისო არბიტრაჟის როლის პერმანენტული ზრდა მსოფლიო ვაჭრობაში. მაგალითისთვის ის ფაქტიც კმარა, რომ, საყარაუდოდ, კერძო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებების 90% ითვალისწინებს საარბიტრაჟო დათქმებს.[82] საარბიტრაჟო სამართალწარმოების მნიშვნელობის მკვეთრ ზრდას მრავალი მეცნიერი აღიქვამს როგორც გლობალიზაციის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს. აქედან გამომდინარე, ამ ფაქტს მიიჩნევენ „ნაციონალური სახელმწიფოების როლის დაცემის" ერთ-ერთ გამოხატულებად.[83]

გარდა ამისა, არსებობს მთელი რიგი საერთაშორი-

---

[82] Drahozal, Commercial Norms, Commercial Codes and International Commercial Arbitration (Abstract), III A (9 of 40) – <http://www-prod.law.vanderbilt.edu> [10.09.2012].

[83] Schachter, The Decline of the Nation-State and its Implications for International Law, Columbia Journal of Transnational Law, vol. 36, (1997/98).

სო ხელშეკრულებებისა საერთაშორისო არბიტრაჟის ცალკეულ დარგებთან მიმართებაში, რომელთა აქ ჩამოთვლა და განხილვა მიზანშეწონილი არ იქნება.

როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, საქართველო 1994 წელს შეურთდა ნიუ-იორკის კონვენციას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამან მრავალი წლის განმავლობაში შესაბამისი ასახვა ვერ პოვა საერთაშორისო არბიტრაჟის შესახებ ქვეყნის კანონმდებლობაში.[84] ამის ნათელი დადასტურებაა, რომ 2009 წლამდე ვერ განხორციელდა უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების სრულფასოვანი სამართლებრივი რეგულირება.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში განხორციელებული სამართლებრივი რეფორმების ფარგლებში მიმდინარეობდა UNCITRAL-ის სამოდელო კანონზე დაფუძნებული კანონპროექტის შემუშავება, რომელიც საბოლოო სახით 1996 წელს მომზადდა. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი, ეროვნული არბიტრაჟის საქმიანობას აწესრიგებდა და რომელიც სრულებით არ უწევდა ანგარიშს და არ ითვალისწინებდა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის ზემოთ დასახელებული კანონის პრინციპებსა და მოთხოვნებს.[85]

---

[84] შდრ.: Knieper, GTZ Schriften, Länderberichte: Georgien, Bremen, 2002, 1041-6.

[85] ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი 2000, გვ. 166.

ამგვარად, მრავალი წლის განმავლობაში მთელი საერთაშორისო არბიტრაჟი და, კერძოდ, უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულება, სრულყოფილი სამართლებრივი რეგულირების მიღმა დარჩა და საქართველო მხოლოდ იმიტომ არ აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში სამართლის ამ მნიშვნელოვან ინსტიტუტთან მიმართებაში, რომ ქვეყანაში მოხდა ნიუ-იორკის კონვენციის რატიფიცირება.

არადა, საქართველოს ამ პერიოდში უშუალოდ ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, ყველანაირად შეეწყო ხელი უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისთვის მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად. მაგალითად, 1996 წ. საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ 89-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომ მხარეები „წაახალისებენ იმ საარბიტრაჟო წესების გამოყენებას, რომლებიც შეიმუშავა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიამ (UNCITRAL), და არბიტრაჟის მიმართვას იმ სახელმწიფოს ნებისმიერი ცენტრისადმი, რომელმაც 1958 წლის 10 ივნისს ნიუ-იორკში ხელი მოაწერა კონვენციას საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ ახალი კანონის მიღებამდე (2009 წ.), სამოდელო კანონზე დაფუძნებული არაერთი კანონპროექტი არსებობდა და სასიხარულოა, რომ საბოლოოდ საქართველოს უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ ყურადღება მიაქცია საერთაშორისო არბიტრაჟის

სფეროში არსებულ ხარვეზებს და განახორციელა ჩვენი კანონმდებლობის ამ დარგის მსოფლიო ანალოგებთან ჰარმონიზაცია.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენს მიერ უცხოური სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილებებთან მიმართებაში უკვე ნახსენები თურქმენეთის, ბულგარეთისა და თურქეთის რესპუბლიკებთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებები შინაარსობრივად მოიცავს ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსაც და, შესაბამისად, ისინიც წარმოადგენენ ჩვენს თემასთან დაკავშირებული ქართული სამართლის წყაროებია.

რაც შეეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეს, რომელშიც დაახლოებით 15 წლის განმავლობაში საქართველოც მოიაზრებოდა, იქ მოქმედებს კიევის 1992 წლის შეთანხმება „სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული დავების განხილვის წესის შესახებ". ეს აქტი ადგენს უცხოური სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულების გამარტივებულ წესს და, მინსკის ზემოთდასახელებული კონვენციისგან განსხვავებით, მოიცავს ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსაც.

საქართველო ამ შეთანხმების დადების მომენტისთვის არ იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი და მასში გაწევრიანების შემდეგაც არ შეერთებია ამ საერთაშორისო ხელშეკრულებას. კიევის შეთანხმება დღესდღეობით აერთიანებს 8 წევრ-სახელმწიფოს.

3. უცხოური სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულების საგანი

ა. აღსრულებას დაქვემდებარებული უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნება

შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენს თემაში ხშირად გვხვდება ტერმინი გადაწყვეტილება, ვინაიდან იგი, როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდანაა ცნობილი, არის სასამართლოს დადგენილების ფორმა, რომელიც საქმეს არსებითად წყვეტს (243-ე მუხლის პუნქტი 1). საქართველოს კანონმდებლობა არ აწესრიგებს თუ რა სახის უცხოური გადაწყვეტილებები შეიძლება გამოცხადდეს საქართველოში აღსრულებადად. მაშასადამე, პირველ რიგში უნდა ვიხელმძღვანელოთ ევროპის განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილებით... ამ მხრივ უპრიანია აქცენტის გაკეთება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრაქტიკაზე, რამდენადაც ეს სახელმწიფო არა მარტო წარმოადგენს ევროპის წამყვან ინდუსტრიულ-ეკონომიკურ ძალას, არამედ, უპირველესად, იმიტომ, რომ საქართველოსა და გერმანიის კერძო სამართალს მრავალი მსგავსება ახასიათებს.

აღსრულებადად, როგორც წესი, ცხადდება მხოლოდ და მხოლოდ ის გადაწყვეტილებები რომლებიც შინაარსობრივად მოქმედების შესრულებას შეიცავენ,[86] მათ ასევე „მიკუთვნებითი" გადაწყვეტილებებიც შეგვიძლია ვუწოდოთ. უცხოური

[86] შდრ.: Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 641.

სასამართლო გადაწყვეტილება აუცილებლად მის გამომტან სახელმწიფოშიც აღსრულებადი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ნიშანდობლივია, რომ მეორად სახელმწიფოში, ჩვენს შემთხვევაში საქართველოში, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა ატარებს არა მტკიცებულებით ფუნქციას, რომელიც უცხოური აღსრულებადობის ქვეყნის შიგნით განვრცობას დაადასტურებდა, არამედ საპროცესო ცვლილების დადასტურების ფუნქციას.[87] ამრიგად, უნდა მივიჩნიოთ, რომ თუ სახეზე არაა რაიმე სპეციალური სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთაც დამადასტურებელი და პროცესუალური ცვლილებების დამამტკიცებელი ფუნქციები გააჩნიათ (მარტივად რომ ვთქვათ, აღიარებითი გადაწყვეტილებები) რომლებიც საქმეს არსებითად არ წყვეტენ, მათი შინაარსის გამო საქართველოში არააღსრულებადები არიან. ასეთი აღიარებითი გადაწყვეტილების, უფრო სწორად, მისი იურიდიული საფუძვლის, სარჩელის, ლეგალური დეფინიცია გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლში: „სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტის ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს“.

---

[87] შდრ: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1087, Rz. 3100.

ამას გარდა, მსოფლიო პრაქტიკა იცნობს ფრანგულ გამოთქმაში ასახულ სახით ცნობილი კიდევ ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას აღსრულებადი გადაწყვეტილებებისა – *exequatur sur exequatur ne vaut* – არ ხდება უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება თუ ისინი თავის მხრივ სხვა სახელმწიფოს გადაწყვეტილებების აღსრულებას ეხება.[88] ამგვარად, საერთაშორისო პრაქტიკა უარყოფს ორმაგ აღსრულებას. ამ ფართოდ გავრცელებული, თუმცა, როგორც წესი, დაუწერელი დებულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმა სახელმწიფომ თავად გადაწყვიტოს თუ რომელ უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებებს ცნობს და ამით გამორიცხოს უცხოეთიდან რაიმე მითითებების შესრულება.[89]

ასეთი სახის შეზღუდვა რომ არ არსებობდეს, შეიძლება საკმაოდ გაუთვალისწინებელი შედეგები მიგვეღო. მაგალითად, ევროკავშირის (სადაც რეგლამენტ № 44/2001-ის მიხედვით პარტნიორი ქვეყნების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების გამარტივებულ პროცედურაა დადგენილი) წევრ-სახელმწიფოს შეეძლებოდა თავისი აქტით, რომლითაც იგი სხვა სახელმწიფოს გადაწყვეტილებას ცნობს, ამავდროულად დაევალდებულებინა კონვენციის ყველა დანარჩენი ხელშემკვრელი მხარეც, ელიარებინა ეს გადაწყვეტილება.[90]

---

[88] შდრ.: Geimer, Anerkennung auslaendischer Entscheidungen in Deutschland, Muenchen, 1995, S. 171.

[89] Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 5. Auflage, Muenchen, 2010, S. 345.

[90] Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 5. Auflage, Muenchen, 2010, S. 345.

ამიტომ, ვინაიდან ორმაგი აღსრულების შემთხვევაში უცხოური სააღსრულებო გადაწყვეტილება ადგენს მის აღსრულებადობას მხოლოდ აქტის გამომცემი უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ეს გადაწყვეტილება თავისთავად ვერ ასრულებს უცხოური აქტის ცნობისთვის საჭირო წინაპირობებს.[91] ვრცელდება თუ არა ორმაგი აღსრულების აკრძალვა ისეთ უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც თავის მხრივ არა სხვა სახელმწიფოს, არამედ უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებებს აცხადებენ აღსრულებადად, ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

თეორიულად საერთაშორისო პრაქტიკა უშვებს ასევე შესაბამისი უცხოური სახელმწიფო აქტების სააღსრულებო დანართების[92] და უცხოელი ნოტარიუსების სააღსრულებო დოკუმენტების აღსრულებადად გამოცხადებას. გერმანიაში აღსრულებადი საპროცესო მორიგებების აღსრულებადად გამოცხადება დასაშვებად არ მიიჩნევა.[93] უცხოური ყადაღებისა და სხვა სახის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულებადად გამოცხადება თავისთავად დასაშვები არ არის,[94] მაგრამ ამის შესაძლებლობას შეიძლება ითვალისწინებდეს სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებები.

---

[91] შდრ.: Geimer/Schuetze, Internationale Urteilsanerkennung, Muenchen, 1984, Band I/1, S. 1174.

[92] OLGZ 1917, 323.

[93] შდრ.: Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 641.

[94] OLG Stuttgart IPRspr. 1982/175.

რამდენადაც აღსრულებადად გამოცხადება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებისთვის შიდასახელმწიფოებრივი იურიდიული ძალის მინიჭებაა, შეგვიძლია განვსაზღვროთ აღსრულებადად გამოცხადების სამართალწარმოების დავის საგანი. ეს არის არა უცხოური გადაწყვეტილების საფუძველი, ანუ მატერიალურ-სამართლებრივი დავა, არამედ კრედიტორისაგან უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებისთვის შიდასახელმწიფოებრივი აღსრულებადობის მინიჭების მოთხოვნა.[95] ეს მიდგომა არცთუ ძალიან ძველია ჩვენი თემის დავის საგნის განსაზღვრის საქმეში, რადგან, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველ გამოცემაში გათვალისწინებული იყო ე.წ. *actio iudicati*-ის პრინციპი, ანუ პროცესის დავის საგნად მიიჩნეოდა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაში დადგენილი მოვალის შესრულების ვალდებულება.[96]

უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონცეფცია მთელ რიგ ქვეყნებში დღესაც მოქმედებს: მაგალითად, ინგლისში ასეთი ვითარებაა *action upon foreign judgement*-ის დროს.[97] აღნიშნული კონცეფცია გულისხმობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებადად გამოცხადებას სარჩელის საფუძველზე. უცხო ქვეყ-

---

[95] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1088, Rz. 3105.

[96] შდრ.: Hellwig, Lehrbuch Des Deutschen Civilprozessrechts, Band I, Leipzig, 1907/1908, S. 129.

[97] შდრ.: Martiny, Handbuch des Internationalen Zivilverfahrensrechts, Band III/1, Tuebingen, 1984, S. 684, Rz. 1589.

ნის სასამართლო გადაწყვეტილება მიიჩნევა, როგორც მოვალის „სამართლებრივი ვალდებულება“ („*legal obligation*“), რომელიც კრედიტორმა უნდა აღასრულოს ინგლისში „დავალიანების გადახდის სარჩელის“ („*action of debt*“) საფუძველზე.[98] ნიშანდობლივია, რომ *action upon foreign judgement* არ გულისხმობს *revision au fond*-ის პრინციპის დარღვევას, რადგან არ ხდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსობრივი და სამართლებრივი გადამოწმება.

აღსანიშნავია, რომ ქართული ტერმინოლოგია შინაარსობრივად არ შეესაბამება სხვა ენების უმრავლესობაში არსებულ „სასამართლო გადაწყვეტილების“ ცნებას. მაგალითად, გერმანულში, რუსულში და სხვ. ენებში „სასამართლო გადაწყვეტილების“ ქვეშ (პირდაპირი თარგმნისას) მოიაზრება ერთგვარი კრებითი სიტყვა, რომელიც სასამართლო განხილვის რამდენიმე პროდუქტს მოიცავს. ამისდა საპირისპიროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი ადგენს, რომ გადაწყვეტილება არის პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილების ფორმა. აქედან გამომდინარეობს, რომ დადგენილება ყველა სახის სასამართლო აქტების კრებით ცნებას წარმოადგენს. იგივე გამომდინარეობს განჩინების ლეგალური დეფინიციიდანაც, რომელიც მოცემულია ამავე კოდექსის 284-ე მუხლში. მაგრამ სულ სხვა საკითხია თუ როგორ უნდა მოვიაზროთ „გადაწყვეტილება“ უცხოურ სასამართლო აქტებთან

---

[98] გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი 2011, გვ. 459.

მიმართებაში. განა მხოლოდ „სასამართლო გადაწყვეტილებები“ (მათი ქართული განმარტებით) ექვემდებარება აღსრულებას? როგორც ზემოთ ვახსენეთ (იხ. გვ. 72), ეს ყოველთვის ასე არ არის, და არა მხოლოდ თეორიაში. ამაში კიდევ არა ერთხელ დაგრწმუნდებით, რადგან მთელ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, მაგალითად, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1996 წ. ხელშეკრულების 42-ე მუხლი პირდაპირ ხაზს უსვამს, რომ ცნობასა და აღსრულებას ექვემდებარება **სასამართლო გადაწყვეტილებები**. იქვეა განმარტებული თუ რა მოიაზრება გადაწყვეტილების ქვეშ ამ კონკრეტული ხელშეკრულებით:
1) გადაწყვეტილებები სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე;
2) სასამართლო წესით დამტკიცებული მხარეთა მორიგება;
3) განაჩენი იმ ნაწილში, რომელიც ეხება დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას;
4) საალიმენტო ვალდებულებისა და მამობის დადგენის შესახებ დოკუმენტები;
5) სააღსრულებო წარწერის მქონე დოკუმენტები;
6) გადაწყვეტილებები სასამართლო ხარჯების გადახდევინების შესახებ.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სასამართლო გადაწყვეტილების ცნება არ ემთხვევა ზემოთ დასახელებული საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანალოგს და უფრო ვიწრო გაგებით არის წარმოდგენილი.

აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ჩვენს კონკრეტულ თემასთან მიმართებაში უფრო მიზანშეწონილია ტერმინ „სასამართლო გადაწყვეტილების“ და არა „სასამართლო დადგენილების“ ხმარება, რათა თავიდან ავიცილოთ ლექსიკური უზუსტობები.

მაგრამ როგორი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ უცხოური სასამართლო გადაწყვეტილება რაიმე კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში? ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რომ საქართველო არ არის უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების სფეროში რომელიმე მნიშვნელოვანი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე, ხოლო ორმხრივი ხელშეკრულებების რიცხვი მეტად მცირეა. ქართულ სამართალში არ მოიპოვება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება. დამოუკიდებელი საქართველოს სასამართლო პრაქტიკასაც ჯერ არ გამოუმუშავებია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ის დეფინიცია, რაც ნაგულისხმევია უშუალოდ კანონში „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. მაშასადამე, საზღვარგარეთის გამოცდილებაზე ყურადღების გამახვილების გარდა სხვა არაფერი დაგვრჩენია.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ: „იძულებითი აღსრულების წარმოება შესაძლებელია საბოლოო გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც კანონიერ ძალაშია შესული ან დროებით აღსრულებადებია“. არც გერმანიის კანონმდებლობა იცნობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ნორმატიულად

დადგენილ ცნებას. ამიტომ დაკონკრეტებას ახდენს სასამართლო პრაქტიკა: „გადაწყვეტილება უცხოური სასამართლო აქტების შემთხვევაში არის ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული და რომელმაც მხარეებს შორის დავა გადაწყვიტა ისე, რომ პროცესის მსვლელობისას დაცული იყო სასამართლო მოსმენის (*rechtliches Gehoer*) პრინციპი".[99] აშკარაა, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკა აქცენტს აკეთებს უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ნამდვილობასა და კანონიერ ძალაზე. პარალელურად არსებობს კონცეფცია, რომელიც უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებად მიიჩნევს ისეთ აქტს, რომლის სახელშეკრულებო რეგულირებაშიც მეორად სახელმწიფოს მონაწილეობა არა აქვს მიღებული.[100]

ასევე აღსანიშნავია, რომ ცნობისას სავალდებულოა საბოლოო, საქმის არსებითი გადაწყვეტილების შემცველი აქტის არსებობა, მიუხედავად მისი დასახელებისა.[101] თუმცა, ევროკავშირის სამართლისთვის დამახასიათებელი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მოთხოვნა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება საბოლოო იყოს, ხშირად უგულებელყოფილია.[102] ეს კია ზოგადად უცხოური წინასწარი, ანუ შუალედური გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება ცნობას. უკვე

---

[99] BGHZ 20, S. 239.

[100] შდრ: Geimer, Anerkennung auslaendischer Entscheidungen in Deutschland, Muenchen, 1995, S. 97.

[101] შდრ: Geimer, Anerkennung auslaendischer Entscheidungen in Deutschland, Muenchen, 1995, S. 96.

[102] შდრ: Kropholler, Internationales Privatrecht, 6. Auflage, Tuebingen, 2006, S.664.

ვნახეთ, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისთვის საჭიროა მისი კანონიერ ძალაში შესვლა ამ აქტის გამომცემი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, შეგვიძლია კიდევ ერთი ნიშან-თვისების დასახელება, რომელიც აუცილებელია ცნობისთვის – კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის დაწესებული ვადის გასვლა (ბუნებრივია, აქ კვლავ იგულისხმება პირველადი ქვეყნის მიერ დადგენილი ვადები).

თუ განხილულ ფაქტებს შევაჯამებთ, მივალთ დასაკვნამდე, რომ შესაძლებელია უცხოური ვალის გადახდევინების შესახებ განჩინების ცნობაც.

საინტერესოა ასევე, თუ რა მოიაზრება უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ქვეშ ევროპაში. ბრიუსელის კონვენცია (მისი 25-ე მუხლი) ადგენს შემდეგ დეფინიციას: „გადაწყვეტილება ამ კონვენციის გაგებით არის ნებისმიერი წევრ-სახელმწიფოს სასამართლოს მიერ გამოცემული აქტი, მიუხედავად მისი დასახელებისა, იქნება ეს განჩინება, დადგენილება, გადახდის ბრძანება ან სააღსრულებო ფურცელი, სასამართლოს მუშაკის ღირებულების შეფასების გადაწყვეტილების ჩათვლით“.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ბრიუსელის კონვენციით ან ევროკავშირის საბჭოს რეგლამენტ № 44/2001-ის მიხედვით ცნობასთან მიმართებაში აუცილებელია სამოქალაქო ან სამეწარმეო საქმის არსებობაც, რაც ნიშნავს, რომ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საქმეებზე, რომლებიც ადმინისტრაციული სამართ-

ლის სფეროს შეიძლება მივაკუთნოთ, საჭიროა განსაკუთრებული ნორმების გამოყენება.[103]

პრობლემები შეიძლება იმალებოდეს ტერმინ „სასამართლოს“ უკანაც, ვინაიდან ზოგიერთ სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლების და, კერძოდ, „სასამართლოს“ ცნება მთლიანად არ ემთხვევა ჩვენში არსებულ კონცეფციას. უცხოელი სამართალმცოდნეები განმარტავენ სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც არ ასრულებს არაეის მითითებებს და სამართალწარმოებას ახორციელებს სასამართლო მოსმენის პრინციპის დაცვით.[104]

[103] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, III, Punkt 2.

[104] შდრ.: Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 572.

ბ. უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებები

ა.ა) შიდა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები

სანამ ჩვენში მოქმედი კანონმდებლობის განხილვას შევუდგებოდეთ, უპრიანი იქნებოდა, ყურადღება გაგვემახვილებინა საკითხზე თუ რა მოიაზრება უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ქვეშ.

მრავალი წლის განმავლობაში საზღვარგარეთის სამართალმცოდნეობაში არ არსებობდა ერთიანი აზრი იმის შესახებ თუ რა ნიშან-თვისებები უნდა ახასიათებდეს უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, რა არის ნაციონალური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისგან მისი გამიჯვნის კრიტერიუმი. ევროპის რამდენიმე სახელმწიფოში დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გაბატონებული იყო ე.წ. საპროცესო თეორია. მისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიკუთვნება ხდება საარბიტრაჟო განხილვაში გამოყენებული სამართლის მიხედვით.[105] ამ თეორიის თანახმად, თუ, მაგალითად, საქართველოში ქართველი საარბიტრაჟო მოსამართლეები საქმეს განიხილავდნენ ინგლისური სამართლის მიხედვით, მაშინ ამ პროცესის შედეგად მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქართველოში უნდა ჩაითვალოს უცხოურ აქტად. შესაბამისად, ქართული სამართლის მიხედვით ჩატარებული პროცესი და

---

[105] შდრ.: Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 813.

შესაბამისი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მისი გეოგრაფიული მდებარეობისგან დამოუკიდებლად, საპროცესო თეორიის თანახმად წარმოადგენს ნაციონალურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.[106]

ამისდა საპირისპიროდ, მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობაში ზემოხსენებული საკითხი წყდებოდა ე.წ. ადგილმდებარეობის თეორიის მიხედვით. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ამ კონცეფციის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სახელმწიფოებრივი კუთვნილება განისაზღვრება საარბიტრაჟო სასამართლოს გეოგრაფიული მდებარეობით, ანუ პროცესის ჩატარების ადგილით, თუმცა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ადგილმდებარეობის თეორიის მიმდევარ სახელმწიფოებს შორისაც არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხთან მიმართებაში, თუ როგორ უნდა დადგინდეს საარბიტრაჟო სასამართლოს ადგილმდებარეობა.[107] მაგალითად, შვეიცარიაში ამის დადგენა ხდებოდა მხარეთა ნებით ფორმალურად დათქმული ადგილის მიხედვით, ხოლო ფრანგული კანონმდებლობით გადამწყვეტია ადგილი, სადაც საარბიტრაჟო პროცესის ძირითადი საპროცესო მოქმედებები ჩატარდა.

ადგილმდებარეობის თეორია, პრაქტიკული თვალსაზრისით, უფრო ხელსაყრელი გამოდგა და ნელ-ნელა დამკვიდრდა მსოფლიოს მასშტაბითაც. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამაც, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო

---

[106] შდრ.: Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 813.

[107] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 131.

საპროცესო თეორიის მიმდევარი, 1996 წლის საარბიტრაჟო სამართლის რეფორმით შეცვალა თავისი მიდგომა და დაამკვიდრა ადგილმდებარეობის კონცეფცია. ამის მიზეზი, უპირველესად, მდგომარეობს საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ გაეროს სამოდელო კანონში, რომელიც ცალსახად ადგილმდებარეობის თეორიას ემყარება. მაშასადამე, იმ სახელმწიფოებმაც, რომლებიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კუთვნილებას საპროცესო კონცეფციის მიხედვით ახდენდნენ, გაეროს 1985 წ. სამოდელო კანონზე დაფუძნებული ნორმატიული აქტების მიღების შემდეგ, ავტომატურად დაუჭირეს მხარი ადგილმდებარეობის დოქტრინას.

აქედან გამომდინარე, ამ ადგილმდებარეობისა და საპროცესო კონცეფციის მომხრეებს შორის დავამ აზრი დაკარგა და ადგილმდებარეობის თეორიის გამოყენებით დღესდღეობით თვით მხარეები განსაზღვრავენ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოსთან მიმართებაში უცხოურია თუ ნაციონალური.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების განსხვავებას სახელმწიფო კუთვნილების მიხედვით საკმაოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება. ბევრ ქვეყანაში უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და, შესაბამისად, აღსრულებისთვის უფრო ხელსაყრელი პირობებია შექმნილი, ვიდრე ნაციონალურისთვის. მაგალითად, გერმანიაში, ქვეყნის საჯარო წესრიგთან შეუსაბამობის გამო, შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ

არსებული მოთხოვნები უფრო მაღალია.[108] გერმანიის უზენაესი სასამართლო, სასამართლოს მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევის განხილვისას ინგლისური სამართლის გამოყენებასთან მიმართებაში, მივიდა დასკვნამდე, რომ ამ შემთხვევაში ზემოთ ხსენებული პრინციპის დაცვის საჯარო ინტერესს „ნაკლები წონა ჰქონდა“, ვიდრე გერმანული საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის დროს.[109]

ვინაიდან იმ დავებთან მიმართებაში, რომელთა განხილვაც 2010 წლამდე დაიწყო, ჯერ კიდევ მოქმედებს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის დებულებები, მას აქტუალობა ბოლომდე არ დაუკარგავს. ამგვარად, ამ ნაშრომში სავსებით მიზანშეწონილია ნახსენები ნორმატიული აქტის დებულებების გაშუქება. „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ იგი არ განასხვავებდა ნაციონალურ, ანუ ქვეყნის შიდა საარბიტრაჟო და უცხოურ ანუ საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს. აშკარაა, რომ უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში ამ კანონის ნორმების გამოყენება ვერ მოხდებოდა მათი შინაარსის გამო.[110] საქმეში ის არის, რომ „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონში უცხოური სააბიტრაჟო გადაწყვეტილებები საერთოდ არაა ნახსენები. ერთი შეხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კანონში მოწესრიგებულია ზოგადად ყველა სახის საარბიტრაჟო გადაწყვე-

---

[108] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1289, Rz. 3771.

[109] შდრ.: BGHZ 98, 70.

[110] შდრ.: Knieper, GTZ Schriften, Länderberichte:Georgien, Bremen, 2002, 1041-6.

ტილება და ამიტომ ნაციონალურ და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე ერთი და იგივე სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება. მაგრამ ეს ასე არ არის და ამაში ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით.

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის თანახმად საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით არ შესრულდა, აღსრულდება იძულებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებო წარწერის საფუძველზე. ამრიგად, იძულებითი აღსრულების განსახორციელებლად, პრაქტიკულად, საჭირო არ არის სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების მონაწილეობა. ბუნებრივია, რომ ეს სიტუაცია არანაირად არ შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების წინაპირობები მოცემული არ არის.[111]

ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველომ უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების თავის სუვერენულ უფლებაზე ნებაყოფლობით თქვა უარი. ბუნებრივია, რომ ამ ფაქტს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მისი უფლებამოსილების იგნორირებასთან დაკავშირებული თეორიული დატვირთვა არ აქვს და ამ კანონის მიხედვით უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულებას პრაქტიკულადაც მეტად სერიოზული შედეგები შეიძლება მოყვეს. „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის

---

[111] შდრ.: Knieper, GTZ Schriften, Länderberichte: Georgien, Bremen, 2002, 1041-6.

აღნიშნული დებულება მკაცრ კრიტიკას იმსახურებს პირველ რიგში იმიტომ, რომ ქართული სახელმწიფო სასამართლოს მიერ მინიმალური კონტროლის განხორციელების გარეშე შესაძლებელი ხდება საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი აქტის აღსრულება, რომელიც თეორიულად შეიძლება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის საჯარო წესრიგს. ამგვარად, მიუხედავად საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და ჩვენში არბიტრაჟის ინსტიტუტის სისუსტისა, რასაც საარბიტრაჟო დათქმის შემცველი გარიგებების შედარებით მცირე რიცხვი მოწმობს, ამ სფეროში ახალი კანონის ამოქმედებამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობა სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო.

ზემოთ ხსენებული ფაქტი თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც გვიჩვენებს, რომ კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ არ აწესრიგებს უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებებიდან წარმოშობილ ურთიერთობებს. ამას ასევე ადასტურებს საქართველოს პარლამენტის იურიდიული სამმართველოს ზეპირი ცნობაც, რომელიც ჯერ კიდევ 1998 წელს გაიცა.[112] იგი ხაზს უსვამს, რომ „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის ნორმები აღსრულებადად გამოცხადების შესახებ არ უნდა გავრცელდეს საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე.

ცხადია, სამართლებრივად არამავალდებულებელი ზეპირი ცნობა საკმარისი არ არის საიმისოდ, რომ

---

[112] შდრ.: Knieper, GTZ Schriften, Länderberichte: Georgien, Bremen, 2002, 1041-6.

ნათელი მოჰფინოს ახალი კანონის მიღებამდე პერიოდში უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების ყველა დეტალს. ამავდროულად, ეს ცნობა ადასტურებს, რომ ეს ნორმატიული აქტი არ არეგულირებდა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საქართველოში ცნობისა და აღსრულების სამართლებრივ რეჟიმს.

ბბ) საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები

ზემოთ ჩვენ უცხოური და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ერთმანეთის სინონიმებად ვიხმარეთ, თუმცა რიგ სახელმწიფოებში ეს ორი ცნება გამიჯნულია. საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში ჩვეული ტერმინები – „შიდა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები" ნაკლებად იხმარება და ფართოდ გამოიყენება სამართლებრივი კატეგორიები – „შიდა და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები".[113] მაგალითად, შვეიცარიაში საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გვხვდება მაშინ, როდესაც საქმე განიხილა საარბიტრაჟო სასამართლომ შვეიცარიის ტერიტორიაზე, ხოლო მხარეთაგან ერთ-ერთს მაინც საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული მისამართი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი შვეიცარიის კონფედერაციის ფარგლებს გარეთ აქვს.[114] ზოგ შემთხვევებში იხმარება ასევე ისეთი ტერმინი, როგორიც არის „დელოკალიზებული საარბიტრაჟო

[113] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1290, Rz. 3774.

[114] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1290, Rz. 3774.

გადაწყვეტილება“ (*delokalisierter Schiedsentscheid*).[115] ტერმინოლოგიური განსხვავება იგრძნობა საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც. მაგალითად, ნიუ-იორკის კონვენცია, როგორც ამას ნათლად ვხედავთ მისი დასახელებიდან, აწესრიგებს უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ხოლო გაეროს მოდელური კანონი ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო საარბიტრაჟო შეთანხმებებზე.

საინტერესოა, რომ ცნობისა და აღსრულებისას საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ ნაწილობრივ იგივე სამართლებრივი რეჟიმი გამოიყენება, როგორიც უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან დამოკიდებულებაში. საფრანგეთში გამოტანილი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ასევე ექვემდებარება ცნობასა და აღსრულებადად გამოცხადებას, რაოა მათ იურიდიული ძალა შეიძინონ ამ სახელმწიფოში.[116]

მსგავსი მიდგომაა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. იქ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ მიიჩნევა გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის ნორმების მიხედვით განსჯადად (ანუ უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად), თუ სავაჭრო დავაში მხოლოდ აშშ-ის მოქალაქეები მონაწილეობენ და საქმის

---

[115] Bucher, die neue internationale Schiedsgerichtsbarkeit in der Schweiz, Basel, 1989, S. 152, Rz. 427.

[116] Haas, die Anerkennung und Voilstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 131.

მასალებით არ მტკიცდება მისი უშუალო დამოკიდებულება უცხო სახელმწიფოს მიმართ.[117]

აქ იკვეთება ადგილმდებარეობის პრინციპის ერთგვარი შეზღუდვა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმავე ქვეყანაში, მაინც აუცილებელია ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადების პროცედურის ჩატარება. ამრიგად, საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ერთგვარ შუალედურ ცნებად გვევლინება ნაციონალურ და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს შორის, რადგან გულისხმობს როგორც შიდასახელმწიფოებრიცი, ისე საზღვარგარეთული ელემენტის მონაწილეობას. ცნობისა და აღსრულების სტადიაზე საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სამართლებრივად გათანაბრება იმავე ხასიათის უცხოურ აქტებთან არ ნიშნავს მათ სრულ დენაციონალიზაციას.[118]

აქედან გამომდინარე, UNCITRAL-ის სამოდელო კანონის ნორმების მიხედვით გამოტანილი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებიც ცნობასა და აღსრულებადად გამოცხადებას ექვემდებარება. ამ მოვლენას რიგი სპეციალისტები უარყოფით და რეგრესულ ნაბიჯად აფასებენ, რადგან, თუ ადრე მხოლოდ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები საჭიროებდა ცნობას, დღეს-

---

[117] შდრ.: Court of Appeals, Second Circuit, 17.06.1983, Bergessen v. Joseph Mueller Corp., 710 F. 2d 928, 932 <http://bulk.resource.org/courts.gov/c/F2/710/710.F2d.928.82-7880.951.html> [11.09.2012].

[118] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 132, Fussnote 22.

ღეობით საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 ნაწილი სამოდელო კანონის ნორმების შესაბამისად ითხოვს, რომ საფრანგეთის ტერიტორიაზე გამოტანილი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ცნობის პროცედურას დაექვემდებაროს, რათა ამ ქვეყანაში სამართლებრივი შედეგები გამოიწვიოს.[119]

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობისთვის უცხოა შიდა და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებად დაყოფა, მას შეუძლია გარკვეული დამატების როლის შესრულება.[120] მაგალითად, საფრანგეთი და შვეიცარია, იყენებენ რა საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნებას, ასევე ინარჩუნებენ ტრადიციულ განსხვავებას შიდა და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს შორის.[121]

როგორც უკვე არაერთხელ ვახსენეთ, 2010 წლამდე მოქმედი ქართული სამართალი არ იცნობდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების დიფერენციაციას მათი სახელმწიფო კუთვნილების მიხედვით. საბედნიეროდ, სხვა მდგომარეობაა ამ მხრივ ახალ კანონში „არბიტრაჟის შესახებ", რომლის დებულებები ბევრად ახლოა საერთაშორისო სტანდარტებთან. ვგონებ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს დღეს ძალაში მყოფი და 2010 წლიდან

---

[119] შდრ.: Calavros, das UNCITRAL – Modellgesetz über die internationale Handelsschiedsgerichtsbarkeit, Bielefeld, 1988, S. 173.

[120] შდრ.: Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche. Berlin, 1991, S. 46.

[121] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1289, Rz. 3776.

მოქმედი კანონების პარალელურად 2004 წლის მეტად საინტერესო კანონპროექტის ზოგიერთი ასპექტის მიმოხილვაც.

მაგალითად, ნიშანდობლივია, რომ ეს კანონპროექტი არ განასხვავებდა საერთაშორისო და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, თუმცა არსებითად მსგავს ნორმებს აწესებდა შიდა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისთვის. კანონპროექტში არაერთხელ გეხვდებოდა შემდეგი სიტყვათაწყობა: „...იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილი იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“.

არც ახალი კანონი განასხვავებს საერთაშორისო და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს. იგი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არ იცნობს ამ ცნებათაგან არც ერთს. 2009 წლის კანონი, კონკრეტული საკითხებიდან გამომდინარე, მიჯნავს „საქართველოში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს“ ახალი სამართლებრივი კატეგორიისგან: „იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილი იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“. შესაბამისად, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი უარს ამბობს საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცალკე რეგულირებაზე და მათი ცნობისა და აღსრულების საკითხებს შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან ერთად აწესრიგებს.

რთული საკითხია, საჭიროა თუ არა „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის ტექსტში საერთაშორისო და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს შორის განსხვავების დაფიქსირება. ჩემი აზრით, ეს

შეიძლება ზედმეტიც კი იყოს, რადგან, ახალი კანონის ძალით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების უფლებამოსილების მინიჭებით ქართველ მოსამართლეებს სრულიად ახალი ამოცანა დაეკისრებათ, ამიტომ ამ საკითხის გადაჭარბებულმა სამართლებრივმა რეგლამენტაციამ, რომელსაც მეტწილად თეორიული დატვირთვა აქვს, შეიძლება ამ სფეროში ნაკლებად გამოცდილ ქართველ მოსამართლეებს დამატებითი სირთულეები შეუქმნას. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის პროგრესულ ნიშან-თვისებად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ იგი იდენტურ სამართლებრივ რეჟიმს აწესებს როგორც ქართული, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისთვის.

ამრიგად, ახალმა კანონმა „არბიტრაჟის შესახებ“ უარი თქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის დაკონკრეტებაზე, რაც ჩვენს შემთხვევაში გამართლებულია, ვინაიდან პრაქტიკული თვალსაზრისით, არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სამართლებრივი რეგულირების საკითხში მათი სახელმწიფოებრივი კუთვნილების ნიშნით.

4. ორგანოები, რომლებსაც ახორციელებენ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებას

ა. *უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები*

უცხო ქვეყნის სახელმწიფო სასამართლოების გადაწყვეტილებების ცნობას და აღსრულებადად გამოცხადებას ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ეს პირდაპირ არის განსაზღვრული საქართველოს 1998 წლის კანონში „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ", კერძოდ, მის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტში. უზენაესი სასამართლოს ქვეშ ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, 2009 წელს „საერთო სასამართლოების შესახებ" ახალი კანონის მიღების შემდეგ კი სამოქალაქო საქმეთა პალატა.

ამრიგად, საქართველოში უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას განიხილავს სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ინსტანცია. ამავე დროს, ეს ხდება პირველი ინსტანციის წესით.
საინტერესოა იმის მიზეზების გარკვევა თუ რატომ მაინცადამაინც უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებული პალატაა უფლებამოსილი, ცნოს და აღსრულებადად გამოაცხადოს ამგვარი უცხოური აქტები. ერთი შეხედვით, ეს არ უნდა იყოს მიზანშეწონილი, რადგან სამოქალაქო საქმეთა პალატა საქმეებს ძირითადად საკასაციო წესით განიხილავს. პალატის ეს კომპეტენცია არც საქმის

მომეტებული სირთულით უნდა იყოს გამოწვეული, ვინაიდან აღსრულებადად გამოცხადება და ცნობა, როგორც წესი, მეტად მარტივად ხორციელდება, ვინაიდან არ ხდება უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების საქმის გარემოებების სრული გადამოწმება, კონტროლდება მხოლოდ მისი ცალკეული ასპექტები, რასაც ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლებაში განსჯადობის ასეთი განაწილება, სავარაუდოდ, გამოწვეულია აღსრულების შესახებ შუამდგომლობების შედარებით მცირე რაოდენობით, რაც მიგვანიშნებს, რომ საქართველო არის საერთაშორისო ეკონომიკური და, შესაბამისად, სამართლებრივი მიმოქცევის აუტსაიდერი. სამოქალაქო საქმეთა პალატისთვის უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების ფუნქციის დაკისრებით არ ხდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მომეტებული დატვირთვა, რადგან ევროპის ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში უმაღლეს სასამართლო ინსტანციას რომ პქონოდა იგივე კომპეტენცია, მოსამართლეებს საკმაოდ გაუჭირდებოდათ სხვა ამოცანების სათანადოდ განხორციელება, ვინაიდან, ერთი მხრივ, დადგებოდა მრავალი ამგვარი შუამდგომლობა და, მეორე მხრივ, შეზღუდულია უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეთა რიცხვი.

ასევე ნიშანდობლივია, რომ უფრო დაბალი ინსტანციების მოსამართლეებს არ აქვთ საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დავების განხილვის გამოცდილება. ტექნიკური აღჭურვის

თვალსაზრისითაც (კომპიუტერული ტექნიკა, იურიდიული ბიბლიოთეკა, უცხო ენების ფლობა, დოკუმენტების თარგმნა და ა.შ.), რაც მეტად მნიშვნელოვანია ამგვარი საქმეების განხილვისას, საქართველოს უზენაეს სასამართლოს გაცილებით სრულყოფილი ბაზა აქვს, ვიდრე სხვა სასამართლოებს.

მეორე მხრივ, უზენაესი სასამართლოს განსაკუთრებულ კომპეტენციას, სულ ცოტა თეორიული თვალსაზრისით მაინც, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აქვს. ის ფაქტი, რომ იგი უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა, გამორიცხავს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ზემდგომ ორგანოში. საქართველოში უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებებზე მიღებული აქტების გასაჩივრების შეუძლებლობაზე მეტყველებს შესაბამისი სასამართლო დადგენილებების დასკვნითი ნაწილიც, სადაც ნათქვამია რომ „განჩინება არის საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარება". აღნიშნული გამტკიცებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" 2009 წლის ორგანული კანონითაც – კერძოდ, 14 მუხლის I პუნქტი ადგენს, რომ: „საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა". არადა, ამ ნორმასთან და სასამართლო პრაქტიკასთან შინაარსობრივ შეუსაბამობაშია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 73-ე მუხლი, რომლის ძალითაც: „პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ თავის დებულებათა შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები

(განჩინებები და დადგენილებები) ექვემდებარება გასაჩივრებას კანონმდებლობით დადგენილი წესით." 73-ე მუხლი სწორედ რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის იმ თავშია, სადაც დადგენილია ნორმები უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ. შესაბამისად, სადავოა თუ რამდენად გამართლებულია ამგვარი ნორმის არსებობა კანონის მოცემულ ნაწილში. ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის ნორმების მნიშვნელოვანი რევიზიის აუცილებლობას.

ევროკავშირის სამართალი (ბრიუსელის კონვენცია, ევროკავშირის საბჭოს რეგლამენტი № 44/2001) და, შესაბამისად, კონტინენტის ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, ამისდა საპირისპიროდ ადგენს უფრო დაბალი სასამართლო ინსტანციების განსჯადობას. გერმანიაში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადების ფუნქციას ახორციელებენ ჩვეულებრივი პირველი ინსტანციის სასამართლოები. სამაგიეროდ, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადების შესახებ მიღებული აქტის გასაჩივრების შემთხვევაში განსჯადი ორგანოებია ფედერალური მიწების უმაღლესი სასამართლოები. რა თქმა უნდა, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და, შესაბამისად, ძალაუფლების განაწილება ფედერაციის პირობებში თავის როლს თამაშობს და, ამ მხრივ, საქართველოსა და გერმანიის შედარება მიზანშეწონილი არ არის. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაში

მთავარია ის, რომ გერმანიაში კონსტიტუციით არის გამყარებული სასამართლო მოსმენის უფლება (საქართველოში ეს პრინციპი უფლების სასამართლო წესით დაცვის სახელით არის ცნობილი და მასში შინაარსობრივადაც სხვა აზრია ჩაქსოვილი), მაგრამ ამ პრინციპის ახსნა-განმარტება ფართო გაგებით ხდება და სასამართლოს დადგენილებების გასაჩივრების უფლებასაც მოიცავს.

ასეა თუ ისე, აქამდე სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს ჩვენში ამგვარი სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების პრეცედენტი. სხვათა შორის, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის შემუშავება სწორედ გერმანელ სპეციალისტებთან თანამშრომლობით ხდებოდა და, ამ უკანასკნელთა აზრით, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებული განჩინებების გასაჩივრების შეუძლებლობა სწორედ რომ ქართული სამართლის უპირატესობად უნდა აღვიქვათ.[122] ამის მიზეზად ის სახელდება, რომ ქართულ რეალობაში ეს დებულება არ ეწინააღმდეგება ქვეყნის უზენაეს კანონს – კონსტიტუციას. ამავე დროს, როგორც საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ დაამტკიცა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებისას გადამწყვეტი როლი ენიჭება ამ პროცესის სისწრაფესა და სიმარტივეს. ამგვარად, ქართული დებულება თუმცა თეორიულად

[122] სამწუხაროდ, უცნობია რაიმე წერილობითი წყაროს არსებობა, სადაც გერმანელი იურისტების ეს მოსაზრება იქნებოდა გამყარებული, ამიტომ მკითხველს ვთხოვ, დასჯერდეს იმ ზეპირ ცნობებს, რაც ავტორმა სამართალმცოდნეებთან უშუალო საუბრებისას მიიღო.

პრობლემატურია, პრაქტიკული ასპექტებიდან გამომდინარე სავსებით მისაღებია.

ბ. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები

ბა) 2010 წლამდე მოქმედი კანონმდებლობა

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხი 2010 წლამდე მოქმედ ქართულ სამართალში არა მარტო ფაქტობრივი სამართლებრივი რეგულირების მიღმა რჩებოდა, არამედ მეტიც, საქმე გვაქვს საკმაოდ ქაოტურ სიტუაციასთან, როცა, მიუხედავად ზემოთქმულისა საქართველოში მაინც არსებობს ასეთი აქტების ცნობისა და აღსრულების პრეცედენტები, პროცედურა კი განხორციელდა უცხო ქვეყნის სასამართლოს სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის ანალოგიით, რაზეც ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ.

მაშასადამე, მიუხედავად აშკარა საკანონმდებლო ხარვეზისა, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების სფეროში განსჯადობას პრაქტიკულად მაინც ახორციელებდა საქართველოს უზენაესი სასამართლო. საინტერესოა თუ როგორ სამართლებრივ რეჟიმს ითვალისწინებს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ შიდასახელმწიფოებრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით.

ამ ფუნქციას ახორციელებდა არბიტრაჟის თავმჯდომარე. 42-ე მუხლი ადგენს: „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით არ იქნა შესრულებული, აღსრულდება იძულებით,

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებო წარწერის საფუძველზე". როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკი არ არის სახელმწიფო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების შესახებ. თვით არბიტრაჟის თავმჯდომარეა აღჭურვილი მეტად ფართო უფლებამოსილებით, რაც მის მიერ სააღსრულებო წარწერის გაცემაში გამოიხატება. „კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონის იგივე მუხლი შემდგომში ითვალისწინებს ამ საარბიტრაჟო წარწერის საფუძველზე წარმოებას კანონმდებლობის შესაბამისი სამოქალაქო საპროცესო ნორმების მიხედვით. აქ, ბუნებრივია, იგულისხმება საქართველოს 1999 წლის კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ". აღსანიშნავია, რომ მისი შესაბამისი ნორმა (მე-2 მუხლი) აღსრულების ქვემდებარე აქტების ჩამონათვალში ასახელებს როგორც არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, ისე იმ არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. აქ აშკარად იგულისხმება უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, ვინაიდან ზოგადად მათი სამართლებრივი რეგულირება კანონში არ არის გათვალისწინებული და ამ ხარვეზის ერთგვარი შევსება ხდება ზემოთ ხსენებული დებულების ხარჯზე.

„კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონის შემდეგი, 43-ე მუხლი ასახელებს იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეცვლა. სწორედ ამ შემთხვევებშია დადგენილი სახელმწიფო სასამართლოს მონაწი-

ლეობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვაში. მაგრამ ამის განსახორციელებლად საჭიროა მხარის სარჩელი და მოსამართლე უფლებამოსილია შეცვალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, როცა იგი:

„ა) ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კანონმდებლობას;

ბ) დარღვეულია არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით ან ამ კანონით დადგენილი წესები;

გ) საქმესთან დაკავშირებით არბიტრაჟის წევრმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედობა, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას ზეგავლენა არ მოუხდენია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე“.

რას მოიაზრებს კანონმდებელი, როდესაც ამ მუხლში იყენებს ტერმინ „სასამართლოს“? ამაზე პასუხს გვაძლევს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი: „ამ კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარის სარჩელის ან არბიტრაჟის თხოვნას განიხილავს ის რაიონული საქალაქო სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობს საარბიტრაჟო განხილვა“. ეს დებულება რაიონული საქალაქო სასამართლოს განსჯადობის შესახებ კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა რომ კანონმდებელი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონში მხოლოდ საქართველოში მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს მოიაზრებს.

ამგვარად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ საკითხებს ერთპიროვნულად განიხილავდა სამოქალაქო საქმეებზე პასუხისმგებელი მოსამართლე რაიონულ სასამართლოში და, შესაბამისად, ერთ-ერთი უფლებამოსილი მოსამართლე საქალაქო სასამართლოში.

ბბ) ახალი კანონი „არბიტრაჟის შესახებ"

საარბიტრაჟო სამართალში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის არაერთ მცდელობას ჰქონდა ადგილი ახალი, 2009 წლის კანონის მიღებამდეც. ჩვენს მიერ უკვე ნახსენები, 2004 წლის 28 ივლისით დათარიღებული კანონპროექტი „არბიტრაჟის შესახებ" ამ სფეროში ძირეული რეფორმის ჩატარებას ითვალისწინებდა. 2009 წლის კანონი „არბიტრაჟის შესახებ" წარმოადგენს გაეროს სამოდელო კანონის ჩვენში დანერგვის მცდელობას. თუ რამდენად წარმატებული იქნება ახალი ნორმატიული აქტი, ამას მხოლოდ პრაქტიკა წარმოაჩენს. ნიშანდობლივია, რომ 2010 წლამდე დაწყებული და მიმდინარე საარბიტრაჟო დაეები განიხილება „კერძო არბიტრაჟის შესახებ" 1997 წლის კანონის შესაბამისად, თუ მხარეები არ შეთანხმდნენ დაეების „არბიტრაჟის შესახებ" კანონით განსაზღვრული წესით განხილვაზე („არბიტრაჟის შესახებ" კანონის 46-ე მუხლის I პუნქტი). ახალ კანონში არ ხდება შესაბამის დებულებებთან მიმართებაში „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ" ნიუ-იორკის გაეროს კონვენციაზე მითითება. ასეთი მითითება, სხვათა შორის, მსოფლიოში მეტად გავრცელებულია. ახალი კანონის კიდევ ერთი

დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი არსებითად ანალოგიურ სამართლებრივ რეჟიმს ადგენს ყველა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებისთვის, მიუხედავად მათი სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა.

2004 წლის კანონპროექტის ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მხოლოდ დოკუმენტის დანართში და არა ძირითად ტექსტში იყო დასახელებული, თუ რომელი სასამართლოა უფლებამოსილი უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობაზე და აღსრულებადად გამოც- ხადებაზე. არადა, სიტყვა „სასამართლო“, რაშიც უდავოდ სახელმწიფო სასამართლო იგულისხმება, კანონპროექტში ხშირად მოიხსენიებოდა.

„არბიტრაჟის შესახებ“ ახალი კანონი ამგვარ უზუსტობას არ უშვებს – მე-2 მუხლის I პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და შემდგომში 44-ე და 45-ე მუხლები ზუსტად განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების შესაბამისი რგოლების კომპეტენციას ყოველ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებაში. მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეფარდებასთან დაკავშირებით უფლებამოსილება მინიჭებული აქვს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს. 44-ე მუხლის I პუნქტი კი ადგენს, რომ: „საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.“

მაშასადამე, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის საშუალებით საქართველო ამკვიდრებს თავისოვის ახალ და მსოფლიოშიც საკმაოდ ი'შვიათ ტრადიციას არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების განხილვის განაწილებისა სასამართლო ხელისუფლების ყველა ინსტანციაზე.

ამრიგად, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების მსგავსად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულებაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას დაეკისრა. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ უცხოეთიდან შემოსული ნებისმიერი გადაწყვეტილება ერთი და იმავე სასამართლო ორგანოს განსჯადობის სფეროში შევა.

სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ დავის განხილვის ზოგადი პრინციპები მოცემულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. მისი მე-16 მუხლი ადგენს, რომ უზენაესი სასამართლოს პალატა საქმეებს განიხილავს სამი მოსამართლის მონაწილეობით. თუ საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს ი'შვიათ სამართლებრივ პრობლემას ან მიზანშეწონილია ნორმის ახლებური ახსნა-განმარტება, დავა შეიძლება გადაეცეს დიდ პალატას. საეჭვოა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების და საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება დიდი პალატის განსჯადი გახდეს, თუმცა თეორიულად ეს შესაძლებელია, პირველ რიგში, საქართველოს საჯარო წესრიგთან შესაბამისობის საკითხის დადგენისას, რაც ერთ-

ერთი უმთავრესი პრობლემაა თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განსაკუთრებულ კომპეტენციას ყველა უცხოური გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან მიმართებაში აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტებიც. მაგალითად, გასაჩივრების შეუძლებლობა შესაძლოა არაერთგვაროვნად შეფასდეს. საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობაში არსებობს გასაჩივრების პრაქტიკა, მაგალითად, გერმანიაში შესაძლებელია უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე მიღებული სასამართლო აქტის გასაჩივრება ქვეყნის უზენაეს სასამართლოში ამ ინსტანციაში დაშვებული ადვოკატის მეშვეობით.[123]

უცხო ქვეყნის სახელმწიფო სასამართლოს და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მიღებული განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას ითვალისწინებს რუსული კანონმდებლობაც. კერძოდ, ამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საკასაციო წესით.[124]

ამრიგად, უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში საქართველოში მეორდება უცხო ქვეყნის სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილე-

---

[123] შდრ: Thomas/Putzo, ZPO Kommentar, 32. Auflage, Muenchen, 2011, S. 1370.

[124] Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации - რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 2002 წ, მუხლი 412.

ბების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ჩვენს მიერ უკვე ნახსენები სიტუაცია.

მეორე მხრივ, მისასალმებელია, რომ საბოლოოდ მოხერხდა საერთაშორისო ცნობისა და აღსრულების კომპეტენციის თავმოყრა ერთი და იმავე სასამართლო ორგანოს უფლებამოსილებაში. ამ სფეროში უზენაესი სასამართლოს სხეა უპირატესობებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

5. აღსრულებადად გამოცხადების წინაპირობები

ა. *უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები*

<u>აა) „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით</u>

I აღსრულებადად გამოცხადების არსი

სანამ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურა ჩატარდება, საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელიც წაეყენება ამგვარ აქტს ანუ პირობებს, რომელთა დარღვევისას აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე არ მოხდება.

ამ თავში განსახილველ საკითხს მოიცავს ზემოთ ხსენებული ნორმატიული აქტის შემდეგ ნორმათა ჯაჭვი – 68-ე, 70-ე და 71-ე მუხლები.

69-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ერთადერთ გამონაკლისს, როდესაც საჭირო არ არის უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების

ცნობა, ანუ მისი შესაბამისობის შემოწმება რაიმე პირობებთან. ქორწინების საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობა საჭირო არ არის, თუ გადაწყვეტილების გამოტანისას მეუღლეები იმ ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, რომლის დაწესებულებამაც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების წინაპირობების განსაზღვრისთვის გამოყენებულია ამგვარი საკითხებისთვის ყველაზე მისაღები საკანონმდებლო ტექნიკა. კერძოდ, ქართველი კანონმდებელი აღსრულებადად გამოცხადების დადებით წინაპირობებს კი არ განსაზღვრავს, არამედ ჯერ ამბობს, რომ ცნობა (როგორც ქვემოთ დაერწმუნდებით, ასევე აღსრულებაც) ხდება ყველა შემთხვევაში, შემდეგ კი ადგენს გამომრიცხავ გარემოებებს, ანუ ნეგატიურ კონსტრუქციას.

ნიშანდობლივია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების წინაპირობები განისაზღვრება ცნობის გამომრიცხავი გარემოებების მეშვეობით.

ის, რომ დამაბრკოლებელი გარემოებების ჩამონათვალის პუნქტები როგორც ცნობის, ისე აღსრულების წინაპირობებს წარმოადგენს, ქართული სამართლის თავისებურება არ არის – იმავეს ვხედებით სხვა მრავალი სახელმწიფოს ნორმატიულ აქტშიც.

II. გამომრიცხავი გარემოებები

საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ:

ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება.

ეს დებულება ეყრდნობა ამავე კანონის მე-2 თავს, კერძოდ მე-10 მუხლს, სადაც გათვალისწინებულია საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია. ეს ჩამონათვალი ამომწურავია და, მაშასადამე, *numerus clausus*-ის პრინციპზეა აგებული. სახელმწიფოსთვის მომეტებული მნიშვნელობის გამო მხოლოდ საქართველოს სასამართლოები განიხილავენ სარჩელებს, რომლებიც ეხება:

1) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია;
2) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია;
3) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას;
4) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა;
5) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა.

უცხოური გადაწყვეტილების ცნობის ეს წინაპირობა თავისთავად პრობლემატური არ არის, ვინაიდან იმავე კანონის ტექსტი (მე-10 მუხლი) ახდენს ყველაფრის დაკონკრეტებას და მოსამართლეს არ უნდა შეექმნას სირთულეები ნორმის ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით.

ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

ამ ნორმის არსებობა პრაქტიკული ასპექტით არის გამოწვეული, ვინაიდან საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა საპროცესო დაკუმენტაციის ჩაბარება დროულად არ ხდება პირველად სახელმწიფოში გათვალისწინებული წესების შესაბამისად. ანალოგიური ნორმა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში უფრო კონკრეტულია და ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება, თუ: „მოპასუხეს, რომელმაც პროცესში მონაწი- ლეობა ვერ მიიღო და ამის გამო აცხადებს პრეტენზიას, საპროცესო უწყება დადგენილი წესების მიხედვით არ ჩაბარდა ან დროულად არ ჩაბარდა, რის გამოც მას თავის დაცვა არ შეეძლო". მიუხედავად შინაარსობრივი მსგავსებისა („საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის არაერთი დებულება გერმანული კანონმდებლობის მიბაძვით შეიქმნა), იურიდიული სი'ს'უ'ს'ტის თვალსაზრისით გერმანული ნორმა უფრო მისაღებად მიმაჩნია. ჯერ ერთი უფრო მიზანშეწონილია მოპასუხეზე დაკონკრეტება, ვიდრე ზოგადად მხარეზე. ქართული დებულება კი

მოსარჩელის მიმართ დაშვებულ დარღვევასაც საქართველოში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლად განიხილავს. მოსარჩელედ ამ შემთხვევაში უცხოურ პროცესში მოგებული მხარე უნდა ვიგულისხმოთ, რომელსაც სურს თავის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების საქართველოში აღსრულება. საკითხს თუ ვინ უნდა იქნას ნორმაში ხაზგასმული, მოსარჩელე თუ მხარე, ძირითადად თეორიული დატვირთვა აქვს, ვინაიდან ამ საპროცესო დარღვევას სასამართლო, როგორც წესი, მხარის ინიციატივით განიხილავს და ნაკლებად რეალურია, რომ მოსარჩელემ შეამდგომლობა დააყენოს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე უარის თქმის მოთხოვნით იმის საფუძველზე, რომ მას უწყება არ ჩაბარებია – იგი ხომ ამ შემთხვევაში თავისი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედებს.

ქართული ნორმა არ აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება სხვა საპროცესო დარღვევებში. არადა, გერმანული ნორმა შედარებით უმარტივებს მოსამართლეს ამის გაგებას, იძლევა რა მინიშნებას დროის ფაქტორსა და ჩაბარებისთვის გათვალისწინებულ პროცედურებზე.

გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან შესაძლო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში.

იდენტური საქმის ხელახალი ცნობა და აღსრულება არ დაიშვება, რაც, რა თქმა უნდა, სავსებით გამართლებულია და არ ბადებს ბევრ შეკითხვას. ამ ნორმას ეხმაურება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტიც, რომლის თანახმადაც საქართველოს სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით. ამავე კანონის 265-ე მუხლში გათვალისწინებულია, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლო'ში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე დაყრდნობით.

ბუნებრივია, რომ ანალოგიური რეჟიმი გავრცელდება მესამე ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც ცნობილ იქნა საქართველო'ში. ჩვენ ხომ უკვე ვნახეთ, რომ ცნობის სამართლებრივი ინსტრუმენტის მეშვეობით უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება სრულფასოვნად უთანაბრდება საქართველო'ში გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას.

ვინაიდან ქართული სასაჩართლო პრაქტიკა საშუალებას არ გვაძლევს, რომ გავიგოთ, მოქმედებს თუ არა საქართველო'ში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ორმაგად აღსრულებადად გამოცხადების დაუშვებლობის დოქტრინა, ანუ *exequatur sur exeqautur ne vaut*, უნდა დავსვათ კიდევ ერთი საკითხი: რა მიდგომა ექნებათ ქართველ

მოსამართლეებს იმ შემთხვევაში, თუ საქართველომ ცნო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება და ამის შემდეგ დაისვა საკითხი მესამე სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის შესახებ, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელზე და იმავე მხარეებს შორის? ასეთ შემთხვევაშიც უპირატესობა ენიჭება იმ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც პირველად ცნო საქართველომ.[125]

ე) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ თვლება.

ამ ნორმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქართველმა მოსამართლემ შეამოწმოს, იქნებოდა თუ არა უფლებამოსილი უცხო ქვეყნის სასამართლო – ქართული სამართლის პიპოთეტური გამოყენებისას კონკრეტული გადაწყვეტილება გამოეტანა. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, ქვეყნებში, სადაც ეს წინაპირობა კანონით არის გათვალისწინებული, მასზე დაყრდნობით ცნობაზე და, შესაბამისად, აღსრულებაზე უარის თქმა პრაქტიკულად არ ხდება. ცნობაზე და აღსრულებაზე უარის თქმის ამ საფუძვლის არსებობის მიზეზად სახელდება სახელმწიფოებრივი ნება, დაშვებული არ იქნას არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისთვის იურიდიული ძალის მინიჭება და ამავროულად ხელი შეეწყოს

---

[125] ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი 2000, გვ. 160.

ეროვნული სასამართლოების მიერ მათი განსაკუთრებული კომპეტენციისგანხორციელებას.[126]

ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს.

ამ შეზღუდვას შეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი ყველაზე ხშირად ხდება უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობაზე უარის თქმის საბაბი. უცხოური აქტისადმი ნაცვალგების მოთხოვნას საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს და იგი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი კანონმდებლობის დასაბამიდანვე იყო გათვალისწინებული. ამ პირობის არსებობა ემყარება იმ მოსაზრებას, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს სახელმწიფო ძალაუფლების გამოვლენასთან, რომელზეც მოქმედებს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი.[127]

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული თანამედროვე ტენდენცია აკნინებს ამ წინაპირობის როლს და მიიჩნევა, რომ ნაცვალგების პრინციპმა მომავალში ხელი არ უნდა შეუშალოს უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას.

---

[126] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, III, Ziffer 3.

[127] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, III, Punkt 7.

ნაცვალგება რომ დაცული იყოს, ანუ არსებობდეს იმის დადასტურება, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყანაც ასევე ცნობს და აღასრულებს შესაბამისი სახელმწიფოს სასამართლო აქტებს, სასურველია სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების არსებობა. მაგალითად, ისეთი ხელშეკრულებებისა, როგორიც არის ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები საქართველოს შეთანხმება აზერბაიჯანთან ან იგივე მინსკის კონვენცია. ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორც წესი, სამართლებრივი ურთიერთდახმარების თაობაზე იდება და მათი ტექსტი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ მსარეები ცნობენ ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებებს. ეს არ ნიშნავს, რომ კატეგორიულად გამოირიცხება შესაძლებლობა, მოხდეს იმ სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, რომელთანაც მეორე ქვეყანას არა აქვს ამგვარი ხელშეკრულება დადებული, მაგრამ ამ უკანასკნელის არარსებობა არსებითად ართულებს საქმეს.

ევროპის რიგ ქვეყნებში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების არსებობისგან დამოუკიდებლად ხდება. შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის არარსებობისას, იმის დასადასტურებლად, რომ უცხო ქვეყანა ცნობს და, შესაბამისად, აღასრულებს რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებებს, კეთდება სპეციალური ანალიზი, შედეგად კი ხდება გამოკვლევა, წააწყდება თუ არა ამ სახელმწიფოს სასამართლოების მიერ მიღებული აქტები არსებითად მეტ სირთულეებს მათი ცნობისა და აღსრულებისას იმ უცხო ქვეყანაში, ვიდრე ეს იქნებოდა საპირისპირო

შემთხვევაში.[128] ანალიზისას სრულად ფასდება ამ უცხო სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის საფუძვლები და, რა თქმა უნდა, უფრო კონკრეტულად – ცნობისა და აღსრულების შესახებ ნორმები.

ამჟამად ევროპის უმრავლეს სახელმწიფოში მიიჩნევა, რომ ნაცვალგების პრინციპი დაცული არ არის მთელ რიგ სახელმწიფოებთან მიმართებაში. მაგალითად, ამ საბაბით გერმანიაში არ ხდება ისეთი მნიშვნელოვანი საჟარო პარტნიორი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა, როგორიც რუსეთის ფედერაციაა. ამის ერთ-ერთ მიზეზად ევროპელი სპეციალისტები ასახელებენ იმ ფაქტს, რომ ცალკეულ შემთხვევებში რუსი მოსამართლეები უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისას არღვევენ *revision au fond*-ის პრინციპს, ახდენენ რა საზღვარგარეთული აქტების ნაწილობრივ შინაარსობრივ გადამოწმებას.[129] ასეთი შემთხვევები შეგვიძლია მეტად ნეგატიურად შევაფასოთ, განსაკუთრებით იმ პირობებში როცა რუსეთში *revision au fond*-ის აკრძალვა კანონით არის დადგენილი.

რუსული მართლმსაჯულებაც, თავის მხრივ, ძირითადად უარს აცხადებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობაზე და აღსრულებაზე თუ არ არსებობს შესაბამის სახელმწიფოსთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულება სამართლებრივი ურთიერთდახმა-

---

[128] შდრ.: Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 587.

[129] შდრ.: Gerasimchuk, Urteilsanerkennung im deutsch-russischen Rechtsverkehr, Tuebingen, 2007, S. 58.

რების შესახებ. ამის გამო ფერხდება დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადება რუსეთის ფედერაციაში.[130]

საერთოდ, *revision au fond*, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი მრავალ ქვეყანაში, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამ კონცეფციის არსებობა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ იგი ერთნაირი სახით მოქმედებს ყველა სახელმწიფოში. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის, დსთ-ის და სხვ. ფარგლებში არსებული ნორმატიული აქტები ადგენს სხვა პარტნიორი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების არსებითი გადამოწმების დაუშვებლობას, მთელი რიგი სახელმწიფოები მესამე სახელმწიფოებთან ურთიერთობაში არ მისდევენ ამ პრინციპს. მაგალითად, საფრანგეთში, სადაც ჯერ კიდევ მძლავრია სახელმწიფო კუთვნილებაზე აქცენტირება და, შესაბამისად, საკუთარი მოქალაქეების განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ტრადიცია, შესაძლებელია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსობრივი შემოწმება, თუ იგი საფრანგეთის მოქალაქის მიმართ არის გამოტანილი.[131] მიუხედავად ამისა, *revision au fond*-ის აკრძალვა მსოფლიოს საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში ერთხმად მიიჩნევა მეტად პროგრესულ და სასურველ მოვლენად.

---

[130] შდრ.: Kurzynsky-Singer, Anerkennung auslaendischer Urteile durch russische Gerichte, Rabels Zeitschrift fuer auslaendisches und internationales Privatrecht, Band 74 (2010), Heft 3 (Juli), S. 509.

[131] შდრ.: Schmidt-Parzefall, die Auslegung des Paralleluebereinkommens von Lugano, Tuebingen, 1995, S. 3, Fussnote 9.

ნაცვალგების საკითხთან მიმართებაში გერმანული სასამართლო პრაქტიკა რუსეთის მსგავს დამოკიდებულებას ამკვიდრებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოების მიმართ, საქართველოსა, და სავარაუდოდ, უკრაინის გარდა.[132] გერმანიაში ბოლო დრომდე არ არსებობდა ერთიანი კონცეფცია იმის თაობაზე, უნდა მოხდეს თუ არა ქართული სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება ამ ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მაგალითად, ჰ. შრამი მიიჩნევს, რომ საქართველოში არსებობს ყველა წინაპირობა გერმანული სასამართლო აქტების ცნობისა და აღსრულებისთვის. აქედან გამომდინარე, იგი თვლის, რომ საქართველოსთან მიმართებაში ნაცვალგების პრინციპი დაცულია.[133] ამის საპირისპიროდ, გოტვალდი 2002 წელს საქართველოს იმ ქვეყნების ჩამონათვალში ასახელებს, რომელთა სასამართლო გადაწყვეტილებებს გერმანიაში არ ცნობენ ან არ უნდა ცნონ[134] (ვინაიდან პრეცედენტი ამ ნაშრომის გამოცემის მომენტისთვის არ არსებობდა, საქართველოსთან მიმართებაში ჰიპოთეტური ვარაუდი გამოიყენე-

---

[132] მიუხედავად დსთ-იდან საქართველოს გამოსვლისა, ჩვენი ქვეყანა რეგიონული თვალსაზრისით ხშირად ამ ორგანიზაციის სივრცეში მოიაზრება და ქართული კანონმდებლობა შედარებით-სამართლებრივი სამეცნიერო ანალიზისას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პარალელურად შეჭდება.

[133] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, III, Punkt 7.

[134] Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 5. Auflage, Koeln, 2002, S. 629.

ბოდა). სამაგიეროდ, 2007 წელს იგივე ავტორი უკვე საპირისპირო შეხედულებისაა და მიიჩნევს, რომ ნაცვალგების პრინციპი საქართველოსთან მიმართებაში დაცულია.[135] სამწუხაროდ, შესაბამისი ნაშრომის ტექსტი არ აკონკრეტებს ამ შეხედულების ცვლილების მიზეზებს და რთულია დანამდვილებით თქმა თუ რა უდევს საფუძვლად გოტვალდის მოსაზრებას – კონკრეტული სასამართლო პრეცედენტი გერმანიაში, ქართული სასამართლოს მიერ გერმანული სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა,[136] სხვა სამართალმცოდნეთა მიერ განვითარებული მოსაზრებები თუ სხვ.

რასაკვირველია, ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს მეტად თეორიული ხასიათი აქვს, ვინაიდან არ არსებობს შესაბამისი გერმანული სასამართლო პრაქტიკა ქართული სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებით, ასეთ საკითხებზე დასკვნის გაკეთების მთავარი წყარო. ამიტომ ყველაფერი გადაწყდება კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე შესაბამისი მოსამართლის მიერ. ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას შესაძლებელია არა მარტო სუფთა სამართლებრივი, არამედ ისეთი სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექ-

---

[135] Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 589.

[136] როგორც ქვემოთ დაერწმუნდებით (ქართული სასამართლო პრქტიკის მიმოხილვისას), საქართველოში 2007 წლისთვის უკვე არსებობდა გერმანული სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის პრეცედენტები, ამიტომ ნაცვალგება მისი პირდაპირი მნიშვნელობით (სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების არსებობისა და სხვა ფაქტორებისგან დამოუკიდებლად) გერმანიისთვის უზრუნველყოფილი იყო.

ტებიც გათვალისწინებაც, როგორებიც არის ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და საკანონმდებლო რეგულირება, შესაბამის სახელმწიფოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის ინტენსიობა და ა.შ.

ევროკავშირთან და მის წევრ-სახელმწიფოებთან საქართველოს კარგი ურთიერთობიდან გამომდინარე,[137] სავარაუდოდ, მაგალითად, გერმანიაში შესაბამისი შუამდგომლობის არსებობისას ქართული სასამართლო გადაწყვეტილების ცნობას ნაცვალგების არარსებობამ ხელი არ უნდა შეუშალოს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტი პირდაპირ უშვებს იმ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებების ცნობას, რომლებიც თაყის მხრივ არ ცნობენ საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუ თვით ეს აქტი შინაარსობრივად არ ეხება ქონებრივ უფლებებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის მათი ადგილობრივი განსჯადობა. ამრიგად, თუმცა ეს დებულება ზღუდავს ნაცვალგების პრინციპის მოქმედებას, მისი გამოყენების ფაქტობრივი არეალი მეტად მცირეა, რადგან დავების დიდი უმრავლესობა სწორედ რომ ქონებრივი ხასიათისაა.

---

[137] მხედველობაში უნდა მივიღოთ არა იმდენად პოლიტიკური, არამედ, პირველ რიგში, სამართლებრივი ფაქტორები, როგორებიც არის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების არსებობა, საგიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმება და სხვ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მ. ბოგუსლავსკი, ჩემი აზრით, უმართებულოდ მიიჩნევს, რომ ქართული კანონმდებლობის ამოსავალი წერტილი უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისას სწორედ ნაცვალგების პრინციპია.[138]

გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ამ პუნქტს უშუალოდ არ ასახელებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლად. ეს იმის გამო ხდება, რომ ანალოგიური შეზღუდვა თავისთავად არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში და მისი გამეორება სხვა ადგილას ან სხვა კანონში სწორად არ მიიჩნევა იურიდიული ტექნიკის მხრივ. საქართველოში, ჩემი აზრით, ამ პუნქტის გათვალისწინება სწორედ რომ მიზანშეწონილია, ვინაიდან უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის ყველა საფუძველი საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის ერთსა და იმავე მუხლშია გათვალისწინებული, რაც მოსამართლის ამოცანას ამარტივებს და, შესაბამისად, თვით გადაწყვეტილების გამოტანასაც აჩქარებს.

---

[138] შდრ: Богуславский, Международное частное право, Издание пятое, переработанное и дополненное, Москва, 2008, ст. 535.

პარალელურად ამ ნორმის გამოყენებით ხდება კანონმდებლის მიერ ნაციონალური სამართალწარმოების დაცვა, რადგან საქართველოში მიმდინარე პროცესს უპირატესობა აქვს საზღვარგარეთ გამოტანილი გადაწყვეტილების მიმართ, თუმცა ამ უპირატესობასაც კანონმდებელი საკმაოდ მართებულად უწესებს გარკვეულ ჩარჩოებს. კერძოდ, იმავე 68-ე მუხლის მე-4 პუნქტში, არსებობს შემდეგი დათქმა: „თუ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა ფერხდება იმის გამო, რომ საქართველოს სასამართლოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი იმავე მხარეებს შორის, იმავე საკითხზე და იმავე საფუძვლით, ეს გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილი იქნეს საქართველოში ამ საქმის დამთავრების შემდეგ".

ურიგო არ იქნებოდა ამ დათქმის მოთავსება არა ისედაც ვრცელი 68-ე მუხლის ბოლოს, არამედ შინაარსობრივად იმავე საკითხის მომცველ „ვ" ქვეპუნქტში.

ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

ეს პუნქტი ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ამიტომ მას ცალკე ქვეთავის ფარგლებში განვიხილავთ.

III. დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 68-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შინაარსთან მიმართებაში საზღვარგარეთ გამოითქმება განსაკუთრებით ბევრი მოსაზ-

რება და, შესაბამისად, დღემდე მიმდინარეობს გაცხოველებული დისკუსიები თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იურისტების მონაწილეობით, არსებობს მდიდარი იურიდიული ლიტერატურა და ა.შ. არ შეიძლება იმის თქმა, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ხშირია *ordre public*-ის დათქმის სახელით ცნობილი ამ პრინციპის გამოყენება, მაგრამ თავად შეზღუდვის ტექსტობრივი მხარე გვიჩვენებს, თუ რაოდენ ფართო შეიძლება იყოს მოსამართლისთვის ამ ნორმის ახსნა-განმარტების ასპარეზი.

აღიარებულია, რომ მოსამართლის მიერ ამ მოთხოვნასთან უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისობის განხილვა საჭიროებულია და ამიტომ ის მხარის შუამდგომლობისგან დამოუკიდებლად ხორციელდება. ამგვარად, ნორმა მასში ჩადებული საჯარო ინტერესის გამო მხარეთა დისპოზიციაში არ არის.[139]

ვინაიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში უშუალოდ არის გათვალისწინებული უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსობრივი გადამოწმების დაუშვებლობის პრინციპი, საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა მიიჩნევა ერთგვარ კოლიზიად, დაპირისპირებად ამ პუნქტით დადგენილი სასამართლო გადამოწმების მოვალეობასა და *revision au fond*-ის აკრძალვას შორის.[140]

---

[139] Falck, Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998, S. 55.

[140] შდრ.: Falck, Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998, S. 55.

ეს უკანასკნელი იმსახურებს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას. *revision au fond*-ის არსი იმაში მდგომარეობს, რომ განხორციელდეს უცხოური გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადება მისი კანონიერების შემოწმების გარეშე. ამ პრინციპის მიზეზია ნებისმიერი უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადება, მაშინაც კი, თუ იგი გამოყენებული სამართლის დარღვევით ან არასწორი გამოყენებით არის გამოტანილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილება სხვა ზემოთ დასახელებულ შეზღუდვებს ეწინააღმდეგება.[141]

revision au fond-ის დათქმის არსებობა განვითარებული ქვეყნების სამართალში ან სასამართლო პრაქტიკაში მოწმობს, რომ სახელმწიფოები ცდილობენ, შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყონ სასამართლო გადაწყვეტილებების სწრაფ საერთაშორისო მიმოქცევას. ამგვარად, დასავლეთში კანონმდებელი ერთგვარ შუალედურ პოზიციას ანიჭებს მოსამართლეს – თუმცა ამ უკანასკნელს აქვს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე კონტროლის ფუნქცია, მაგრამ პრაქტიკულად ის მეტად შეზღუდულია. მოსამართლის საკონტროლო ფუნქციების შეზღუდვა ვამომდინარეობს თავად სიტყვა „ძირითადის“ ახსნა-განმარტებიდან. ეს სიტყვა ამ კონკრეტულ სიტუაციაში მიგვანიშნებს, რომ კანონმდებელი ნორმაში აქსოვს თავის სურვილს, საჯარო წესრიგის შესახებ დათქმის საბაბით უცხო ქვეყნის

---

141 შდრ.: Falck, Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998, S. 55.

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გამოაცხადოს.[142]

თავად დათქმას საჯარო წესრიგის შესახებ მრავალი ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართალი ითვალისწინებს. მაგალითად, საჯარო წესრიგის დოქტრინით შვედური სამართალი უარყოფს უცხოური სამართლის დებულებების გამოყენებას, თუ მათი გამოყენება დაუპირისპირდება შვედეთის სამართლის სისტემის ფუნდამენტურ პრინციპებს.[143] უცხოეთის კერძო სამართლის დებულებებს, რომლებიც აწესებს დისკრიმინაციას რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნის მიხედვით, ვერ გამოიყენებენ შვედეთში.[144] რუსეთში საჯარო წესრიგის შესახებ დაოქმა ერთ პუნქტშია გაერთიანებული რუსეთის სუვერენიტეტის დაცვისა და ამ ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესების მოთხოვნებთან ერთად.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ მაგალითით ვერ შემოვსაზღვრავთ სახელმწიფოს საჯარო წესრიგთან შეუსაბამობის შემთხვევებს. მიიჩნევა, რომ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ", კერძოდ მისი მე-5 მუხლი, გარკვეულწილად აკონკრეტებს საჯარო წესრიგის ცნების შინაარსს და მიუთითებს, რომ საქართველოში არ გამოიყენება უცხო ქვეყნის

---

[142] შდრ.: Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, III, Punkt 6.

[143] ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი 2000, გვ. 42.

[144] ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი 2000, გვ. 42.

ნორმები,[145] თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.[146] ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „საჯარო წესრიგი" გაიგივებულია „საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან". ეს საშუალებას აძლევს სასამართლოს, შედარებით იოლად გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, ხომ არ ეწინააღმდეგება უცხო ქვეყნის სამართლის ნორმა საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, ანუ საჯარო წესრიგს.[147]

მოყვანილ ციტატებში პროფ. ლილუაშვილი საუბრობს ზოგადად საჯარო წესრიგის შესახებ დათქმაზე, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში არაერთხელ არის გათვალისწინებული. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში ეს პრინციპი ბევრად სპეციფიკურია და ცალკე ყურადღებას საჭიროებს. დასავლეთის სამართალმცოდნეობაში ერთმანეთისგან განასხვავებენ მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურ-სამართლებრივ საჯარო წესრიგს.

საერთოდ, შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი სიტუაცია, როდესაც ესა თუ ის ცნება ერთი ქვეყნის სამართლის მიხედვით მიეკუთვნება მატერიალურ სამართალს, ხოლო მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად იგივე ინსტიტუტი საპროცესო ხასიათს ატარებს.

---

[145] ან გადაწყვეტილებები, რომლებიც ასეთ ნორმებზეა დაფუძნებული.

[146] შდრ.: ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი 2000, გვ. 42.

[147] ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი 2000, გვ. 42.

რუსეთში, მაგალითად, მიაჩნიათ, რომ უცხოური ნორმატიული აქტი. როგორც წესი, არ უნდა გამოიყენონ რუსულ სასამართლო'ში იმ საკითხებზე, რომლებიც ამ ქვეყნის კანონმდებლობით პროცესუალურ-სამართლებრივ კატეგორიებად მიიჩნევა.[143] აქედან საპირისპიროდ, ის გარემოება, რომ მოცემული ნორმა სხვა ქვეყანა'ში პროცესუალურ ხასიათს ატარებს, არ ეწინააღმდეგება მის გამოყენებას რუსული სასამართლოს მიერ, თუ ჩვენს მეზობელ სახელმწიფო'ში იგი განიხილება, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ქცევის წესი. ამის უპირველესი მაგალითია ინგლისური ხანდაზმულობის ვადების გამოყენება ინგლისურ სამართალზე მითითების არსებობისას, თუმცა, საერთო სამართლის მიხედვით, მთელი ეს ინსტიტუტი – გარდა უცხოური ხანდაზმულობის ვადების გამოყენებისა – წარმოადგენს საპროცესო სამართალს.[149]

სწორედ მატერიალურ-სამართლებრივ საჯარო წესრიგთან გავაქვს საქმე პროფ. ლილუაშვილის ზემოთ მოყვანილ ციტატებში. *ordre public*-ის ეს სახე გვხდება, ვთქვათ, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლში, რომელიც ეხება ნორმების კოლიზიას. ამ დებულებით დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ვინაიდან ამ მუხლში

---

[148] Богуславский, Международное частное право, Издание пятое, переработанное и дополненное, Москва, 2008, ст. 492.

[149] Богуславский, Международное частное право, 4-е Издание, Москва, 2003, ст. 400.

შინაარსობრივად მოიაზრება უცხო სამართლის მეშვეობით საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა, საქმე გვაქვს იმ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გამოყენების დაუშვებლობასთან, რომლებიც ქართული მატერიალური სამართლის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება. ამის საპირისპიროდ, საზღვარგარეთ ითვლება, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ დებულებებში ლაპარაკია სამოქალაქო პროცესუალურ-სამართლებრივ *ordre public*-ზე.[150] ამ შემთხვევაში, როგორც წესი, უარს ამბობენ არა საჯარო წესრიგის დამრღვევ უცხოურ სამართლის ნორმაზე, არამედ მიუღებელ უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებაზე.[151]

ამრიგად, პროცესუალურ-სამართლებრივი საჯარო წესრიგის შემთხვევაში, პირველ რიგში საქმე ეხება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ფორმას, იმას, თუ რა პროცედურის შედეგად იქნა იგი გამოტანილი და ა.შ. ბუნებრივია, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისითაც იყოს მიუღებელი. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანიის უზენაესი სასამართლოს დეფინიცია:[152] „დაუშვებელია უცხოური აქტის ცნობა და აღიარება, თუ იგი გერმანული სამართლებრივი ღირებულებების ძირითად არსს და მათში განსახიერებულ სამართლიანობის წარმოდგენებს

---

[150] შდრ.: Falck, Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998, S. 55.

[151] Martiny, Handbuch des Internationalen Zivilverfahrensrechts, Band II/1, Tuebingen, 1984, S. 460, Rz. 1016.

[152] BGHZ 22, S. 24.

იმდენად ეწინააღმდეგება, რომ ნაციონალური კონცეფციის მიხედვით იგი სრულიად მიუღებელია".

მატერიალურ-სამართლებრივი საჯარო წესრიგის დარღვევად მიიჩნევა, მაგალითად, ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის წარმოუდგენელი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც პირს ქორწინების გაფორმების ვალდებულებას აკისრებს.[153]

დასავლეთის სახელმწიფოებში პროცესუალურ-სამართლებრივი საჯარო წესრიგის დარღვევით მიღებულ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმა უფრო ხშირია, ვიდრე მატერიალურ-სამართლებრივი *ordre public*-ის გამოყენება. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, შეიძლება იყოს ის, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობაში მატერიალური სამართალი ასე თუ ისე მსგავს პრინციპებს და სამართლიანობის შესახებ იდენტურ წარმოდგენებს ეფუძნება, სამართალწარმოების პროცესი კი გაცილებით მეტი ეროვნული თავისებურებით ხასიათდება. ამ კუთხით დიდი განსხვავებებია კონტინენტურ-ევროპულ და ინგლისურ-ამერიკულ სამართლებრივ ოჯახებს შორის. მაგალითად, საერთო სამართლის სისტემის პრაქტიკაში არსებობს სამოქალაქო პროცესში მოპასუხის სამართალწარმოებიდან სრული გაშოთიშვის ინსტიტუტი – *contempt of court*, ამ უკანასკნელის ბრალეულობის მიუხედავად, რომელიც საჯარიმო სანქციის სახით ხორციელდება.[154] როგორც ვხედავთ, პროცესუალურ საკითხებში არსებითი

[153] RGZ 169, S. 245 ff.

[154] Contempt of Court Act 1981 –
< http://www.legislation.gov.uk/ukpga/1981/49> [07.09.2012].

სხვაობა შეიძლება არსებობდეს დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ სახელმწიფოებს შორისაც.

სხვა საკითხია, ყოველთვის მოხდება თუ არა ასეთ სიტუაციაში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმა მისი საჯარო წესრიგთან შეუსაბამობის საბაბით. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის ზოგადი ნაწილის მოთხოვნები, განსაკუთრებით კი მე-6 მუხლი, რომელიც ეხება იმპერატიული ნორმების გამოყენებას: „ამ კანონის დებულებები არ ვრცელდება საქართველოს სამართლის იმპერატიული ნორმების მოქმედებაზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება ურთიერთობათა მოწესრიგებისას". ამ დებულების თელეოლოგიური ახსნა-განმარტებისა და კანონში მისი ადგილმდებარეობის შედეგად[155] შეიძლება მივიდეთ იმ

---

[155] აქ იგულისხმება ის გარემოება, რომ ნორმა გათვალისწინებულია კანონის ზოგად ნაწილში და, შესაბამისად, პანდექტური სამართლის თაეისებურებიდან გამომდინარე, უნივერსალური ხასიათისაა – როგორც წესი, იგი ერცელდება მთელი ნორმატიული აქტის შინაარსზე, თუ განსაკუთრებული ნაწილის სპეციალური ნორმა კონკრეტულ გარემოებასთან დაკავშირებით რაიმე განსხვავებულს არ ადგენს. მაგრამ, ვინაიდან ქართული საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემა შეიცავს არა მარტო ზოგად და განსაკუთრებულ, არამედ საპროცესო ნაწილსაც, მე-6 მუხლის მაგალითზე საკმაოდ ბუნდოვანია კანონის ზოგად და საპროცესო ნაწილებს შორის ურთიერთდამოკიდებულების დადგენა. ამ კუთხით კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია, რომ თავად საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა გაოვალისწინებულია

დასკვნამდე, რომ საქართველოს იმპერატიულ ნორმებს არა მარტო უცხო ქვეყნის სამართალი, არამედ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. თუ ნორმის ამგვარ ინტერპრეტაციას მივემხრობით, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსის საქართველოს კანონმდებლობის იმპერატიულ მოთხოვნებთან წინააღმდეგობისას მას სწორედ ამ საბაბით უნდა ეთქვას უარი ცნობასა და აღსრულებაზე. ასეთ შემთხვევაში საქმე არ გვექნება საჯარო წესრიგის შესახებ დათქმასთან, რომელიც იმპერატიულ ნორმებთან შედარებით ბევრად უფრო აბსტრაქტული ცნებაა. თუ კანონმდებელი იმპერატიული ნორმების დათქმაში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებსაც მოიაზრებს, *ordre public*-ის მოშველიება სწორედ მაშინ ხდება შესაძლებელი, როდესაც ვერ გამოიყენება მასთან შინაარსობრივად დაკავშირებული დათქმა იმპერატიული ნორმების შესახებ. ვინაიდან უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყ-

---

როგორც კანონის ზოგად ნაწილში (მატერიალურ-სამართლებრივი *ordre public*), ისე უშუალოდ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან მიმართებაში. ანუ ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, კანონმდებელმა არ მიიჩნია, რომ კანონის ზოგადი ნაწილის დათქმა ვრცელდება არა მარტო უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების გამოყენებაზე, არამედ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების შინაარსზეც და საჭიროდ ჩათვალა მისი ცალკე რეგულირება ნორმატიული აქტის საპროცესო ნაწილშიც. თუ ამ გარემოებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ უნდა მიეჩნიოთ, რომ იმპერატიული ნორმების შესახებ დათქმა თავისთავად არ ვრცელდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

ვეტილება უშუალოდ და პირდაპირ არ ეწინააღმდეგება საქართველოს არც ერთ კონკრეტულ მავალდებულებელ ქცევის წესს. მაშასადამე, სასურველია, რომ ჩვენმა კანონმდებლობამ და შეძლებისდაგვარად სასამართლო პრაქტიკამაც მეტი სიცხადე შემოიტანოს იმ საკითხში თუ როგორი ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს იმპერატიული ნორმების შესახებ დათქმა: მხოლოდ სიტყვა-სიტყვით, რაც გულისხმობს მხოლოდ უცხო ქვეყნის სამართლის უშუალო გამოყენების შემთხვევებს, თუ უფრო ფართოდ, რაც გააერცელებს მის მოქმედებას ასევე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების შინაარსზეც მისი ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადებისას.

ზემოთ ნახსენები საერთო სამართლის საპროცესო ინსტიტუტის *contempt of court*-ის გამოყენებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხი განიხილებოდა გერმანიის ფედერაციის უზენაეს სასამართლოში. სასამართლომ, ყველაფრის მიუხედავად, ცნო და აღსრულებადად გამოაცხადა ის გადაწყვეტილება, რომლის მისაღებად გამართულ პროცესში ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ეს ინსტიტუტი გამოიყენეს. საჯარო წესრიგის დარღვევა იმ საბაბით იქნა უარყოფილი, რომ მოპასუხემ თავისი არაბრალეულობის შესახებ არ განაცხადა.[156] ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ, როგორც უკვე ვიყარაუდეთ, წმინდა სამართლებრივი ასპექტების პარალელურად ზოგჯერ შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული უარის ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგებიც.

---

[156] BGHZ 48, S. 327, 333.

საინტერესოა თუ რას მოიმოქმედებდა ქართველი მოსამართლე ანალოგიურ სიტუაციაში. აშკარაა, რომ *contempt of court* ცალსახად არღვევს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შეჯიბრებითობის პრინციპს. ასე რომ, საქმე გვაქვს სწორედ ისეთ სიტუაციასთან, როგორსაც საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ პირდაპირ ითვალისწინებს – გადაწყვეტილების გამოტანის პროცედურა არ შეესაბამება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, მაგრამ, ამავდროულად, შესაძლებელია მის აღსრულებადად გამოცხადებაზე უარი იმპერატიულ ნორმასთან წინააღმდეგობის გამოც (ასეთს უდავოდ წარმოადგენს დებულება შეჯიბრებითი პრინციპის შესახებ).

ამგვარად, აუცილებელია სამართლებრივი დოქტრინის არსებობა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა ფარგლებში უნდა მოხდეს *ordre public*-ის დათქმის ახსნა-განმარტება. საქართველოში ამ მხრივ თითქმის არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა, ამიტომ კვლავ და კვლავ უცხოეთის განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილებას უნდა დაეყრდნოთ.

პრაქტიკულად არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ზუსტი ჩამონათვალი ან რაიმე წესები, რომლებიც ადგენს, თუ რა სახის უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგის მოთხოვნებს. ეს ლოგიკურიც არის, ვინაიდან ასეთი ნორმა კიდეც რომ არსებობდეს,

იგი აზრს მოკლებული იქნებოდა,[157] რადგან *ordre public*-ის დათქმის მიზანი სწორედ ის არის, რომ მოსამართლეს მიანიჭოს გარკვეული თავისუფლება, რათა ამ უკანასკნელმა გადაწყვიტოს თუ რომელი კონკრეტული უცხოური სასამართლო გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებს საჯარო წესრიგის მოთხოვნებს. საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან შეუსაბამობაში მყოფი უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების სახეების ზუსტი ჩამონათვალის დადგენა კანონის ტექსტში წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც არ იქნებოდა გამართლებული. საქმე ის არის, რომ მრავალფეროვან თანამედროვე ცხოვრებაში წარმოიშობა სულ ახალი ტიპის სამართლებრივი ურთიერთობები და, შესაბამისად, სასამართლოებს გამოაქვთ შინაარსობრივად ახალი დეტალების შემცველი სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელ- თა ცნობისა და აღსრულების საკითხი ხშირ შემთხვევაში მეტად სადავო შეიძლება იყოს. ამგვარად, მკაცრ რეგლამენტაციას აზრი არა აქვს და ყველაზე მისაღებ გამოსავლად სწორედ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე მოსამართლის შეფასება მესახება. მაგალითად, კომპიუტერული ტექნიკის, გენური ინჟინერიის და სხვ. მიღწევებიდან გამომდინარე, იდება სხვადასხვა ახალი ტიპის გარიგებები, სასამართლოებს გამოაქვთ სრულიად უპრეცედენტო გადაწყვეტილებები. ეწინააღმდეგება თუ არა, ვთქვათ, გენეტიკურად მოდიფიცირებულ საკვებ პროდუქტებზე დადებული გარიგებები საქართველოს ძირითად

---

[157] შდრ.: Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, III, Punkt 6.

სამართლებრივ პრინციპებს? ეს საკითხი დიდი უთანხმოების საგანი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის, რომელსაც ამ უკანასკნელმა აკრძალა ამგვარი პროდუქტების იმპორტი ოკეანის გაღმა მდებარე სახელმწიფოდან.[158] ადვილი წარმოსადგენია, თეორიულად მაინც, რომ ამ თემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება აღსასრულებლად იქნეს მიქცეული ისეთ ტექნოლოგიურად ჩამორჩენილ სახელმწიფოშიც კი, როგორსაც დღესდღეისობით წარმოადგენს საქართველო.

მოსამართლისთვის განსჯის თავისუფლების მინიჭება იმითაც შეიძლება გავამართლოთ, რომ გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც წარსულში საჯარო წესრიგის დარღვევად მიიჩნეოდა, ახლო მომავალში, სამართლებრივი ფასეულობების მუდმივი ცვლილების გამო შეიძლება სხვაგვარად იქნეს ინტერპრეტირებული. მაგალითად, მრავალი სპეციალისტი აკეთებს პროგნოზს, რომ ადამიანის უჯრედის კლონირება, რომელიც დღეს თითქმის ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობა კრძალავს, პოტენციურად უდიდესი სარგებლობის მომტანია კაცობრიობისთვის სამედიცინო თვალსაზრისით და სულ მალე დაიძლევა ამ კუთხით არსებული სამართლებრივი წინაღობები.[159]

ამგვარად, საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების

---

[158] შდრ.: Dalcy, EU-USA Relations - <http://www.civitas.org.uk/eufacts/FSEXR/EX7.htm> [09.03.2012]

[159] Smith, the Benefits of Human Cloning - <http://www.humancloning.org/benefits.php> [06.09.2012]

სახელების ზუსტი ჩამონათვალის არსებობა თეორიულადაც კი შეუძლებელია სამართლებრივ ურთიერთობათა მრავალრიცხოვნების გამო, რომ არაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რომ კანონმდებელი იძულებული იქნებოდა, მუდმივი შესწორებები და დამატებები შეეტანა ასეთ ჩამონათვალში.

მაშასადამე, როგორც კონტინენტურ-ევროპული სამართლის სისტემის ქვეყნებში, ისე საერთო სამართლის წიაღში საქმე გვაქვს არა ზუსტ ჩამონათვალთან, არამედ სასამართლო პრაქტიკასა და თეორიულ იურიდიულ მეცნიერებაზე დაშყარებულ დოქტრინასთან, რომელიც ადგენს საჯარო წესრიგის დაახლოებით საზღვრებს. საერთოდ, *ordre public*-ის შესახებ დათქმა ცალსახად მიიჩნევა გამონაკლის შემთხვევაში გამოსაყენებელ ნორმად, მისი სამართლებრივი ინტერპრეტაცია ხდება ვიწროდ და, შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებასთან მიმართებაში, მისი გამოყენების პრეცედენტებს მეტად იშვიათად ვაწყდებით.

ნიშანდობლივია გერმანიის ჩრდილო რაინ-ვესტფალიის ფედერალური მიწის უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული დავა, სადაც საქმე იტალიურ სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებადად გამოცხადებას ეხებოდა.[160] ეს სასამართლო აქტი საჯარო წესრიგთან შეუსაბამობის საბაბით გააპროტესტა მოპასუხემ. მან განაცხადა, რომ იტალიაში არსებული დროებითი დაყადაღება, რომლის ცალკე გასაჩივრებაც არ დაიშვება და რისი გადამოწმებაც მხოლოდ საქმის

[160] RIW 1985, S. 973 ff.

არსებითად გადაწყვეტისას ხდება, გერმანიის კონსტიტუციის 103-ე მუხლში დადგენილ სასამართლო მოსმენის პრინციპს ეწინააღმდეგება. ჩვენ უკვე ზემოთაც ვნახეთ თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო მოსმენის პრინციპის დაცვას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მიუხედავად ამისა, *ordre public*-ის დარღვევა უარყოფილ იქნა. ამ მაგალითზე ჩანს საჯარო წესრიგის შესახებ დათქმის ვიწრო გაგებით ახსნა-განმარტების კონცეფციაც და, გარკვეულწილად, სამართლებრივ-პოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებაც კონკრეტული მოსამართლეების მიერ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ევროპული თანამეგობრობის პარტნიორი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმას არამარტო იურიდიული ასპექტები გააჩნია.

საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან შეუსაბამობას შეიძლება მაშინაც ჰქონდეს ადგილი, როდესაც უცხო ქვეყანაში გამართულ პროცესში სასამართლო მოპასუხეს უარს უტყვის დაცვის უფლებაზე.[161]

კონტინენტურ-ევროპული სამართლის ქვეყნებში ამჟამად ინტენსიური დისკუსია მიმდინარეობს იმ საკითხზე, ეწინააღმდეგება თუ არა ამერიკის

---

[161] აქ იგივე წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ იმპერატიული ნორმების შესახებ დათქმაც და საშოქალაქო პროცესის რომელიმე კონკრეტული მავალდებულებელი ქცევის წესი მოვიშველიოთ, თუ მივიჩნევთ რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ კანონის მე-6 მუხლი ვრცელდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებზეც.

შეერთებულ შტატებში არსებული მოსამართლის არჩევის პრაქტიკა, რომელზედაც მეხარეებს მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა ძალუძთ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს.[162]

დასასრულს, ხაზი უნდა გავუსვათ ანგლო-ამერიკული სამართლებრივი ოჯახის კიდევ ერთი ინსტიტუტის შეუსაბამობას რომაულ-გერმანული საკანონმდებლო ტრადიციის მიმდევარი ქვეყნების საჯარო წესრიგთან. ეს გახლავთ ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ გამოყენებული *punitive damage*, ანუ სარჩელები, რომლებიც მილიონობით და ათობით მილიონობით დოლარის დავის საგანს მოიცავს. საერთო სამართლის (*common law*) პრინციპებიდან გამომდინარე, გარკვეული პირობების არსებობისას მოსამართლეს სამოქალაქო პროცესში შეუძლია მოპასუხეს დააკისროს არა მხოლოდ ჩვეულებრივი მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურება, არამედ ოავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს დამატებითი თანხის ოდენობაც, რომელიც ასევე მოპასუხეს უნდა გადახდეს.[163] ეს არის ზიანის მიმყენებლის მიმართ დამატებითი სასჯელის სახე. ანგლო-ამერიკულ სამართალში ვხვდებით *punitive damage* საპროცესო ინსტიტუტის სინონიმებსაც, როგორებიც არის *exemplary damages* ან *smart money*.[164] ასეთი სახის სარჩელები და მათი

---

[162] Schramm, GTZ Schriften. die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, III, Punkt 6.

[163] შდრ.: Brockmeier, punitive damages, multiple damages und deutscher ordre public, Tuebingen, 1999, S. 3.

[164] შდრ.: Brockmeier, punitive damages, multiple damages und deutscher ordre public, Tuebingen, 1999, S. 3.

დაკმაყოფილების შედეგად გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები. სავარაუდოდ, საქართველოშიც უნდა მივიჩნიოთ ქვეყნის ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან შეუსაბამო უცხოურ აქტებად. ზიანის ანაზღაურების შესახებ ქართული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების აშკარად უხეში ხელყოფა იქნებოდა, ვთქვათ, მრავალი მილიონი დოლარით დაეჯარიმებინათ ქართული კომპანია იმის გამო, რომ მისმა თანამშრომელმა იმდენად ცხელი ყავა მიჰყიდა კლიენტს, ამ უკანასკნელმა ყავის დალევისას დამწვრობა მიიღო (ეს მაგალითი *McDonalds*-ის წინააღმდეგ აღძრულ რეალურ სარჩელს ემყარება).[165]

გერმანიის საპროცესო სამართლებრივ საჯარო წესრიგთან შეუსაბამოდ ჰიპოთეტურად შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ის სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორებიც არის *long arm statutes*,[166] *transient jurisdiction*[167]ან *piercing of the corporate veil*[168] და სხვ.[169]

---

[165] Cain, the McDonalds Coffee Lawsuit, Journal of Consumer and Commercial Law, Volume 11, Number 1, Fall 2007 <http://www.jtexconsumerlaw.com/V11N1/Coffee.pdf> [06.09.2012]

[166] ამერიკული სასამართლოების შესაძლებლობა განახორციელონ სამართალწარმოება მოპასუხის მიმართ, რომლის ადგილსამყოფელიც საზღვარგარეთ, შესაბამისი სასამართლოს განსჯადობის ტერიტორიის გარეთ მდებარეობს.

[167] სამართალწარმოება მოპასუხის მიმართ რომელიც ამერიკული სასამართლოს განსჯადობის ტერიტორიაზე მხოლოდ დროებით იმყოფება მაგალითად ტურისტული მიზნით ან ტრანზიტით.

აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი არ აკონკრეტებს, როგორ უნდა მოახდინოს მოსამართლემ უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებაზე უარის თქმის საფუძვლის გადამოწმება, საკუთარი ინიციატივით, ანუ სამსახურეობრივი მოვალეობის ფარგლებში (ex officio) თუ დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხოლოდ მხარეთა შუამდგომლობის შედეგად. 68-ე მუხლის შინაარსიდან ამის დადგენა ძნელია (საპირისპიროა საქმე უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, რასაც ქვემოთ განვიხილავთ): „გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ....“. არადა, ეს საკითხი მეტად აქტუალურია დასავლეთის განვითარებული ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში. მისასალმებელია, რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკამ გარკვეული სიცხადე შემოიტანა ამ პრობლემატიკაში. საქართველოს უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ 68-ე მ-ს პუნქტის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტების დადგენა არა სასამართლოს მიერ ex officio, არამედ მხარის ინიციატივით უნდა მოხდეს.[170]

---

[168] გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც საწარმოს უფლება-მოვალეობები სამართლებრივად თანაბრდება მისი აქციონერების/პარტნიორების უფლება მოვალეობებთან.

[169] შდრ.: Hermann, die Anerkennung US-amerikanischer Urteile in Deutschland unter Berucksichtigung des ordre public. Frankfurt am Main, 2000. S. 145.

[170] უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, 2009 წ., № 8, გვ. 85.

საზღვარგარეთ აღიარებულია, რომ საჯარო წესრიგთან გადაწყვეტილების შესაბამისობის საკითხი ყველა შემთხვევაში უნდა შეამოწმოს მოსამართლემ. ამგვარად, ეს მის სამსახურეობრივ მოვალეობას წარმოადგენს, მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ სხვა საფუძვლები მხარის შუამდგომლობით უნდა იქნას განხილული? სხვა პირობებთან მიმართებაში არ არსებობს ერთიანი აზრი. საქართველოში ყველაფერი 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების ახსნა-განმარტებაზეა დამოკიდებული. რამდენად იმპერატიული დატვირთვა აქვს ფრაზას „გადაწყვეტილების ცნობა არ სდება, თუ...“?. განა მხოლოდ "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 68-ე II-ს პუნქტის „გ" და „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შინაარსის დადგენაა მხარის ინიციატივაზე დამოკიდებული? საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცხოური გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე მიღებული განჩინებებიდანაც ჩანს, რომ მოსამართლეები მეტწილად თავს ვალდებულად თვლიან, 68-ე მუხლში დასახელებული დანარჩენი პირობები თავად შეამოწმონ. ამგვარად, ნათელია, რომ ნორმატიული აქტის ტექსტში ამ საკითხის თაობაზე მცირე მინიშნების გაკეთება სრულიად გამართლებული იქნებოდა.

ბბ) როგორ რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებებში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობაზე უარის თქმის საკითხი

I. მინსკის კონვენცია

1993 წელს დაიდო მინსკის კონვენცია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა შორის "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ". ნიშანდობლივია, რომ ეს მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს უცხო ქვეყნის (მაშასადამე, აქ იგულისხმება სხვა წევრი-სახელმწიფო) სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობაზე და აღსრულებაზე უარის თქმის საკმაოდ განსხვავებულ საფუძვლებს ევროპულ ანალოგებთან შედარებით, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია მათი დეტალური განხილვა. თვალი გადავავლოთ ამ აქტის ჩვენთვის ღირსშესანიშნავ დებულებებს.

51-ე მუხლი ადგენს, რომ, კონვენციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, თითოეული წევრი-სახელმწიფო ცნობს და აღასრულებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გამოტანილ შემდეგ გადაწყვეტილებებს:
ა) იუსტიციის ორგანოების გადაწყვეტილებებს სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე ამ საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო მორიგებების

ჩათვლით, ასევე ფულად ვალდებულებთან დაკავშირებულ სანოტარო აქტებს:
ბ) სასამართლოების გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეებზე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

თუმცა ეს არსებულ ქაროულ ტერმინოლოგიას არ შეესაბამება, „ა“ პუნქტში ნაგულისხმევი იუსტიციის ორგანოების გადაწყვეტილებები, ჩემი აზრით, სწორედ რომ სასამართლო გადაწყვეტილებებად უნდა გავიგოთ. სავარაუდოდ, საქართველოსთან მიმართებაში აქ უნდა მოვიაზროთ მთლიანად სასამართლო ხელისუფლება.

შემდეგი 52-ე მუხლი ადგენს, რომ ამგვარი იუსტიციის ორგანოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, რომლებიც თავისი ბუნებით აღსრულებას არ საჭიროებენ, სხვა წევრ-სახელმწიფოების ტერიტორიაზე უნდა ცნონ სპეციალური სამართალწარმოების გარეშე, თუ:
ა) მეორე სახელმწიფოს იუსტიციის ორგანოებს იმავე საქმეზე არა აქვთ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;
ბ) თუ ამ კონვენციით ან მასში შესაბამისი ნორმების არარსებობის შემთხვევაში მეორადი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით საქმე არ ექვემდებარება ამ ქვეყნის განსაკუთრებულ კომპეტენციას.

52-ე მუხლის მეორე პუნქტი ადგენს, რომ იგივე ეხება მეურვეობისა და მზრუნველობის შესახებ გადაწყვეტილებებს, ასევე განქორწინების შესახებ

გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამ აქტის გამომშტანი სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანომ მიიღო.

53-ე მუხლი აწესრიგებს იძულებითი აღსრულების შესახებ შუამდგომლობაზე ნებაროვის გაცემის საკითხს, 54-ე კი გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების წესს. ვინაიდან ამ ნორმებს ჩვენ უკვე ქვემნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების პროცედურასთან მიმართებაში კიდევ შევეხებით, ყურადღება გავამახვილოთ მინსკის კონვენციის 55-ე მუხლზე – უარი გადაწყვეტილებების ცნობაზე და აღსრულებაზე. იგი ითვალისწინებს, რომ 52-ე მუხლში აღნიშნული გადაწყვეტილებების იძულებითი წესით აღსრულების ნებართვაზე უარი შეიძლება ითქვას, როცა:
ა) იმ მხარის კანონმდებლობის მიხედვით, რომლის ტერიტორიაზეც გამოტანილია გადაწყვეტილება. იგი კანონიერ ძალაში არ არის შესული ან არ ექვემდებარება აღსრულებას, იმ შემთხვევების გარდა, როცა გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს კანონიერ ძალაში მის შესვლამდე;
ბ) მოპასუხემ მონაწილეობა ვერ მიიღო პროცესში იმის გამო, რომ მას, ან სხვა უფლებამოსილ პირს, დროულად არ ჩაბარდა სასამართლო უწყება;
გ) თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელშიც უნდა ცნობილ და აღსრულებულ იქნას გადაწყვეტილება, ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე დავის საგანზე და ერთი და იმავე საფუძვლით, ადრე უკვე გამოტანილი იყო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ან ცნობილ იქნა მესამე სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილება; ასევე, თუ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე

მოცემულ საქმეზე მიმდინარეობს სამართალწარმოება;
დ) ამ კონვენციის დებულებების თანახმად, ხოლო მათი არარსებობისას იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას და აღსრულდეს, საქმე ამ სახელმწიფოს ორგანოების განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნება;
ე) არ არსებობს საბუთი, რომელიც მხარეთა მიერ სახელშეკრულებო განსჯადობის შესახებ შეთანხმების დადებას დაადასტურებდა;
ვ) იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად, რომელიც ცნობისა და აღსრულების საქმეს განიხილავს, იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა გასულია.

პირველ რიგში, ნიშანდობლივია კონვენციის არაიმპერატიული, არამომთხოვნი ტონი: „...უარი შეიძლება ითქვას იმ შემთხვევებში, თუ...“. ასეთი სიტყვათწყობა, სავარაუდოდ, დისპოზიციურობით ხასიათდება და მოსამართლეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას არანაირად არ ავალდებულებს, განსხვავებით, მაგალითად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლისგან – „გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ...“ ამგვარად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოს მოსამართლეს შეუძლია სხვა ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობაზე და აღსრულებაზე უარის თქმა ისეთი საფუძვლით, რომელიც ამ 55-ე მუხლით გათვალისწინებული არ არის. ამგვარად, ეს ნორმა უფრო მეტად ემსგავსება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე და აღსრულებაზე უარის თქმის მაგალითების ჩამონათვალს და არა

საერთაშორისო ხელშეკრულებით მყარად დადგენილ პირობებს.

თუ მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტების შინაარსი ჩვენთვის საკმაოდ კარგად ნაცნობია თავად საქართველოს შიდა კანონმდებლობიდან, იმავეს ვერ ვიტყვით დსთ-ს წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების სხვა წინაპირობებზე. „ა“ პუნქტი ყურადღებას ამახვილებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის ფაქტზე. არც დასავლეთის ქვეყნების სამართალი, საერთაშორისო ხელშეკრულებები და მათი მოდელით შექმნილი ქართული კანონმდებლობა ახდენს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, თუ ეს მოთხოვნა არ იქნა დაცული. განსხვავება ის არის, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალას ევროპაში ბუნებრივ წინაპირობად აღიქვამენ და საჭიროდ არ მიაჩნიათ შესაბამის ჩამონათვალში ასეთი კანონიერი ძალის არარსებობის ფაქტის ცალკე დამაბრკოლებელ გარემოებად გათვალისწინება. ამ მხრივ მისაბაძია საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, რომელიც არა უარის თქმის საფუძვლების ჩამონათვალში, არამედ 68-ე მუხლის პირველ ფრაზაში ადგენს: „საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს“. ევროპის მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში კი ასეთი უშუალო ნორმატიული დათქმა არ გვხვდება და საკითხი რეგულირდება სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული დოქტრინის მეშვეობით. თუ რომელი

მიდგომაა უფრო გამართლებული, თუმცა სადავო, მაგრამ, ჩემი აზრით, ნაკლებად არსებითი საკითხია.

ასევე არ ფიგურირებს ევროპულ ანალოგებში ვინსკის კონვენციის „ე" ქვეპუნქტის მსგავსი დებულება. რა მოიაზრება სახელშეკრულებო განსჯადობის შესახებ შეთანხმებაში? ვინსკის კონვენციის შესახებ არა მარტო კომენტარების, არამედ სრული და მაღალ დონეზე შესრულებული ქართული თარგმანის არარსებობის პირობებში რთულია ზემოთ დასახელებული ნორმის შინაარსის ზუსტი დადგენა. საერთოდ, სახელშეკრულებო განსჯადობის ქვეშ საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში იგულისხმება მხარეთა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ კონკრეტული საქმე განიხილოს უცხო სახელმწიფოს სასამართლომ, თუ *lex fori* (იმ სახელმწიფოს კანონი, სადაც მდებარეობს სასამართლო) ამ დავას ადგილობრივი სასამართლოს იურისდიქციას არ უქვემდებარებს. ამგვარად, მხარეები, ეყრდნობიან რა მხარეთა ავტონომიისა და სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპებს, თავად ადგენენ უფლებამოსილ სასამართლოს, თუ ამას ხელს არ უშლის კონკრეტული ქვეყნის სასამართლოთა განსაკუთრებული კომპეტენციის შესახებ იმპერატიული ნორმა. მხარეთა შეთანხმებებს, რომლებიც ადგენენ განსჯადობას, ეწოდება პროროგაციული შეთანხმებები.[171] მაგრამ ვინ მოიაზრება მხარედ მინსკის კონვენციის დასახელებული ნორმის მიხედვით, ანუ ვინ დებს სახელშეკრულებო განსჯადობის შესახებ შეთანხმებას? ლოგიკურად ეს კერძო სამართლის

[171] Богуславский, Международное частное право, Издание пятое, переработанное и дополненное, Москва, 2008, ст. 497.

ფიზიკური და იურიდიული პირები უნდა იყვნენ და არა თვით მინსკის კონვენციის წევრი-სახელმწიფოები. იმის ასოციაცია, რომ ამ მუხლში თავად კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოებია ნაგულისხმევი, შეიძლება გაჩნდეს ამ საერთაშორისო შეთანხმების მეტად ბუნდოვანი ფორმულირებიდან, რომელიც მხარეებისა და ხელშეკრულების დამდები სუბიექტების დეფინიცირებას არ ახდენს. ოუ „ე" ქვეპუნქტში სწორედ კონვენციის წევრი სახელმწიფოები იგულისხმება, მიმაჩნია, რომ ასეთი დებულების არსებობა ნამდვილად არ არის აუცილებელი. უფრო სწორად, მართებული ფორმულირება იქნებოდა, რომ პრორროგაციული შეთანხმება ამ უკანასკნელის არსებობისას თან უნდა დაერთოს შუამდგომლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება ეჭვი, რომ პრორროგაციული შეთანხმების გარეშე შუამდგომლობა საერთოდ არ მიიღება განსახილველად. შეიძლება, მხარეებს საერთოდაც არ დაედოთ ამგვარი პრორროგაციული ხელშეკრულება. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლის კოლიზიური ნორმების გამოყენებით ყველა შემთხვევაში მაინც რომელიმე სახელმწიფოს სასამართლო აღმოჩნდება ამ საქმის განხილვაზე უფლებამოსილი. ამგვარად, სახელშეკრულებო განსჯადობის შესახებ საბუთის არარსებობა არ უნდა იყოს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის დამაბრკოლებელი გარემოება. მისი დართვა შუამდგომლობაზე უნდა განვიხილოთ, როგორც ფაკულტატური პირობა.

ასევე საორჭოფოა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შეტანა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელი

გარემოებების ჩამონათვალში. ამ პუნქტის არსებობა მინსკის კონვენციაში, სავარაუდოდ, გამოწვეულია რუსული სამართლის გავლენით, სადაც ასევე ფიგურირებს ანალოგიური დებულება.[172] პრაქტიკულად მეტად რთულია პირდაპირი მნიშვნელობით ყველა იმ საფუძვლის ჩამოთვლა ერთ აქტში, რომელიც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას გაჭირიცხავს. მაგალითად, საკმარისი ზედმეტია კანონში იმის ჩაწერა, რომ არ მოხდება ისეთი უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ითვალისწინებს. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ხანდაზმულობის ვადების გასვლაზეც.

ამის საპირისპიროდ, მინსკის კონვენციაში შესული არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა უცხოური გადაწყვეტილების ცნობისთვის, კერძოდ, საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა.[173] აქედან გამომდინარე, არამართებულია ცნობაზე უარის თქმა მხოლოდ იმის გამო, რომ მხარეს დროულად არ მიაწოდეს ინფორმაცია პროცესის შესახებ.[174] ეს კრიტერიუმი არ ასახავს თემის მთავარ პრობლემატიკას, ვინაიდან ის კი არ არის მთავარი, იცოდა

---

[172] Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации - რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 2002 წ, მუხლი 412.;

[173] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, IV.

[174] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, IV.

თუ არა მხარემ პროცესის შესახებ, არამედ ის, ჰქონდა თუ არა მას თავის დაცვის საშუალება.[175]

აქედან გამომდინარე, საქართველოს დსთ-ში მონაწილეობის პერიოდში ქართველი მოსამართლე შეიძლებოდა აღმოჩენილიყო მეტად არასასარბიელო ვითარებაში – იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში იქნებოდა საქართველოს საჯარო წესრიგთან, მას ფორმალურად არ ექნებოდა უფლება, გამოეტანა განჩინება ამგვარი აქტის ცნობაზე და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ. ეს ნორმათა იერარქიის პრინციპიდან გამომდინარეობს – ჩვენ ხომ უკვე ვახსენეთ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მინსკის კონვენციას, უპირატესი ძალა აქვს შიდასახელმწიფოებრივ კანონთან შედარებით. მაშ, რა უნდა იღონოს ქართველმა მოსამართლემ ანალოგიური სიტუაციის არსებობისას? ნორმათა ამგვარი კონკურენციის საკითხებს პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მათ ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

სავსებით ლოგიკური და გამართლებულია, რომ მინსკის კონვენციაში არაფერია ნათქვამი ნაცვალგების პრინციპის დაცვაზე, ვინაიდან 51-ე მუხლი უკვე თავისთავად იოვალისწინებს, რომ ზოგადად მხარეები ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებებს ცნობენ.

---

[175] Schramm, GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen, 2002, IV.

აქვე შევეხოთ საქართველოს მიერ დადებულ ხელშეკრულებებს სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, თურქმენეთის, ბულგარეთის და თურქეთის რესპუბლიკებთან, რომლებიც ასევე ითვალისწინებენ ამ ქვეყნების გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის განსაკუთრებულ წესებს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დებულება მინსკის კონვენციის იდენტურია და ხშირ შემთხვევაში უკვე ნათქვამის გამეორება მოგვიწევს, არსებობს მთელი რიგი განსხვავებებიც. ამიტომ გადაჭარბებული არ უნდა იყოს შესაბამისი ნორმების ზუსტი ტექსტობრივი გადმოცემაც.

1996 წ. სომხეთთან დადებული ორმხრივი შეღანხმების საფუძველზე, ჩვენი სახელმწიფო ვალდებულია, ცნოს და აღასრულოს მეორე მხარის ტერიტორიაზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები. ტერმინ „სასამართლო გადაწყვეტილებებში“ საქართველოსა და სომხეთისთვის სხვადასხვა რამ შეიძლება იგულისხმებოდეს. ამიტომ ხელშეკრულება ორივე ქვეყნისთვის ცალ-ცალკე ახდენს ამ ცნების დეფინიციას. საქართველოსთვის სომხური სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს:
ა) გადაწყვეტილებებს სამოქალაქო, მათ შორის სამეურნეო საქმეებზე;
ბ) მხარეთა მორიგებებს სასამართლოში;
გ) განაჩენებს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში;
დ) დოკუმენტებს მამობის დადგენისა და საალიმენტო ვალდებულებათა შესახებ;

ე) დოკუმენტებს, რომელთაც გააჩნიათ სააღსრულებო წარწერა;
ვ) გადაწყვეტილებებს სასამართლო ხარჯების შესახებ.

აქედან გამომდინარე, ვხედავთ, რომ სომხეთთან დადებული ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ სასამართლო აქტების უფრო ფართო სპექტრს მოიცავს, ვიდრე მინსკის კონვენცია, რომლის წევრებიც არიან საქართველოც და სომხეთიც. აქედან გამომდინარე, ეს ხელშეკრულება უფრო კონკრეტულ, სპეციალურ ნორმებს შეიცავს და ორი მეზობელი ქვეყნის შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობებში სწორედ მას ენიჭება უპირატესობა.

სომხური სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობას განმცხადებელი წარუდგენს ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს; ის გადაეგზავნება ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოს. განმცხადებელს შეუძლია უშუალოდ მიმართოს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოსაც. შუამდგომლობას სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) სასამართლოს მიერ დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილების ასლი: თუ ასლში არ არის ზუსტი მინიშნება იმაზე, რომ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და შეიძლება აღსრულდეს, მაშინ მას უნდა დაერთოს ერთი ეგზემპლარი სასამართლოს ოფიციალური დოკუმენტისა

სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ;
ბ) სასამართლოს დოკუმენტი ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის[176] ტერიტორიაზე გადაწყვეტილების აღსრულებული ნაწილის შესახებ;
გ) დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ მხარეს, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას პროცესში, კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა უწყება სასამართლოში გამოცხადების შესახებ, ხოლო მისი არაქმედუნარიანობის შემთხვევაში, – რომ მას ჰყავდა შესაბამისი წარმომადგენელი.

ზემოთ დასახელებულ დოკუმენტებს თან უნდა ერთვოდეს დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის ან ხელშეკრულების მონაწილე შუამდგომლობის წარმომდგენი მხარის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული თარგმანი.

ეს ნორმები, ფაქტობრივად, არ განსხვავდება მინსკის კონვენციაში გათვალისწინებული პარალელური დებულებებისგან. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ სომხეთთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულება არ შეიცავს ფრიად ბუნდოვანი შინაარსის

---

[176] მკითხველს ვთხოვ, გაითვალისწინოს, რომ ნაშრომში აქონარიდები ნორმატიული აქტებიდან მოყვანილია სიტყვასიტყვით და დაცულია ოფიციალურ წყაროებში არსებული სიტყვათწყობა. მიუხედავად მრავალრიცხოვანი ბუნდოვანი და უზუსტო ფორმულირებისა, განსაკუთრებით ეს ეხება უცხო ენიდან თარგმნილ ტექსტებს – ავტორი ცდილობს, თავი შეიკავოს ნორმატიული მასალის პირადად თარგმნისგან და მხოლოდ გარკვეულ კომენტარებს აკეთებს განსაკუთრებით გაუგებარ საკითხებთან მიმართებაში.

ცნებას: „დოკუმენტს, რომელიც მხარეთა სახელშეკრულებო განსჯადობის შეთანხმების არსებობას ადასტურებს“.

სომხური სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისთვის მხოლოდ ოთხი დამაბრკოლებელი გარემოებაა გათვალისწინებული:
1) თუ ხელშეკრულების მონაწილე განაჩენის გამომტანი მხარის ნაციონალური კანონმდებლობის მიხედვით, გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ან აღსრულებას არ ექვემდებარება;
2) თუ ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, რომლესაც წარედგინება შუამდგომლობა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, საქმე განეკუთვნება ხალხშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის სასამართლოს განსაკუთრებულ კომპეტენციას;
3) თუ მხარეს, რომელიც არ მონაწილეობდა პროცესში, გადაწყვეტილების გამომტანი მხარის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, არ ჩაბარდა უწყება სასამართლოში გამოცხადების შესახებ ან, მისი არაქმედუნარიანობის შემთხვევაში, არ მონაწილეობდა მისი წარმომადგენელი;
4) თუ იმავე სამართლებრივ დავაზე იმავე მხარეებს შორის ხელშეკრულების შემსრულებელი მხარის სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ან იგი იმყოფება წარმოებაში, შემსრულებელი მხარის სასამართლოში, ან უკვე მოხდაამ ავე საქმეზე მესამე სახელმწიფოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ცნობა.

ცნობაზე უარის თქმის საფუძვლების მცირე რაოდენობა თავისთავად აადვილებს შესაბამის პროცედურას და მეზობელ სახელმწიფოსთან მიმართებაში სავსებით მისაღებია. სამწუხაროა, რომ ხელშეკრულებაში არ არის ჩადებული არასასურველი სასამართლო გადაწყვეტილების დაბრკოლების ყველაზე მძლავრი ბერკეტი – საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა.

აზერბაიჯანთან 1996 წ. დადებული ანალოგიური ხელშეკრულების ნორმები, რომლებიც ეხება სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმას, სასამართლო გადაწყვეტილების ცნებასა და თანდართულ დოკუმენტებს, შინაარსობრივად იდენტურია სომხეთთან დადებული ხელშეკრულებისა. უკრაინასთან მიმართებაში გამოიყენება სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის სამი საფუძველი, შესაბამის ჩამონათვალში ვერ ვხედებით დათქმას ამგვარი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ, თუმცა ეს მოთხოვნა ამ ხელშეკრულებაში მაინც არის ჩადებული, მხოლოდ სხვა ადგილას.[177]

მსგავსი დებულებები ბულგარეთთან 1995 წ. დადებულ ხელშეკრულებაშიც გვხდება იმ დამატებით, რომ იგი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების დამაბრკოლებელ გარემოებებსაც მოიცავს, რაზეც ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ. სამწუსაროდ, ეს ნორმატიული აქტი არბიტრაჟს მხოლოდ

[177] ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ", 1996 წ., მუხლი 40 (1).

გადაწყვეტილებაზე უარის თქმის საფუძვლებთან ერთად ახსენებს და ჩვენ მას ვერ ვხვდებით თვით ამ ხელშეკრულებისმიერი „გადაწყვეტილების" დეფინიციაში (ამგვარი ხელშეკრულებები ხომ თითქმის ყოველთვის განმარტავენ, თუ რა მოიაზრება ტერმინ „გადაწყვეტილების" ქვეშ). მუ-19 მუხლის შინაარსიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ გადაწყვეტილებებში უნდა ვიგულისხმოთ სახელმწიფო სასამართლოების აქტები. ამიტომ საკმაოდ მოულოდნელია, რომ, მიუხედავად ამისა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ნორმა ამ ხელშეკრულებაში მაინც გათვალისწინებულია.

1996 წ. ხელშეკრულება თურქეთის რესპუბლიკასთან „სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ" მოიცავს ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თურქული სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა, თუმცა ეს მხოლოდ სახელმწიფო სასამართლოების გადაწყვეტილებებს ეხება და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში *ordre public*-ის ნორმას ვეღარ ვხვდებით.

1996 წ. გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საქართველო ცნობს და აღსრულებადად აცხადებს თურქმენეთის ტერიტორიაზე გამოტანილი შემდეგი სახის აქტებს:

ა) სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილ ქონებრივი სახის სასამართლო გადაწყვეტილებებს;

ბ) სასამართლო გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეებზე ზიანის ანაზღაურების ნაწილში;
გ) საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საქმეებზე.

ვინაიდან 42-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩვენი კვლევის საგანი არ არის, ხოლო „გ“ ქვეპუნქტს ჩვენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში კიდევ დავუბრუნდებით, ყურადღება უნდა გავამახვილოთ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილ ქონებრივი სახის სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

ქართულ-თურქმენული ხელშეკრულების იგივე მუხლი განმარტავს, რომ ცნობასა და აღსრულებას ექვემდებარება მხოლოდ გადაწყვეტილებები, გამოტანილი იმ სამართალურთიერთობების მიმართ, რომლებიც წარმოიშვა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

ამისდა საპირისპიროდ, გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხება პირად სტატუსს, იცნობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი გამოტანილია მოცემული ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე.

ხელშეკრულების 42-ე მუხლში ხაზგასმულია ასევე, რომ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც თავისი ხასიათით აღსრულებას არ ექვემდებარებიან (მეურვეობისა და მზრუნველობის, მთელ რიგ საოჯახო საკითხებზე და სხვ.) იცნობიან სპეციალური წარმოების გარეშე. ეს დებულება, სავარაუდოდ გულისხმობს იმას, რომ ხდება ჩამოთვლილი გადაწყვეტილებების ავტომატური ცნობა.

ამ ორმხრივი სელშეკრულების ნაკლად უნდა მივიჩნიოთ მასში ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელ გარემოებათა ჩამონათვალის დუბლირება. საქმე ის არის, რომ 43-ე მუხლს ასეთი ფორმულირება აქვს: „გადაწყვეტილებები, რომლებიც მითითებულია 42-ე მუხლში, იცნობიან და აღესრულებიან ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს...“. მაშასადამე, ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ თუ სასამართლო გადაწყვეტილებები არ დააკმაყოფილებს შესაბამის პირობებს, არ მოხდება მათი ცნობა და აღსრულება. შესაბამისად, საქმე გვაქვს numerus clausus-ის პრინციპით ჩამოყალიბებულ პოზიტიურ კონსტრუქციასთან.

ამავდროულად, იმავე ხელშეკრულების 51-ე მუხლი ადგენს, რომ: „სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა ან აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ...“. გარდა იმისა, რომ ნორმა ცალსახად არაიმპერატიულად ულერს და აქედან გამომდინარე numerus clausus-ზე ამ შემთხვევაში ვერ ვილაპარაკებთ, იგი, 43-ე მუხლის არსებობის ფაქტიდან გამომდინარე, ამ ხელშეკრულებაში აშკარად ზედმეტია.

რაც შეეხება ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების კონკრეტულ სახეებს, ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

ხელშეკრულების 43-ე და 51-ე მუხლების ჩამონათვალში ვხვდებით ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ მოთხოვნებს (უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, საპროცესო ღარღვევების

არარსებობა და სხვ.), რომლებიც რიგ შემთხვევებში უფრო დეტალურად არის ჩამოყალიბებული, ვიდრე საქართველოს მიერ დადებულ სხვა ანალოგიურ საერთაშორისო ხელშეკრულებებში. ამიტომაც, საბოლოო ჯამში ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელი ვარემოებების ჩამონათვალი საკმაოდ ბევრი. კერძოდ, თერთმეტი პუნქტისგან შედგება.

საინტერესოა საჯარო წესრიგის შესახებ დათქმის ფორმულირებაც: „...გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის ძირითად პრინციპებსა და საზოგადოებრივ წესწყობილებას...“. ამგვარად, თურქმენეთთან მიმართებაში ქართული *ordre public* მეტად ფართო მნიშვნელობას იძენს და საკმაოდ აბსტრაქტულ ცნებას, „საზოგადოებრივ წესწყობილებასაც“ მოიცავს.

ჩემი აზრით, მიზანშეწონილი არ არის ამგვარი ზოგადი ხასიათის დეფინიციის არსებობა საქართველო-თურქმენეთის ხელშეკრულებაში. თუ „კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები“ მეტ-ნაკლებად გასაგები ფორმულირებაა და *ordre public*-ის სინონიმადაც შეგვიძლია განვიხილოთ, „საზოგადოებრივი წესწყობილება“ ქართული სამართალმცოდნეობისთვის მეტად ბუნდოვანი ცნებაა. შესაბამისად, მოსამართლეს, რომელსაც „საზოგადოებრივი წესწყობილების“ ახსნა-განმარტებისთვის მეტად ფართო ასპარეზი ეძლევა, არ მოიპოვება აღნიშნული ცნების ინტერპრეტაციის პრეცედენტები შიდასახელმწიფოებრივ და უცხოურ სასამართლო პრაქტიკაში. ვინაიდან იურისპრუდენცია მაინც ზუსტ მეცნიერებად რჩება, ზედმეტი აბსტრაქტულობა აქ არასასურველია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ არც ბრიუსელისა და არც ლუგანოს კონვენციის წევრი და, ბუნებრივია, მასზე არ ვრცელდება არც ევროკავშირის საბჭოს რეგლამენტი № 44/2001, საინტერესოა თუ რა პირობებს ადგენს ეს სახელმწიფოთაშორისი აქტები იმ სფეროში, რომელიც ჩვენი კვლევის საგანია.

ევროპული სახელმწიფოთაშორისი კონვენციები და ევროკავშირის მიერ უშუალოდ გამოცემული ნორმატიულ აქტები უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე და აღსრულებადად გამოცხადებაზე უარის ოთხ საფუძველს იცნობს. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ჩამონათვალით შემოვიფარგლებით, რადგან ეს პუნქტები ანალოგიურ ქართულ ნორმებთან მიმართებაშიც გვაქვს განხილული. არ მოვიყვანთ ამ თითოეული სამართლებრივი დოკუმენტის ზუსტ თარგმანსაც, რადგან შინაარსობრივად ისინი მეტწილად ერთმანეთის იდენტურია და უმნიშვნელო ტერმინოლოგიურ განსხვავებებზე შეჩერებაც არ მიმაჩნია გამართლებულად. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება არ აღსრულდება:

1. როდესაც იმ სახელმწიფოს სასამართლოები, რომელსაც მიეკუთვნება უცხოური სასამაროლო, მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობით არ არიან უფლებამოსილნი;
2. როდესაც ეს მეორად სახელმწიფოში გამოტანილ ან ადრე ცნობილ უცხოურ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება ან მის საფუძვლად

არსებული პროცესი მეორად სახელმწიფოში განსჯად პროცესთან შეუსაბამოა;

3. როდესაც გადაწყვეტილების ცნობა ეამოიწვევს მეორადი სახელმწიფოს ძირითადი სამართლებრივი პრინციპების აშკარა ხელყოფას, ვანსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ცნობა ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ლახავს;

4. როდესაც მოპასუხეს მონაწილეობა არ მიუღია პროცესში და ამის საფუძველზე აცხადებს პრეტენზიას; უწყება დადგენილი წესების შესაბამისად არ ჩაბარებია ან არადროულად ჩაბარდა, რის გამოც მას თავის დაცვა არ შეეძლო.

რასაკვირველია, ევროკავშირსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ზონაში შემავალი სახელმწიფოებისთვის არ არსებობს ნაცვალგების დაცვის წინაპირობა. იგულისხმება, და ხელშეკრულებებშიც მყარდება ის დებულება, რომ მონაწილე მხარეები ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებებს ცნობენ. აქედან გამომდინარე, ეს პუნქტი ევროპულ აქტებში არ გვხვდება.

გგ) შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების კონკურენციის საკითხი

ერთი შეხედვით, ეს თემატიკა შეიძლება აქტუალურად არ მოგვეჩვენოს, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-19 მუხლი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობასა და საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის კოლიზიის არსებობისას ცალსახად ამ უკანასკნელს ანიჭებს უპირატესობას.

რა თქმა უნდა, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ ქვეყნის უზენაეს იურიდიულ აქტს – კონსტიტუციას. ამგვარი იერარქია, თავის მხრივ, ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ანალოგიური შინაარსის დებულებას. მიუხედავად ამისა, ჩვენს თემასთან მიმართებაში შესაძლოა საკითხი ასე მარტივად ვერ გადაწყდეს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: პირველ რიგში ის, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში 15-წლიანი წევრობის პერიოდში საქართველო იყო სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ მინსკის კონვენციის წევრი, ეს საერთაშორისო ხელშეკრულება კი სწორედ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით დაიდო, რომელშიც საქართველო მუდამ პასიურ როლს თამაშობდა. მთელი რიგი პოლიტიკური მიზეზების გამო, რომელთა განხილვაც ამ კვლევაში ნაძდვილად უადგილო იქნებოდა, საქართველო მუდამ იყო ამ წარმონაქმნიდან გამოსვლის უპირველესი კანდიდატი. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საჯაროდ აცხადებდა, რომ ენთუზიაზმის გარეშე ეკიდებოდა დსთ-ს და მასში ჩვენი წევრობა მხოლოდ დროებითად მიაჩნდა. შესაბამისად, დსთ-ს ფარგლებში დადებული მრავალი შეთანხმება ხშირად მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა, ვერ სერხდებოდა მათი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია და ისინი ვერ იძენდნენ სრულფასოვანი სამართლის წყაროს როლს. ამ ფაქტში ჩვენ უშუალოდ დავრწმუნდებით ქართული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვისას, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ

მინსკის კონვენცია ყველაზე ნაკლებად შეგვიძლია მივიჩნიოთ „სიმბოლური მნიშვნელობის მქონე“ ნორმატიულ აქტად. მაშასადამე, ჩვენ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც პოლიტიკური მოვლენები არსებით გავლენას ახდენდა სამართალწარმოებაზე.

მინსკის კონვენციის მოქმედება პოტენციურად შეიცავდა რთული კოლიზიების შესაძლებლობას – დავუშვათ, რომ ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი ქვეყნის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც ცოლქმრული ღალატით მიყენებული მორალური ზიანის გამო ერთ-ერთ მეუღლეს აკისრებს ორი მილიონი დოლარის გადახდას (მაგალითად, *punitive damage*-ის კონცეფციის გამოყენებით[178]). როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ შემთხვევაში ქართველი მოსამართლე? დაუშვა საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი გადაწყვეტილების აღსრულება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, პირველ რიგში, იმიტომ არის რთული, რომ ქართულმა სახელმწიფომ მინსკის კონვენციის რატიფიცირებით ნებაყოფლობით თქვა უარი საჯარო წესრიგის შესახებ დათქმის მეშვეობით ასეთი არასასურველი სასამართლო გადაწყვეტილების თავიდან აცილების შესაძლებლობაზე. მაშასადამე, შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით, პირველ რიგში, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონით დადგენილი *ordre public* არ გამოდგება

[178] მსურს ხაზი გავუსვა იმ გარემოებას რომ ეს მხოლოდ ჰიპოთეთური მაგალითია, ვინაიდან დსთ-ის სივრცეში *punitive damage* ჯერჯერობით უცხო ინსტიტუტია.

ზემოთ მოყვანილ სამაგალითო სასამართლო გადაწყვეტილებაზე უარის თქმის საფუძვლად. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩემი აზრით, მოქმედების გარკვეულ თავისუფლებას იძლევა მინსკის კონვენციის 52-ე მუხლის სავარაუდო დისპოზიციურობა ცნობისა და აღსრულების გამომრიცხავ გარემოებებთან მიმართებაში. ქართველ მოსამართლეს საშუალება ექნებოდა, ჩვენი სახელმწიფოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან შეუსაბამო უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ქვეყნის ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებაზე უარი მინსკის კონვენციის შესაბამისი დებულების არაიმპერატიული ხასითით დაესაბუთებინა და გამოეყენებინა შიდასახელმწიფოებრივი ნორმა. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ამისთვის, ბუნებრივია, მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 68-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტით.

თუმცა, მეორე მხრივ, თუ მინსკის კონვენციის 52-ე მუხლის თელეოლოგიურ ახსნა-განმარტებას მოვახდენთ, მივალთ დასკვნამდე, რომ იქ მოყვანილი გამომრიცხავი გარემოებების ჩამონათვალი მაინც ამომწურავია, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაფიქსირებას ყოველნაირი აზრი ეკარგება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკის ვრცელი მიმოხილვა ამ ნაშრომის შემდეგ ნაწილში კიდევ შეგვხვდება, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულების კონკურენციის საკითხთან უშუალო შინაარსობრივ კავშირშია სამოქალაქო პალატის 2007 წლის 30 აპრილის განჩინება და ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, ის სწორედ აქ

განვიხილოთ. მეტიც, ამ გადაწყვეტილებამ შექმნა ასევე საქართველოს საჯარო წესრიგთან შეუსაბამობის საბაბით უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის არდაკმაყოფილების, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი პრეცედენტი. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, დეტალურად გავეცნოთ საქმის გარემოებებს:

საკასაციო პალატამ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა უკრაინის კიევის ოლქის ბორისპოლის რაიონული სასამართლოს მოსამართლის შუამდგომლობა და სასამართლოს დოკუმენტები უკრაინის კიევის ოლქის ბორისპოლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 აპრილის განაჩენის – ქონების კონფისკაციის ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ასევე უკრაინის იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა ზემოაღნიშნული განაჩენის საბამართლო ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საკასაციო პალატა გაეცნო რა შუამდგომლობებს და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უკრაინის კიევის ოლქის ბორისპოლის რაიონული სასამართლოსა და უკრაინის იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტის შუამდგომლობები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:
„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის მე-3 კარი განსაზღვრავს

კონვენციის მონაწილე ქვეყნების მიერ გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების წესებს. აღნიშნული კონვენციის 51-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობებით ცნობს და აღასრულებს სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე გამოტანილ სასამართლოს გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეებზე ზარალის ანაზღაურების შესახებ. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველი გადაწყვეტილება არ განეკუთვნება მოცემული ნორმით რეგულირებად კატეგორიას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 იელისის №1/51 გადაწყვეტილებით ცნობილი იქნა არაკონსტიტუციურად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მე-5 ნაწილის პირველი პუნქტი და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის ის ნაწილი, რომელშიც დამატებითი სასჯელის სახით გათვალისწინებულია ქონების კონფისკაცია. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი დამატებითი სასჯელის სახით ქონების კონფისკაციას არ ითვალისწინებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სამართლებრივი დახმარება არ გაიწევა, თუ შეამდგომლობის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ამდენად, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ უკრაინის კიევის ოლქის ბორისპოლის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 აპრილის განაჩენი ქონების კონფისკაციის ნაწილში,

საკასაციო პალატის მიერ არ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები სამართლებრივ დახმარებას უწევენ ერთმანეთს საპროცესო და სხვა მოქმედებათა შესრულებით, რაც გათვალისწინებულია იმ ხელშემკვრელი მხარის კარონმდებლობით, კერძოდ, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებისა და სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში – განაჩენებზე.

მითითებული კონვენციით განსაზღვრულია მხარეთა შორის სამართალდახმარების ფარგლები და იგი არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის სარჯების ანაზღაურების ნაწილში განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას.[179] [180]

განხილულ განჩინებასთან დაკავშირებით კრიტიკის სახით შეიძლება ითქვას, რომ მის ტექსტში არსად არის საუბარი საქართველოსა და უკრაინას შორის ჯერ კიდევ 1995 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და

---

[179] შდრ.: www. supremecourt.ge, სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება № ა-415-შ-28-07; 30 აპრილი, 2007 წ.

[180] აქ და ყველგან შემდგომში სასამართლო განაჩენების ტექსტები შემოკლებულია მკითხველის კომფორტისთვის, თუმცა სტილი დაცულია.

სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ". ამ საერთაშორისო ხელშეკრულებას ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ და ვიცით, რომ იგი ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების სპეციალურ წესებს. ვინაიდან ეს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება შეიცავს არა მარტო უფრო ახალ ნორმებს 1993 წლის მინსკის კონვენციასთან შედარებით, არამედ უშუალოდ საქართველოსა და უკრაინისთვის უფრო სპეციალური ნორმების წაყაროც არის, იგი ცალსახად გამოყენებული უნდა ყოფილიყო უზენაესი სასამართლოს მიერ. სამწუხაროდ, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად შევხვდებით საერთაშორისო ხელშეკრულებების სრულ იგნორირებას და ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია, მოსამართლეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ ამ საკითხზე და უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საქმის განხილვისას ყოველთვის გადაამოწმონ, ხომ არა აქვს საქართველოს შესაბამის სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულება სამართლებრივი დახმარების შესახებ.

პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ის ფაქტი, რომ ზემოთ მოყვანილ სიტუაციაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საკმაოდ მოქნილი გზა აირჩია არასასურველი უკრაინული სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის სათქმელად:[181] სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა

---

[181] ეჭვგარეშეა, რომ ქონების კონფისკაცია, როგორც სასჯელის სახე, ამ შემთხვევაში ბოლშევიკურ-საბჭოური სამართლის გადმონაშთია და უდაოა მისი შეუსაბამობა დემოკრატიული საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან.

პალატამ საკითხი სრულიად მართებულად სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის ჭრილში განიხილა რადგან მინსკის კონვენცია არეგულირებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას სამოქალაქო და საოჯახო (და არა სისხლის სამართლის) საქმეებზე. ამასთან, ის პირდაპირ არ ითვალისწინებს საჯარო წესრიგის შესახებ დათქმას. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის გამოყენებით საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობის პირობებში ფორმალურად არ იქნებოდა სწორი. რადგან მინსკის კონვენცია არ იძლევა სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობაზე უარის საფუძვლების ჩამონათვალს, უზენაესმა სასამართლომ სწორედ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 64-ე მუხლი გამოიყენა და მართებულად მოიშველია *ordre public*-ის შესახებ დათქმა.

მაგრამ ეს სწორედ ის სიტუაცია იყო, როდესაც სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობა მართლაც არსებობდა და იგი უკრაინის შესაბამისი ორგანოების მხრიდან იყო წამოყენებული. რა იქნებოდა, რომ მხარეს, რომელიც განეკუთვნება სახელმწიფოს, რომელთანაც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა (მაგალითად, ბულგარეთთან), უშუალოდ და პირადად საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან მოეთხოვა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების დაკმაყოფილება? ეს ვერ ჩაითვლებოდა სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობად და ძალაუნე-

ბურად ისეე დაეღგებოდით იმ ფაქტთან პირისპირ, რომ სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ნებისმიერ ორ- თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებაში აუცილებელია საჯარო წესრიგის შესახებ დათქმის რეგულირება.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ცხადყოფს, რომ, როცა საქმე გვაქვს ჯსთ-ის ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებასთან, რომლის აღსრულებაც ყოველნაირად ეწინააღმდეგება ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და საქართველოს შესახებ ელემენტარულ წარმოდგენებს, მის აღსრულებაზე უარის თქმა იურიდიულად გამართული სახით მეტად რთული იქნებოდა.

თეორიულად სხვა გზითაც შეიძლება წასვლა – უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის დაყენება. რასაკვირველია, ეს რთული პროცედურაა და კონსტიტუციის მეტად ფართო გაგებით ინტერპრეტაციას მოითხოვს. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ცოლქმრული ღალატის გამო 2 მილიონი დოლარის ოდენობით მორალური ზიანის კომპენსაციას ითვალისწინებს, ადამიანის უფლებებს არღვევს. ბუნებრივია, ასეთი გამოსავალი სასამართლო ხელისუფლების საერთო პოზიციასა და ნებას მოითხოვს და, ამავრდოულად, აშკარად არასასურველია იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით.

დასკვნის სახით შეიძლება დავძინოთ, რომ მინსკის კონვენციის მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობებს შორის განსხვავებების მუდმივი ზრდის პირობებში

მიზანშეუწონელია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ისეთი უნივერსალური ინსტრუმენტის გამოუყენებლობა, როგორიც არის დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ.

ბ. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები

<u>აა) ზოგადი მიმოხილვა</u>

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების მსგავსად, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობაზე და აღსრულებაზე უარის თქმა ხდება მხოლოდ კანონში უშუალოდ გათვალისწინებული საფუძვლებით. ვინაიდან 4 „ბ“ „აა“-ში 2010 წლამდე არსებული კანონმდებლობის დებულებებს უკვე შეეხეთ, მიმოვიხილოთ თუ რას ადგენს ახალი კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც გაეროს სამოდელო კანონის ნორმებს ეყრდნობა. ნიშანდობლივია, რომ ამ ნაშრომის ქვემოთ მოყვანილი ნაწილი წარმოადგენს „არბიტრაჟის შესახებ“ 2009 წლის კანონის შესაბამისი დებულებების კომენტირების ერთ-ერთ პირველ მცდელობას ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. რა თქმა უნდა, ეს ეხება მხოლოდ ამ ახალ ნორმატიულ აქტს და არა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონს, რომელიც საფუძვლიანად არის დამუშავებული ქართული სამართალმცოდნეების მიერ, გაანალიზებულია შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებითაც და

დამსახურებული კრიტიკის ქარცეცხლშიც იქნა მოქცეული.[182]

„არბიტრაჟის შესახებ“ 2009 წლის კანონი სულ რვა დამაბრკოლებელ გარემოებას იცნობს, რაც, თავის მხრივ, გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის დებულებებიდან, კერძოდ V მუხლიდან, გამომდინარეობს. იმ ფაქტმა, რომ აღნიშნული მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება მხოლოდ შვიდ დამაბრკოლებელ გარემოებას ითვალისწინებს, არ უნდა შეგვცოდვანოს შეცდომაში და გვაფიქრებინოს, თითქოს ქართულმა კანონმდებლობამ დანერგა რაიმე სიახლე ამ სფეროში. უბრალოდ, ქართული ნორმა ნიუ- იორკის კონვენციის V მუხლის ერთი ქვეპუნქტის შინაარსს (1, „ა“) ყოფს და ორ ცალკე ქვეპუნქტში აწესრიგებს („არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45.1 „ა.ა“ და „ა.ბ“).

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები პირობითად შეგვიძლია ორ ჯგუფად დავყოთ: პირველი ექვსი გარემოების გათვალისწინება ხდება მხოლოდ მხარის შუამდგომლობით (ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად – ხუთი გარემოების); დანარჩენი ორის შესაბამისობას ქართულ კანონმდებლობასთან კი, მიუხედავად მხარეთა ინიციატივისა, სასამართლო ამოწმებს. ეს პრინციპი გამოიყენება თითქმის ყველა ქვეყანაში, რადგან გაეროს ნიუ-იორკის კონვენცია 140 წევრსახელმწიფოზე მეტს აერთიანებს. ამრიგად,

---

[182] შდრ.: ცერცვაძე, დისერტაცია თემაზე: „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები“, თბილისი 2008 (დაცულია 2009 წ.).

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი პირობები სასამართლო განხილვისას მსჯელობის საგანი ხდება მხოლოდ მაშინ, „თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიმართავს სარჩელით და დაამტკიცებს, რომ...“. დარჩენილი ორი პუნქტის დისპოზიციის შემოწმების ვალდებულებას საქართველოს სასამართლოს მიერ ადასტურებს შემდეგი ფრაზა: „...სასამართლო დაადგენს, რომ...“.

გაეცნოთ ყოველ ცალკეულ საფუძველს.

<u>ბბ) უარის თქმა მხარის შუამდგომლობით</u>

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ ქართველი მოსამართლე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ადგენს შემდეგი გარემოებების არსებობის საკითხს:

1) საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე ქმედუუნარო იყო.

ამ ნორმის წყარო უდავოდ იყო ნიუ-იორკის კონვენციის V მუხლის 1, „ა“ ქვეპუნქტი, რომლის ქართულ კანონში ორ ნაწილად დაყოფის თაობაზეც უკვე მოგახსენეთ. ნიუ-იორკის კონვენცია აკონკრეტებს, რომ ქმედუუნარობა ამ შემთხვევაში განისაზღვრება იმ სამართლის მიხედვით, რომელსაც მხარეებმა თავად საარბიტრაჟო შეთანხმება დაუქვემდებარეს.

2) იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა მიუთითეს საარბიტრაჟო შეთანხმებაში, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილი იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია (45-ე მუხლის 1 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი).

ამ პუნქტში ლაპარაკია საარბიტრაჟო შეთანხმების არარაობაზე და საარბიტრაჟო განხილვის სუბიექტურ შეუძლებლობაზე.[183] იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ მხარეთა მიერ საარბიტრაჟო შეთანხმებით გამოსაყენებელი სამართლის გათვალისწინება შესაძლებელია არა მარტო წერილობითი ფორმით, არამედ კონკლუდენტური მოქმედებითაც. ეს ქვეპუნქტი გადმოსცემს გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის V მუხლის 1, „ა“ ქვეპუნქტის მეორე ნაწილის შინაარსს. ამ ნორმის (V მუხლის 1. „ა“ ქვექვეპუნქტი) გაეროს ნიუ-იორკის კონვენციისეული ფორმულირებაა:

„...ცნობა არ მოხდება... თუ... ეს შეთანხმება ძალადაკარგულია იმ კანონით, რომელსაც მხარეებმა ეს შეთანხმება დაუქვემდებარეს, ხოლო ასეთის მითითების არარსებობის შემთხვევაში, იმ ქვეყნის კანონით, სადაც გადაწყვეტილება მიიღეს“.

---

[183] შდრ: Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 817.

3) მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა საპატიო მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში (45-ე მუხლის 1 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი).

აქ ლაპარაკია მხარისთვის სასამართლო მოსმენის უზრუნველყოფის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებაზე. მიიჩნევა, რომ ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა ვუხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მიზეზობრივი კავშირი ასეთ საპროცესო ხარვეზსა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას შორის და როცა მხარეს სხვაგვარად არ შეეძლო თავისი უფლებების დაცვა.[184] შედარებისთვის კვლავ მოგვყავს გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის ანალოგიური ნორმა:
„მხარე, რომლის წინააღმდეგაც არის მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო გარჩევის თაობაზე, ან სხვა მიზეზით ვერ შეეძლო თავისი ახსნა-განმარტების წარდგენა” (V მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

[184] შდრ: Stein/Jonas, ZPO Kommentar, Tuebingen, 2002, Band 9, S.669.

4) გადაწყვეტილება გამოტანილია დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით, ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას მთლიანად ან მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს (45-ე მუხლის 1 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი).

ამ ნორმით გათვალისწინებულ უფლებამოსილების გადამეტებას საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ ყველაზე ნაკლებად ხშირად აქვს ადგილი ისეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ფორმით, რომლის დავის საგანი საარბიტრაჟო შეთანხმებით არ არის მოწესრიგებული. მაგალითად, საარბიტრაჟო პრაქტიკაში გადაწყვეტილების გამოტანისას არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა გამოიყენება არა რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს სამართლის, არამედ სამართლიანობის პრინციპები. რა თქმა უნდა, ეს ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით ნებადართული არ არის. შესაბამისად, საარბიტრაჟო სასამართლო სამართლიანობის პრინციპებით თუ გამოიტანს გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ გამოსაყენებელი საპროცესო სამართალი ამას კრძალავს, საქმე გვექნება სწორედ ამ ნორმით გათვალისწინებულ დისპოზიციასთან. ხსენებულ პუნქტთან მიმართებაში ასევე ტიპური შემთხვევაა საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ იმ სამართლის გამოყენება, რომელიც მხარეებს არ აურჩევიათ. გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის პარალელური ნორმა (V მუხლის 1. პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი) ტექსტობრივად უფრო ვრცელია:

„აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია დავის გამო, რომელიც არ არის გათვალისწინებული ან არ ექვემდებარება საარბიტრაჟო შეთანხმებას ან ხელშეკრულების საარბიტრაჟო დამატებით შენიშვნას, ან შეიცავს დადგენილებას საკითხებზე, რომლებიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების საარბიტრაჟო დამატებითი შენიშვნის ფარგლებს, ხოლო, თუ შესაძლებელია, რომ დადგენილებები ისეთ საკითხებზე, რომლებსაც მოიცავს საარბიტრაჟო შეთანხმება ან ხელშეკრულების დამატებითი შენიშვნა, ცალკე გამოიყოს იმ საკითხებიდან, რომლებსაც არ მოიცავს ასეთი შეთანხმება ან დამატებითი შენიშვნა, მაშინ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც შეიცავს დადგენილებას საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ხელშეკრულების საარბიტრაჟო დამატებითი შენიშვნით გათვალისწინებულ საკითხებზე, ექვემდებარება ცნობასა და აღსრულებას".

5) შემდეგი გამომრიცხავი გარემოებაა (45-ე მუხლის 1 პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტი), როცა: ***„არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას — იმ ქვეყნის კანონს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა".***

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადება არ დაიშვება, თუ დასტურდება საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნისას ან საარბიტრაჟო პროცესის მსვლელობისას დაშვებული ხარვეზები. ამავე დროს, არ არის სავსებით ნათელი თუ რა ფარგლებში შეუძლიათ მხარეებს მათ შეთანხმებაში სახელმწიფოს იმპერატიული საპროცესო ნორმებისგან განსხვავებული დებულე

ბების დადგენა.[185] იმაევ თემაზე გაეროს ნიუ-იორკის კონვენცია (V მუხლის 1 პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტი) ადგენს, რომ ცნობა არ ხდება, თუ:
„საარბიტრაჟო ორგანოს შემადგენლობა ან საარბიტრაჟო პროცესი არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას ან – ასეთის არასებობისას – იმ ქვეყნის კანონს, სადაც არბიტრაჟი მიეწყო“.

6) მხარეთა ინიციატივით სასამართლომ შემდეგი ფაქტების არსებობა-არარსებობაც უნდა შეამოწმოს (45-ე მუხლის 1 პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტი):

“საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ან გაუქმებულ ან შეჩერებულ იქნა იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ, სადაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი”.

როგორც უკვე ვახსენეთ, გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, მიუხედავად იმისა, საქმე გვაქვს სახელმწიფოს სასამართლოს თუ კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებულ აქტთან, აღსრულებადად გამოცხადების უშუალო წინაპირობას წარმოადგენს. მაშასადამე, გადაწყვეტილების კანონიერი ძალის შეწყვეტა ან არარსებობა არის უცხოურ საარბიტრაჟო აქტზე უარის თქმის საფუძველი. იგივე ეფექტი აქვს, რასაკვირველია, შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას. საერთაშორისო არბიტრაჟთან დაკავშირებით ყველაზე გავრცელებული საერთაშორისო ხელშეკრულება

---

[185] Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 819.

ანალოგიურ საკითხებზე შემდეგ პირობებს ითვალისწინებს (V მუხლის 1. პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი):

„გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის საბოლოო მხარეთათვის ან გაუქმებულ ან აღსრულებით შეჩერებულ იქნა იმ ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ, სადაც იგი მიიღეს ან იმ ქვეყნის ხელისუფლების მიერ, რომლის კანონიც არის გამოყენებული“.

ამგვარად, თუ თვით დაინტერესებული მხარე შუამდგომლობით არ მიმართავს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ამ პუნქტთაგან ერთ-ერთზე დაყრდნობით (აღსრულებადად გამოცხადების კონკრეტულ პროცედურულ ნორმებს ჩვენ განვიხილავთ ქვემოთ, ამ ნაშრომის 6 „ღ“ ქვეთავში) უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედების არდაშვების მოთხოვნით, იგი იცნობა და აღსრულებადად გამოცხადდება.

<u>გგ) უარი, როგორც სასამართლოს ვალდებულება</u>

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მიხედვით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეები ვალდებულნი არიან, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება (მიუხედავად მისი გამოტანის ადგილისა, ე.ი. მათ შორის უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაც) გადაამოწმონ შემდეგ ორ ნორმასთან (45-ე მუხლის 1 პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტები) მათი შესაბამისობის თაობაზე:

1) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

2) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს.

თავისთავად კანონის ტექსტში არსებული ფორმულირება „სასამართლო დაადგენს...რომ..." ნაოლად მიუთითებს, რომ ამ პუნქტებთან უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეუსაბამობის სიმძიმის სარისხის განსაზღვრა მოსამართლის შეხედულებით ხდება. გერმანულ სამართალმცოდნეობაში არსებობს მოსაზრება, რომ საქმე იმის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს, საარბიტრაჟო განხილვისას რომელი ქვეყნის სამართალი იქნა გამოყენებული.[186] თუ გამოყენებული იყო შიდა სახელმწიფობრივი სამართალი, მაშინ საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისას შინაარსობრივი შეკვეცა გახდება საჭირო, ხოლო, თუ საქმე უცხოურ სამართალს ეხება, დავის არბიტრაჟის წესით განხილვის დასაშვებობა ანალოგიური ნაციონალური სამართლის ნორმებით უნდა გადაწყდეს.[187] თავისთავად, დავის საგნის საარბიტრაჟო წესით განხილვის დასაშვებობა მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლის მიხედვით, გაერთის ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის

---

[186] შდრ: Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 820.

[187] შდრ: Stein/Jonas, ZPO Kommentar, Tuebingen, 2002, Band 9, S.692.

I პუნქტის თანახმად მხოლოდ მხარის შუამდგომლობით უნდა შემოწმდეს.[188]

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებასთან დაკავშირებითაც ცენტრალურ პრობლემასა და სადისკუსიო თემას საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა წარმოადგენს. სამწუხაროდ, გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის ჩვენს ხელთ არსებული თარგმანი[189] მეტად არაკომპეტენტურად არის შესრულებული და მასში მრავალი ტერმინოლოგიური შეცდომაა დაშვებული. მაგალითად, V მუხლის 2. პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი საუბრობს „საჯაროობის წესის" დარღვევაზე. კონვენციის ავთენტიკური ვერსიის, ანუ ინგლისური ორიგინალის გამოყენების გარეშე მხოლოდ სპეციალისტი თუ მიხვდება, რომ ლაპარაკია საჯარო წესრიგზე, რაც აბსოლუტურად სხვა ცნებაა და საჯაროობის პრინციპთან, რომელთანაც ასოციაცია შეიძლება გაგვიჩნდეს მოცემულ შემთხვევაში, არაფერი საერთო არა აქვს. ამ საკითხის ბევრ ასპექტს ჩვენ უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში უკვე შევეხეთ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობაზე და აღსრულებაზე უარი საჯარო წესრიგის დათქმის საბაბით ასევე ვიწრო გაგებით უნდა იქნას ინტერპრეტირებული და მისი გამოყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია მიზანშეწონილი. ვინაიდან ქართული კანონმდებლობა არ განასხვავებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს მათი სახელმ-

---

[188] Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 820.

[189] Codex. net 2005; საერთაშორისო ხელშეკრულებები, უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების კონვენცია.

წიფლებრივი კუთვნილების მიხედვით, მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს თუ როგორ მოეკიდებიან საჯარო წესრიგის ცნების ინტერპრეტაციას ქართველი მოსამართლეები, იქნება თუ არა პრაქტიკაშიც ერთნაირი მიდგომა ქართული და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ და სხვ. ამ შემთხვევაშიც მოსამართლემ ისე უნდა შეძლოს საქმის განხილვა, რომ არც *revision au fond*-ის აკრძალვა დაარღვიოს და არც ქართული სამართლის უმთავრესი პრინციპების აშკარა ხელყოფა დაუშვას. *ordre public*-ის დარღვევა, ფაქტობრივად, ერთადერთი შეზღუდვაა უცხოური გადაწყვეტილებების შინაარსობრივ გადამოწმებასთან მიმართებაში. ევროპულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ საჯარო წესრიგთან აქტის შესაბამისობის კონტროლის საგანი არის არა იმის დადგენა, ეწინააღმდეგება თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლის იმპერატიული ნორმები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, არამედ მარტოდენ იმაში დარწმუნება, რომ ეს აქტი აკმაყოფილებს ქვეყანაში სამართლიანი პროცესისთვის არსებულ მინიმალურ სტანდარტებს.[190]

გერმანიის უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემთხვევაში არსებითია საარბიტრაჟო სამართალწარმოებისა და, შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხარვეზის სიმძიმე;[191] თუმცა ამ კონცეფ-

---

[190] შდრ.: Schlosser, das Recht der internationalen privaten Schiedsgerichtsbarkeit, 2. Auflage, Tuebingen, 1989, S. 596, Rz. 821.

[191] BGH vom 21.10.1971, BGHZ 57, 153

ციებში ბევრი მსგავსებაა *orde public*-ის ახსნა-განმარტებასთან, რომელიც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში გამოიყენება. ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემთხვევაში ნორმის უფრო ვიწრო გაგებით ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს. ასეთი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის დებულებებიდან, ვინაიდან სასამართლო მოსმენის პრინციპის ხელყოფის ფაქტის არსებობა, რომელიც ამ საერთაშორისო ხელშეკრულების V მუხლის 1. პუნქტის „დ" ქვეპუნქტიდან გამომდინარეობს, მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოწმდება. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონი კი ასეთი შინაარსის ნორმას არ იცნობს. სახელმწიფო სასამართლოებთან მიმართებაში არ არსებობს პროცესუალური დარღვევების გამო უცხოური გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ნორმატიული საფუძველი. ასეთი დარღვევების დადასტურებისას, როგორც ზემოთ პროცესუალურ-სამართლებრივი *ordre public*-ზე საუბრისას ვახსენეთ, საქმეში ერთვება სწორედ რომ საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა და ამ კონკრეტულ სიტუაციაში სწორედ ის წარმოადგენს უცხო ქვეყნის სახელმწიფო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელ გარემოებას.

რუსეთის უზენაესმა ეკონომიკურმა სასამართლომ რუსეთის ფედერაციის საჯარო წესრიგის ცნება შემდეგნაირად განსაზღვრა: „საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილება მიიჩნევა რუსეთის საჯარო წესრიგთან შეუსაბამოდ იმ შემთხვევებში, თუ ასეთი გადაწყვეტილების აღსრულება პირდაპირ

არღვევს კანონის მოთხოვნებს; ხელყოფს ქვეყნის სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას; ლახავს დიდი სოციალური ჯგუფების ინტერესებს; შეუსაბამოა სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური ან სამართლებრივი წესრიგის ძირითად პრინციპებთან; ლახავს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს და ასევე შეუსაბამობაშია სამოქალაქო კანონმდებლობის ისეთ ფუძემდებლურ პრინციპებთან, როგორებიც არის სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე მხარეების თანასწორობა, საკუთრების ხელშეუხებლობა და სახელშეკრულებო თავისუფლება".[192]

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ძირითად საშართლებრივ პრინციპებთან უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესაბამისობის საკითხი მოსამართლის მიერ მოწმდება, მიუხედავად მხარის შუამდგომლობის არსებობისა. ამგვარად, საპროცესო დარღვევები, გვეელინება რა კანონის ცალკე მუხლის დისპოზიციად, საქართველოს უარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან დამოკიდებულებაში არ წარმოადგენს ქვეყნის საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილს. ეს არსებით განსხვავებას იძლევა *ordre public*-ის ახსნაგანმარტების საკითხში უცხოურ სასამართლო და საარბიტრაჟო აქტებს შორის.

სამართლის შეფარდებისას დაშვებული აშკარა შეცდომებიც კი, როგორც წესი, არ უნდა შეფასდეს,

---

[192] Kurzynsky-Singer/Davydenko, Materiellrechtlicher ordre public bei der Anerkennung und Vollstreckbarerklärung von schiedsgerichtlichen Urteilen in der Russischen Föderation, SchiedsVZ (Zeitschrift fuer Schiedsverfahren), 4/2010, S. 204.

როგორც საჯარო წესრიგის დარღვევა.[193] საფრანგეთში მატერიალურ-სამართლებრივი *ordre public*-ის დარღვევად მიიჩნევენ საერთაშორისო ვაჭრობაში ქრთამის მიცემას.[194] საერთაშორისო არბიტრაჟშიც არანაკლებ აქტუალურია ამერიკული *punitive damage*-ის კონცეფციის საჯარო წესრიგთან შესაბამისობის საკითხი, თუმცა ამ თემაზე დეტალური საუბარი შორს წაგვიყვანდა. დავძენთ მხოლოდ, რომ, გერმანიის მსგავსად, სადაც ქვექნის ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან წინააღმდეგობაშია ამგვარი ფულადი ჯარიმების შემცველი გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, თუ მხარისთვის მისჯილი ფულადი თანხა აღემატება ზიანის ანაზღაურებისა და სასამართლო ხარჯების ჯამს,[195] *punitive damage*-ის კონცეფცია ქართული სამართლისთვისაც მიუღებელი უნდა იყოს. ამ მოსაზრების დასაბუთება შესაძლებელია თუნდაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 414-ე მუხლით: „ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ".

მაშასადამე, ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისგან მიღებულ სარგებელსა და *punitive damage*-ით დაკისრებულ ასტრონომიულ თანხებს შორის, როგორც წესი, დიდი განსხვავებაა.

---

[193] Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 821.

[194] Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 821.

[195] Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 821.

შიდასახელმწიფოებრიეი კანონმდებლობით აკრძალული ქმედების ჩადენა, გერმანიის მსგავსად,[196] სავარაუდოდ, საქართველოს საჯარო წესრიგსაც უნდა ეწინააღმდეგებოდეს. რა თქმა უნდა, იგივე შეიძლება ითქვას სამართლიანი პროცესის პრინციპების დარღვევაზე, როგორებიც არის მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, საარბიტრაჟო სასამართლოს დამოუკიდებლობა და ა.შ.

საინტერესოა, რომ საქართველოსა და ბულგარეთს შორის 1996 წ. დადებული ხელშეკრულება „სამოქალაქო სამართლებრიე საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ" ასევე მოიცავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობაზე და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს. იგი გაეროს ნიუ-იორკის კონვენციასთან შედარებით უფრო ამარტივებს ამ პროცედურას, ვინაიდან ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებების რიცხვში ვერ ეხვდებით მათგან უმნიშვნელოვანესს – საჯარო წესრიგის შესახებ დათქმას. ბულგარეთის სახელმწიფო სასამართლოების გადაწყვეტილებების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლების გარდა (რომლებიც საქართველოს მიერ დადებული სხვა ორმხრივი ხელშეკრულებების შესაბამისი დებულებების ანალოგიურია), ამ ქვეყანაში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ჩვენში არ აღსრულდება, როცა:

ა) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია დავაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული ან არ ხვდება ხელშეკრულების საარბიტრაჟო შეთანხმების ან დათქმის პირობებში;

---

[196] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1341, Rz. 3921.

ბ) საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობა არ შეესაბამება მხარეთა შეთანხმებას ან საარბიტრაჟო დათქმას ხელშეკრულებაში, ან არ შეესატყვისება ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობას, სადაც ადგილი ჰქონდა საარბიტრაჟო განხილვას;

გ) მხარეები სათანადო წესით არ იქნენ გაფრთხილებულნი არბიტრის ან საარბიტრაჟო განხილვის დანიშვნის თაობაზე.

ჩემი აზრით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებაში საჯარო წესრიგის ნორმაზე უარის თქმა არანაკლებ გაუმართლებელია, ვიდრე *ordre public*-ის დათქმის იგნორირება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში. საქართველოს არც ერთ სხვა სახელმწიფოსთან (მითუმეტეს ბულგარეთთან) არა აქვს მიღწეული სამართლებრივი ჰარმონიზაციის ის დონე, რომ შეგნებულად თქვას უარი უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების ყველაზე მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ გარემოებაზე.

საპირისპირო მდგომარეობაა თურქეთთან დადებულ ხელშეკრულებაში, რომელიც ითვალისწინებს საჯარო წესრიგის შესახებ დათქმას და ვრცელდება თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ (II ორმხრივი ხელშეკრულებები, გვ. 78), საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება სამართლებ-

რიგი დახმარების შესახებ საქართველოსა და თურქმენეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაშიც არის გათვალისწინებული. ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის ქვეყნებს შორის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ხელშეკრულებების დადება თითქმის არ ხდება, რადგან ისედაც მოქმედებს ამ სფეროში ყველაზე ხელსაყრელი ინსტრუმენტი – გაეროს ნიუ-იორკის კონვენცია. ამგვარად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ჩართვა ორმხრივ სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებში ზედმეტად მესახება.

აღსანიშნავია, რომ ბულგარეთთან დადებული ეს ხელშეკრულება უფრო სპეციალურ ქცევის წესებს შეიცავს ნიუ-იორკის კონვენციასთან შედარებით და, მაშასადამე, ამ სახელმწიფოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების წარმოებაში მიღებისას ქართველ მოსამართლეებს არ უნდა გამორჩეთ ეს ნორმატიული აქტი.

თუმცა საქართველო არ არის და არც ყოფილა სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული დავების განხილვის წესის შესახებ კიევის 1992 წ. შეთანხმების წევრი, საინტერესოა თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსასრულებლად მიქცევის როგორ სამართლებრივ რეჟიმს ადგენს ეს აქტი ჩვენს მეზობელ, ყოფილ „მოძმე რესპუბლიკებთან“ მიმართებაში. ამ აქტისადმი ინტერესი იმ ფაქტორითაც შეგვიძლია დავასაბუთოთ, რომ გავაცნობიეროთ, არის თუ არა მის დებულებებში საქართველოსთვის რაიმე ხელსაყრელი და აქვს თუ არა აზრი მასთან შეერთებას შესაბამისი პოლიტიკური პირობების არსებობის შემთხვევაში.

ამ საერთაშორისო ხელშეკრულების მე-9 მუხლი ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმა შესაძლებელია იმ მხარის შუამდგომლობით, რომლის წინააღმდეგაც არის გამოტანილი ეს გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, იმ მხარეს, რომელიც ეწინააღმდეგება აღსრულების ბრძანებას, ეკისრება ტვირთი, დაამტკიცოს, რომ არსებობს ერთ-ერთი ის საფუძველი, რომელიც ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტშია ჩამოთვლილი. ამ ტვირთის ფარგლებში მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ:

„ა) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის იმ სასამართლოს მიერ, რომელშიც აღძრულია შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ, იმავე სარჩელით, იმავე დავის საგანზე, იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძვლით უკვე გამოტანილი იყო კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება;

ბ) არსებობს მესამე სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, არის ეს ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი თუ არა, რომელიც მოიცავს იმავე სარჩელს, იმავე დავის საგანს, იმავე მხარეებსა და იმავე საფუძველს;

გ) საქმე განიხილა ამ ხელშეკრულების მიხედვით არაუფლებამოსილმა სასამართლომ;

დ) მეორე მხარე გაფრთხილებული არ ყოფილა პროცესის შესახებ;

ე) გასულია გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულებისთვის წარდგენის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა“.

კიევის შეთანხმებაში აღსანიშნავია რამდენიმე ასპექტი. პირველ რიგში, თვალშისაცემია, რომ უფლებამოსილი სახელმწიფო სასამართლო არ ახორციელებს უცხოური საარბიტრაჟო აქტის ცნობას. უფრო სწორად, ცნობა თავისთავადია და მისი დამაბრკოლებელი გარემოებების შემოწმებისგან დამოუკიდებლად ხდება. შესაბამისად, საქმე ეხება უშუალოდ გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმას. გარდა ამისა, როგორც ტექსტიდან ჩანს, უფლებამოსილი სასამართლო საქმეს საერთოდ არ განიხილავს, თუ მოვალე არ შეეცდება აღსრულების შეჩერებას. ამრიგად, აღსასრულებლად მიქცევის მთელი პროცესი ხორციელდება მხარის ინიციატივით და არა როგორც მოსამართლის სამსახურებრივი მოვალეობა.

ამ მონაცემების შეჯამებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კიევის შეთანხმება უშვებს საალსრულებო ფურცლის გაცემას უშუალოდ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ, ე.ი. ჩვენს შემთხვევაში, უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ. თუმცა რუსი სამართალმცოდნეები ირიბად აღიარებენ ხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულების ფორმულირების არასრულყოფილებას[197] მიიჩნევენ, რომ პრაქტიკაში საალსრულებო

[197] აღსრულებადად გამოცხადებისთვის საჭიროებულო დოკუმენტებს შორის შეთანხმების მე-8 მუხლი ასახელებს საალსრულებო დოკუმენტს, თუმცა არ აკონკრეტებს მის გამცემ მხარეს. შინაარსის სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტებით გამომდინარეობს,

ფურცელი გაიცემა იმ სასამართლოს მიერ, რომელიც ახორციელებს უცხოური სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობას.[198] თუ ღასაშვები იქნება სააღსრულებო ფურცლის გაცემა უცხოური არბიტრაჟის მიერ, თეორიულად კვლავ დგება სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პრინციპის ხელყოფის საკითხი, რადგან უცხოური აქტი შეიძლება ქვეყანაში აღსრულდეს ისე, რომ არ დაექვემდებაროს მეორადი სახელმწიფოს სასამართლო ორგანოების კონტროლს. გარდა ამისა, მინსკის კონვენციის მსგავსად, შეთანხმებაში არ დევს საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა. ეს კიდევ უფრო უმცირებს მოვალეს იმის შესაძლებლობას, რომ მან თავიდან აიცილოს მის წინააღმდეგ აღსრულება.

ამგვარად, კიევის შეთანხმების ეს დებულებები ემსგავსება არა იმდენად სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის გადმონაშთს.

გ. არის თუ არა უცხოური გადაწყვეტილებების ცნობის წინაპირობები მათი აღსრულებადად გამოცხადების წინაპირობების იდენტური?

სანამ უშუალოდ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების პროცედურის აღწერას შევუდგებოდეთ, მიზანშეწო-

---

რომ სააღსრულებო დოკუმენტს გასცემს პირველადი სახელმწიფოს მოსამართლე.

[198] შდრ.: под редакцией Яркова, Арбитражный процесс, 3-е Издание, Москва, 2008, ст. 538.

ნილად მიმაჩნია ყურადღების გამახვილება კითხვაზე, ემთხვევა თუ არა ამ ორი სახის აქტის ცნობის წინაპირობები აღსრულებადად გამოცხადების წინაპირობებს. ზემოთ ჩვენ ამ კატეგორიებს სინონიმებად ვიყენებდით და, როგორც წესი, ეს მართებულიც არის, მაგრამ არსებობს რამდენიმე დეტალი, რომლებსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ. უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ, თუმცა, ცნობისა და აღსრულების წინაპირობები ერთმანეთის პარალელურია, ისინი შინაარსობრივად სრულად არ შეესატყვისებიან ერთმანეთს.[199] მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, რომლის აღსრულებადად გამოცხადება არ არის შესაძლებელი, რადგან ამასობაში მოვალემ უკვე შეასრულა თავისი ვალდებულება.[200] ასევე გამოირიცხება იმ სააღსრულებო ფურცლის აღსრულებადად გამოცხადება, რომელიც პირველადი სახელმწიფოს კანონმდებლობით აღსრულებას არ ექვემდებარება.[201] როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევებში აღსრულებადად გამოცხადების ასპარეზი უფრო ვიწროა, ვიდრე ცნობისა.

ამის საპირისპიროდ, საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს გადაწყვეტილებათა ისეთი ნაირსახეობები, რომლებსაც, თუმცა შეიძლება აღსასრულებლად იქნენ მიქცეულნი, არა აქვთ ცნობისთვის აუცილებელი ნიშან-თვისებები (მაგალითად, სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით გათვალის-

---

[199] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1089, Rz. 3106.

[200] Schack, S. 345.

[201] შდრ.: Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 641.

წინებული საპროცესო მორიგებები[202]). რეალურად საქმე შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლში ჩამოთვლილი პირობები ვრცელდება ცნობაზეც და აღსრულებაზეც, მაგრამ თუ ეს წინაპირობები ცნობისთვის *numerus clausus*-ის პრინციპს ეფუძნება, ანუ ამომწურავია, იმავეს ვერ ვიტყვით აღსრულებადად გამოცხადების დამაბრკოლებელ გარემოებებზე. კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებას უარი ეთქვას აღსრულებადად გამოცხადებაზე 68-ე მუხლში გაუთვალისწინებელი მიზეზებითაც. ვინაიდან ასეთი პრეცედენტი ქართული სასამართლო პრაქტიკიდან ნაშრომის ავტორისთვის ჯერ ცნობილი არ არის, მოვიშველიოთ ისევ გერმანული გამოცდილება. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების არდაშვება შეიძლება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა მოპასუხეს კანონიერი პრეტენზიები აქვს უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნის მიმართ. უცხოელი სამართალმცოდნეები ასახელებენ სხვა საფუძვლებსაც: მაგალითად, იმ სახელმწიფოს განსჯადობის საეალდებულოობა აღსასრულებელი მოთხოვნის მიმართ, რომელმაც უნდა მოახდინოს აღსრულებადად გამოცხადება, რაც, ფაქტობრივად, მეორადი სახელმწიფოს სასამართლოების განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას გულისხმობს. ბევრ ქვეყანაში ეს პუნქტი არ არის ცნობის დამაბრკოლებელი გარემოება.

---

[202] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1089, Rz. 3106.

ამგვარად, თუმცა უცხოური გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადების წინაპირობები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, რის შედეგადაც ამ სამართლებრივ ინსტიტუტთაგან ერთ-ერთის განხილვისას აუცილებელია მეორის გაშუქებაც, მათი დამაბრკოლებელი გარემოებების ცნებები ერთმანეთს სრულად არ შეესატყვისება.

6. აღსრულებადად გამოცხადების პროცედურა

ა. *უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები*

<u>აა) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით</u>

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების პროცედურა აღწერილია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე და 71-ე მუხლებში. თუ მათ შინაარსს გავეცნობით, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ამ შემთხვევაში ტერმინ „აღსრულებადად გამოცხადების" ხმარება უფრო მართებულია, ვიდრე აღსრულებისა. ეს ნორმები აწესრიგებს მხოლოდ სასამართლოს შესაბამის საქმიანობას და არა სააღსრულებო წარმოების განმახორციელებელი ორგანოების მოქმედებებს.

როგორც უკვე ვიცით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონით დადგენილი ქცევის წესები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს სახელმწიფოთაშორისი

ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა დებულებები, რომლებიც, როგორც წესი, უცხოური გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების პროცედურას კიდევ უფრო ამარტივებენ. ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ, თუმცა ქართული სამართალი არ ვამოირჩევა ამგვარი საერთაშორისო ხელშეკრულებების სიმრავლით, არსებულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია მინსკის კონვენციის გამოყენება. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მიუხედავად პოლიტიკური პერიპეტიებისა, ხშირი და მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებთ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან.

საზღვარგარეთ შეუდარებლად დიდია უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით აღსრულებადად გამოცხადების რაოდენობა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობაში, განსხვავებით ქართული სამართლისგან, არ არსებობს უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების ცალკე პროცედურა, აქ გათვალისწინებულია ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოების წესი. ბუნებრივია, რომ ეს ხელს არ უწყობს პროცესის სისწრაფეს და ასეთი სამართალწარმოება სახარბიელო არც სასამართლო ხარჯების მხრივ არის.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლი ადგენს, რომ სამოქალაქო და შრომის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი

ექვემდებარებიან აღსრულებას. აქ პირველ რიგში იგულისხმება აღსრულების უმთავრესი წინაპირობა – ცნობა.

აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებას ახდენს განჩინების სახით. განჩინების მისაღებად საჭიროა შუამდგომლობა შესაბამისი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ. აქ თვალნათლივ ჩანს, რომ ცნობა და აღსრულებადად გამოცხადება ერთი პროცესია და, თუმცა კანონი არ იცნობს ცალკე შუამდგომლობას ცნობის თაობაზე, ეს ორი ტერმინი აქაც ერთმანეთის ეკვივალენტურად გვხვდება.

ყველაფერი უფრო თვალნათელი რომ გახდეს, მიზანშეწონილია კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ცნობა თავისთავად ხდება, ანუ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება ავტომატურად არის ცნობილი, თუ იგი 68-ე მუხლში განსაზღვრულ წინაპირობებს აკმაყოფილებს. სამართლებრივი შედეგის ავტომატურად დადგომის კუთხით (და არა შინაარსობრივი მსგავსებით), შეიძლება პარალელის გავლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლით დადგენილ ბათილ გარიგებებთან, რომლებიც ავტომატურად არანაირი იურიდიული შედეგის მომტანი არ არის. ამგვარად, ცნობის სახით საქმე გვაქვს მოვლენასთან, რომლის დადგომა დამოუკიდებელია

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისგან ან რაიმე სხვა აქტისგან.

შუამდგომლობას უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასთან დაკავშირებით თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე, ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობა ტექსტიდან არ გამომდინარეობს. ამრიგად, ცნობა გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებლობის შესახებ ფაკულტატური ხასიათის საბუთია, ვინაიდან, როგორც წესი, თვით უცხოური სასამართლო აქტის შინაარსი მეტყველებს ასეთი აუცილებლობის შესახებ.

როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როდესაც შუამდგომლობა აღსრულების შესახებ არ შეიცავს საჭირო მონაცემებს ან მას არ ერთვის ყველა აუცილებელი დოკუმენტი? ამ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლო გამოიყენებს ჩვეულებრივ სასარჩელო წარმოებასთან დაკავშირებულ ანალოგიურ ნორმებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის ძალით, თუ სარჩელს თან დართული არა აქვს შესაბამისი დოკუმენტები ან არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო გამოიტანს განჩინებას ამ ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს მისცემს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ

შემთხვევაში სასამართლო სარჩელს უმოძრაოდ დატოვებს და მოსარჩელეს დაუბრუნებს. სასამართლოს განჩინებაზე სარჩელის უმოძრაოდ დატოვებისა და მისი მოსარჩელისთვის დაბრუნების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ვფიქრობ, ეს ნორმები შინაარსობრივად სავსებით შეესატყვისება შუამდგომლობას უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ.

71-ე მუხლის მე-2 პუნქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ შუამდგომლობის განხილვის პროცესში უნდა დადგინდეს, დაცულია თუ არა ამ კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები, ანუ დებულებები ცნობის შესახებ.

საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას უნდა განემარტოს, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება; აგრეთვე, უნდა განემარტოს, რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ იგი ამას მოითხოვს. ეს დებულებები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ უცხოური გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების პროცედურა გამარტივებულია ჩვეულებრივ სამართალწარმოებასთან შედარებით. ფაკულტატურია საქმის ზეპირი განხილვაც.

71-ე მუხლში ვხვდებით აშკარა ტერმინოლოგიურ გაუგებრობას. სავარაუდოდ, საქმე გვაქვს უბრალო ტექსტობრივ შეცდომასთან: „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე გადაწყვეტილებას საქართველოს სასამართლო იღებს დადგენილების ფორმით". ჩვენ ხომ უკვე ვნახეთ (3. „ა"), რომ დადგენილება საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით არის ყველა სასამართლო აქტების კრებითი დასახელება. მაშ რით, თუ არა უბრალო შეცდომით, უნდა ავხსნათ ეს გაუგებრობა? მით უმეტეს, რომ ქვემოთ არაერთხელ შეეხვდებით განჩინებებს და არა დადგენილებებს უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ. შინარსობრიეადაც უფრო ლოგიკურია, რომ უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში განჩინება იქნას გამოყენებული – ამ აქტებით საქმე თავისთავად არსებითად არ წყდება, ვინაიდან ხდება მხოლოდ გარკვეული პირობების შემოწმება. ამგვარად, უნდა ამოვიდეთ ვარაუდიდან, რომ 71-ე მუხლში უზუსტობაა დაშვებული, რადგან პრაქტიკაში გამოიტანება უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ განჩინება.

<u>ბბ) აღსრულებადად გამოცხადების სხვადასხვა ასპექტები</u>

მანამ, სანამ წარმოდგენას შევიქმნით არსებულ ქართულ სასამართლო პრაქტიკაზე უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადების საქმეებთან დაკავშირებით, საინტერესო იქნება ამ მხრივ საზღვარგარეთის გამოცდილების ზოგიერთი ასპექტის გაცნობა და შესაბამისი პარალელების გავლება ქართულ სინამდვილესთან.

არაერთ ქვეყანაში შესაბამისი კომპეტენცია აქვს სამართლის ცალკეულ დარგებში სპეციალიზებულ სასამართლოებსაც. ამის კარგი მაგალითია გერმანია, სადაც სამოქალაქო სამართალწარმოება

გაყოფილია და ხორციელდება ფინანსური, საოჯახო, შრომისა და სხვ. სასამართლოების მიერ. ამ პერსპექტივიდან საინტერესოა, ხომ არ გამოიწვევდა ამგვარი დარგობრივი განსჯადობა უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების უფლებამოსილების დაქსაქსვას. აქ, პირველ რიგში, საქმე ეხება შრომისა და საოჯახო სასამართლოებს,[203] ვინაიდან სწორედ შესაბამის სამართლის დარგებზე მოდის უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობების მნიშვნელოვანი ნაწილი. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ გადაწყვიტა ეს საკითხი, როცა დაადგინა: „სამართლის დარგზე საქმეთა ერთობლივი განხილვის უზრუნველსაყოფად" საოჯახო საქმეებზე აღსრულებადად გამოცხადება საოჯახო სასამართლოებმა უნდა განახორციელონ.[204] სამაგიეროდ, შრომით-სამართლებრივი უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადება არა შრომის სასამართლოების, არამედ ჩვეულებრივი სამოქალაქო სასამართლოების კომპეტენციას განეკუთვნება.[205]

უცხოეთის დოქტრინაში სადავოა, აქვს თუ არა მოპასუხეს აღსრულებადად გამოცხადების საქმეში შეგებებული სარჩელის აღძვრის უფლება.[206] მიიჩნევა, რომ მას აქვს უფლება, შუამდგომლობა აღძრას იმ ფაქტის დადასტურების მიზნით, რომ

---

[203] შდრ.: Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 5. Auflage, Muenchen, 2010, S. 348.
[204] BGHZ, 88, 113, 115.
[205] BGHZ, 42, 194.
[206] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1116, Rz. 3169-3170.

უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებას ქვეყნის შიგნით არა აქვს იურიდიული ძალა. უფრო კონკრეტულად აქ საქმე ეხება გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიერ დამკვიდრებულ მიდგომას, რომ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი არა აღსრულებადად გამოცხადების დაუშვებლობის მოთხოვნით, არამედ იმ საბაბით, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება არაცნობისუნარიანია.[207]

აუცილებელია, შევეხოთ იმ საკითხს, თუ რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადობის დაკარგვას მის გამომტან სახელმწიფოში. დაკარგავს თუ არა იგი ავტომატურად საქართველოშიც იურიდიულ ძალას? სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი აზრი თუ რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება სააღსრულებო ფურცლის უცხო ქვეყანაში ძალადაკარგულად გამოცხადებას და თავისთავად ნიშნავს თუ არა ეს ფაქტი იმავე შედეგის დადგომას მეორე ქვეყანაშიც.

ჩემი აზრით, მეორად ქვეყანაში აღსრულებადობის დაკარგვა ავტომატურად არ უნდა მოხდეს, ვინაიდან საქართველოში უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების პროცესის დავის საგანია სწორედ ქვეყნის შიდა აღსრულებადობის მინიჭება და არა უცხოური სამართლის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა. ამგვარად, აღსრულებადობის მინიჭება მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი განჩინების ძალით ხდება. ამიტომ, ეს აღსრულებადობა რომ ძალადაკარგულად იქნეს

[207] Zoeller, Zivilprozessordnung, 29. Auflage, Koeln, 2012, S. 1641, Rz.. 76.

აღიარებული, მოპასუხეს ქართული სასამართლოს ახალი განჩინება სჭირდება. ამ მხრივ, რთული სიტუაციაა, ვინაიდან, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, უცხოური გადაწყვეტილებების ცხობაზე და აღსრულებაზე მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები საბოლოოა და არ საჩივრდება. მაშ, როგორ უნდა მოიქცეს მოპასუხე მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება მის გამომტან სახელმწიფოში ძალადაკარგულად იქნა აღიარებული, ხოლო საქართველოში კი კანონიერ ძალაშია მის წინააღმდეგ სააღსრულებო წარმოება, რომელიც სწორედ ამ საზღვარგარეთულ აქტს ეფუძნება? თეორიულად ადვილი წარმოსადგენია, რომ უცხო ქვეყანაში სასამართლო გადაწყვეტილებას კანონიერი ძალა დაეკარგოს იმის გამო, რომ, მაგალითად, საქმის განხილვისას შესაბამისი მოსამართლის მიკერძოებულობა დადგინდეს. ჩვენში არ არსებობს სარჩელი აღსრულების წინააღმდეგ, რომელსაც ასეთ სიტუაციაში იყენებენ გერმანიაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განჩინების გასაჩივრებას კერძო საჩივრის ფორმით ითვალისწინებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ 414-ე მუხლის 1. პუნქტი პირდაპირ ადგენს: „კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში". ვინაიდან უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს ვერ ვხვდებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებში, ლოგიკურია, რომ მათთან დაკავშირებული განჩინებების გასაჩივრებისას ვერც კერძო საჩივარი იქნება გამოყენებული.

სავარაუდოდ, მოპასუხემ შუამდგომლობა უნდა აღძრას ისევე და ისევ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში და, თუმცა ამგვარი პროცედურა კანონით გათვალისწინებული არ არის, სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს, გააუქმოს თავისივე განჩინება. ბუნებრივია, რომ საჭიროა ამგვარი სიტუაციის ნორმატიული რეგულირებაც. ცხადია, უსამართლო და სწორედ რომ საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან შეუსაბამო იქნებოდა მოპასუხის წინააღმდეგ სააღსრულებო წარმოების განხორციელება, როცა თვით გადაწყვეტილება მის გამომტან სახელმწიფოში ძალადაკარგულია. ამიტომ სასურველი იქნებოდა, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონში შეიდეს დამატება, რომლის ძალითაც მოპასუხეს მიენიჭებოდა უფლება აღეძრა შუამდგომლობა მის საწინააღმდეგოდ გამოტანილი განჩინების მიმართ, იმ შემთხვევაში, როცა განჩინების საფუძველი. ანუ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება მის გამომტან სახელმწიფოში ძალადაკარგულად იქნა აღიარებული და აღსრულებას აღარ ექვემდებარება.

არ გამოვრიცხავთ, ისეთი სიტუაცია შეიქმნას, როცა აღსრულება მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი. მოსარჩელეს უნდა შეეძლოს ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობის აღძვრა მხოლოდ მოპასუხის ქონების რომელიმე კონკრეტული ნაწილის მიმართ.[208] ამგვარ ნაწილობრივ აღსრულებაზეც არსებობს არაერთგვაროვანი მოსაზრებები და ეს თემაც იმსახურებს ჩვენს ყურადღებას.

---

[208] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1105, Rz. 3148.

იმის გამო, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილობრივ აღსრულებადად გამოცხადება შინაარსობრივად განსხვავდება საზღვარგარეთ გამოტანილი სააღსრულებო წარწერისგან, ზოგიერთი ავტორი მას *revision au fond*-ის ნაირსახეობად და, მაშასადამე, დაუშვებელ მოვლენად მიიჩნევს.[209] ამას გერმანიის სასამართლო პრაქტიკა[210] სრულიად მართებულად პასუხობს, რომ ნაწილობრივი აღსრულებადად გამოცხადება არ არის *revision au fond*, რადგან არ ხდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების სისწორის კონტროლი. ნიშანდობლივია, რომ ნაწილობრივ აღს- რულებადად გამოცხადების პრობლემატიკა ევროპის სახელმწიფოებს შორის ევროკავშირის მიერ განხორციელებულ უნიფიკაციებამდეც საკმაოდ დეტალურად იყო დარეგულირებული, კერძოდ, ეს ხდებოდა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების მეშვეობით.[211]

აქედან გამომდინარე, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილობრივ აღსრულებადად გამოცხადება არის მეტად პრაგმატული გამოსავალი, რომელიც მოსარჩელის ინტერესებს სამართლებრივად დასაშვებ ფარგლებში იცავს. ამრიგად, ნაწილობრივ აღსრულებადად გამოცხადების მიზანია სასამართლო გადაწყვეტილებათა საერთაშორისო მიმოქცევის გამარტივება, რადგან აღსრულებადად გამოცხადებაზე უარის თქმა, როცა ეს

---

[209] შდრ.: Falck, Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998, S. 64.

[210] შდრ.: BGH NJW 1992, S. 3096.

[211] Geimer/Schuetze, Internationale Urteilsanerkennung, Muenchen, 1984, Band I/2, S. 1641.

შესაძლებელია მის ნაწილთან მიმართებაში, ხელს არ შეუწყობდა ამ პროცესის ეფექტურობას.

უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილობრივ აღსრულებადად გამოცხადების მიზანშეწონილობა საერთაშორისო დონეზე იქნა აღიარებული, როცა მისი ცალკეულ სარჩელებთან მიმართებაში გამოყენება ბრიუსელის კონვენციით მოწესრიგდა.

პრაქტიკაში ნაწილობრივ აღსრულებადად გამოცხადება ქართველმა მოსამართლეებმა შეიძლება, პირველ რიგში, იმ ამერიკულ სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გამოიყენონ, *punitive damage*-ს ანაზღაურებას რომ ითვალისწინებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი სასამართლო გადაწყვეტილებების სრული ძოცულობით აღსრულებადად გამოცხადება კონტინენტურ-ევროპული სამართლის ტრადიციის სახელმწიფოებში საჯარო წესრიგის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი გადაწყვეტილებით დადგენილი ანაზღაურების ნაწილი, მაგალითად, მორალური ზიანისთვის, აღსრულებას ექვემდებარება, ხოლო ის ნაწილი, რომელშიც ზიანის ანაზღაურება უკვე სასჯელის სახეს ატარებს, არა.[212] რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როცა უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დაშლა შეუძლებელია, ნაწილობრივ აღსრულებადად გამოცხადებაზე უარი უნდა ითქვას.

---

[212] Falck, Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998, S. 66.

გგ) სასამართლო პრაქტიკა

განვიხილოთ ჩვენს თემასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ, თუმცა ჩვენში წლიდან წლამდე იზრდება ჩვენს თემასთან დაკავშირებული საქმეების რიცხვი, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით იგი ჯერ საკმაოდ დაბალია. ვეცდებით, ისე წარმოვაჩინოთ უკანასკნელი წლების სასამართლო პრაქტიკა, რომ ყურადღება გავამახვილოთ როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების, ისე ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებაზე.

I. დსთ-ის სივრცეში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები

2003 წლის 20 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ი. კარტაშოვის და ქ. მოსკოვის, ზელენოგრადის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. პუჩკოვას შუამდგომლობები რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ზელენოგრადის რაიონული სასამართლოს 2002 წ. 27 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის საჯარო სამმართველოს უნიტარულ-სახელმწიფო საწარმოს 71-ე საჯარო განყოფილების მიმართ ზარალის ანაზღაურების თაობაზე.

კარტაშოვმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის საჯარო სამმართველოს უნიტარულ-სახელმწიფო საწარმოს 71-ე საჯარო განყოფილების მიმართ, ავტოავარიით მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ავტომანქანა, რომლის ბრალითაც მოხდა ავტოსატრანსპორტო შემთხვევა წარმოადგენდა მოპასუხის საკუთრებას, რის გამოც სადავო თანხა უნდა აენაზღაურებინა იურიდიულ პირს.

ქ. მოსკოვის, ზელენოგრადის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. პუჩკოვას 2003 წ. 10 იანვრის ცნობით მოპასუხეს სასამართლო სხდომის დროის შესახებ დროულად ეცნობა. სასამართლო უწყება მსარეს ჩაბარდა, თუმცა იგი პროცესზე არ გამოცხადებულა. ზემოხსენებული სასამართლოს 2002 წ. 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის საჯარო სამმართველოს უნიტარულ-სახელმწიფო საწარმოს 71-ე საჯარო განყოფილებას ი. კარტაშოვის სასარგებლოდ დაეკისრა 18893 მანეთისა 39 კაპიკის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2002 წლის 8 ოქტომბერს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და ჩათვალა, რომ ი. კარტაშოვისა და ქ. მოსკოვის, ზელენოგრადის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. პუჩკოვას შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:
დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ზელენოგრადის რაიონული სასამართლოს 2002 წ. 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით

ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სავაჭრო სამმართველოს უნიტარულ-სახელმწიფო საწარმოს 71-ე საავჭრო განყოფილებას ი. კარტაშოვის სასარგებლოდ დაეკისრა 18893 მანეთისა 39 კაპიკის გადახდა.

კარტაშოვმა და ქ. მოსკოვის, ზელენოგრადის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. პუჩკოვამ შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ზელენოგრადის რაიონული სასამართლოს 2002 წ. 27 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ზელენოგრადის რაიონული სასამართლოს 2002 წ. 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლებით, სსკ-ს 284-ე მუხლით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წ. მინსკის კონვენციით და დაადგინა: კარტაშოვისა და ქ. მოსკოვის, ზელენოგრადის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ.პუჩკოვას შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს.

რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ზელენოგრადის რაიონული სასამართლოს 2002 წ. 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის საეჭრო სამმართველოს უნიტარულ-სახელმწიფო საწარმოს 71-ე საეჭრო განყოფილებას დაეკისრა იური კარტაშოვის სასარგებლოდ 18893 მანეთისა 39 კაპიკის გადახდა, ცნობილ იქნას და დაექვემდებარის აღსრულებას. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.[213]

როგორც ვხედავთ, ამ განჩინებაში საქმე გვაქვს საკმაოდ მარტივ, საყოფაცხოვრებო სიტუაციასთან, სადაც არანაირი პროცესუალური სირთულე არ წარმოშობილა. საქმე საინტერესოა სწორედ იმ კუთხით თუ როგორი წესით განიხილა იგი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რა მოსაზრებებით იხელმძღვანელა და ა.შ.

სავარაუდოდ, რუსული სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებულ ასლსა და ქართულ თარგმანთან ერთად წარმოდგენილი იყო ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, ვინაიდან ასეთი აუცილებლობა ქართული განჩინების ტექსტიდან არ გამომდინარეობს. საერთოდ, საკმაოდ პრობლემატურად მიმაჩნია ამგვარი ცნობის საკითხი. ვინ უნდა გასცეს ასეთი ცნობა საზღვარგარეთ? საეარაუდოა, რომ ასეთი სახის საბუთის მიღება რიგ ქვეყნებში სრულიად ბანალურ, ბიუროკრატიულ წინაღობებს წააწყდეს,

---

[213] www. supremecourt.ge; სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება № ა-62-შ-36-03; 20 დეკემბერი, 2003 წ.

ვინაიდან შესაძლოა შესაბამისი ფორმა უცხოური სასამართლოს მიერ არ გაიცემოდეს. რადგან აღსრულების აუცილებლობის შესახებ ცნობის არსი და ფორმა საკმაოდ ბუნდოვანია, მას არასასურველი დაბრკოლებების შექმნა შეუძლია სასამართლო აქტების საერთაშორისო მიმოქცევაში. აქედან გამომდინარე, სასურველია კანონის ტექსტიდან ამ მოთხოვნის ამოღება.

ნიშანდობლივია ის ასპექტიც, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განჩინების მიღებისას სრულიად მართებულად იხელმძღვანელა არა მარტო „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონითა და მინსკის კონვენციით, არამედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლითაც, რომელიც განჩინების სამართლებრივ ბუნებასა და მიღების წესს ეხება.

უზუსტობას ვსვდებით 2003 წლის 1 ოქტომბრის განჩინებაში, სადაც ბელარუსის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის და აღსრულებისას გამოყენებული არ ყოფილა მინსკის კონვენცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განიხილა ბელარუსიის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს შუამდგომლობა აღნიშნული სასამართლოს 2002 წ. 6 მაისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2002 წ. 6 მაისის დადგენილებით ა. ცხოვრებოვს დაეკისრა ადვოკატის მომსახურებისათვის – 22784 რუსული რუბლის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თელის, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:
„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე და 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2002 წ. 6 მაისის დადგენილება, რადგან დაცულია აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ამასთან, ამავე კანონის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ.

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 69-ე მუხლებით, სსკ-ს 285-ე მუხლით და დაადგინა:
ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს შუამდგომლობა

დაკმაყოფილდეს. ცნობილ იქნეს ბელარუსის რესპუბლიკის ქ. გომელის ცენტრალური რაიონის სასამართლოს 2002 წ. 6 მაისის კანონიერ ძალაში შესული დადგენილება 22784 რუსული რუბლის დაკისრების ნაწილში და იგი დაექვემდებაროს აღსრულებას. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.[214]

ანალოგიური სიტუაციაა (იგულისხმება მინსკის კონვენციის სრული იგნორირება) იმავე თარიღით მიღებულ რუსულ სასამართლო გადაწყვეტილებასთან მიმართებაშიც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განიხილა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საქმეთა მმართველობის ფედერალური სახელმწიფო დაწესებულება აეტოსაწარმო №2-ის შუამდგომლობა ქ მოსკოვის საველოვსკის მუნიციპალიტეტთა შორისი რაიონული სასამართლოს 2001 წ. 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

ქ. მოსკოვის საველოვსკის მუნიციპალიტეტთა შორისი რაიონული სასამართლოს 2001 წ. 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, თ. ცანავას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საქმეთა მმართველობის ფედერალური სახელმწიფო დაწესებულება აეტოსაწარმო №2-ის სასარგებლოდ დაეკისრა 82833 რუსული რუბლის გადახდა. აღნიშნული

---

[214] www. supremecourt.ge; სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება: № 3ა-108-02; 1 ოქტომბერი, 2003 წ.

გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მმართველობის ფედერალური სახელმწიფო დაწესებულებამ – №2-მა აეტოსაწარმომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

თ. ცანავას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განცხადება არ წარმოუდგენია. პალატა გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს ქ. მოსკოვის საველოვსკის მუნიციპალიტეტთაშორისი რაიონული სასამართლოს 2001 წ. 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რადგან დაცულია აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ამასთან, ამავე კანონის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ.

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-69 მუხლებით, სსკ-ს 285-ე მუხლით და დაადგინა: რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საქმეთა მმართველობის ფედერალური სახელმწიფო დაწესებულება აეტოსაწარმო №2-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს. ცნობილ იქნეს ქ.მოსკოვის საველოსკის მუნიციპალიტეტთაშორისი რაიონული სასამართლოს 2001 წ. 29 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება 82833 რუსული

რუბლის დაკისრების ნაწილში და იგი დაექვემდებაროს აღსრულებას. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.[215]

დსთ-ის სივრცეში გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვის დასასრულს გავეცნოთ კიდევ ერთ განჩინებას: ბელარუსის სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სახელმწიფო უნიტარული საწარმო „მინსკის ავიასარემონტო ქარხნის“ გენერალური დირექტორის ი. რიაზანოვის შუამდგომლობა სახელმწიფო ავიაკომპანია „აბავიას“ მიმართ დავალიანების ანაზღაურების თაობაზე ბელარუსის რესპუბლიკის უზენაესი ეკონომიკური სასამართლოს 2003 წ. 21 იელისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სახელმწიფო უნიტარული საწარმო „მინსკის ავიასარემონტო ქარხანამ“ სარჩელით მიმართა სასამართლოს ავიაკომპანია „აბავიასა“ და მესამე პირი აეიაკომპანია „მიმინოს“ მიმართ მხარეთა შორის 1997 წ. 4 ნოემბერს დადებული №407-71/60 გარიგებიდან გამომდინარე დავალიანების ანაზღაურების შესახებ.

---

[215] www.supremecourt.ge; სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება: № 3ა-115-02; 1 ოქტომბერი, 2003 წ.

ბელორუსიის რესპუბლიკის უზენაესი ეკონომიკური სასამართლოს 2003 წ. 21 იყლისის გადაწყვეტილების თანახმად, რომლითაც მოპასუხე მხარეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 73455 აშშ დოლარისა და 4480000 ბელორუსიული რუბლის გადახდა, ავიაკომპანიებს „აბავიასა“ და „მინინოსათვის“ სასამართლო უწყებების კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩაბარების მიუხედავად, ისინი პროცესზე არ გამოცხადდნენ.

სახელმწიფო უნიტარული საწარმო „მინსკის ავიასარემონტო ქარხნის“ გენერალურმა დირექტორმა ი. რიაზანოვმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატას ბელარუსის რესპუბლიკის უზენაესი ეკონომიკური სასამართლოს 2003 წ. 21 იყლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ სახელმწიფო უნიტარული საწარმო „მინსკის ავიასარემონტო ქარხნის“ გენერალურ დირექტორ ი. რიაზანოვის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილია, რომ მოპასუხე სახელმწიფო ავიაკომპანია „აბავიას“ მოსარჩელის – სახელმწიფო უნიტარული საწარმო „მინსკის ავიასარემონტო ქარხნის“ მიმართ დაეკისრა 73455 აშშ დოლარისა და 4480000 ბელორუსული რუბლის გადახდა. სახელმწიფო უნიტარული საწარმო „მინსკის ავიასარემონტო ქარხნის“ გენერალურმა დირექტორმა ი. რიაზანოვმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბელარუსის რესპუბლიკის უზენაესი

ეკონომიკური სასამართლოს 2003 წ. 21 იელისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს ბელარუსის რესპუბლიკის უზენაესი ეკონომიკური სასამართლოს 2003 წ. 21 იელისის გადაწყვეტილება.

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლებით, სსკ-ს 284-ე მუხლით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" 1993 წ. მინსკის კონვენციით და დაადგინა:
ბელარუსის რესპუბლიკის უზენაესი ეკონომიკური სასამართლოს 2003 წ. 21 იელისის სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე სახელმწიფო ავიაკომპანია „აბავიას" დაეკისრა სახელმწიფო უნიტარული საწარმო „მინსკის ავიასარემონტო ქარხნის" სასარგებლოდ 73455 აშშ დოლარისა და 4480000 ბელარუსული რუბლის გადახდა, ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.[216]

---

[216] www. supremecourt.ge, სასამართლო გადაწვეტილებანი, განჩინება № ა-1724-შ-80-03; 24 დეკემბერი, 2003 წ.

მას შემდეგ, რაც დსთ-ის სივრცეში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების რამდენიმე შედარებით ადრეულ პრეცედენტს გაეცანით, უპრიანი იქნება, გამოვყოთ უახლესი პრაქტიკისთვის დამახასიათებელი ტენდენ- ციები:

უკანასკნელი დროის, კერძოდ 2006-2010 წწ., სასამართლო პრაქტიკაში ხშირია სასამართლო აღმასრულებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიმართვა უზენაესი სასამართლოსადმი აღსრულებასთან დაკავშირებულ მოქმედებებთან მიმართებით. ვინაიდან უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია მხოლოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემით შემოიფარგლება, ამგვარი შუამდგომლობები სრულიად მართებულად არ კმაყოფილდება.[217]

გახშირდა ცნობასა და აღსრულებაზე უარის პრეცედენტები, საზღვარგარეთ წარმართულ პროცესში არსებული დარღვევების გამო, მაგალითად, იმ საბაბით, რომ მოპასუხეს უწყება არ ჩაბარებია[218] ან როცა საქმე ცნეს საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებული კომპეტენციის სფეროდ.[219]

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება მიჩნეული იქნა დაუშ-

---

[217] შდრ.: www. supremecourt.ge, სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება № ა-1452-შ-55-06; 19 მარტი, 2007 წ.

[218] www. supremecourt.ge, სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება № 3ა/4-02; 10 სექტემბერი, 2007 წ.

[219] www. supremecourt.ge, სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება № ა-1727-შ-59-06; 23 იანვარი, 2007 წ.

ვებლად. განიმარტა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია ამ საკითხებში შემოიფარგლება მხოლოდ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობითა და აღსრულებით.[220]

აღსანიშნავია, რომ ხშირია არააღსრულებადი გადაწყვეტილებები იურიდიული ფაქტების დადგენის თაობაზე, რომლებიც მხოლოდ ცნობას საჭიროებს.[221]

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ საქმეებით განსაკუთრებით მდიდარია 2009 და 2010 წლის პრაქტიკა. ეს ფაქტები ნათლად მეტყველებს, რომ საქართველო საერთაშორისო კერძო-სამართლებრივი ბრუნვის სულ უფრო აქტიური მონაწილე ხდება.

II. ევროპის ქვეყნებში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები

2003 წლის 29 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. ბერიანიძის

---

[220] www. supremecourt.ge, სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება № ა-2297-შ-58-08; 2 თებერვალი, 2009 წ.

[221] შდრ.: უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, თბილისი 2009, № 8 ან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, თბილისი 2010, №10.

შუამდგომლობა გერმანიის, ქ. ჰერნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002 წ. 30 იანვრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მოქალაქე მ. ორენჩიკის მიმართ განქორწინების თაობაზე.

ე. ბერიანიძე და მ. ორენჩიკი რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდნენ საქართველოში, 1996 წ. 22 აგვისტოს. 1999 წ. 6 სექტემბერს მათ შეეძინათ შვილი. 2001 წ. 15 იანვრიდან მსარეთა შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყდა და ისინი ერთ წელზე მეტი ხანი ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე, რის შემდეგაც ე. ბერიანიძემ მიმართა გერმანიის, ქ. ჰერნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვა განქორწინება. მ. ორენჩიკმა სარჩელს მხარი დაუჭირა. აღნიშნული სასამართლოს 2002 წ. 30 იანვრის განაჩენით ქორწინება მხარეთა შორის შეწყდა, ხოლო მათ შვილზე მზრუნველობა, მხარეთა შეთანხმებით, დაეკისრა ე. ბერიანიძეს. ზემოხსენებული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2002 წ. 20 მარტიდან.

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და ჩათვალა, რომ ე. ბერიანიძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: რომ სასამართლოს განაჩენით მხარეთა შორის ქორწინება შეწყვეტილ იქნა.
აღნიშნული სასამართლო განაჩენი შევიდა ძალაში 2002 წ. 20 მარტს. ე. ბერიანიძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის, ქ. ჰერნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002 წ. 30 იანვრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის, ქ. ჰერნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002 წ. 30 იანვრის განაჩენი.

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე და 69-ე მუხლებით, სსკ-ს 284-ე მუხლით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წ. მინსკის კონვენციით და ე. ბერიანიძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. გერმანიის, ქ. ჰერნეს პირველი ინსტანციის სასაჩართლოს 2002 წ. 30 იანვრის განაჩენი, რომლითაც გაუქმდა ქორწინება ე. ბერიანიძესა და მ. ორენჩიკს შორის, ცნობილ იქნა. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.[222]

ეს განჩინება, პირველ რიგში, იმით არის საინტერესო, რომ იგი საოჯახო სამართლებრივ საქმეს, კერძოდ განქორწინებას ეხება, მხოლოდ ცნობას მოიცავს და არა აღსრულებადად გამოცხადებას. ამგვარად, ჩვენ ვხვდებით ისეთი სახის აქტს, რომელსაც, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, აღსრულება არ სჭირდება. ფაქტობრივად, სასაჩართლოს განჩინებით მოხდა იმ

[222] www. supremecourt.ge; სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება: № ა-1226-შ-71-03; 29 სექტემბერი, 2003 წ.

იურიდიული ფაქტის დადასტურება, რომ ქორწინება დასახელებულ პირებს შორის აღარ არსებობს.

გაკვირვებას იწვევს განჩინების დასკვნითი ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ ამ სასამართლო აქტის მიღებისას სასამართლომ გარდა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონისა იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" მინსკის 1993 წლის კონვენციით. არადა, საქმე ეხება გერმანიის პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას. მაშ, რა შუაშია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში მიღებული ეს საერთაშორისო ხელშეკრულება? ბუნებრივია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ არის ამ კონვენციის წევრი და აქ მისი გამოყენება აბსოლუტურად გაუგებარია.

სავარაუდოდ, აქ საქმე გვაქვს სარეზოლუციო ნაწილის არასწორ ფორმულირებასთან, რაც შესაძლოა გამოწვეულია 2000-იანი წლებში ამგვარი განჩინებების სტანდარტული ფორმის არსებობით, რომელიც მხოლოდ დსთ-ის ქვეყნებზე იყო მორგებული. უმრავლეს შემთხვევებში, ცნობისა და აღსრულების შესახებ განჩინებები მიიღებოდა ყოფილი მოძმე რესპუბლიკების სასამართლო გადაწყვეტილებების მიმართ. ალბათ, უყურადღებობის გამო არ შეიცვალა კომპიუტერში არსებული ფორმა და მივიღეთ ასეთი ერთობ არასასურველი შედეგი.

2003 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განიხილა კომპანია „სკანსიდოს" შუამდგომლობა შვედეთის ქ. მალმოს საქალაქო სასამართლოს 2003 წ. 28 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.

შვედეთის ქ. მალმოს საქალაქო სასამართლოს 2003 წ. 28 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „ნეშინილ მეტალს" შპს „სკანსიდოს" სასარგებლოდ დაეკისრა: 1) 501989 აშშ დოლარისა და 24 ცენტის გადახდა, რომელსაც დაემატა სარგებელი „პროცენტების დარიცხვის შესახებ" კანონის მე-4 და მე-6 მუხლების თანახმად (1975:635), 2002 წ. 18 ნოემბრიდან გადახდის განხორციელებამდე.
2) „სკანსიდოსთვის" სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება 31250 კრონის ოდენობით „იურისკონსულტის გადასახდელი პროცენტების დარიცხვის შესახებ" კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების დღიდან გადახდის განხორციელებამდე. 2003 წ. 27 ივნისს შპს „სკანსიდომ" შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.

შპს „ნეშინილ მეტალმა" თავისი შესაგებლით მოითხოვა შუამდგომლობის ზეპირი განხილვა, ამასთან მიუთითა, რომ შვედეთის ქ. მალმოს საქალაქო სასამართლომ მას არ მისცა მის

წინააღმდეგ მიღებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და საერთოდ არ გადმოუგზავნა გადაწყვეტილების ასლი.

ბალატა შუამდგომლობის ფარგლებში გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა წარმომადგენლების განმარტებანი და მიიჩნია, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:
„საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის" კანონის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია დამაბრკოლებელი გარემოებები, რომელთა არსებობისას უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება ცნობილი იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

ამ ნორმის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, თუ მხარე არ იყო უწყების ჩაბარების გზით სასამართლოში გამოძახებული ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები, არდა ამავე ნაწილის „ზ" პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ მოხდება.

შპს „ნეშინილ მეტალის" განცხადება იმის თაობაზე, რომ მას არ ჩაბარებია დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი და არ განმარტებია მისი

გასაჩივრების ვადისა და პირობების შესახებ, დადასტურების შემთხვევაში წარმოადგენდა ზემოთ მითითებულ დამაბრკოლებელ გარემოებებს, რის გამოც შეიძლება არ მომხდარიყო გადაწყვეტილების ცნობა, მაგრამ საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით დადგენილია, რომ შპს „ნეშინილ მეტალს" მალმოს საქალაქო სასამართლოს მიერ შვედეთის კანონმდებლობის დაცვით დროულად გადაეგზავნა გადაწყვეტილების ასლი, რომელშიც მითითებული იყო მისი გასაჩივრების წესისა და პირობების შესახებ, შპს „ნეშინილ მატალმა" სასამართლო პროცესზე ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცება იმის თაობაზე, რომ მას მალმოს საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი არ გადაგზავნია და არ მიუღია.

პალატამ იხელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 68-ე მუხლის პირველი ნაწილით და დაადგინა, რომ: ცნობილ იქნეს და საქართველოს ტერიტორიაზე მიექცეს აღსასრულებლად შვედეთის ქ. მალმოს საქალაქო სასამართლოს 2003 წ. 28 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ნეშინილ მეტალს" შვედური ფირმა „სკანსიდოს" სასარგებლოდ დაეკისრა:
1) 501989 აშშ დოლარისა და 24 ცენტის გადახდა, რომელსაც დაემატება სარგებელი „პროცენტებისა და დარიცხვების შესახებ" კანონის მე-4 და მე-6 მუხლების თანახმად (1975. 635), 2002 წ. 18 ნოემბრიდან გადახდის განხორციელებამდე.

2) „სკანსიდოსათვის" სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება 31250 კრონის ოდენობით, იურის-კონსულტის გადასახდელი, „პროცენტებისა და

დარიცხვების შესახებ" კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების დღიდან გადახდის განხორციელებამდე. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.[223]

ეს განჩინება რამდენიმე ასპექტით არის ღირშესახსნავი. პირველ რიგში, საქმე ეხება ფურიდიულ პირებს შორის საკმაოდ მსხვილ ქონებრივ დავას. გარდა ამისა, შვედური სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის და აღსრულებადად გამოცხადებისას განჩინება მიღებულია ზეპირი მოსმენით და მხარემ შუამდგომლობა აღძრა გადაწყვეტილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

განჩინებიდან არ ჩანს, წამოაყენა თუ არა მხარემ თავის სასარგებლოდ 68-ე მუხლის რომელიმე პუნქტი. მიუხედავად ამისა, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ საფუძვლიანად შეისწავლა საქმის ვითარება და თვითონ დაასახელა ის გარემოებები, რომლებიც შეიძლებოდა წინააღმდეგობაში ყოფილიყო ქართული სამართლის ნორმებთან. საინტერესოა განჩინების ის ნაწილი, როდესაც სასამართლო ფაქტობრივად ადგენს საქართველოში *ordre public*-ის ფარგლებს, კერძოდ, რომ გადაწყვეტილების ასლის ჩაუბარებლობა, გასაჩივრების ვადებისა და პირობების შესახებ ინფორმაციის გაუცემლობა წარმოადგენს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელ გარემოებებს. 68-ე მუხლის რომელი პუნქტის დისპოზიციას შეესაბამება ეს სიტუაცია?

---

[223] www. supremecourt.ge; სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება: № ა-543-7-51-03; 1 ოქტომბერი, 2003 წ.

„ბ" პუნქტი, გარდა უწყების ჩაბარების ფაქტის არარსებობისა, ასახავს სხვა საპროცესო დარღვევებს, მაგრამ სასამართლო თვითონ იშველიებს საჯარო წესრიგის შესახებ დათქმასაც. ამრიგად, ზემოთ ხსენებული საპროცესო დარღვევები ყველა შემთხვევაში საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან შეუსაბამოდ ჩაითვლებოდა. სადავოა, ექნებოდათ თუ არა იგივე მიდგომა ევროპის ქვეყნების სასამართლოებსაც, თუ მხედველობაში მივიღებთ საჯარო წესრიგის შესახებ დათქმის მსოლოდ გამონაკლის და განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოყენების პრაქტიკას.

ასეა თუ ისე, ამ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს განჩინება სრულიად გამართულია შინაარსობრივად და მისი გამოტანისას გამოყენებულია ის ერთადერთი ნორმატიული აქტი, რომელიც შეესაბამება შვედურ სასამართლო გადაწყვეტილებას: „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონი. ასევე გამოყენებულია შინაარსობრივად კორექტული ტერმინი „აღსასრულებლად მიქცევა" რომელიც აღსრულებადად გამოცხადების სინონიმია და არა „აღსრულება", რომელსაც, სამწუხაროდ, უფრო ხშირად ვხედებით უზენაესი სასამართლოს განჩინებებში.

კვლავ კომპანია „სკანსიდოს" უკავშირდება 2003 წლის 1 ოქტომბრის შემდეგი შვედური სასამართლო გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განიხილა კომპანია „სკანსიდოს" შუამდგომლობა შვედეთის ქ. მალმოს საქალაქო სასამართლოს 2003

წ. 28 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.

შვედეთის ქ. მალმოს საქალაქო სასამართლოს 2003 წ. 28 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „ჯიმეტალს", შპს „სკანსიდოს" სასარგებლოდ დაეკისრა:
1) 89082 აშშ დოლარისა და 22 ცენტის გადახდა, რასაც დაემატა სარგებელი „პროცენტების დარიცხვის შესახებ" კანონის მე-4 და მე-6 მუხლების თანახმად (1975:635), 2002 წ. 29 ოქტომბრიდან გადახდის განსორციელებამდე.
2) სასამართლო ხარჯების ანაზღაურება 31250 კრონის ოდენობით „იურისტკონსულტის გადასახდელი პროცენტების დარიცხვის შესახებ" კანონის მე-6 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების მიღების დღიდან გადახდის განსორციელებამდე.

2003 წ. 15 ივლისს შპს „სკანსიდომ" შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.

2003 წ. 15 სექტემბერს მანვე სასამართლოს მიმართა თხოვნით გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, შპს „ჯიმეტალის" ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წ. 16 სექტემბრის განჩინებით, ყადაღა დაედო შპს „ჯიმეტალის" ოფისს, რომელიც მდებარეობს ქ. ობილისში ..., ასევე ყადაღა დაედო შპს „ჯიმეტალის" საბანკო ანგარიშებს.

შპს „ჯიმეტალმა" თავისი შესაგებლით მოითხოვა შუამდგომლობის ზეპირი განხილვა. ამასთან მიუთითა, რომ შვედეთის ქ. მალმოს საქალაქო სასამართლოს არ გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია მოცემული საქმის განხილვის შესახებ. ყალბი იყო საქმეში ა. ჩხაიძის ხელმოწერით წარმოდგენილი ცნობა მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში შვედეთის კანონმდებლობის შესაბამისად, შვედეთის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შესახებ. მანვე, იმის გამო, რომ შპს „ჯიმეტალის" ოფისი არ წარმოადგენდა საზოგადოების საკუთრებას, მოითხოვა ყადაღის მოხსნა.

პალატა შუამდგომლობის ფარგლებში გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ შპს „სკანსიდოს" შუამდგომლობა შვედეთის ქ. მალმოს საქალაქო სასამართლოს 2003 წ. 28 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნობის და შპს „ჯიმეტალის" შუამდგომლობა საზოგადოების ოფისზე ყადაღის მოხსნის შესახებ, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:
საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო

დარღვევა. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებას; ერთსა და იმავე მხრეებს შორის ერთსა და იმავე საკითხებზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მალმოს საქალაქო სასამართლოს ზემოთ მითითებული სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან სახეზე არ არის საერთაშორისო კერძო სამართლის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი დამაბრკოლებელი გარემოებანი.

საქმეში წარმოდგენილია 2001 წ. 5 თებერვლის თარიღით შპს „ჯიმეტალის" გენერალური დირექტორის ხელმოწერილი წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაჭრილი იქნება მოლაპარაკების გზით. თუ დავა მოლაპარაკების გზით არ გადაწყდება, დავა გადაწყდება შვედეთის სასამართლოს მიერ, შვედეთის კანონმდებლობის ან საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ შვედეთის ქ. მალმოს საქალაქო სასამართლოს გააჩნდა კომპეტენცია ამ დავის შვედეთის კანონმდებლობის შესაბამისად განხილვისა.

შპს „ჯიმეტალმა" ზემოთ მითითებული დოკუმენტების სიყალბის ფაქტი დამადასტურებელი რაიმე მტკიცება პროცესზე ვერ წარმოადგინა. პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება მიღებულია საერთაშორისო კერძო სამართლის მოთხოვნათა დაცვით. პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია შპს „ჯიმეტალის" შუამდგომლობა საზოგადოების ოფისზე დადებული ყადაღის მოხსნის შესახებ, ვინაიდან მითითებული შენობა არ წარმოადგენს საზოგადოების საკუთრებას.

პალატამ ისელმძღვანელა "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 68-ე მუხლის პირველი ნაწილით და დაადგინა, რომ ცნობილ იქნეს და საქართველოს ტერიტორიაზე მიქცეულ იქნეს აღსასრულებლად შვედეთის ქ. მალმოს საქალაქო სასამართლოს 2003 წ. 28 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ჯიმეტალს" შვედური კომპანია „სკანსიდოს" სასარგებლოდ დაეკისრა:
1) 89082 აშშ დოლარისა და 22 ცენტის გადახდა, რასაც დაემატა სარგებელი პროცენტების დარიცხვის შესახებ კანონის მე-4 და მე-6 მუხლების თანახმად (1975:635), 2002 წ. 29 ოქტომბრიდან გადახდის განხორციელებამდე.
2) სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება 31250 კრონის ოდენობით „იურისკონსულტის გადასახდელი, პროცენტების დარიცხვის შესახებ" კანონის მე-6 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების მიღების

დღიდან გადახდის განსორციელებამდე. დაკმაყოფილდეს შპს „ჯიმეტალის" შუამდგომლობა და ყადაღა მოეხსნას შპს „ჯიმეტალის" ოფისს მდებარეს ქ. თბილისში. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.[224]

ეს საქმე მეტად წააგავს იმავე კომპანიის სასარგებლოდ გამოტანილ წინა განჩინებას. პროცესში ფიგურირებს მოპასუხის შესაგებლები და ზეპირი განხილვა. ასევე, როგორც ეტყობა, მოპასუხე მხარემ ვერ დაასახელა შვედურ სასამართლო გადაწყვეტილებაზე უარის თქმის ზუსტი საფუძველი დასახელება 68-ე მუხლიდან გამომდინარე. ამიტომ, უზენაესმა სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია უცხოური გადაწყვეტილების ცნობის ყველა დამაბრკოლებელი გარემოების განჩინების ტექსტში ჩამოთვლა, რათა მოპასუხისთვის ნათელი ყოფილიყო მისი პრეტენზიების უსაფუძვლობა.

2003 წლის 17 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საშეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ მიიღო განჩინება, რომელიც ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას ესება და მისი დავის საგანი 5 მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტს მოიცავდა.[225]

ეს საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა მარ-

[224] www. supremecourt.ge; სასამართლო გადაწყვეტილებანი განჩინება: № ას-190-03; 1 ოქტომბერი, 2003 წ.
[225] www. supremecourt.ge; სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება: № ას-1357-შ-74-03; 17 ნოემბერი, 2003 წ.

ტო მისი დიდი ფინანსური მნიშვნელობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მისი სახით გვაქვს უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე და აღსრულებაზე უარის თქმის ერთ-ერთი პირველი პრეცედენტი.

ამ დავისას მოპასუხემ „აღსო ტრანს ინტერნეშენელმა" წამოაყენა შესაგებელი, რომ ინგლისური სასამართლო გადაწყვეტილება გამოტანილია არა მის მიმართ, არამედ იმავე დასახელების მქონე ინგლისში რეგისტრირებული კომპანიის მიმართ, რომელიც ცალკე იურიდიულ პირს წარმოადგენს. სასამართლომ დაწვრილებით დააასაბუთა იურიდიული პირის განსჯადობის საკითხი მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა ინგლისური სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის მეორე საფუძველი, რომელიც იმავე განჩინებაშია დასახელებული. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ინგლისში სამართალწარმოებისას დარღვეული იყო „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" პუნქტი, კერძოდ, მხარე გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე. მოსარჩელე მხარემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რითაც დადასტურდებოდა ის გარემოება, რომ შპს „აღსო ტრანს ინტერნეშენელ ლიმითედი" (ქ. თბილისი)

უწყების ჩაბარების გზით გაფრთხილებული იქნა სასამართლოში გამოძახების თაობაზე.

აქედან გამომდინარე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „ალსო ტრანს ინტერნეშენელ ლიმითედი" (ქ. თბილისი) კიდეც რომ წარმოადგენდეს მითითებულ მოპასუხეს, ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მის წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება არ იცნობა და არ აღსრულდება საქართველოს კანონმდებლობის ზემოთდასახელებულ ნორმასთან წინააღმდეგობის გამო.

ჩემი აზრით, განჩინებაში არაზუსტად არის ჩამოყალიბებული 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" პუნქტის შინაარსი. ამ ნორმასთან შეუსაბამობის დადგენა, ანალოგიური უცხოური გამოცდილებიდან გამომდინარე, არა მოსარჩელის, არამედ სწორედ რომ მოპასუხის კომპეტენციაა. მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში აწევს იმ მხარეს, რომელიც სადავოს ხდის უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების სისწორეს. მაშასადამე, მოქმედებს უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების სისწორის ერთგვარი დაუწერელი პრეზუმპცია – იგი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, თუ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება სასამართლოს მიერ. ეს პრეზუმპცია იგულისხმება სიტყვებში „საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს". სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შეუსაბამობის საკითხს განიხილავს როგორც მხარის შუამდგომლობით, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში (მაგალითად, საჯარო წესრიგის დათქმასთან მიმართებაში).

საინტერესო პრეცედენტი შექმნა უახლესმა პრაქტიკამაც – არ დაკმაყოფილდა ბრიტანეთში გამოტანილი ე.წ. „თანხმობის ბრძანება" იმ საბაბით, რომ დასაშვებია მხოლოდ ისეთი სახის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება, რომლითაც დამთავრებულია საქმის წარმოება.[226]

თუ გავეცნობით 2009 და 2010 წლების პრაქტიკას, თვალნათელი გახდება, რომ ბევრად მომატებულია შეკამდგომლობათა რიცხვი, რომელიც ევროპის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას ეხება. სჭარბობს საოჯახო სამართალთან, განსაკუთრებით კი განქორწინებებთან დაკავშირებული საქმეები, სადაც აღსრულება, როგორც წესი, საჭირო არ არის.

III დასკვნა

ქართული სასამართლო პრაქტიკის შეჯამებისას მივდივართ დასკვნამდე, რომ არცთუ იშვიათია საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზები სასამართლოს მხრიდან. განსაკუთრებით ეს ეხება 2000-იანი წლების დასაწყისის დროინდელ პრეცედენტებს, რაც ლოგიკურად შეიძლება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საკითხში მოსამართლეთა გამოუცდელობით აიხსნას. განსაკუთრებით საყურადღებოა ხარვეზები უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის მხრივ. როგორც ვნახეთ, პრაქტიკაში

---

[226] www. supremecourt.ge; სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება № ა-562-შ-26-09; 3 აპრილი, 2009 წ.

ვხდებით როგორც მინსკის კონვენციის აბსოლუტურად უადგილო გამოყენების ან, პირიქით, მისი უგულებელყოფის პრეცედენტებს, ასევე საქართველოს მიერ სამოქალაქო საქმეებზე საერთლებრივი დახმარების შესახებ დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების იგნორირების მრავალ შემთხვევას. სახეზეა უფრო წვრილმანი ხარვეზებიც, მაგალითად, აღსრულებისა და აღსრულებადად გამოცხადების (იმავე, აღსასრულებლად მიქცევის) ცნებების აღრევა, მტკიცების ტვირთის არასწორად დაკისრება და ა.შ.

ეს ნაკლოვანებები, რა თქმა უნდა, აღმოსაფხვრელია, თუმცა ქართველ მოსამართლეთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის სფეროში კანონმდებლობის კომენტარების არარსებობა მათ ერთგვარ გამართლებად შეიძლება მივიჩნიოთ. გარდა ამისა, წლიდან წლამდე თვალშისაცემია შესაბამისი განჩინებების რაოდენობის ზრდაც (რაც უშუალო კავშირშია არა მარტო ქართველი მოქალაქეების საზღვარგარეთ მიმოსვლასა და მიგრაციასთან, არამედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან, ინვესტიციებთან და ა.შ.) და, შესაბამისად, გამოცდილების ზრდის პარალელურად იხვეწება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პრაქტიკაც. დარწმუნებული ვარ, აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში ეს პროცესები ავტომატურად გამოიწვევს ქართველი მოსამართლეების პროფესიული დონის ამაღლებას ზოგადად საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში.

ცალკე ყურადღების ღირსია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება საერთო სამართლის, ანუ ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში უმთავრესად იმიტომ, რომ უკანასკნელ პერიოდში საგრძნობია ამ სამართლებრივი ოჯახის რიგი ელემენტების შემოსვლა ქართულ სამართალ'შიც. ამავდროულად, გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო დონეზე მიმდინარე სამართლებრივი ჰარმონიზაციის პროცესი აუცილებელს ხდის ჩვენ მიერ ინგლისურ-ამერიკული სამართლის იმ ასპექტების გაცნობას, რომლებიც ამ თემას უკავშირდება. გამორიცხული ნამდვილად არ არის, რომ ქვემოთ მოყვანილი დოქტრინის რომელიმე ელემენტი ახლო მომავალში ინტეგრირებული იქნეს ქართულ კანონმდებლობაში ან ანალოგად გამოიყენოს ქართულმა სასამართლო პრაქტიკამ.

ისტორიულად ინგლისში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების კონცეფცია დამკვიდრდა მე-18 საუკუნიდან და ემყარებოდა კეთილი ნებისა და მასთან შინაარსობრივად დაკავშირებული ნაცვალგების პრინციპებს.[227] მე-19 საუკუნიდან მკვიდრდება ე.წ. ვალდებულების დოქტრინა (*the doctrine of obligation*), რომლის მიხედვითაც, თუ შესაბამისი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება სათანადოდ წარმართული პროცესის შედეგად არის გამოტანილი, ინგლისის სასამართლოსთვის აუცილებელი არ

[227] შდრ.: Schulze, On Jurisdiction and the Recognition and Enforcement of Foreign Money Judgements, first edition, Pretoria, 2005, p. 93.

არის ნაცვალგების არსებობის საკითხის შემოწმება.[228]

იმისთვის, რომ ინგლისში აღსრულების პროცედურა განხორციელდეს, საჭიროა უცხოურ გადაწყვეტილებაზე დაფუძნებული სარჩელის აღძვრა. ეს, თავის მხრივ, სამი აუცილებელი პირობის დაცვას ითვალისწინებს.[229]

– უცხოური სასამართლო გადაწყვეტილება მხარეს უნდა ავალდებულდეს ფულადი თანხის გადახდას;
– საქმე არ უდა ეხებოდეს ფულად ჯარიმას ან საგადასახადო დავალიანებას;
– გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო და გასაჩივრებას აღარ უნდა ექვემდებარებოდეს (*final and conclusive*).

ამ შემთხვევაში ჩვენ, ბუნებრივია, ვგულისხმობთ ისეთ ვითარებას, როდესაც გამოიყენება უსუალოდ ინგლისური სამართალი და არა ევროკავშირის შესაბამისი ნორმატიული აქტები და ლუგანოს კონვენცია.

ნიშანდობლივია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოობის პირობას თავისი ახსნა-განმარტება დაუმკვიდრა ინგლისურმა სასამართლო პრაქტიკამ. სასამართლო გადაწყვეტილება თუმცა შესაძლებელია უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრდეს, მაგრამ დაუშვებელია, რომ მისი შეცვლა თვით გადაწყვეტილების

---

[228] შდრ.: Schulze, On Jurisdiction and the Recognition and Enforcement of Foreign Money Judgements, first edition, Pretoria, 2005, p. 93.

[229] T.-C. Lauk, die Rechtskraft ausiaendischer Ziviiurteile im Englischen und Deutschen Recht, Stuttgart, 1989, S. 106.

გამომტან სასამართლოს შეეძლოს.[230] უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების კონცეფცია ჩამოყალიბებულია არა მარტო სასამართლო პრეცედენტებში, არამედ კანონის სახითაც. დიდ ბრიტანეთში მოქმედებს 1933 წ. *Foreign Judgements (Reciprocal Enforcement) Act*, თუმცა ეს სტატუტი სრულად ვერ აწესრიგებს ყველა შესაბამის საკითხს.

მოპასუხეს შეუძლია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა მოითხოვოს, თუ იგი დაამტკიცებს, რომ ეს აქტი მოტყუებით ან თაღლითობით არის გამოტანილი *("fraud")*: იგი საჯარო წესრიგს ეწინააღმდეგება *("public policy")* ან შეუსაბამობაშია ბუნებითი სამართლიანობის პრინციპებთან *"natural justice"*.[231]

საჯარო წესრიგის შესახებ დათქმის უმნიშვნელოვანეს კონცეპტუალურ როლზე ინგლისურ სამართალში მოწმობს ამონარიდი ჯერ კიდევ 1826 წელს გამოტანილი გადაწყვეტილებიდან: *"Public policy is never argued at all but when other poitns fail"*[232] („საჯარო წესრიგის დარღვევის საკითხი დგება მხოლოდ მაშინ, როცა სხვა პირობები მოცემული არ არის").

---

[230] Merret, Recognition and Enforcement of Judgements, Class 8, p. 2 - <http://www.law.cam.ac.uk/faculty-resources/10009488.doc > [10.09.2012].

[231] Lauk, die Rechtskraft auslaendischer Zivilurteile im Englischen und Deutschen Recht, Stuttgart, 1989, S. 112.

[232] Kluwer Law International, Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards: A Global Commentary on the New York Convention, Alphen aan den Rijn, 2010, p.365.

გთავაზობთ საჯარო წესრიგთან უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების შეუსაბამობის რამდენიმე მაგალითს ინგლისის სასამართლო პრაქტიკიდან:

1. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს ენიჭება უფლება ოავის მამისგან მოითხოვს სარჩო მთელი ცხოვრების განმავლობაში;
2. უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული მოთხოვნა ეფუძნება ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც ინგლისური სამართლის მიხედვით ბათილია;
3. ხელშეკრულება, რომელიც საფუძვლად უდევს უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებას, დადებულია კანონსაწინააღმდეგო საქციელის – მუქარის შედეგად;
4. განქორწინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება არ იქნა ცნობილი, ვინაიდან მეუღლემ იძულების შედეგად მიიღო მონაწილეობა განქორწინების სასამართლო პროცესში.[233]

თუ მოვალეს შეეძლო შესაგებლების წამოყენება საზღვარგარეთ იმ ფაქტებზე, რომლებიც ინგლისურ საჯარო წესრიგს ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ბრალეულად არ გააკეთა ეს, მას აღარ შეუძლია ამ საფუძვლით მოითხოვოს ინგლისში აღსრულებაზე უარის თქმა.[234]

ერთგვარი სპეციფიკურობით ხასიათდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების პროცედურა დიდ ბრიტანეთ-

---

[233] შდრ.: Kaye, Civil Jurisdiction and Enforcement of Foreign Judgements, Abingdon, 1987, p.1437.

[234] Lauk, die Rechtskraft auslaendischer Zivilurteile im englischen und deutschen Recht, Suttgart, 1989, S. 114.

ში – განაცხადი აღსრულების მოთხოვნით უნდა დარეგისტრირდეს გაერთიანებული სამეფოს რომელიმე კონკრეტულ ნაწილში, ანუ ინგლისსა და უელსში, შოტლანდიაში ან ჩრდილო ირლანდიაში იმის მიხედვით, თუ სად უნდა მოხდეს აღსრულება, რის შედეგადაც საქმეს განიხილავს ამ ტერიტორიული ერთეულის შესაბამისი სასამართლო ინსტანცია (მაგალითად, საქმეებზე, რომლებიც არ ეხება რჩენის ვალდებულებას ინგლისსა და უელსში ეს არის „მაღალი სასამართლო" (*the High Court*), შოტლანდიაში უფლებამოსილია სამოქალაქო საქმეების გამხილველი უმაღლესი ინსტანცია - *the Court of Session* და ა.შ.).[235]

მიუხედავად საერთო სამართლისთვის დამახასიათებელი თავისებურებებისა, ინგლისში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება არ უნდა წარმოვიდგინოთ რაიმე განსაკუთრებით რთულ პროცედურად. პრაქტიკა მოწმობს, რომ ინგლისშიც პრიორიტეტულია წარმოების სიმარტივე და სისწრაფე და საერთო ჯამში იგი ფორმალურ ხასიათს ატარებს.[236]

ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან მიმართებაში საერთო დოქტრინა ფედერალურ დონეზე.[237] თუ სხვადასხვა შტატების სასამართლო გადაწყვეტილებებს შორის მოქმედებს

---

[235] Kaye, Civil Jurisdiction and Enforcement of Foreign Judgements, Abingdon, 1987, p.1593.

[236] Caffrey, International Jurisdiction and Recognition and Enforcement of Foreign Judgements in the LAWASIA region, Sydncy, 1985, p. 252.

[237] Born/Westin, International Civil Litigation in United States courts, Deventer, 1989, p. 564.

„სრული რწმენისა და ნდობის" პრინციპი (*full faith and credit clause*), იგივეს ვერ ვიტყვით სხვა ქვეყნების სასამართლო აქტებთან დაკავშირებით. ამ სახელმწიფოში უკვე კარგა ხანია დგას საკითხი უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ერთიანი კანონის მიღების შესახებ, თუმცა დღემდე არ არსებობს რაიმე ფედერალური კანონი ამ საკითხთან დაკავშირებით. მკითხველისთვის სავარაუდოდ, უცნაური იქნება იმის შეტყობა, რომ ინგლისური, გერმანული ან იაპონური სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილი და აღსრულებული იქნეს ტეხასში, მაგრამ არა არკანზასში, პენსილვანიაში და არა ნიუ-ჯერსიში.[238]

ასევე ჩაიშალა ყველა მცდელობა, რომ დადებულიყო ნაცვალგების პრინციპზე დაფუძნებული საერთაშორისო ხელშეკრულებები სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (მაგალითად, 1970-იან წლებში დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის იყო ამის მცდელობა).[239]

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ერთიანი მიდგომა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით, შტატებს შორის არ არსებობს დიდი კონცეპტუალური განსხვავებები. ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ქვეყნის უზენაესი სასამართლოს მიერ საუკუნეზე მეტი ხნის

---

[238] American Law Institute, Recognition and Enforcement of Foreign Judgements: Analysis and Proposed Federal Statute, Philadelphia, 2006, p. 1.

[239] Born/ Westin, International Civil Litigation in United States courts, Deventer, 1989, p. 564.

წინათ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას საქმეზე *Hilton v. Guyot.* ამ დავაში ფრანგმა მოქალაქემ შუამდგომლობა აღძრა ნიუ-იორკის მცხოხერების წინააღმდეგ ფრანგული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე. ვინაიდან მანამდე ამერიკაში არ არსებობდა მსგავსი საქმის გადაწყვეტის პრეცედენტები, ქვეყნის უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ საყალდებულო დოქტრინა ჩამოაყალიბა. ამ სასამართლო აქტს მეტად ვრცელი სამოტივაციო ნაწილი ახლავს. განხილულ იქნა ბევრი საკითხი, ტერიტორიული სუვერენიტეტის ცნებიდან დაწყებული საერთაშორისო კეთილი ნების პრინციპზე (*comity*) დაყრდნობით უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების განხილვით დამთავრებული. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს დოქტრინის ცენტრალური აზრია, რომ აღსასრულებლად შეიძლება მიქცეულ იქნას უცხო ქვეყნის ისეთი სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილია სრულყოფილი და სამართლიანი პროცესის შედეგად (აქ მოიაზრება დაცვის უფლება, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, შესაბამისი ქვეყნის კანონშესაბამისობა და ა.შ.), მოტყუებისა და თაღლითობის არარსებობა გადაწყვეტილების გამოტანისას და ა.შ.[240]

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ფრანგული სასამართლო გადაწყვეტილება აკმაყოფილებს ამ პირობებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უარი უთხრა მხარეს მის აღსრულებაზე. საკითხის ასეთი ნეგატიური გადაწყვეტა ეფუძნებოდა იმ

[240] შდრ.: Born/Westin, International Civil Litigation in United States courts, Deventer, 1989, p. 564.

არგუმენტს, რომ საერთაშორისო კეთილი ნების პრინციპი არ მოითხოვს ფრანგული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, რადგან ფრანგული სასამართლოები არ დაიცავენ ნაცვალგების პრინციპს და საპასუხოდ არ აღასრულებენ ამერიკულ სასამართლო აქტებს.[241]

ამგვარად, *Hilton v. Guyot* საქმემ შექმნა ამერიკული დოქტრინის რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი; ესენია: ნაცვალგების პრინციპზე ყურადღების გამახვილება და პარალელურად საერთაშორისო კეთილი ნების კონცეფციის დამკვიდრება. ასევე ნიშანდობლივია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძვლად არსებული დავის შინაარსობრივ გადამოწმებაზე უარის თქმა.

ზემოთ ხსენებულთან უშუალო კავშირშია აშშ-ის სამართლის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის აღქმა. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში ძირითადად მოქმედებს დოქტრინა, ცნობილი, როგორც *estoppel by judgement*, რომელიც ეწინააღმდეგება ხელახალი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას იმ ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესახებ, რომლებითაც სასამართლომ თავდაპირველ პროცესში იხელმძღვანელა.[242]

ჯამში შეიძლება ითქვას, რომ დროთა ვითარებაში ამერიკის სასამართლოებმა დაამკვიდრეს უცხო

---

[241] Born/Westin, International Civil Litigation in United States courts, Deventer, 1989, p. 566.

[242] Goertz, die subjektiven Grenzen der Rechtskraft US-amerikanischer Urteile, Frankfurt am Main, 2005, S. 10.

ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისადმი საკმაოდ ფრთხილი მიდგომა. ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით აშშ-ში მეტად მაღალია აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევების რიცხვი. ამის მიზეზად სახელდება ის ფაქტი, რომ ამ ქვეყანას სურს გარკვეული სახელმწიფო ინტერესებისა და განსაკუთრებული კომპეტენციის დაცვა.[243] უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებებია:

1. უცხოური სასამართლო პროცესი არ იყო სამართლიანი და მიუკერძოებელი;
2. მოპასუხემ პირადად ვერ მიიღო მონაწილეობა სამართალწარმოებაში;
3. უცხოური სასამართლო არ იყო საქმის განხილვაზე უფლებამოსილი;
4. უცხოურ სასამართლო პროცესში ადგილი ჰქონდა მოტყუებას, თაღლითობას ან მსგავს ხარვეზებს;
5. უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება სელყოფს აშშ-ის საჯარო წესრიგს;
6. უცხოური სასამართლო არ აღასრულებს ამერიკული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, უარის თქმის საფუძვლები ძირითადად ქართული და ევროპული ნორმების იდენტურია. სამაგიეროდ, ამ საფუძვლების ახსნა-განმარტება ბევრად ფართო გაგებით ხდება. დამაბრკოლებელი გარემოებების რიცხვში ცენტრალური ადგილი უჭირავს საჯარო წესრიგის შესახებ დათქმას. თუ ევროპაში

---

[243] შდრ.: Born/Westin, International Civil Litigation in United States courts, Deventer, 1989, p. 566.

მიღებულია მისი გამონაკლისი სახით გამოყენება, *ordre public* ხელყოფის საბაბით აშშ-ში ყველაზე ხშირად აცხადებენ უარს უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე.[244] თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ განსხვავებები განსაჯადობის ნორმებში ან აშშ-ის სამაროლის მიხედვით დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არარსებობა საჯარო წესრიგის დარღვეულად უნდა ჩაითვალოს.[245]

ამერიკაში საჯარო წესრიგთან უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების შეუსაბამობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი პრეცედენტია *Ackermann v. Levine* საქმე. აკერმანი იყო გერმანელი ადვოკატი, რომელსაც იურიდიული კონსულტაციისთვის მიმართა გერმანიაში მყოფმა ამერიკელმა, უძრავი ქონების მაკლერმა ლევინმა. ამ უკანასკნელმა აკერმანთან მოკლე შეხვედრა გამართა რამდენიმე გარიგების შესახებ სასაუბროდ და შემდეგ მას წერილობით მიანიჭა უფლებამოსილება, გარკვეული ღონისძიებები ჩაეტარებინა ამ გარიგებებთან დაკავშირებით. მოელი რიგი მიზეზების გამო ლევინს აღარ დაუდია გარიგებები გერმანიაში. აკერმანმა მოსთხოვა ლევინს მის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების საფასურის გადახდა. გერმანელმა ადვოკატმა განაცხადა, რომ ოცი სამუშაო დღის განმავლობაში სრულად იყო დაკავებული ლევინის პროექტით, თუმცა მას არ ჰქონდა ამერიკელის ინტერესებისთვის „გარჯის"

---

[244] შდრ.: Parameshwaran, Conflict of Lawsin the Enforcement of Foreign Awards and Foreign Judgements, P. 38 <http://digitalcommons.law.uga.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1040&context=stu_llm> [10.09.2012].

[245] შდრ.: Lutz, Enforcing Foreign Judgements in the United States and Abroad, Cambridge, 2007, p. 24.

დამადასტურებელი რაიმე წერილობითი საბუთები. საადვოკატო საქმიანობის ანაზღაურების შესახებ გერმანიის კანონზე დაყრდნობით აკერმანმა მოითხოვა 190.000-ზე მარკაზე მეტი თანხა. აქ აღსანიშნავია, რომ აკერმანის მიერ დასახელებული თანხა მისი საქმიანობის ორ ძირითად ელემენტს ეყრდნობოდა: გერმანელ ინვესტორებთან დეტალური მოლაპარაკებების გამართვასა და ლევინის მიერ შეთავაზებული ტრანზაქციების შესწავლას.

ლევინმა უპასუხოდ დატოვა მისთვის გაგზავნილი ანგარიში და აკერმანმა სარჩელი აღძრა გერმანულ სასამართლოში. ლევინს წერილობით ეცნობა პროცესის შესახებ, მაგრამ მან ეს ფაქტიც ურეაქციოდ დატოვა. აკერმანმა მოიგო პროცესი და შუამდგომლობით მიმართა აშშ-ის სამხრეთ ნიუიორკის რაიონულ (*District Court*) სასამართლოს გერმანული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. ამერიკის პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი უთხრა აკერმანს გადაწყვეტილების აღსრულებაზე და ამის მიზეზად დაასახელა როგორც ჰააგის კონვენციის დებულებების დარღვევა საზღვარგარეთ სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე იურიდიული დოკუმენტაციით მომსახურებასთან მიმართებაში, ისე აშშ-ის საჯარო წესრიგთან შეუსაბამობა.

აქ ჩვენთვის საინტერესოა ამერიკული სასამართლოს შემდეგი მოსაზრება: „თვით ადვოკატს აწევს იმის მტკიცების ტვირთი, რომ მისი ანაზღაურება არის სამართლიანი" და კლიენტი სრულ საქმის

კურსშია მისი ოდენობის შესახებ.[246] სწორედ ამ ფაქტის არარსებობა ჩათვალა ნიუ-იორკის რაიონულმა სასამართლომ ქვეყნის *ordre public*-თან შეუსაბამოდ.

ეს მაგალითი აშკარად აჩვენებს თუ რა ყურადღებითა და სიფრთხილით აღიქმება აშშ-ში უცხოური სასამართლო აქტები. ამგვარად, ნათელია საერთო სამართლის ქვეყნების, განსაკუთრებით კი უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებული ამერიკული დოქტრინის მკვეთრი განსხვავება ევროპის სახელმწიფოების ანალოგიური კონცეფციისგან.

გ. საერთაშორისო ხელშეკრულებები აღსრულებადად გამოცხადების პროცედურის შესახებ

პირველ რიგში განვიხილოთ ის ხელშეკრულება, რომლის წევრიც საქართველო იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ყოფნისას, დაახლოებით 15 წლის განმავლობაში და რომელიც დღემდე მოქმედი სამართლის წყაროა. რა თქმა უნდა, ლაპარაკია „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ" მინსკის 1993 წლის კონვენციის დებულებებზე.

ამ კონვენციის 53-ე მუხლი ადგენს, რომ შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრუ-

---

[246] შდრ.: Born/ Westin, International Civil Litigation in United States courts, Boston, 1989, p. 568.

ლების დაშვების თაობაზე მიეწოდება წევრი-სახელმწიფოს უფლებამოსილ სასამართლოს. იგი ასევე შეიძლება შეტანილ იქნას იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება პირველი ინსტანციით, ეს სასამართლო კი უგზავნის შუამდგომლობას იმ სასამართლოს, რომელმაც უნდა გამოიტანოს აღსრულების შესახებ განჩინება. შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს:

ა) გადაწყვეტილების დედანი ან მისი დამოწმებული ასლი, ასევე ოფიციალური საბუთი იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და აღსრულებას ექვემდებარება, ან იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ ეს თვით გადაწყვეტილების ტექსტიდან არ გამომდინარეობს;
ბ) საბუთი, რომელიც მოწმობს, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება და რომელსაც პროცესში მონაწილეობა არ მიუღია, სათანადო წესით გამოიძახეს სასამართლოში ან საპროცესო ქმედუნარიანობის შემთხვევაში სათანადოდ იქნა წარმოდგენილი;
გ) საბუთი, რომელიც გადაწყვეტილების გაგზავნის მომენტისთვის მის ნაწილობრივ შესრულებას ადასტურებს;
დ) საბუთი, რომელიც მხარეებს შორის დავების სახელშეკრულებო განსჯადობის თაობაზე შეთანხმებას ადასტურებს;
ე) შუამდგომლობა იძულებითი აღსრულების დაშვების თაობაზე, და სხვა საბუთებს თან უნდა დაერთოს მათი დამოწმებული თარგმანი შესაბამის სახელმწიფო ენაზე ან რუსულ ენაზე.

მინსკის კონვენციის 54-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობის და იძულებით აღსრულების შესახებ შუამდგომლობები, იმ წევრ-სახელმწიფოთა სასამართლოების მიერ განიხილება, რომელთა ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების ცნობისა და იძულებით აღსრულების შესახებ, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ დაცულია კონვენციით გათვალისწინებული პირობები. იმ შემთხვევაში, როცა ეს პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ წევრ-სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

თვალშისაცემია, რომ კონვენციის დებულებებსა და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამის ნორმებს შორის დიდი მსგავსება შეიმჩნევა. მისასალმებელია, რომ ეს საერთაშორისო ხელშეკრულება უშუალოდ ითვალისწინებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების განხილვისას *revision au fond*-ის აკრძალვას, ანუ მისი სისწორის შინაარსობრივი გადამოწმების აკრძალვას. ეს აშკარად გამომდინარეობს დებულებიდან: „სასამართლო... შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ დაცულია კონვენციით გათვალისწინებული პირობები". პირობებში პირველ რიგში იგულისხმება გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც ზემოთ

უკვე განვიხილეთ და რომლებიც, სამწუხაროდ, მათი შინაარსისა და ფორმულირების მხრივ ხარვეზებით გამოირჩევა. „კონვენციის პირობებად" მოიაზრება, სავარაუდოდ, ასევე მასში მოყვანილი საბუთების ჩამონათვალი და ა.შ. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები.

სომხეთთან დადებული ხელშეკრულება „სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ" ითვალისწინებს შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ პროცედურას: სასამართლო, რომელსაც წარედგინება შუამდგომლობა სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ, არ განიხილავს გადაწყვეტილებას არსებითად, არამედ მხოლოდ წყვეტს ხელშეკრულების მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის საკითხს. სასამართლომ, რომელსაც წარედგინა შუამდგომლობა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, შეუძლია აუცილებლობის შემთხვევაში მოსთხოვოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული დამატებითი მასალების წარმოდგენა.

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მიერ მეორე მხარის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას ისეთივე ძალა აქვს, როგორიც ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის სასამართლო გადაწყვეტილებას.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ მინსკის კონვენციის პარალელურად საქართველო-სომხეთის ეს ორმხ-

რივი ხელშეკრულებაც კატეგორიულად უარყოფს *revision au fond*-ს, ანუ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსობრივი გადამოწმების შესაძლებლობას.

აზერბაიჯანთან მიმართებაში მოქმედ ანალოგიურ ხელშეკრულებაში არსებობს რამდენიმე განსხვავებული პუნქტი. ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაში მოვალეს შეუძლია განაცხადოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგო მოსაზრება სასამართლოში, რომლის კომპეტენციასაც ვანეკუთვნება ამ გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ ნებართვის გაცემა და, თუ ასეთი საწინააღმდეგო მოსაზრება გათვალისწინებულია ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის დაწესებულებამაც გამოიტანა გადაწყვეტილება.

განმეორებით აღვნიშნოთ: საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ზეპირი მოსმენისა და საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობას.

გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშებასა და გადახდევინებას ახორციელებს საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია, გადაწყვიტოს საკითხი აღსრულების შესახებ.

ბრიუსელის კონვენციისა და შემდგომ ევროკავშირის საბჭოს № 44/2001 რეგლამენტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო შესაბამის წევრ სახელმწიფოებს შორის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების პროცე-

დურის გამარტივება. ამიტომ სრულიად ლოგიკურია, რომ ევროკავშირის საბჭოს რეგლამენტის მე-3 ნაწილი და ბრიუსელის კონვენციის მე-2 ნაწილი არეგულირებს აღსრულებადად გამოცხადების პროცედურას, რომელსაც ხშირად გამარტივებულ პროცედურას უწოდებენ.[247] ამ საერთაშორისო აქტებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებად სხვა წევრი-სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისთვის ისევ და ისევ საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა მიიჩნევა. *ordre public*-ის გამოყენება პრაქტიკაში ძალიან იშვიათია. აღსრულებადად გამოცხადებას ევროკავშირში ხშირად მოიხსენიებენ მხოლოდ როგორც სააღსრულებო ფურცლის გაცემას. მიიჩნევა, რომ საქმეებზე, რომლებიც შინაარსობრივად ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს რეგლამენტი № 861/2007-ის („მცირე მოცულობის მოთხოვნებზე ერთიანი ევროპული წარმოების შემოღების შესახებ") კატეგორიაში ხვდება, საერთოდ გაუქმებულია აღსრულებადად გამოცხადების პროცედურა.[248] ეს ევროპული წარმოების ამ პროცედურის სიმარტივესა და სიხშირეზე მეტყველებს.

ევროკავშირის საბჭოს № 44/2001 რეგლამენტით დადგენილი პროცედურა უდავო წარმოების წესით მიმდინარეობს ანუ მოპასუხის მოსმენის გარეშე ხორციელდება. გადაწყვეტილება აღსრულების დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე განჩინების სახით გამოდის. იმისთვის, რომ საპროცესო

[247] შდრ: Geimer/Schuetze, Europaeisches Zivilverfahrensrecht, 3. Auflage, Muenchen, 2010, S. 18-21.

[248] Kropholler/von Hein, Europaeisches Zivilprozessrecht, 9. Auflage, Frankfurt am Main, 2011, S. 1165, Rz. 1;

დოკუმენტების გაგზავნა საზღვარგარეთ არ იქნას საჭირო, აღსრულების შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი მხარე, ანუ მოსარჩელე, ბრიუსელის კონვენციის თანახმად, ვალდებულია, საქმის განსჯადობის ტერიტორიაზე შექმნას დროებითი და არჩევითი საცხოვრებელი ადგილი.[249] ბუნებრივია, ეს საცხოვრებელი ადგილი პირობითია და იქ პირის ფაქტობრივი ყოფნა საჭირო არ არის. ამიტომ იგი ასახელებს უფლებამოსილ პირს, რომელსაც უნდა ჩაბარდეს უწყება და სხვა დოკუმენტები. უდავოდ წესით მიღებული განჩინების გასაჩივრება მხოლოდ მისი აღსრულებადად გამოცხადების შემდეგ არის შესაძლებელი. ამ დებულების მიზნად მოულოდნელობის ეფექტს ასახელებენ.[250] პროცედურის არსი რომ გავაცნობიეროთ, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადება ისეთ ხშირ და ჩვეულებრივ მოვლენად უნდა აღვიქვათ, როგორსაც ის ევროპაში წარმოადგენს. ამიტომ, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ასეთ გარემოებებში პრიორიტეტულია ამ პროცედურის სისწრაფე. შესაბამისად, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადება მოპასუხის მოსმენის გარეშე, ანუ ცალმხრივი პროცესის მეშვეობით პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელია. მოპასუხის ინტერესებიც გათვალისწინებულია და იმ შემთხვევაში, თუ იგი განჩინებას არ ეთანხმება, მას შეუძლია ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივროს იგი. მაშასადამე, მოპასუხის უფლება სასამართლო მოსმენაზე სავსებით დაცულია.

---

[249] Brussels Convention on Jurisdiction and Enforcement of Judgements in Civil and Commercial Matters, 1968, Article 33.

[250] Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 5. Auflage, Muenchen, 2010, S. 350.

მოპასუხის მიერ მისი მოსმენის გარეშე მიღებული განჩინების გასაჩივრების ვადაა ერთი თვე.[251] ამ ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო მის წინააღმდეგ გამოტანილი სააღსრულებო ფურცლის არსებობის შესახებ. დამეთანხმებით, რომ ეს ვადა სრულიად საკმარისია იმისთვის, რათა მოპასუხემ შესაბამისი საჩივარი შეიტანოს და არ მოექცეს უთანასწორო საპროცესო მდგომარეობაში მოსარჩელესთან შედარებით.

ევროკავშირის სივრცეში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებასთან მიმართებაში ღირშესანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოპასუხეს შეუძლია თავის საჩივარში ასევე წამოაყენოს პრეტენზია გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის მიმართ და შემდგომში იგი დამოუკიდებელი აღსრულების საწინააღმდეგო სარჩელით გაასაჩივროს.[252]

ევროკავშირის საბჭოს რეგლამენტი № 44/2001 გარკვეულ დათქმას აწესებს მხოლოდ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებასთან დაკავშირებით. ნორმატიული აქტი, ითვალისწინებს რა ამ სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თავისებურებებს, ადგენს, რომ აღსრულებადად გამოცხადება ხდება მხოლოდ სამეფოს ცალკეულ ტერიტორიაზე, ანუ

---

[251] ევროკავშირის საბჭოს რეგლამენტი № 44/2001, მუხლი 43.

[252] შდრ: Rauscher, Europaesches Zivilpozessrecht, 2. Auflage, Muenchen, 2006 Band I, S. 649, Rz. 5.

ინგლისსა და უელსში ან შოტლანდიაში ან ჩრდილოეთ ირლანდიაში.[253]

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადება ევროპის კავშირის რომელიმე სახელმწიფოში თავისთავად არ გამორიცხავს მოვალის მიმართ იძულებით სააღსრულებო წარმოებას პირველად ან მესამე ქვეყანაში.[254]

რა თქმა უნდა, ბრიუსელის კონვენციაშიც (34-ე მუხლი) და ევროკავშირის საბჭოს რეგლამენტ № 44/2001-შიც (36-ე მუხლი) დადგენილია *revision au fond*-ის აკრძალვა, ანუ უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსობრივი გადამოწმების დაუშვებლობა.

დ. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების პროცედურა

აა) ქართული კანონმდებლობის მიხედვით

2010 წლამდე მოქმედი ქართული სამართალი ფაქტობრივად საჰართლებრივი რეგულირების გარეშე ტოვებდა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების პროცედურას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო 1994 წლიდან შეუერთდა გაეროს ნიუ-იორკის 1958 წ. კონვენციას „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“,

---

[253] Rauscher, Europaesches Zivilpozessrecht, 2. Auflage, Muenchen, 2006. Band I, S. 609, Rz. 30.

[254] Schlosser, EU-Zivilprozessrecht, 2. Auflage, Muenchen, 2003, S. 262.

რითაც ეს საერთაშორისო ხელშეკრულება ქართული კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად იქცა, მეტად მიზანშეწონელი იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიღმა დატოვება, როგორიც არის უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. გაუგებარია ამ დერეგულირების მიზეზი, ხდებოდა თუ არა ეს იმის იმედით, რომ მხარეები და სასამართლო უშუალოდ ნიუ-იორკის კონვენციის ნორმებს გამოიყენებდნენ? ეს ვითარება მით უფრო არასასურველი იყო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ქართველი მოსამართლეები ხშირად კარგად არ იცნობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და, შესაბამისად, სამართალშეფარდებისას არასწორ ნორმებს იყენებენ.

ნებისმიერ შემთხვევაში მისასალმებელია, რომ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება შედის უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში, სადაც საზღვარგარეთის პრაქტიკის კვლევისთვის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი პირობებია შექმნილი (ვგულისხმობთ ისევ ტექნიკურ აღჭურვილობას, ბიბლიოთეკას, მოსამართლეთა მიერ უცხო ენების ფლობას და ა.შ.).

„არბიტრაჟის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებულ აღსრულებადად გამოცხადების პროცედურასთან მიმართებაში გარკვეულ კითხვებს ბადებს ის, რომ 45-ე მუხლის 1 „ა“ ქვეპუნქტი მხარეთა დისპოზიციაში არსებული გარემოებების სასამართლოში განხილვას უკავშირებს მოვალის მიერ „სარჩელის“ შეტანას. კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ ცნობასა და აღსრულებასთან

დაკავშირებით მხარემ (შინაარსობრივად ეს თითქმის ყოველთვის იქნება საარბიტრაჟო განხილვაში მოგებული მხარე, კრედიტორი) შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს და თან დაურთოს შესაბამისი დოკუმენტები, რაზეც ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ. უნდა ვივარაუდოთ, რომ, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ანალოგიურად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება სწრაფი და მარტივი პროცესი უნდა იყოს. კვლავდაკვლავ უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების მსგავსად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების პროცედურა უნდა ხორციელდებოდეს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე (თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ), ამიტომ გაუგებარი და ბუნდოვანია თუ რა სახის სარჩელზეა ლაპარაკი, მითუმეტეს როცა მსგავსი მოთხოვნა არ არსებობს არც „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონში და არც ნიუ-იორკის კონვენციაში „უცხოური სარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“. საარბიტრაჟო პროცესში წაგებული მხარის მიერ დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოების დაწყება აღსრულებადად გამოცხადების აზრს ეწინააღმდეგება. ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადების გამომრიცხავი პირობის არსებობის მტკიცება მხარეს უნდა შეეძლოს შესაბამისი სამართალწარმოების მიმდინარეობისას. გამორიცხული არ არის, რომ საქმე გვაქვს უცხო ენიდან არასწორად თარგმანილ ტერმინთან, რაც, თუ მართლა ასეა, სასწრაფო საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მისი გამოქვეყნების ვალდებულება, საიდუმლოების დაცვა და უცხოელ მოსამართლეთა წარმოებითი შეკამათებლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა გაიხსნას ამ ნორმატიული აქტის დებულებების შესაბამისად (44.1 მუხლი). რა იგულისხმება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საჯაროობაში, დაკონკრეტებული არ არის. ვინაიდან ამ ცნების უდავოდ დაზუსტება სჭირდება, უპრიანი იქნება, რომ კვლავ და კვლავ საერთაშორისო გამოცდილებას დაეყრდნოთ.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სავალდებულო ძალაში იგულისხმება უცხოური საარბიტრაჟო აქტის კანონიერი ძალა მის მისაღებად გამოყენებული სამართლის შესაბამისად.[255] მაგალითად, გერმანიაში არსებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებითი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა ზეგავლენას არ ახდენს უცხოური აქტის სავალდებულო ძალაზე.[256] ბუნებრივია, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კანონიერ ძალას მოიპოვებს მხოლოდ მაშინ, თუ არ იქნება მისი ზემდგომ არბიტრაჟში ან სახელმწიფო სასამართლოში გასაჩივრების საშუალება.[257]

რა თქმა უნდა, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საგანი უნდა წარმოადგენდეს კერძო სამართლის სფეროს. კანონში „არბიტრაჟის შესახებ“ არ მოიაზრება სახელმწიფოებს შორის

---

[255] შდრ.: Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 134.

[256] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1329, Rz. 3889.

[257] BGH WM 01, 971.

საარბიტრაჟო დავები საჯარო-სამართლებრივ საკითხებზე; ამ ნორმატიულ აქტში იგულისხმება სამოქალაქო და სავაჭრო საქმეები.[258] უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ანალოგიურად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო აქტებიც საქმეს არსებითად უნდა წყვეტდეს.[259]

სამაგიეროდ, სწორედ რომ ნაციონალური სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს, გვაქვს თუ არა საქმე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან, თუმცა გასათვალისწინებელია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებული სამართალიც.[260] მაგალითად, თუ გვაქვს გადაწყვეტილება, რომელიც ქართული სამართლის მიხედვით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნიშან-თვისებებს აკმაყოფილებს, მაგრამ გამოყენებული საპროცესო სამართლის მიხედვით სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილებას წარმოადგენს, უპირატესობა ენიჭება უცხოურ სამართალს.[261]

მხარემ, რომელიც იშუამდგომლებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების ან ცნობის თაობაზე, უნდა წარმოადგინოს სათანადოდ დამოწმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე,

---

[258] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1328, Rz. 3888a.

[259] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1331, Rz. 3898.

[260] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1330, Rz. 3892.

[261] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1330, Rz. 3892.

საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი. თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან შეთანხმება არ არის შესრულებული ქართულ ენაზე, მხარემ ასევე უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე ამ დოკუმენტების სათანადოდ დამოწმებული თარგმანი („არბიტრაჟის შესახებ" კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ნიშანდობლივია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი მხარეს წარეთხოვება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში და ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა კანონი გამოყოფს უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და სპეციალურ მოთხოვნას ადგენს ამ უკანასკნელისთვის.

არსებით სხვაობას უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებასთან ადგენს „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი: „მხარეს, რომელსაც დაეკისრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით, გადაწყვეტილების შეჩერების შესახებ. სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობით, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არა უმეტეს 30 დღით, თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა". როგორც ზემოთ ვნახეთ, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონი არ ითვალისწინებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერების შესახებ ნორმებს. „არბიტრაჟის შესახებ" ახალი კანონის გამოყენების ხელმისაწვდომი პრაქტიკის არარსებობის გამო რთულია ამ ნორმის მიზანშეწონილობაზე

მსჯელობა, თუმცა ნათელია ის წყარო, რომელმაც კანონმდებელს უბიძგა ამ ქცევის წესის დადგენისკენ. ეს არის ნიუ-იორკის კონვენციის VI მუხლი, შინაარსით თითქმის იდენტური ქართულ ნორმასთან, იმ განსხვავებით, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება არ აკონკრეტებს შეჩერების რაიმე ვადას.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცედურის მიმოხილვიდან აშკარაა, რომ კანონმდებელი აკეთებდა აქცენტს პროცესის სისწრაფესა და სიმარტივეზე. ამ ჭრილში აღსრულების ნებისმიერი შეჩერების შესაძლებლობა, თუნდაც შესაბამისი უზრუნველყოფის წარდგენის სანაცვლოდ, საქმის გაჭიანურებად უნდა იქნას აღქმული. ამ მოსაზრებას ვერ აბათილებს ის ფაქტიც, რომ კანონი ამ შემთხვევაში ცალსახად არაიმპერატიულია და მსგავსი შეჩერება სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ვინაიდან უკანასკნელ პერიოდში ქართულმა კანონმდებლობამ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადება სამართლებრივად მეტად დაახლოება (გამომრიცხავი გარემოებების მსგავსება, ერთი და იგივე უფლებამოსილი სასამართლო და სხვ.), სასურველია, საქმისწარმოების შეჩერებასთან მიმართებაშიც არ იქნას დადგენილი რაიმე არსებითი განსხვავებები. იმ შემთხვევაში, თუ ახლო მომავალში „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ"-აც ახალი კანონი იქნა მიღებული (ცნობილია, რომ შესაბამისი სამუშაო ჯგუფი უკვე კარგა ხნის წინ შეიქმნა), მიზანშეწონილი იქნება, რომ მასშიც გაკეთდეს ანალოგიური დათქმა წარმოების 30 დღემდე

შეჩერების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამართლებული იქნება ამ ნორმის ამოღება „არბიტრაჟის შესახებ“ კანონიდან.

საერთაშორისო არბიტრაჟში მოქმედებს უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის V მუხლშია გათვალისწინებული: არავინ არ შეიძლება პასუხი აგოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, თუ მან ნებაყოფლობით არ დაუქვემდებარა მას თავი.[262] სხვათა შორის, ხშირია შემთხვევები, როდესაც დავა სწორედ ამ დებულებიდან გამომდინარეობს. ასეთი სიტუაცია შეიძლება შემდეგ გარემოებებში წარმოიშვას:

1. საარბიტრაჟო შეთანხმება დადებული არ არის ან თავიდანვე ბათილია;
2. საარბიტრაჟო შეთანხმება ძალადაკარგულია, მაგალითად, მისი გაუქმების შესახებ ცალკე ხელშეკრულებით, მიზნის შესრულებით ან საარბიტრაჟო მოსამართლის არარსებობის გამო და ა.შ.;
3. საარბიტრაჟო შეთანხმება და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ერთმანეთისგან განსხვავდება და ერთმანეთთან შეუსაბამობაშია;
4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება წყვეტს სხვა სამართლებრივ დავას და არა იმას, რაც საარბიტრაჟო შეთანხმებიდან გამომდინარეობს.[263]

44.4. მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება უფლებამო-

---

[262] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1288, Rz. 3766.

[263] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1289, Rz. 3767.

სილი სასამართლოს განჩინების საფუძველზე. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო განსცემს სააღსრულებო ფურცელს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. სააღსრულებო ფურცელი უნდა გაიცეს მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის მიღების დღიდან 10 დღის ვადაში. თუ გათვალისწინებულ ვადებში არ მოხდა სააღსრულებო ფურცლის გაცემა ან მხარეს წერილობით არ ეცნობა დასაბუთებული უარის შესახებ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღიარებულად მიიჩნევა და სასამართლო ვალდებულია, მხარის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ გასცეს სააღსრულებო ფურცელი.

პრაქტიკულად სულ ეს არის, რაც „არბიტრაჟის შესახებ" კანონშია ნათქვამი უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებასთან მიმართებაში. ნიშანდობლივია, რომ ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები 2004 წლის კანონპროექტი „არბიტრაჟის შესახებ", რომელიც დღეს მოქმედი კანონის ერთგვარ სამართლებრივ წინამორბედად გვევლინება, ითვალისწინებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არბიტრაჟის შესახებ დამატებითი თავის შეტანას. ამით ზოგიერთ შემთხვევაში ხდებოდა ერთი და იმავე ან მსგავსი ნორმების დუბლირება ორ ნორმატიულ აქტში, რაზეც საბოლოოდ კანონმდებელმა მართებულად თქვა უარი.

სხვა საკითხია თუ რამდენად მიზანშეწონილია არბიტრაჟის შესახებ კანონზე საერთოდ უარის თქმა და ამ ნებაყოფლობით კერძო მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანა, როგორც ეს მარავალ ქვეყანაში ხდება.

ფაქტია, რომ ერთი სამართლებრივი დარგის მომცველი ინსტიტუტების კოდიფიკაცია მეტად მიზანშეწონილი ღონისძიებაა და ქვეყნის საკანონმდებლო სისტემას დადებითად ახასიათებს. პრაქტიკული თვალსაზრისითაც ბევრად მოსახერხებელია შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების ერთ ნორმატიულ აქტში თავმოყრა. ასევე უდავოა, რომ არბიტრაჟი, მიუხედავად მისი სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა, სამართალწარმოების განსაკუთრებულ სახეა, მაშასადამე, ის არის საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტის ნაირსახეობა. ამგვარად, თეორიულად, „არბიტრაჟის შესახებ" კანონით გათვალისწინებული ნორმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მთლიანად შეტანა, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, სრულიად გამართლებული იქნებოდა.

რაც შეეხება უშუალოდ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებას, აქ მრავალი ქვეყნის საარბიტრაჟო სამართალი სხვა ხერხს იყენებს. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1061-ე მუხლი, სახელწოდებით „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება" პირდაპირ ახდენს გაეროს ნიუ-იორკის კონვენციაზე გადამისამართებას: „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება ხორციელდება გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის დებულებების თანახმად". აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თითქმის ყველა

გამოცემას თან ახლავს ზემოხსენებული კონვენციის ტექსტიც. ამ შემთხვევაში რთული გასარკვევია, რომელი მიდგომაა უფრო გამართლებული – ქართული თუ გერმანული, მაგრამ ცხადია, რომ „არბიტრაჟის შესახებ" კანონში გაეროს ნიუ-იორკის კონვენციაზე მითითება გამორიცხავდა იმ მცირეოდენ, მაგრამ მაინც განსხვავებებს, რაც ამ ორი ნორმატიული აქტის დებულებებს შორის არსებობს. არადა, ორივე მათგანი ქართული კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

„არბიტრაჟის შესახებ" ახალი კანონის მიღება და ამოქმედება და, შესაბამისად, უცხოური სარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადება საინტერესო იქნება *revision au fond*-ის აკრძალვის თვალსაზრისითაც. რა ფარგლებში მოახდენდნენ ქართველი მოსამართლეები უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას? საქართველოს უზენაესი სასამართლო, როგორც ვთქვით, ერთადერთი უფლებამოსილი ორგანო იქნება ყველა სახის უცხოური აქტისთვის. აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ სასამართლოს მიდგომა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების მიმართ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ანალოგიური პრაქტიკის იდენტური იყოს. მით უფრო აქტუალურია ამ პერსპექტივიდან იმ განსხვავებების აღმოფხვრა, რაც აღსრულებადად გამოცხადების ამ ორ პროცედურას შორის მოქმედი კანონმდებლობით არის დადგენილი.

საერთაშორისო პრაქტიკა საზღვარგარეთ *revision au fond*-ის აკრძალვის საკითხთან დაკავშირებით უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში არსებული კონცეფციის იდენტურია. მაშასადამე, მიუღებელია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსობრივი გადამოწმება.[264] აღსრულება შეიძლება მხოლოდ რამდენიმე მიზეზით არ იქნას ნებადართული და ამ მიზეზების დადგენა არის მოსამართლის კომპეტენციის ზღვარი, რომლის მიღმაც იგი არ არის უფლებამოსილი, განიხილოს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ, დიდი ალბათობით, აღსრულებადად გამოცხადების საქმეებს ერთი და იგივე მოსამართლეები განიხილავენ და ამას უდავოდ უფრო კომპეტენტურად გააკეთებენ, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ უცხოურ სასამართლო და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში შესაბამისი უფლებამოსილება სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებზე იქნებოდა განაწილებული. ეს რომ ასე ყოფილიყო, რეალურად გაჩნდებოდა იმის საშიშროება, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის საპროცესო საკითხებში ნაკლებად გათვითცნობიერებულ მოსამართლეებს დიდი „ნდობა" არ ჰქონოდათ კერძო სამართალწარმოების მიმართ, სადაც მოსამართ-

---

[264] Schuetze, Rechtsverfolgung im Ausland, Prozessfuehrung vor auslaendischen Gerichten und Schiedsgerichten, 4. Auflage, 2009, S. 189 - <http://books.google.de/books?id=RwzvAc4xxjAC&printsec=frontcover&dq=schuetze&source=bl&ots=6kkT0d5tF&sig=NjGRrSQOnGeg3Ln92KECjsW19HQ&hl=de&sa=X&ei=x75NUKvOA8TKhAfQ14HACg&ved=0CF4Q6AEwCA#v=onepage&q=schuetze&f=false> [10.09.2012].

ლეები შეიძლება არაიურისტებიც იყვნენ. ეს მეტად ნეგატიურ რეაქციას იწვევს დასავლეთის სახელმწიფოების იურიდიულ წრეებში და არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ, როგორც წესი, რუსული სასამართლოების გადაწყვეტილებების ცნობა არ ხდება ნაცვალგების არარსებობის გამო.

<u>ბბ) ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით</u>

ვინაიდან ჯერჯერობით ხელი არ მიგვიწვდება „არბიტრაჟის შესახებ" კანონის მიხედვით უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების პრაქტიკაზე, გავეცნოთ საინტერესო პრეცედენტს ამ სფეროში, რომელიც ჯერ კიდევ ძველი კანონის მოქმედებისას შეიქმნა.[265]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს „დერბენევკას" შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2001 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შპს „დერბის" მიმართ თანხის დაკისრების შესახებ.

პალატამ გამოარკვია, რომ რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასა-

---

[265] www.supremecourt.ge, სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება № 3ა-102; 4 ივლისი, 2003 წ.,

მართლოს 2001 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხე შპს „დერბს“ სს „დერბენერგას“ სასარგებლოდ დაეკისრა თანხის გადახდა, რაც გამომდინარეობდა მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტის შეუსრულებლობიდან. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2001 წლის 26 სექტემბერს.

სს „დერბენერგამ“ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

პალატამ განიხილა წარმოდგენილი მასალები და მიიჩნია, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:
სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის 51-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, აგრეთვე „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის თანახმად არსებობს საფუძველი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2001 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის 51-ე მუხლით, „საერთა-

შორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-63-ე მუხლებით და დაადგინა - სს „დერბენეევკას“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნეს რუსეთის ფედერაციის საკასაციო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2001 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება და დაექვემდებაროს საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას.

დაეკისროს შპს „დერბის“ სს „დერბენეევკას“ სასარგებლოდ 221280 რუსული რუბლი და საარბიტრაჟო მოსაკრებული 39475 რუსული რუბლი. აღნიშნული განჩინების ასლი და სააღსრულებო ფურცელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის მეშვეობით აღსასრულებლად გადაეგზავნოს შესაბამის სააღსრულებო ბიუროს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. განჩინების ასლი გადაეგზავნოს შუამდგომლობის ავტორს.

ეს განჩინება მრავალმხრივ არის ღირშესანიშნავი, თუმცა მისი ფორმულირება, ჩემი აზრით, აშკარად გვაძლევს კრიტიკის საბაბს. პირველ რიგში, ნიშანდობლივია, რომ საქმე გვაქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი სააარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ანალოგიის ხერხით აღსრულებადად გამოცხადებასთან. კერძოდ, ისეთ ვითარებაში, როცა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონი ცალსახად სამართლებრივი რეგულირების გარეშე ტოვებდა უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, მათი ცნობა და აღსრულებადად გამოცხადება განხორციელდა „საერთაშორისო

კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი რეჟიმის მიხედვით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ანალოგიის გამოყენების შესახებ აღნიშნული არ უნდა ყოფილიყო თვით სასამართლო განჩინების ტექსტში. აშკარაა, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონი მხოლოდ და მხოლოდ უცხო ქვეყნის სახელმწიფო სასამართლოების გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას ეხება.

მეორე მხრივ, ნიშანდობლივია, რომ, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ამ განჩინებაში ფორმალურად შეუსაბამო კანონი სახელდება და ყველა შემთხვევაში გვაქვს საქმე კანონის ანალოგიასთან, სასამართლომ არ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 68-ე, 70-ე და 71-ე მუხლებით, ანუ ნორმებით უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ სხვა ხერხი აირჩია: უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ცნო და აღსრულებადად გამოაცხადა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 62-ე და 63-ე მუხლებზე დაყრდნობით. ეს ნორმები ეხება სამართლებრივი დახმარების შესახებ უცხო ქვეყნის შუამდგომლობას. ურიგო არ იქნება თუ ამ ქცევის წესების შინაარსს გავეცნობით.

შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ შესაძლებელია აღიძრას უცხო ქვეყნის სათანადო დაწესებულების მიმართ, თუ საქმის გარემოებების გასარკვევად, ფაქტების დასადგენად,

დოკუმენტების გადაცემის ან სხვა მიზნით აუცილებელია სასამართლო მოქმედების განხორციელება საქართველოს ფარგლებს გარეთ. თუ მოქმედება ხორციელდება საქართველოს დიპლომატიური მისიის ან საკონსულო წარმომადგენლის მეშვეობით, შუამდგომლობა უნდა აღიძრას მათ მიმართ. შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისთვის უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა მოიცავდეს შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას (62-ე მუხლი).

საქართველოს სასამართლოები აკმაყოფილებენ უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობებს სამართლებრივი დახმარების შესახებ. უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისთვის ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ ქართულ ენაზე არ არის შედგენილი ან მას არ ერთვის დამოწმებული ქართული თარგმანი, მისი დაკმაყოფილება დამოკიდებული იქნება იმაზე, გაიღებს თუ არა დაინტერესებული მხარე შესაბამისი ავანსს ქართულ ენაზე თარგმანის შესასრულებლად და დასამოწმებლად.

შუამდგომლობის აღმძვრელი სასამართლოს თხოვნით, საპროცესო მოქმედების შესრულებისას შეიძლება გამოყენებული იქნეს უცხო ქვეყნის სამართლის საპროცესო ნორმები, თუ ისინი საქართველოს კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს არ ეწინააღმდეგება (63-ე მუხლი).

სამართლებრივი დახმარება არ გაიწევა, თუ:
ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს;
ბ) შუამდგომლობით გათვალისწინებული მოქმედება არ განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას (64-ე მუხლი).

ამ ნორმების განხილვა საშუალებას გვაძლევს, ყურადღება გავამახვილოთ განჩინების კიდევ ერთ უზუსტობაზე. 62-ე მუხლის ტექსტიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ შუამდგომლობის ადრესატია არა ქართული სასამართლო, არამედ, პირიქით, საზღვარგარეთის შესაბამისი ორგანო. ამგვარად, ნორმის შინაარსი მოიცავს საქართველოს ფარგლებს გარეთ საპროცესო მოქმედებების განხორციელებას. მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი განჩინების გამოტანისას „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 62-ე მუხლით ხელმძღვანელობა შინაარსობრივად არ არის გამართლებული, ვინაიდან ეს ნორმა არ შეესაბამება მოცემული ვითარებას.

საქმის ფაქტობრივ შემადგენლობას შეესაბამება 63-ე მუხლი. სამაგიეროდ, არაფერია ნათქვამი იმავე კანონის 64-ე მუხლზე, რომელიც შუამდგომლობის გაწევის დამაბრკოლებელ გარემოებებს ასახელებს. ეჭვგარეშეა, რომ, თუ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულებადად გამოცხადება განხორციელდა სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის ანალოგიით, სასამართლო ვალდებული იყო, შეემოწმებინა ამ აქტის შესაბამისობა 64-ე მუხლში დასახელებულ ორ მოთხოვნასთან.

ამგვარად, თუ უზენაესმა სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება მოეხდინა სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის ანალოგიით, მიზანშეწონილია არა 62-ე და 63-ე მუხლების, არამედ სწორედ 63-ე და 64-ე მუხლების გამოყენება.

ცალკე საკითხია თუ საერთოდ რატომ უნდა მომხდარიყო უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების რეგულირების რეჟიმის გათანაბრება სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობასთან. რახან ეს საკითხი 2010 წლამდე მოქმედ ქართულ სამართალში სამართლებრივი მოწესრიგების გარეშე რჩებოდა, მასთან შინაარსობრივად ყველაზე ახლო ნორმებს სწორედ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ დებულებები წარმოადგენდა. აშკარაა, რომ შუამდგომლობები სამართლებრივი დახმარების შესახებ ეხება სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას და ისინი უფლებამოსილი ორგანოების კუთხითაც არბიტრაჟისგან შორს დგას.

შინაარსობრივად ასეთი შუამდგომლობები ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, რომლებიც საქმეს არსებითად წყვეტენ. სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობები აღიძრება მეტწილად მარტივი საპროცესო მოქმედებების ჩატარების მიზნით.[266] მაგალითად, რომელიმე უცხო ქვეყნის სასამართლო მიმართავს

[266] შდრ: ლილუაშვილი, დისერტაცია თემაზე: „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება საქართველოში", თბილისი 2009 (დაცულია 2010 წ.), გვ. 84.

ქართულ სასამართლოს შუამდგომლობით იმის თაობაზე, რომ გაირკვეს, იმყოფებიან თუ არა ესა თუ ის პირები ფაქტობრივ ქორწინებაში, გარდაცვლილია თუ არა ესა თუ ის პირი და ა.შ.

იმ ფაქტს, რომ სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებადად გამოცხადებას არ მოიცავს, ადასტურებს ის გარემოებაც, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის I პუნქტი პირდაპირ განსაზღვრავს: ამგვარი შუამდგომლობით საქართველოს სასამართლოს შეუძლია მიმართოს მხოლოდ უცხო ქვეყნის სასამართლომ. არადა, განჩინებაში მითითებულია, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობით მიმართა უშუალოდ სააქციო საზოგადოება „დერებენნეკამ". კერძო პირს, ჩვენს შემთხვევაში – უცხოური პროცესის მონაწილე მხარეს, შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს არა 63-ე, არამედ სწორედ რომ 70-ე მუხლის ძალით.

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულებადად გამოცხადება სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობისთვის განსაზღვრული წესის მიხედვით გაუმართლებელია იმ თვალსაზრისითაც, რომ ამ უკანასკნელისთვის დადგენილი პროცედურა უდავოა და ყველა შემთხვევაში მოპასუხის მოსმენის გარეშე ხორციელდება. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" საქართველოს კანონი აშკარად არ ითვალისწინებს სასამართლო განხილვას ამ

პროცედურის ჩასატარებლად. აქედან გამომდინარე, არადამაკმაყოფილებელია, რომ მოვალეს, ანუ უცხოურ საარბიტრაჟო პროცესში წაგებულ მხარეს, არ ჰქონდეს საშუალება რაიმე შესაგებელი წამოაყენოს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დაუშვებელი იყო ასევე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან ბიმართებაში მიღებული განჩინების გასაჩივრება, მაგრამ ამ პროცესში, სულ ცოტა, სამართლიანი სამართალწარმოების ელემენტარული მოთხოვნები მაინც არის დაცული, რადგან მოვალეს აქვს უფლება, მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა და იქ წამოაყენოს თავისი შესაგებლები. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის ანალოგიით განხილვა კი ისედაც არახელსაყრელ სიტუაციაში მყოფ მხარეს ართმევს თავისი მოთხოვნის სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციურ უფლებასაც. ამგვარად, საკითხის ასეთი პერსპექტივიდან გაშუქებამ შეიძლება ქვეყნის უზენაეს კანონთან შეუსაბამობის პრობლემაც წარმოშოს.

ამ მოსაზრებებს კიდევ უფრო ამყარებს ის, რომ მოცემულ სიტუაციაში სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის ნორმებით ხელმძღვანელობა ზედმეტად აადვილებდა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებადად გამოცხადებას, რადგან არსებობდა მხოლოდ ორი შესაბამისი დამაბრკოლებელი გარემოება. ეს ფაქტი არ შეიძლება მიზანშეწონილად მივიჩნიოთ, ვინაიდან უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისთვის გათვალის-

წინებულია შვიდი წინაპირობა. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ასევე შვიდ საფუძველს იცნობს გაეროს ნიუ-იორკის კონვენცია, რომლის მონაწილეც, განხილული განჩინების გამოტანის მომენტისთვის უკვე არაერთი წლის განმავლობაში იყო საქართველოც. აქედან გამომდინარე, სავსებით მიუღებელია, რომ დაკმაყოფილებულიყო შუამდგომლობა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ, როდესაც, მაგალითად, საარბიტრაჟო ორგანოს შემადგენლობა ან საარბიტრაჟო პროცესი არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას. მოსამართლეს, რომელიც ასეთ დავას განიხილავს, მხოლოდ ერთი გზა დარჩება მსგავსი უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „მოგერიებისთვის", – საჯარო წესრიგის შესახებ დათქმის ფართო გაგებით ინტერპრეტაცია. ბუნებრივია, რომ ასეთმა პრეცედენტმა შეიძლება არაერთი გაუგებრობა გამოიწვია *ordre public*-ის მეტად რთული ნორმის ახსნა-განმარტების საკითხში.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შეეძლო, ზემოთ მოყვანილ განჩინებასთან მიმართებაში სრულიადაც არ გამოეყენებინა კანონის ანალოგიის ხერხი და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისას ეხელმძღვანელა უშუალოდ გაეროს ნიუ-იორკის კონვენციით. მოგეხსენებათ, ეს მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც ქვეყნის უზენაესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ რატიფიცირებული ნორმატიული აქტი, წარმოადგენს ქართული სამართლის შემადგენელ ნაწილს და ნორმატიული აქტების იერარ-

ქიაში კიდევ უფრო მაღალ ადგილს იკავებს, ვიდრე საქართველოს კანონი (მოცემულ სიტუაციაში კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ").

სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის ზემოთ მოყვანილ განჩინებაში ვხვდებით კიდევ არაერთ შეუსაბამობას: ამ სასამართლო აქტის სამოტივაციო ნაწილში ვხვდებით მითითებას კვლავ და კვლავ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონზე, ამჯერად – 69-ე მუხლზე. ამ ნორმას არაფერი აქვს საერთო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დერბს" და სააქციო საზოგადოება „დერბენერგას" შორის ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან წარმოშობილ საარბიტრაჟო დავასთან, ვინაიდან იგი ეხება ქორწინების საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობას. ამ მუხლის მოხსენიება უზენაესი სასამართლოს განჩინებაში იმდენად არალოგიკური და მოულოდნელია, რომ, ვგონებ, საქმე გვაქვს უბრალო ორთოგრაფიულ შეცდომასთან. თუმცა სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ინსტანციის აქტისთვის, რომელიც გამოქვეყნებულია და ფაქტობრივ სამართლის წყაროს წარმოადგენს, არც ამგვარი შეცდომის გაპარვაა საპატიო.

შეუძლებელია, არ შევეხოთ იმასაც, რომ განჩინებაში, სამწუხაროდ, ვხვდებით არასწორ დაყრდნობას „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" მინსკის კონვენციაზე. კერძოდ გამოყენებულია ამ

საერთაშორისო ხელშეკრულების 51-ე მუხლის „ბ" პუნქტი.

მიუხედავად იმისა, რომ მინსკის კონვენციის ოფიციალური თარგმანის არარსებობა მისი ტექსტის ყველა დეტალის ზუსტი გაგების საშუალებას არ გვაძლევს, რუსული ორიგინალის შინაარსიდან გამომდინარე უფრო სავარაუდოა, რომ მისი დებულებების მოქმედება უცხოური გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით ვრცელდება მარტოოდენ სახელმწიფო სასამართლოების აქტებზე. „იუსტიციის ორგანოების გადაწყვეტილებები სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე" უნდა გაიგოთ როგორც მხოლოდ სახელმწიფო სასამართლო აქტები და არა როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები. თუმცა ის გარემოება, რომ კონვენცია ამ ფაქტს ზუსტად არ აკონკრეტებს, დისკუსიის შესაძლებლობას მაინც ტოვებს.

მითითება მინსკის კონვეციის 51-ე მუხლის „ბ" პუნქტზე ისევე და ისევ მექანიკურ შეცდომად უნდა მივიჩნიოთ, რადგან იგი ეხება სასამართლო გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ. რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს კი, რასაკვირველია, არ შეიძლება კომპეტენცია ჰქონდეს გააჩნდეს სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებაში.

ნიშანდობლივია, რომ მინსკის კონვენციის გამოყენების პრეცედენტი უცხოური საარბიტრაჟო

გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებისას შემდგომშიც არაერთხელ განმეორდა.[267]

„არბიტრაჟის შესახებ" ახალი კანონის ამოქმედება იძლევა იმის გარანტიას, რომ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადება არ მოხდება კანონის ანალოგიით და არ ეანმეორდება არასწორი კანონის გამოყენების მსგავსი პრეცედენტები. თუმცა ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ხშირად არა მარტო ცუდად იცნობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, არამედ არ ითვალისწინებენ არბიტრაჟის სპეციფიკასაც, რაც უდავოდ ყურადსაღები და გამოსასწორებელია.

გგ) სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება

თვალი გადავავლოთ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების თავისებურებებს საზღვარგარეთის ქვეყნებში. საფრანგეთში უცხოური და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადება ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად და ამ ნორმატიულ აქტში გათვალისწინებული არ არის უშუალო გადამისამართება გაეროს ნიუ-იორკის კონვენციაზე. თვით აღსასრულებლად მიქცევის პროცედურა შეესაბამება ცნობის ცალმხრივ პროცედურას. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადობის შესახებ შენიშვნა თვით ამ აქტის დედანზე კეთდება.

---

[267] www. supremecourt.ge, სასამართლო გადაწვეტილებანი, განჩინება № ა-840-ჰ-35-07; 12 დეკემბერი, 2007 წ.

აქედან გამომდინარე, საფრანგეთში უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების პროცედურა ბევრად მარტივია, ვიდრე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა. ვინაიდან აღსასრულებლად მიქცევა ცალმხრივი პროცესის შედეგად ხორციელდება, ხდება თვით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მეტად შეზღუდული შინაარსობრივი კონტროლი.[268] უცხოურ და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი „აშკარად ხელყოფს საერთაშორისო საჯარო წესრიგს" (1498-ე მუხლი). ამგვარად, საფრანგეთში არსებობს მხოლოდ ერთი დამაბრკოლებელი გარემოება და მისი ფორმულირებაც ნორმის მეტად ფართო ახსნა-განმარტების საშუალებას გვაძლევს. ნიშანდობლივია, რომ თვით კატეგორია, „საერთაშორისო საჯარო წესრიგი", შეიძლება უფრო ყოვლისმომცველად იქნას ინტერპრეტირებული, ვიდრე ქვეყნის საჯარო წესრიგი. სავარაუდოა, რომ მასში მოიაზრება ყველა სახელმწიფოსთვის საერთო სამართლიანობისა და კანონიერების ფუნდამენტური პრინციპები, ცალკეულ სახელმწიფოში კი თეორიულად შესაძლებელია ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტი იქნას გაგებული ქვეყნის *ordre public*-ის შემადგენელ ნაწილად, რომელსაც სხვა ქვეყნების კანონმდებლობა არ იცნობს ან არ იცნობს იმავე სახით. მოკლედ, საუბარია ისეთ ცნებებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ უნივერსალური, ზოგადი ხასიათი და, შესაბამისად, არ წარმოადგენენ ჰიპო-

---

[268] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 267.

თეტური საერთაშორისო საჯარო წესრიგის ელემენტებს. ფრანგულ კონცეფციაში ასევე ვხვდებით გერმანული სამართლის იდენტურ აქცენტირებას „აშკარა ხელყოფაზე". შესაბამისად, ლოგიკურად მივდივართ დასკვნამდე, რომ „არააშკარა", „შეფარული" ხელყოფა არ არის უცხოურ და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი. ბუნებრივია, ამ ცნებების ზუსტ განსაზღვრებას ახდენს მოსამართლე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ამგვარად, დამაბრკოლებელ გარემოებად უფლებამოსილმა მოსამართლემ უნდა მიიჩნიოს მხოლოდ ყველაზე სერიოზული სასიათის დარღვევები,[269] რაც საქმის მასალების სრული გადამოწმების შეჯამებით უნდა დადგინდეს.

საფრანგეთში მეტად აქტუალურია ნაწილობრივი აღსრულებადად გამოცხადების საკითხი, რაც, როგორც წესი, არ დაიშვება. მაგრამ, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხოლოდ ერთი ნაწილის აღსრულება ეწინააღმდეგება საერთაშორისო საჯარო წესრიგს და ამ უკანასკნელის გამოყოფა შესაძლებელია, ნაწილობრივ აღსრულებადად გამოცხადება დაშვებული უნდა იქნას.[270]

ზემოთ უკვე ვიხილეთ, რომ საფრანგეთში ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადების სტადიაზე ამ ქვეყანაში გამოტანილი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები უთანაბრდება უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს. სამაგიეროდ,

---

[269] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 268.

[270] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991. S. 268.

საფრანგეთის ტერიტორიაზე გამოტანილი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე განჩინების გასაჩივრების საკითხი წყდება შიდასახელმწიფოებრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ანალოგიურად. კერძოდ, თუ განჩინება მას აღსრულებადად აცხადებს, გასაჩივრება დაუშვებელია,[271] თუმცა მოვალეს უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წინააღმდეგ თვითონ დაიწყოს სასარჩელო წარმოება და ამ გზით თავიდან აიცილოს აღსრულება.

რაც შეეხება უშუალოდ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გასაჩივრებას, იგი საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1502-ე მუხლის თანახმად დასაშვებია. გასაჩივრებისთვის დადგენილია ერთთვიანი ვადა მოვალისთვის განჩინების ჩაბარების მომენტიდან.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოში მაქსიმალურად გაითვალისწინეს ნიუ-იორკის კონვენციის დებულებები და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადების პროცედურა მაქსიმალურად მოარგეს ამ საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნებს 1996 წ. არბიტრაჟის შესახებ კანონის (Arbitration Act 1996) მეშვეობით.[272]

სახელმწიფოს ფედერალური მოწყობის გამო ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემა (ზოგიერთი ავტორი, საერთოდ,

---

[271] საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1504-ე მუხლი.

[272] შდრ.: Joseph, Jurisdiction and Arbitration Agreements and their Enforcement, Second Edition, London, 2005, p. 539, rz 16.60.

უმართებულოდ მიიჩნევს "აშშ-ის სამართალზე" ლაპარაკს, რადგან სამოქალაქო და საქმიანი საპროცესო სამართლის სფეროში ამ ქვეყანაში მრავალი განსხვავებული სამართლებრივი სისტემა არსებობს[273]) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებისას იყენებს სამართალწარმოების განსხვავებულ ფორმებს. გერმანიის ანოლოგიურად, აშშ-ს არბიტრაჟის შესახებ კანონიც (Federal Arbitration Act), კერძოდ მისი 201-ე მუხლი, პირდაპირ მიუთითებს გაეროს ნიუ-იორკის 1958 წ. კონვენციის გამოყენებაზე.

შვეიცარიაში უცხოური და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება ქვეყნის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონის 192-ე და 194-ე მუსლების თანახმად, უშუალოდ გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის დებულებების მიხედვით ხორციელდება. მეტიც, შვეიცარიაში აღიარებულია ნიუ-იორკის კონვენციის ნორმების სავალდებულობა იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაშიც, რომლებიც ამ საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს არ განეკუთვნება.[274] რაც შეეხება იმ პროცესუალურ ნორმებს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს აღსრულება, მათ არც გაეროს ნიუ-იორკის კონვენცია და არც შვეიცარიის „საეროაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონი არ ითვალისწინებს.[275] ამის გამო, სააღს-

[273] Borges, das Doppelexequatur von Schiedsspruechen, Berlin, 1997, S. 277.

[274] Walder, Einfuehrung in das Internationale Zivilprozessrecht der Schweiz, Zuerich, 1989, S. 262, Rz. 23c.

[275] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 272.

რულებო წარმოების ნორმები კონცენტრირებულია როგორც ცენტრალურ, კონფედერაციულ დონეზე, ისე ცალკეული კანტონების სამართალში. ეს საკმაოდ იშვიათი კონცეფციაა, რაც მეტად ართულებს შვეიცარულ დებულებებში გარკვევას. არც ჩვენ ვეცდებით ამ სახელმწიფოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ ნორმების დეტალურ მიმოხილვას. ჩვენს შემთხვევაში აღნიშვნის ღირსია მხოლოდ ის, რომ უცხოური და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების სამართლებრივი რეჟიმი განსხვავდება იმისდა მიხედვით, ეხება თუ არა საქმე ფულით გადახდას.

ბელგიაში უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებაზე უფლებამოსილია პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარე.[276] ამ სახელმწიფოშიც სასამართლოს მიერ აღსასრულებლად მიქცევა ცალმხრივი პროცესის შედეგად ხდება. საქმის ზეპირი განხილვა დაუშვებელია, მაგრამ მოსამართლეს შეუძლია, მოვალე პროცესზე მოიწვიოს. თუ კრედიტორს უარი ეთქვა აღსრულებადად გამოცხადებაზე, მას შეუძლია შესაბამისი განჩინების გასაჩივრება. ეს სააპელაციო სამართალწარმოება ორმხრივია და შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად მიმდინარეობს. ბელგიაშიც მოქმედებს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებადად გამოცხადების შესახებ განჩინების გასაჩივრების ერთთეიანი ვადა.[277]

---

[276] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 282.

[277] Haas, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991, S. 283.

იმისთვის, რომ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების შესახებ სრული სურათი შეგვექმნას, აუცილებელია გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის ნორმების უფრო ახლოს გაცნობა.

ეს საერთაშორისო ხელშეკრულება ვრცელდება დავებზე, რომელთა მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. იგი გამოიყენება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართაც, რომლებიც არ მიიჩნევა იმ სახელმწიფოს შიდა გადაწყვეტილებებად, რომელშიც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება. ეს დებულება გულისხმობს, რომ უცხოური გადაწყვეტილების ცნება და არსი კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით და დოქტრინით განისაზღვრება. უპირველესად, რომ კონვენციის დადების მომენტისთვის იმ საკითხს, თუ რა კრიტერიუმით განისაზღვრება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სახელმწიფოებრივი კუთვნილება, საპროცესო და ადგილმდებარეობის თეორიები სხვადასხვანაირად წყვეტდნენ. ტერმინი „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება" გულისხმობს არა მარტო ცალკეული საქმის გამო დანიშნული არბიტრების მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, არამედ იმ მუდმივი საარბიტრაჟო ორგანოების მიერ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსაც, რომლებსაც მხარეებმა მიმართეს.

ყოველ წევრ-სახელმწიფოს შეუძლია დააფიქსიროს, რომ იგი კონვენციას გამოიყენებს მხოლოდ ისეთ

სახელშეკრულებო ან სხვა სამართალურთიერთობათა საფუძველზე წარმოშობილი დავების მიმართ, რომლებიც განმცხადებელი სახელმწიფოს ეროვნული კანონით სავაჭრო ურთიერთობად მიიჩნევა.

საარბიტრაჟო შეთანხმებად მიიჩნევა ყველა წერილობითი შეთანხმება ან ხელშეკრულების დამატებითი შენიშვნა, ან მხარეების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება, რომელსაც შეიცავს წერილებისა და დეპეშების გაცვლა.[278]

იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლების მიმართაც გამოიყენება ეს კონვენცია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებითად იმაზე მძიმე პირობები ან უფრო მაღალი ბაჟი, ან მოსაკრებლები, ვიდრე არსებობს შიდა გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისთვის.

ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის აღმძრელი მხარე წარადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანს ან მის სათანადოდ დამოწმებულ ასლს და ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანს ან სათანადოდ დამოწმებულ ასლს.

თუ უფლებამოსილ სასამართლოში აღიძრა შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან აღსრულების შეჩერების შესახებ, მაშინ იმ ორგანოს, რომელსაც მიმართეს თხოვნით ამ

---

[278] გაეროს ნიუ-იორკის კონვენცია „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ", 1958 წ., მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, შეუძლია, თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, გადადოს ამ გადაწყვეტილების აღსრუ- ლების საკითხის გადაწყვეტა. მას, აგრეთვე, შეუძლია იმ მხარის შუამდგომლობით, რომელიც ითხოვს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას, დაავალდებულოს მეორე მხარე, წარადგინოს ჯეროვანი უზრუნველყოფა.[279]

გაეროს ნიუ-იორკის კონვენცია არ ეხება წევრი-სახელმწიფოების მიერ ამ სფეროში დადებულ სხვა მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების ნამდვილობას. იგი ძალადაკარგულად აცხადებს ჩვენს მიერ ნახსენებ ჟენევის 1924 წ. პროტოკოლს საარბიტრაჟო დათქმების შესახებ და ჟენევის 1927 წ. კონვენციას უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.

ნებისმიერ წევრ-სახელმწიფოს კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მასთან შეერთების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება მის მთელს ტერიტორიაზე ან მხოლოდ ტერიტორიის ნაწილზე. ასეთი განცხადება აღნიშნული სახელმწიფოს მიმართ ძალაში შედის მისთვის ამ კონვენციის ძალაში შესვლასთან ერთად. კონვენცია დეტალურად განიხილავს მისი დებულებების მოქმედების თავისებურებებს ფედერაციულ და არაუნიტარულ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

---

279 გაეროს ნიუ-იორკის კონვენცია „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ", 1958 წ., მუხლი 6.

ამ საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში გარკვეული უფლებამოსილებანი აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც რიგი საკითხების ადრესატი და კოორდინატორია. კონვენციის ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია ინგლისურ, ესპანურ, ჩინურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.[280]

7. აღსრულებადად გამოცხადების ცალკეული ასპექტები

ა. *შესაგებელი უცხოური გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის მიმართ*

ეს საკითხი ერთ-ერთი ცენტრალურია საზღვარგარეთის ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაში ჩვენს თემასთან დაკავშირებით. აღსრულებადად გამოცხადების პროცესში მოპასუხე, ანუ მხარე, რომელიც საზღვარგარეთ გამართულ პროცესში წაგებული აღმოჩნდა, სრულად არის დამოკიდებული მოსარჩელის ინიციატივაზე. ეს იმაში გამოიხატება, რომ, სანამ ეს უკანასკნელი, ანუ უცხო ქვეყანაში გამართულ პროცესში მოგებული მხარე, არ აღძრავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ, მოპასუხე ვერანაირ პროცესუალურ მოქმედებას ვერ განახორციელებს, ვინაიდან ერთი ქვეყნის შიგნით არ არსებობს სამართლებრივი დაცვის ინტერესი სხვა სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების

---

[280] გაეროს ნიუ-იორკის კონვენცია „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ", 1958 წ., მუხლი 16.

მიმართ.[281] ამგვარად, მოპასუხეს მხოლოდ მოსარჩელის მხრიდან შუამდგომლობის აღძვრის მომენტიდან შეუძლია, მიიღოს ზომები მის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მაგრამ აქვს კი მას უფლება, ეჭვქვეშ დააყენოს ის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, რომელიც საფუძვლად დაედო მის წინააღმდეგ გამოტანილ უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებას? საზღვარგარეთის სახელმწიფოებში ეს სავსებით მისაღები პრაქტიკაა, იმ პირობით, თუ ეს პრეტენზიები დასაბუთებულია და წარმოიშვა მას შემდეგ, რაც უცხო ქვეყნის სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება.[282] ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ მოვალეს უცხო სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად აღარ შეეძლოს ამ ახალ გარემოებებზე დაყრდნობით პირველად ქვეყანაში გადაწყვეტილების გასაჩივრება.[283] დაგვიანებულია თუ არა ეს გასაჩივრება, ისევ და ისევ უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, მივდივართ იმ შედეგამდე, რომ როდესაც მოვალის მატერიალურ-სამართლებრივი პრეტენზიები გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის სამართლის მიხედვით ნაგვიანები არ არის, მათი წამოყენება აღსრულებადად გამოცხადების პროცესში არ წარმოადგენს *revision au fond*-ის აკრძალვის დარღვევას.[284] გერმანიაში გაერცელებული კონცეფციის თანახმად, გერმანელი მოსამართლე ვალდებულია ასეთი შესაგებლები გაითვალის-

---

[281] Falck, Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998, S. 52.

[282] BGHZ 59, S. 116, 124.

[283] OLG Duesseldorf FamRZ 1979 313, 314.

[284] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1105, Rz. 3146.

წინოს.[285] სხვა საკითხია, თუ რა მოცულობით უნდა მოხდეს ეს გათვალისწინება. რა თქმა უნდა, ბევრი რამ მოსამართლის შეფასებაზეა დამოკიდებული.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით ასეთი შესაგებლების სამართლებრივ ბუნებას, დავინახავთ, რომ ისინი გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებაზე უარის თქმის საფუძვლებსაც წარმოადგენდნს. ეს მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა მოსამართლე მიიჩნევს, რომ ამგვარი შესაგებლები იმდენად სერიოზული ხასიათისაა, რომ უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დაშვება მიზანშეწონილი არ იქნება. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, როცა უცხო ქვეყანაში გამოტანილი აქტი, რომელიც მისი ცნობისთვის დადგენილ ყველა პირობას აკმაყოფილებს, შეიძლება აღსრულებას არ დაექვემდებაროს. რასაკვირველია, ეს მეტწილად ჰიპოტეთური ვარაუდია და იმის რეალური შანსი, რომ მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებლების საფუძველზე აღსრულების შესახებ შუამდგომლობა არ იქნას დაკმაყოფილებული, ძალზე მცირეა.

ყველა ის შესაგებელი, რომელთა წამოყენება მოვალეს შეეძლო აღსრულებადად გამოცხადების პროცესში, მაგრამ ეს არ გააკეთა, დაგვიანებულია და მათი საქმეში ჩართვა აღარ დაიშვება.[286] ჩვენ უკვე ვახსენეთ საზღვარგარეთ არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც აღსრულების საწინააღმდეგო

[285] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1105, Rz. 3147.

[286] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1108, Rz. 3153.

სარჩელის მეშვეობით საჩივრდება აღსრულებადად გამოცხადების შესახებ განჩინება. მოვალეს შეუძლია, სწორედ ასეთ სარჩელში წამოაყენოს უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების განჩინების გამოტანის შემდეგ წარმოშობილი შესაგებლები.[287]

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა, აქვს თუ არა მოვალეს უფლება, აღსრულების საწინააღმდეგო სარჩელში შეიტანოს ის შესაგებლები, რომელთა წამოყენებაც მას უკვე აღსრულებადად გამოცხადების შესახებ პროცესში შეეძლო. ამის თაობაზე არ არსებობს ქართული სასამართლო პრაქტიკა, მაგრამ ცხადია, რომ ასეთი საკითხის წარმოშობა თეორიულად სავსებით შესაძლებელია. ამიტომ ეს პრობლემა ხშირად განიხილება საზღვარგარეთის შესაბამის იურიდიულ ლიტერატურაში და მთელი რიგი ავტორები ემხრობიან ასეთი შესაგებლების დასაშვებობას.[288] ეს იმ არგუმენტით საბუთდება, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა სასამართლო მოსმენის პრინციპის ხელყოფასთან. მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ, საპროცესო ეკონომიის თვალსაზრისით, გაუმართლებელი და არამიზანშეწონილი იქნებოდა მოპასუხისთვის ერთი და იმავე შესაგებლების ორჯერ წამოყენების შესაძლებლობის მიცემა.[289]

---

[287] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1108, Rz. 3153.

[288] Baur/Stuerner, Zwangsvollstreckungs-, Konkurs- und Vergleichsrecht, 12. Auflage, Heidelberg, 1995, S. 668, Rz. 57. 3.

[289] შდრ: Stein/Jonas, ZPO Kommentar, Tuebingen, 2002, Band 7, S. 227.

მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებლების დასაბუთებისთვის გადამწყვეტია *lex causae*, ანუ მათი საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება დავის საგნის განხილვა.[290] ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით დგინდება, სადაც აღსრულება ხდება. ამით გამონაკლის შემთხვევებში იგულისხმება არა აღმასრულებელი ქვეყნის საკოლიზიო ნორმებით დადგენილი, არამედ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის მიერ რეალურად გამოყენებული სამართალი.[291]

სადავოა ის საკითხიც, არის თუ არა მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებლებთან მიმართებაში აღსრულების საწინააღმდეგო სარჩელი განჩინების გასაჩივრების სწორი ფორმა თუ ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს სარესტიტუციო, ანუ პირველადი მდგომარეობის აღსადგენი სარჩელი.[292] უკანასკნელი მოსაზრების მომხრეები იშველიებენ იმ არგუმენტს, რომ აღსრულებადად გამოცხადების პროცესის დავის საგანი მხოლოდ და მხოლოდ თვით აღსრულებადად გამოცხადებაა, მასთან მიმართებაში მიუღებელია აღსრულების საწინააღმდეგო სარჩელის გამოყენება, რომელიც მატერიალურ-სამართლებრივ ხასიათს ატარებს.[293]

---

[290] Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 5. Auflage, Muenchen, 2010, S. 349.

[291] Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 5. Auflage, Muenchen, 2010, S. 349.

[292] შდრ: Linke, Internationales Zivilprozessrecht, 3. Auflage, Koeln, 2001, S. 182, Rz. 442.

[293] შდრ.: Linke, Internationales Zivilprozessrecht, 3. Auflage, Koeln, 2001, S. 182, Rz. 442.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილი კონცეფციები მოქმედ ქართულ სამართალსა და სასამართლო პრაქტიკას უშუალოდ არ ეხება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი ინსტიტუტების არარსებობის გამო, ვგონებ, რომ მაინც ინტერესმოკლებული არ უნდა ყოფილიყო ჩვენს თემასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ არსებული პრობლემატიკის მიმოხილვა.

ბ. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების განსაზღვრულობის პრინციპი და მისი კონკრეტიზების პრობლემატიკა

მეორადი სახელმწიფოს მოსამართლის წინაშე აღსრულებადად გამოცხადების პროცესში დგას მხოლოდ ის ამოცანა, რომ უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებას ქვეყნის შიგნით იურიდიული ძალა მიანიჭოს. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს ეს მოსამართლე, როდესაც უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ყველა პირობა არ არის ზუსტად განსაზღვრული იმისთვის, რომ იძულებითი აღსრულება განხორციელდეს? აქვს თუ არა მას შესაძლებლობა, მცირეოდენი დამატებები შეიტანოს ამ გადაწყვეტილებაში იმ მიზნით, რომ იგი აღსასრულებლად ვარგისი გახდეს? პრინციპში, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამომცხადებელი მოსამართლე ვალდებული ან უფლებამოსილი არ არის რაიმე დამატებები, ცვლილებები ან მსგავსი მოქმედებები განახორციელოს, მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე[294] და ევროპის სახელმწი-

[294] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1109, Rz. 3156.

ფოების პრაქტიკამ საკუთარი დოქტრინა ჩამოაყალიბა.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ კონკრეტიზება უნდა განახორციელოს არა იმ სასამართლომ, რომელიც აღსრულებადად აცხადებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებას, არამედ უშუალოდ სააღსრულებო ორგანომ.[295]

თავისთავად განსაზღვრულობის პრინციპი არც საქართველოსთვის არის უცხო და, თუმცა იგი კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებული არ არის, მაგალითად, როგორც მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი, მის საფუძვლებს ჩვენ მაინც ცხადად ვხედავთ ქართულ სამართალში. ეს ბუნებრივიც არის, რადგან მის გარეშე სამართლიანი სამართალწარმოება შეუძლებელი იქნებოდა. დებულებები სასამართლოს გადაწყვეტილების განსაზღვრულობისა და სიზუსტის შესახებ სხვადასხვა ნორმებშია გაფანტული. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლში ლაპარაკია იმ აუცილებელ მონაცემებზე, რომლებსაც სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს. ამგვარად, ჩვენშიც არსებობს ის მინიმალური მოთხოვნები, რაც სასამართლო გადაწყვეტილებას ესაჭიროება იმისთვის, რომ იგი აღსრულებას დაექვემდებაროს. განსაზღვრულობის პრინციპის მოქმედება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, განსაკუთრებით კი აღსრულებადად გამოცხადების

---

295 შდრ.: Fahl, die Stellung des Glaeubigers und des Schuldners bei der Vollstreckung auslaendischer Entscheidungen nach dem EuGVU, Baden-Baden, 1993, S. 46.

პროცესში, უდავოდ არის აღიარებული სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში,[296] რასაც სასამართლო პრაქტიკის დოქტრინაც ეთანხმება.[297] თუ რა მოცულობით ერცელდება ეს მოთხოვნები უცხო ქვეყნის სასამართლო აქტზე, ძნელი დასაკონკრეტებელია – გადამწყვეტი აქ კვლავ მოსამართლის შეფასება იქნება.

დასავლეთ ევროპის იურიდიულ ლიტერატურაში ეხედებით შეკითხვას – ხომ არ წარმოადგენს იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების განსაზღვრულობის პრინციპი საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილს. ასეთ შემთხვევაში აღსრულებადად გამომცხადებელი მოსამართლე უფლებამოსილი იქნებოდა, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილება გადაემოწმებინა ქვეყანაში არსებულ გადაწყვეტილების ფორმასთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ამ კონცეფციასთან მიმართებაში დისკუსიის ერთერთ უმთავრეს საგანს წარმოადგენს საკუთრივ განსაზღვრულობის პრინციპის ცნება. არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების კლასიფიკაციაც მათში შინაარსობრივი ხარვეზების ნიშნით:[298]

1. როცა უცხოური აქტი მოვალეს ავალდებულებს განუსაზღვრელი ოდენობით ჯარიმის გადახდას;

---

[296] შდრ.: Baur/Stuerner, Zwangsvollstreckungs-, Konkurs- und Vergleichsrecht, 12. Auflage, Heidelberg, 1995, S. 141, Rz. 14. 3.

[297] BGH NJW 1986, 1440.

[298] შდრ.: Falck, Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998, S. 18-39.

2. როცა არ არის ზუსტ რიცხვებში განსაზღვრული კანონით დადგენილი პროცენტები და დამატებული ღირებულების გადასახადი;

3. როდესაც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც რჩენას, ალიმენტის გადახდას და ა.შ. ითვალისწინებს, ციფრობრივად განსაზღვრული არ არის;

4. როდესაც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება ზუსტად არ განსაზღვრავს მოვალის მიერ შესასრულებელი მოქმედების მოცულობას;

5. როცა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება ითვალისწინებს ქვეყნის შიგნით უცხოური ვალუტით გადახდას.

სადავოა ასევე, არის თუ არა ეს ჩამონათვალი ამომწურავი; არის თუ არა უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსი არაკონკრეტულობა საფუძველი იმისა, რომ მისი აღსრულება არ იქნეს დაშვებული მისი *ordre public*-თან შეუსაბამობის საბაბით? რასაკვირველია, არა. აქ ისევ საჯარო წესრიგის შესახებ დათქმის გამონაკლის შემთხვევებში გამოყენების პრაქტიკით უნდა ვიხელმძღვანელოთ. მიიჩნევა, რომ ამ მიზეზით უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ქვეყნის საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო აქტად აღიარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა მის სარეზოლუციო ნაწილში ან დასაბუთებაში ზუსტად არ არის მოცემული თვით აღსრულების მოთხოვნა ან იგი ითვალისწინებს ისეთ სამართლებრივ და

სააღსრულებო შედეგებს, რომლებსაც მეორე სახელმწიფოს სამართალი არ იცნობს.[299]

გ. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ორმაგად აღსრულებადად გამოცხადება

ეს მოვლენა ერთგვარი გამმიჯნავი რგოლია უცხოური სასამართლო და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებას შორის. საკითხი ასე დგას – შეიძლება თუ არა ისეთი უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც, თავის მხრივ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აცხადებს აღსრულებადად. თუ ეს შესაძლებელია, მაშინ რა ფორმით? როგორც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება თუ როგორც უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება? ჩვენ ხომ უკვე კარგად ვიცით, რომ მათი აღსრულებადად გამოცხადებისთვის სხვდასხვა ნორმატიულ აქტში სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმია გათვალისწინებული.

მიიჩნევა, რომ უცხო ქვეყნის სახელმწიფო სასამართლოების გადაწყვეტილებები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადების შესახებ არ წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს და არ ექვემდებარება ნიუ-იორკის კონვენციასა და შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ ნორმებს.[300] ამგვარ ორმაგად აღსრულებადად გამოცხადების შემცველ სასამართლო გადაწყ-

---

[299] შდრ: Genius, Konkretisierende Vollstreckbarerklaerung eines auslaendischen Schiedsspruchs - <http://www.bghanwalt.de/veroeffentlichungen/vo_bg_012.htm> [10.09.2012].

[300] შდრ: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1331, Rz. 3899.

ეტილებებზე ვერ გავრცელდება ასევე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებადად გამოცხა- დების ჩვეულებრივი სამართლებრივი რეჟიმი.

ამ პრობლემის არსს უფრო ნათლად დავინახავთ, თუ უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ორმაგ აღსრულებადად გამოცხადების კონცეფციას გავიხსენებთ. ამ სფეროში გაბატონებული მოსაზრებაა ფრანგულ ტერმინოლოგიით ცნობილი დოქტრინა – *exequatur sur exequatur ne vaut*, ანუ უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრუ- ლება არ შეიძლება, თუ იგი, თავის მხრივ, სხვა ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებას აცხადებს აღსრუ- ლებადად. ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ამგვარი ორმაგი აღსრულებადად გამოცხადება არ რეგულირდება არც საქართველოს შიდა კანონმდებლობით და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით. თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკა უკვე დაუპირისპირდა ამ პრობლემატიკას და სავსებით გამართლებული გადაწყვეტილებაც გამოიტანა:

ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით პანამური კომპანია Polestar Compania Maritima S.A.-ის სასარგებლოდ საქართველოს სახელმწიფოს დაეკისრა: ვალის ძირითადი თანხა და პროცენტი; მოსარჩელის მიერ იურიდიულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი; მართვის ხარჯები და დანახარჯები; საარბიტრაჟო ხარჯი.

დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული

სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ 1999 წლის 24 აგვისტოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მიერ Polestar Compania Maritima S.A.-თვის გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი თანხები სასამართლო ხარჯებისა და გადასახედების დამატებით.

2009 წლის 24 სექტემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა პანამურმა კომპანია Polestar Compania Maritima S.A.-მ, რომელმაც მოითხოვა დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ წარმოდგენილ მოსაზრებაში შუამდგომლობა არ ცნო და განმარტა, რომ დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და olestar Compania Maritima S.A.-ის შუამდგომლობის მოთხოვნა ეფუძნება ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებას. საარბიტრაჟო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლით ერთმნიშვნელოვნადაა დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – ათი წელი.

ამასთან, მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციულ სასამართლოს საქმე არსებითად არ განუხილავს და არ შეუმოწმებია ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების კანონიერება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის განხილვისას საკასაციო სასამართლოს მოთხოვნით Polestar Compania aritima S.A.-მ კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ იგი არ მოითხოვს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, არამედ – მხოლოდ დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებას.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობის სასამართლო განხილვის შედეგად მიიჩნია, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: შუამდგომლობის ავტორი არ მოითხოვს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, რის შესაძლებლობასაც მას „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია პირდაპირ აძლევს. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია მხოლოდ დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული

სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს: „საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს“. ამ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ – მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება.

უცხო ქვეყნის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა ნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე მოჰყვება იგივე სამართლებრივი შედეგი, რასაც აღნიშნული გადაწყვეტილება მის გამომტან ქვეყანაში ისახავს მიზნად.

ფორმალური ნიშნით დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებაა, მაგრამ არსებითად აკმაყოფილებს თუ არა ცნობაუნარიანობის მოთხოვნას, ამისათვის საჭიროა, სწორად შეფასდეს, არსობრივად რა სახის გადაწყვეტილებას წარმოადგენს იგი და რა სამართლებრივი შედეგის დადგენას ისახავს მიზნად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით მხედველობაში იღებს ინგლისის 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის 66(1)-66(3) მუხლების მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა იძულებით აღსრულებას სასამართლოსგან ნებართვის მიღების გზით, ასევე, ამავე საარბიტრაჟო აქტის 66(4) მუხლის მოთხოვნას, რომ ნიუ-იორკის კონვენციის ფარგლებში არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებაზე არ ახდენს გავლენას 66(1)-66(3) მუხლებით დადგენილი დანაწესი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება თავისი არსით წარმოადგენს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების ინგლისის ტერიტორიაზე იძულებით აღსასრულებლად მიქცევის მიზნით გამოტანილ გადაწყვეტილებას. იგი განკუთვნილია მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი აღსრულების მიზნებისთვის და იძულებითი აღსრულების დაწყების საფუძველია ინგლისში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება თავისი არსით არ არის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგი – საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად მიქცევა ინგლისის ტერიტორიაზე – მას საქართველოს ტერიტორიაზე ვერ მოჰყვება. საქართველოში ცნობისა და აღსრულების ობიექტი

შეიძლება იყოს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლის ცნობისა და აღსრულების საკითხი შუამდგომლობის განხილვის საგანს არ წარმოადგენს.[301]

ჩვენთვის ბუნდოვანი რჩება თუ რა მიზეზით იქნა წარმოდგენილი უზენაეს სასამართლოში არა უშუალოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლის ცნობაც და აღსრულებაც პირდაპირ ევალებოდა საქართველოს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციიდან გამომდინარე, არამედ ინგლისის სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილება. კიდევ ერთხელ დავძენთ აღიარებულ ფაქტს, რომ სწორედ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადება აწყდება ხოლმე ნაკლებ წინაღობებს ნიუ-იორკის კონვენციის უნივერსალური ხასიათის გამო. ასეა თუ ისე, კრედიტორმა არასწორი გზა აირჩია თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და სასიხარულოა, რომ ამ შემთხვევაში უზენაესმა სასამართლომ კარგად დასაბუთებული გადაწყვეტილებით მოახდინა ორმაგი აღსრულებადად გამოცხადების უარყოფის კონცეფციის დამკვიდრება ქართულ სამართალში.

ერთგვარად განსხვავებულია სიტუაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც. ამგვარი აქტი გადასაწყვეტად სახელმწიფოს უზენაესი სასამართლოს წინაშე წამოიჭრა. საქმე ეხებოდა ამერიკის შტატ ნიუ-იორკის სასამართლო გადაწყვეტილებას,

---

301 უზენაესი სასამართლოს გადაწვეტილებანი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, თბილისი 2010, №10, გვ. 20.

რომელიც ამავე შტატში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აცხადებდა აღსრულებადად.[302] სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება, რომელიც მოპასუხის მიერ ფულადი თანხის გადახდას ითვალისწინებდა, აღსრულებადად შეიძლებოდა გამოცხადებულიყო გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 722-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურით. ეს ნორმა შინაარსობრივად საერთაშორისო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 70-ე და 71-ე მუხ- ლებს შეესაბამება. ამრიგად, გერმანიის უზენაესმა სასამართლომ დაუშვა ორმაგი აღსრულებადად გამოცხადება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებისთვის დადგენილი წესით. ამ გადაწყვეტილებაში ვხედავთ კანონის ანალოგიის ხერხის გამოყენების მაგალითს, როდესაც შინაარსობრივად ყველაზე ახლოს მდგომი ნორმა ვრცელდება მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებზე. ამ გადაწყვეტილების დასასაბუთებლად გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ის არგუმენტი მოიშველია, რომ სასამართლო აქტი გამოტანილია ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული *doctrine of merger*-ის მიხედვით. ამ დოქტრინის ძალით, სახელმწიფო სასამართლო დეტალურად განიხილავს საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებას, და ფაქტობრივად მის დამამტკიცებელ აქტად იქცევა. შესაბამისად, გერმანიის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, ნახსენები დოქტრინის მიხედვით, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ვერ იქნება სასამართლო გადაწყვეტილების ტოლფასი.[303] აქედან გამომდინარე, აღსრულება ხდება

---

[302] BGH IPRax 1985, 157.

[303] Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 823.

თვით ამ სახელმწიფო სასამართლო გადაწყვეტილების და არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ მძაფრი დისკუსიები გამოიწვია. ამიტომ ეს ორგანო იძულებული გახდა ორმაგად აღსრულებადად გამოცხადებისთვის უფრო ხელსაყრელი რეგულირება დაედგინა, ვიდრე უარი ეთქვა ამგვარი გადაწყვეტილებების საარბიტრაჟო ბუნებაზე. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ თავის კონცეფციაში შესწორება შეიტანა იმავე საკითხთან დაკავშირებით გამოტანილ თავის შემდეგ დადგენილებაში: „ნიუ-იორკის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 722-ე, 723-ე მუხლების შესაბამისად (ანუ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადების შესახებ ნორმებით) არ ართმევს შესაბამის პირს იმის უფლებას, რომ ამის ნაცვლად შუამდგომლობა შეიტანოს იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებაზე, რომელიც მას საფუძვლად უდევს". შესაბამისად, შესაძლებელი გახდა ასეთ სიტუაციაში უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესახებ ნორმებით სარგებლობა, ანუ უშუალოდ გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის დებულებების გამოყენება.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით შეიქმნა ორმაგ აღსრულებადად გამოცხადებასთან მიმართებაში არჩევანის უფლების პრეცედენტი. ამგვარად, მოსარჩელეს გაუჩნდა შესაძლებლობა, გაეკეთებინა არჩევანი უცხოურ სასამართლო და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს

შორის. ეს ფაქტი აღსრულების მოსარჩელეს მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს: მას შეუძლია, თავად განსაზღვროს თუ აღსრულებადად გამოცხადების რომელი ფორმაა მისთვის კონკრეტულ სიტუაციაში ხელსაყრელი, ანუ რომელია უფრო სწრაფი და ნაკლებ საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებული და ა.შ. ზოგიერთი მკვლევარი კრედიტორისთვის ორი სააღსრულებო ფურცლის მოპოვების შესაძლებლობას ნეგატიურად აფასებს.[304]

რახან ქართული დოქტრინა ორმაგ აღსრულებადად გამოცხადებას დაუშვებლად მიიჩნევს, ჩვენში ამ საკითხს მოცემულ ეტაპზე აქტუალობა ეკარგება და მას ამ ნაშრომში მეტ ყურადღებას აღარ დავუთმობთ.

დ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამომტან სახელმწიფოში მისი ძალადაკარგულად გამოცხადება

არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იურიდიულ ძალას მის გამომტან სახელმწიფოში. თუ იქ მისი ძალადაკარგულად აღიარება მოხდა, ანუ იმ სამართლით, რომელიც ქართული თვალსაზრისით გამოყენებული უნდა იქნას, მაშინ, ევროპაში არსებული დოქტრინის თანახმად, საქმე გვაქვს სამართლებრივ „ნულთან", რომლის არც ცნობა და არც აღსრულება არ დაიშვება.[305] ამგვარად, უცხო ქვეყანაში საარბიტრაჟო გადაწყ-

[304] Nagel/Gottwald, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007, S. 823.

[305] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1348, Rz. 3944.

ვეტილების ძალადაკარგულად აღიარება წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ მან ვერანაირი სამართლებრივი შედეგები ვერ იქონიოს მეორე სახელმწიფოშიც. ეს ფაქტი ნორმატიულად არის დადგენილი გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლში: „გადაწყვეტილება... გაუქმებულ ან აღსრულებით შეჩერებულ იქნა იმ ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ, სადაც იგი მიიღეს, ან იმ ქვეყნის ხელისუფლების მიერ, რომლის კანონიც იქნა გამოყენებული". მიუხედავად ამისა, გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის ეს ნორმა ისეა ჩამოყალიბებული, რომ იგი საერთაშორისო სამართლებრივად არ ავალდებულებს მეორე სახელმწიფოს, უარი განაცხადოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობაზე და აღსრულებადად გამოცხადებაზე.[306] ეს, პირველ რიგში, იქიდან გამომდინრეობს, რომ ამ საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტში ზემოთხსენებულ დამაბრკოლებელ გარემოებასთან დაკავშირებით არ არსებობს იმპერატიული მოთხოვნა. დააკმაყოფილებს თუ არა მოსამართლე შუამდგომლობას უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მის გამომტან ქვეყნაში გაუქმების შემთხვევაში, ეს გადაწყდება მოსამართლის შეფასების საფუძველზე. ნორმის დისპოზიციურ ბუნებას ისიც უსვამს ხაზს, რომ ამ გარემოების გათვალისწინება მხოლოდ მხარეთა ინიციატივით ხდება და მოსამართლისთვის მისი განხილვა სავალდებულო არ არის.

აქედან გამომდინარე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამომტან სახელმწიფოში მისი გაუქმება მეორად სახელმწიფოში ამ ფაქტის ცნობას საჭი-

---

[306] შდრ: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1349, Rz. 3944a.

როებს. თუ ასეთი ცნობა არ მოხდება, უპირატესობა დროის მხრივ უფრო ადრე გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ენიჭება იმავე საკითხზე უცხოური სახელმწიფო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან შედარებით.[307]

ე. სხვა საკითხები

საინტერესოა თუ როგორ მიდგომას გამოიმუშავებს უზენაესი სასამართლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ, რომელიც საარბიტრაჟო პროცესის ხარჯების ანაზღაურებას ეხება. საზღვარგარეთ ასეთი სახის საარბიტრაჟო გაადაწყვეტილებები თავისთავად ცნობას ექვემდებარება, მაგრამ, თუ უცხოურ საარბიტრაჟო სასამართლოს არ გადაუწყვეტია ხარჯების ანაზღაურების საკითხი, მეორადი სახელმწიფოს სასამართლოს უფლება არა აქვს, აქტში შესაბამისი დამატებები შეიტანოს.[308] დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მხოლოდ გადახდის შესახებ შეიტანოს სარჩელი და ჩვეულებრივი სამართალწარმოების გზით მიაღწიოს საწადელს.[309]

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საკითხი ერთი და იმავე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სხვადასხვა ქვეყანაში აღსრულებადად გამოცხადების პროცესის თაობაზე. ეს დასაშვებია მაშინაც, როცა ეს პროცესები ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობდა, რადგან კრედიტორი უნდა დაეუფლოს

---

[307] Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1351, Rz. 3948.

[308] შდრ.: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1332, Rz. 3901.

[309] შდრ: OLG Hamburg vom 26.1.1989, RIW 1991, 152, 154.

სააღსრულებო ფურცელს, ანუ იძულებითი აღსრულების საფუძველს, რათა მისი დროულად დაწყება შეძლოს.[310] შესაბამისად, კრედიტორის მცდელობები, აღსრულება განხორციელდეს საზღვარგარეთ, არ წარმოადგენს ქვეყნის შიგნით მისთვის აღსრულებადად გამოცხადებაზე უარის თქმის საფუძველს.

8. დასკვნა

ნაშრომის დასკვნით ნაწილში მიზანშეწონილად მიმაჩნია, კიდევ ერთხელ მოკლედ შევაჯამოთ თემასთან დაკავშირებული ყველაზე აქტუალური საკითხები, დავსახოთ განხილული პრობლემების გადაჭრის გზები და დავაყენოთ რეალური წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

1. სასამართლო განსჯადობის საკითხები უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებით საქართველოში კონცენტრირებულია უზენაესი სასამართლოს ხელში. ამგვარად, ლოგიკური იქნებოდა, რომ საქართველოს კანონმდებლობას, გამორიცხავს რა ამ ორივე სფეროში გამოტანილი განჩინებების გასაჩივრებას, აქცენტი გაეკეთებინა აღსრულების სიმარტივესა და სისწრაფეზე. ამ მხრივ კი გვაქვს გარკვეული სხვაობები უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებასთან დაკავ-

[310] შდრ: Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009, S. 1343, Rz. 3927.

შირებით, რაც, ვგონებ, საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე ცვლილებებს ამ ორივე პროცედურის ჰარმონიზების მიზნით.

2. კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ შინაარსობრივად საუბრობს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებაზე, როგორც სასამართლოს მოქმედებაზე, თუმცა იყენებს ტერმინს „აღსრულება“. ურიგო არ იქნებოდა, რომ თვით ამ ნორმატიულ აქტში შესულიყო შესაბამისი ტერმინოლოგიური ცვლილება.

3. იმავე კანონში ტერმინი „გადაწყვეტილება“ სასურველია შეიცვალოს “დადგენილებით” ან ამ კანონითვე განისაზღვროს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების დეფინიცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გამოტანილი აქტების ტერმინოლოგიური ჰარმონიზების მიზნით, უპრიანი იქნებოდა, შესაბამისი ცვლილებები შესულიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

4. ზემოთქმულს შინაარსობრივად უკავშირდება ასევე წინადადება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის 71-ე მუხლის ცვლილებასთან დაკავშირებით. აშკარა ტერმინოლოგიური გაუგებრობაა: „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე გადაწყვეტილებას საქართველოს სასამართლო იღებს დადგენილების ფორით”. ჩვენ ვნახეთ, რომ პრაქტიკაში საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ სრულიად მართებულად იღებს განჩინებებს და არა დადგენილებებს – ამ აქტებით საქმე თავის-

თავად არსებითად არ წყდება. ამგვარად, სასურველია 71-ე მუხლში არსებული უზუსტობის გასწორება და იმის დადგენა, რომ უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ განჩინება გამოიტანება.

5. შესაძლებელია, 71-ე მუხლში კიდევ ერთ შესწორება გაკეთდეს – „სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებულ ასლსა და ქართულ თარგმანთან ერთად წარმოდგენილი იყო **ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ**". საზღვარგარეთ ასეთი ცნობის გაცემა რომ ბიუროკრატიულ წინაღობებს არ წააწყდეს და ამით სასამართლო აქტების საერთაშორისო მიმოქცევა არ შეაფერხოს, მიზანშეწონილია კანონის ტექსტიდან ამ მოთხოვნის ამოღება.

6. მიუხედავად უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიერ ნორმის შესაბამისი ახსნაგანმარტებისა, 68-ე მუხლში სასურველია მხარეთა დისპოზიციაში არსებული ცნობისა და აღსრულების პირობების გამიჯვნა სასამართლოს მიერ სავალდებულო წესით შესამოწმებელი პირობების- გან.

7. კანონის 68-ს მუხლის II პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის ფორმულირებაში („გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, **მხარე** უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა **სხვა საპროცესო დარღვევები**") სასურველია „მხარე" ჩანაცვლდეს "მოპასუხით" და გაკეთდეს მცირე მინიშნება თუ რა სახისა და სიმძიმის „საპროცესო დარღვევებზეა" ლაპარაკი.

8. საქართველო-თურქმენეთის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული „საზოგადოებრივი წეს-წყობილება“ ქართული სამართალმცოდნეობისთვის მეტად ბუნდოვანი ცნებაა. შესაბამისად, მოსამართლეს, რომელსაც „საზოგადოებრივი წესწყობილების“ ახსნა-განმარტებისთვის მეტად ფართო ასპარეზი ეძლევა, არ აქვს აღნიშნული ცნების შიდასახელმწიფოებრივი და უცხოური სასამართლო პრაქტიკის ინტერპრეტაცია. ჩემი აზრით, ამგვარი ზოგადი ხასიათის დეფინიციის არსებობა ამ ორმხრივ ხელშეკრულებაში მიზანშეწონილი არ არის.

9. მეტად აქტუალური საკითხია დსთ-ის ამჟამინდელ წევრებთან მოქმედ ხელშეკრულებებში საჯარო წესრიგის შესახებ დათქმის დამატება. იდეალურ შემთხვევაში იგივე უნდა მოხდეს მინსკის კონვენციის ტექსტშიც.

10. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსობრივი გადამოწმება თუმცა უშუალო ნორმატიული ბაზის გარეშე, მაგრამ მაინც მოქმედებს თანამედროვე ქართულ სამართალში. ამის მტკიცების საბაბს გვაძლევს სასამართლო პრაქტიკა, სადაც *revision au fond*-ის აკრძალვის რაიმე მნიშვნელოვან დარღვევებს ვერ ვხვდებით. ბუნებრივია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა შესაბამის ნორმატიულ აქტებში ამ პრინციპის შესახებ მცირე დათქმის შეტანა.

11. საქართველოსა და თურქმენეთს შორის დადებული სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას.

ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის ქვეყნებს შორის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ხელშეკრულებების დადება თითქმის არ ხდება, რადგან ისედაც მოქმედებს ამ სფეროში ყველაზე ხელსაყრელი ინსტრუმენტი – გაეროს ნიუ-იორკის კონვენცია. ამგვარად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ჩართვა ორმხრივ სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებში ზედმეტად მესახება.

12. „არბიტრაჟის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებულ აღსრულებადად გამოცხადების პროცედურასთან მიმართებაში გარკვეულ კითხვებს ჰბადებს ის ფაქტი, რომ 45 მუხლის 1, „ა“ ქვეპუნქტი მხარეთა დისპოზიციაში არსებული გარემოებების სასამართლოში განხილვას უკავშირებს მოვალის მიერ „სარჩელის“ შეტანას. მსგავსი მოთხოვნა არ მოიპოვება არც „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონში და არც ნიუ-იორკის კონვენციაში. რადგან საარბიტრაჟო პროცესში წაგებული მხარის მიერ დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოების დაწყება აღსრულებადად გამოცხადების აზრს ეწინააღმდეგება და მას ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადების გამომრიცხავი პირობის არსებობის მტკიცება მხოლოდ შესაბამისი სამართალწარმოებისას უნდა შეეძლოს, მიზანშეწონილია „სარჩელის“ საკითხის ამოღება ნორმატიული აქტის ტექსტიდან.

13. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი უშვებს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქმეზე წარმოების 30 დღემდე შეჩერების შესაძლებლობას. პროცესის სისწრაფისა და სიმარტივის ჭრილში აღსრულების ნებისმიერი შეჩერების ნორმატიული

შესაძლებლობა, თუნდაც არაიმპერატიული სახისა, საქმის გაჭიანურებად უნდა იქნას აღქმული. ვინაიდან უკანასკნელ პერიოდში ქართულმა კანონმდებლობამ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადება სამართლებრივად მეტად დაახლოვა (გამომრიცხავი გარემოებების მსგავსება, ერთი და იგივე უფლებამოსილი სასამართლო და სხვ.), სასურველია რომ საქმისწარმოების შეჩერებასთან მიმართებაშიც რაიმე არსებითი განსხვავებები არ იქნას დადგენილი. ამიტომ სასურველია, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონში გაკეთდეს ანალოგიური დათქმა წარმოების 30 დღემდე შეჩერების თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში გამართლებული იქნება ამ ნორმის ამოღება „არბიტრაჟის შესახებ" კანონიდან.

14. ზედმეტად მესახება უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების გამომრიცხავი გარემოებების რეგულირება „არბიტრაჟის შესახებ" კანონში. საკმარისი იქნებოდა გაეროს ნიუ-იორკის კონვენციაზე გადამისამართება. ეს გამორიცხავდა იმ მცირეოდენ, მაგრამ მაინც არსებულ განსხვავებებს, რაც ამ ორი ნორმატიული აქტის დებულებებს შორის არსებობს. არადა, ორივე მათგანი ქართული კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია.

ამ ნაშრომის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის სფეროში ქართული სამეცნიერო ლიტერატურის გამდიდრება. ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე წიგნი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენში უცხო-

ური სასამართლო აქტების აღსრულების დოქტრინის სრულყოფაში, რაც ჯამში ხელს შეუწყობს საქართველოს სამართლებრივ ინტეგრაციას ევროპასთან და გაამარტივებს სამოქალაქო ბრუნვას სხვა სახელმწიფოებთან.

9. გამოყენებული ლიტერატურა

ა) ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ.;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წ.;
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წ.;
4. საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" 1998 წ.;
5. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ", 1999 წ.;
6. საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ", 1997 წ.;
7. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ", 2009 წ.;
8. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესხებ", 2009 წ.;
9. კანონპროექტი „არბიტრაჟის შესახებ", 2004 წ.;
10. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ", 2009 წ.;
11. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ", 1999 წ.;
12. გაეროს ნიუ-იორკის კონვენცია „უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ", 1958 წ., (საქართველოში ძალაშია 1994 წ.-დან);
13. ხელშეკრულება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ', 1997 წ.;

14. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მინსკის კონვენცია „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ', 1993 წ., (საქართველოში ძალაშია 1996 წ.-დან);
15. ხელშეკრულება საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის „სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ", 1996 წ.;
16. ხელშეკრულება საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის „სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ", 1997 წ.;
17. ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ", 1996 წ.;
18. ხელშეკრულება საქართველოსა და თურქმენეთის რესპუბლიკას შორის „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ", 1996 წ.;
19. ხელშეკრულება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის „სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ", 1998 წ.;
20. შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ', 1996 წ.;
21. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კიევის შეთანხმება „სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული დავების განხილვის წესის შესახებ", 1992 წ.;

22. Constitution of the United States of America – ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, 1787 წ.;
23. Federal Arbitration Act – აშშ-ის ფედერალური კანონი არბიტრაჟის შესახებ, 1925 (2012 წ. ივნისის მდგომარეობით);
24. Zivilprozessordnung (ZPO) – გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი , 1900 წ.;
25. Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации – რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 2002 წ.;
26. Арбитражный процессуальный кодекс Российской Федерации – რუსეთის საარბიტრაჟო პროცესუალური კოდექსი, 2002;
27. Указ Президиума Верховного Совета СССР <О признании и исполнении в СССР решений иностранных судов и арбитражей> სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „სსრკ-ში უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ", 1988 წ.;
28. Einfuehrungsgestz in das Buergerliche Gesetzbuch – გერმანიის შესავალი კანონი სამოქალაქო კოდექსში, 1896 წ.;
29. Code civil – საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, 1804 წ.;
30. Code De Procedure Civile – საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1806;
31. Bundesgesetz ueber das Internationale Privatrecht – შვეიცარიის კონფედერაციის კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, 1987 წ.;
32. Brussels Convention on Jurisdiction and Enforcement of Judgements in Civil and Commercial Matters, 1968;

33. Lugano Uebereinkommen uber die gerichtliche Zustaendigkeit und die Vollstreckung gerichtlicher Entscheidungen in Zivil- und Handelssachen, 1988;
34. Lugano Uebereinkommen uber die gerichtliche Zustaendigkeit und die Vollstreckung gerichtlicher Entscheidungen in Zivil- und Handelssachen, 2007;
35. Verordnung (EG) №. 44/2001 des Rates ueber die gerichtliche Zustaendigkeit und die Anerkennung und Vollstreckung von Entscheidungen in Zivil- und Handelssachen (EuGVO);
36. Verordnung (EG) № 805/2004 des Europaeischen Parlaments und des Rates zur Einfuehrung eines Europaeischen Vollstreckungstitels fuer unbestrittene Forderungen (EuVTVO);
37. Verordnung (EG) № 1896/2006 des Europaeischen Parlaments und des Rates zur Einfuehrung eines Europaeischen Mahnverfahrens (EuMVVO);
38. Verordnung (EG) № 861/2007 des Europaeischen Parlaments und des Rates zur Einfuehrung eines Europaeischen Verfahrens fuer geringfuegige Forderungen (EuGFVO);
39. Abkommen zwischen der Europaeischen Gemeinschaft und dem Koenigreich Daenemark ueber die gerichtliche Zustaendigkeit und die Anerkennung und Vollstreckung von Entscheidungen in Zivil- und Handelssachen, 2005.

ბ) სამეცნიერო ლიტერატურა:

1. გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი 2011;
2. გამყრელიძე ს., საერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი, თბილისი 2000 წ.;
3. კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი 2003;
4. ლილუაშვილი ბ., დისერტაცია თემაზე „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება საქართველოში", თბილისი 2009 (დაცულია 2010 წ.);
5. ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი 2000.;
6. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, II გამოცემა, თბილისი 2001;
7. ჩიქვანაია თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი 2002;
8. ცერცვაძე გ., დისერტაცია თემაზე: „საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები", თბილისი 2008 (დაცულია 2009 წ.);
9. ჯანხოთელი გ., საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი 2003;
10. Богуславский М.М., Международное частное право, 4-е Издание, Москва, 2003;
11. Богуславский М.М., Международное частное право, Издание пятое, переработанное и дополненное, Москва, 2008;
12. под редакцией Яркова В.В., Арбитражный процесс, 3-е Издание, Москва, 2008;
13. American Law Institute, Recognition and Enforcement of Foreign Judgements: Analysis and Proposed Federal Statute, Philadelphia, 2006;

14. Bach I., Grenzueberschreitende Vollstreckung in Europa, Tuebingen, 2008;
15. Baeumer A., die auslaendische Rechtshaengigkeit und ihre Auswirkungen auf das Internationales Zivilverfahrensrecht, Koeln, 1999;
16. Baur F./Stuerner R., Zwangsvollstreckungs-, Konkurs- und Vergleichsrecht, 12. Auflage, Heidelberg, 1990;
17. Becker U., Grundrechtsschutz bei der Anerkennung und Vollstreckbarerklaerung im europaeischen Zivilverfahrensrecht, Frankfurt am Main, 2004;
18. Bitter A.-K., Vollstreckbarerklaerung und Zwangsvollstreckung auslaendischer Titel in der Europaeischen Union, Tuebingen, 2009;
19. Borges G., das Doppelexequatur von Schiedsspruechen, Berlin, 1997;
20. Born G./Westin D., International Civil Litigation in United State courts, Deventer, 1989;
21. Brockmeier D., punitive damages, multiple damages und deutscher ordre public, Tuebingen, 1999;
22. Bucher A., die neue internationale Schiedsgerichtsbarkeit in der Schweiz, Basel, 1989;
23. Caffrey B. A., International Jurisdiction and the Recognition and Enforcement of Foreign Judgements in the LAWASIA region, Sydney, 1985;
24. Calavros C., das UNCITRAL – Modellgesetz über die internationale Handelsschiedsgerichtsbarkeit, Bielefeld, 1988;
25. Europaeischer Anwaltsverein (Hrsg.), Leitfaden zum Europaeischen Gerichtsstands- und Vollstreckungsuebereinkommen, Baden-Baden, 1990;
26. Falck, A.v. Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998;
27. Fahl C., die Stellung des Glaeubigers und des Schuldners bei der Vollstreckung auslaendischer Entscheidungen nach dem EuGVU, Baden-Baden, 1993;

28. Geimer R., Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2009;
29. Geimer R., Anerkennung auslaendischer Entscheidungen in Deutschland, Muenchen, 1995;
30. Geimer R./Schuetze R., Europaeisches Zivilverfahrensrecht, 3. Auflage, Muenchen, 2010;
31. Geimer R./Schuetze R., Internationale Urteilsanerkennung, Muenchen, 1984;
32. Gerasimchuk E., Urteilsanerkennung im deutsch-russischen Rechtsverkehr, Tuebingen, 2007;
33. Goertz J., die subjektiven Grenzen der Rechtskraft US-amerikanischer Urteile, Frankfurt am Main, 2005;
34. Haas U., die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, Berlin, 1991;
35. Hellwig K., Lehrbuch Des Deutschen Civilprozessrechts, Band I, Leipzig, 1907/1908;
36. Hermann D., die Anerkennung US-amerikanischer Urteile in Deutschland unter Beruecksichtigung des ordre public, Frankfurt am Main, 2000;
37. Jayme E., Ein internationales Zivilverfahrensrecht fuer Gesamteuropa, Heidelberg, 1992;
38. Joseph D., Jurisdiction and Arbitration Agreements and their Enforcement, Second Edition, London, 2010;
39. Kaye P., Civil Jurisdiction and Enforcement of Foreign Judgements, Abingdon, 1987;
40. Kegel G./Schurig K., Internationales Privatrecht, 9. Auflage, Koeln, 2004;
41. Kluwer Law International, Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards: A Global Commentary on the New York Convention, Alphen aan den Rijn, 2010;
42. Knieper R., GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung von Urteilen nach EU Recht, Bremen, 2002;

43. Knieper R., GTZ Schriften, Länderberichte: Georgien, Bremen, 2002;
44. Kropholler J., Internationales Privatrecht, 6. Auflage, Tuebingen, 2006;
45. Kropholler J./ Hein J. v., Europaeisches Zivilprozessrecht, 9. Auflage, Frankfurt am Main, 2011;
46. Kurzynsky-Singer E., Anerkennung auslaendischer Urteile durch russische Gerichte, Rabels Zeitschrift fuer auslaendisches und internationales Privatrecht, Band 74 (2010);
47. Kurzynsky-Singer E./Davydenko D., Materiellrechtlicher ordre public bei der Anerkennung und Vollstreckbarerklärung von schiedsgerichtlichen Urteilen in der Russischen Föderation, SchiedsVZ (Zeitschrift fuer Schiedsverfahren), 4/2010;
48. Lauk T.-C., die Rechtskraft auslaendischer Zivilurteile im Englischen und Deutschen Recht, Stuttgart, 1989;
49. Linke H., Internationales Zivilprozessrecht, 3. Auflage, Koeln, 2001;
50. Lutz R. E., Enforcing Foreign Judgements in the United States and Abroad, Cambridge, 2007;
51. Martiny D., Handbuch des Internationalen Zivilverfahrensrechts, Band III/1, Tuebingen, 1984;
52. Nagel H./Gottwald P., Internationales Zivilprozessrecht, 5. Auflage, Koeln, 2002;
53. Nagel H./Gottwald P., Internationales Zivilprozessrecht, 6. Auflage, Koeln, 2007;
54. Rauscher T., Europaesches Zivilpozessrecht, 2. Auflage, Muenchen, 2006;
55. Riezler E., Internationales Zivilprozessrecht und prozessuales Fremdenrecht, Tuebingen, 1949;
56. Siehr K., Das Internationale Privatrecht der Schweiz, Zuerich, 2002;
57. Schack H., Internationales Zivilverfahrensrecht, 5. Auflage, Muenchen, 2010;

58. Schachter O., „The Decline of the Nation-State and its Implications for International Law", Columbia Journal of Transnational Law, vol. 36, New York, (1997/98);
59. Schlosser P., das Recht der internationalen privaten Schiedsgerichtsbarkeit, 2. Auflage, Tuebingen, 1989;
60. Schlosser P., EU-Zivilprozessrecht, 2. Auflage, Muenchen, 2003;
61. Schmidt-Parzefall T., die Auslegung des Paralleluebereinkommens von Lugano, Tuebingen, 1995;
62. Schramm H. J., GTZ Schriften, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer Gerichtsurteile in der Bundesrepublik Deutschland, Bremen 2002;
63. Schulze C., On Jurisdiction and the Recognition and Enforcement of Foreign Money Judgements, first edition, Pretoria, 2005;
64. Schuetze R., Deutsches Internationales Zivilprozessrecht unter Einschluss des Europaeischen Zivilprozessrechts, 2. Auflage, Berlin, 2005;
65. Stein F./Jonas M., ZPO Kommentar, Tuebingen, 2002, Band 9;
66. Thomas H./Putzo H., ZPO Kommentar, 32. Auflage, Muenchen, 2011;
67. Walder H. U., Einfuehrung in das Internationale Zivilprozessrecht der Schweiz, Zuerich, 1989;
68. Zoeller R., Zivilprozessordnung, 29. Auflage, Koeln, 2012.

გ) სასამართლო პრაქტიკა:

აა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი –

1. (www supremecourt.ge):

1. განჩინება № 3ა-102; 4 იელისი, 2003 წ.;

2. განჩინება № ა-1226-შ-71-03; 29 სექტემბერი, 2003 წ.;
3. განჩინება № ა-543-7-51-03; 1 ოქტომბერი, 2003 წ.;
4. განჩინება № 3ა-108-02; 1 ოქტომბერი, 2003 წ.;
5. განჩინება № 3ა-115-02; 1 ოქტომბერი, 2003 წ.;
6. განჩინება № ას-190-03; 1 ოქტომბერი, 2003 წ.;
7. განჩინება № ა-1223-შ-70-03; 31 ოქტომბერი, 2003 წ.;
8. განჩინება № ას-1357-შ-74-03; 17 ნოემბერი, 2003 წ.;
9. განჩინება № 3ა-67; 17 ნოემბერი 2003 წ.;
10. განჩინება № ა-62-შ-36-03; 20 დეკემბერი, 2003 წ.;
11. განჩინება № ა-1724-შ-80-03; 24 დეკემბერი, 2003 წ.;
12. განჩინება № ა-1072-შ-65-03; 25 დეკემბერი, 2003 წ.;
13. განჩინება № ა-1283-შ-73-03; 20 იანვარი, 2004 წ.;
14. განჩინება № ა-1316-შ-78-03; 29 მარტი, 2004 წ.;
15. განჩინება № ა-1316-შ-78-03; 29 მარტი, 2004 წ.;
16. განჩინება № ა-2110-შ-85-03; 29 მარტი, 2004 წ.;
17. განჩინება № ა-1727-შ-59-06; 23 იანვარი, 2007 წ.;
18. განჩინება № ა-1452-შ-55-06; 19 მარტი, 2007 წ.;
19. განჩინება № ა-415-შ-28-07; 30 აპრილი, 2007 წ.;
20. განჩინება № 3ა/4-02; 10 სექტემბერი, 2007 წ.;
21. განჩინება № ა-840-შ-35-07; 12 დეკემბერი, 2007 წ.;
22. განჩინება № ა-2297-შ-58-08; 2 თებერვალი,2009 წ.;
23. განჩინება № ა-562-შ-26-09; 3 აპრილი, 2009 წ.

2. უზენაესი სასამართლოს გადაწვეტილებანი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, თბილისი 2009, №8.

3. უზენაესი სასამართლოს გადაწვეტილებანი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება, თბილისი 2010, №10.

ბბ) გერმანიის სასამართლო პრაქტიკა:

1. BGHZ 98, 70;
2. BGH WM 01, 971;
3. BGH NJW 1978, 1745;
4. BGH NJW 01, 1730;
5. BGH vom 21.10.1971;
6. BGHZ 57, 153;
7. BGHZ 20, S. 239;
8. BGHZ 48, S. 327, 33;
9. BGHZ 22, S. 24;
10. BGHZ 118, 312;
11. BGHZ 88, 113, 115;
12. BGHZ 42, 194;
13. BGHZ 122, 16;
14. BGH IPRax 1985, 157;
15. BGH IPRax 1985, 101;
16. BGHZ 59, S. 116, 124;
17. BGH NJW 1986, 1440;
18. BGH NJW 1992, S. 3096;
19. BGH NJW 1993, 1271;
20. BGH RIW 1984, 557;
21. BGH RIW 1984, 644, 645;
22. OLG Duesseldorf VersR, 1991, 1161/1162;
23. OLG Duesseldorf FamRZ 1979, 313, 314;
24. OLG Hamburg vom 26.1.1989;
25. OLG Stuttgart IPRspr. 1982/175;

26. OLGZ 1917, 323;
27. RGZ 169, S. 245 ff.;
28. RIW 1985, S. 973 ff.;
29. RIW 1991, 152, 154.

გგ) აშშ-ს სასამართლო პრაქტიკა:

Court of Appeals, Second Circuit, 17.06.1983, Bergessen v. Joseph Mueller Corp. – <http://bulk.resource.org/courts.gov/c/F2/710/710.F2d.928.82-7880.951.html> [11.09.2012].

დ) ელექტრონული წყაროები (სამეცნიერო ლიტერატურა, სტატიები და ნორმატიული აქტები ინტერნეტიდან):

1. Cain K. G., the McDonalds Coffee Lawsuit, Journal of Consumer and Commercial Law, Volume 11, Number 1, Fall 2007 – <http://www.jtexconsumerlaw.com/V11N1/Coffee.pdf> [06.09.2012];
2. Contempt of Court Act 1981 – < http://www.legislation.gov.uk/ukpga/1981/49> [07.09.2012];
3. Cross Border Insolvency, Italy – <http://www.insol.org/pdf/cross_pdfs/Italy.pdf> [06.09.2012];
4. Daenell E., die Bluetezeit der deutschen Hanse, Berlin, 1905 – <http://www23.us.archive.org/stream/blutezeitdeutsc01daen#page/n3/mode/2up> [07.09.2012];
5. Dalcy C., EU-USA Relations – <http://www.civitas.org.uk/eufacts/FSEXR/EX7.htm> [09.03.2012];
6. Drahozal C.R., Commercial Norms, Commercial Codes and International Commercial Arbitration (Abstract) – <http://www-prod.law.vanderbilt.edu> [10.09.2012];
7. Genius B., Konkretisierende Vollstreckbarerklaerung eines auslaendischen Schiedsspruchs –

<http://www.bghanwalt.de/veroeffentlichungen/vo_bg_012.htm> [10.09.2012];
8. Merret L., Recognition and Enforcement of Judgements, Class 8, – <http://www.law.cam.ac.uk/faculty-resources/10009488.doc > [10.09.2012];
9. Michaels R., Recognition and Enforcement of Foreign Judgements – < http://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2281&context=faculty_scholarship > [06.09.2012];
10. Parameshwaran A., Conflict of Lawsin the Enforcement of Foreign Awards and Foreign Judgements, – <http://digitalcommons.law.uga.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1040&context=stu_llm> [10.09.2012];
11. Sanders P., the making of the Convention - Enforcing Arbitration Awards under the New York Convention, New York, 1999 – <http://www.uncitral.org/pdf/english /texts /arbitration/NY-conv/NYCDay-e.pdf> [07.09.2012];
12. Schuetze R., Rechtsverfolgung im Ausland, Prozessfuehrung vor auslaendischen Gerichten und Schiedsgerichten, 4. Auflage, 2009 –<http://books.google.de/books?id=RwzvAc4xxjAC&printsec=frontcover&dq=schuetze&source=bl&ots=6kkT0d5txF&sig=NjGRrSQOnGeg3Ln92KECjsWl9HQ&hl=de&sa=X&ei=x75NUKvOA8TKhAfQ14HACg&ved=0CF4Q6AEwCA#v=onepage&q=schuetze&f=false> [10.09.2012];
13. Smith, the Benefits of Human Cloning – <http://www.humancloning.org/benefits.php> [06.09.2012].

რედაქტორი:
პროფესორი ლადო ჭანტურია

© ლევან გოთუა

თბილისი, 2012